საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№7 (242)
26 თებერვალი – 4 მარტი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ვის ესიზმრება თბილისური «მაიდანი»? 5

# უკრაინის კოლონიზაცია


თბილისი, 1991 წელი


კიევი, 2014 წელი

4

## კინო, რომელიც ქართველებმა უკვე ვნახეთ

## როდემდე შეინახავს აშშ დამშეულ უკრაინას? 16



## 9 «უკრაინელები ქაოსისა და სიღარიბის მეტს ვერაფერს მიიღებენ»

## მაოხრებელი სოროსის დაბრუნება 12

კოალიციური მთავრობის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი მისტერ სოროსს პირადად შეხვდება და მის მიერ მოწოდებულ იდეებს შეისრულებს

## «არ შეიძლება თავდაცვის მინისტრის ხელფასი იმაზე ათჯერ მეტი იყოს, ვიდრე იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც ტყვიას შუბლს უშვერენ და რომელთა თავდადებითაც ევროპასა თუ ამერიკაში ვიწონებთ თავს» 12

## 13 «სააკაშვილმა ევროპაში 4 ლობისტური კომპანია დაიქირავა და რევანშისთვის ემზადება?!»

# უკრაინული რებუსი 6

## ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უმუშევართა არმიას 5 მილიონი ადამიანი შეემატა




**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოხსენება გამოაქვეყნა თემაზე „დასაქმების გლობალური ტენდენციები".** დოკუმენტში ნათქვამია, რომ გასულ წელს უმუშევართა არმია კიდევ 5 მილიონმა ადამიანმა შეავსო. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში. ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობა ლათინური ამერიკის ქვეყნებშია. ექსპერტთა ვარაუდით, თუკი ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება, 2018 წელს უმუშევართა რიგები კიდევ 215 მილიონი ადამიანით შეივსება. 2013 წელს უმუშევრობის დონე 6,1%-ით გაიზარდა. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან ახალგაზრდები, მათ 13%-ს სამუშაო არ აქვს.



## იქნებ შაჰის ცოლობასაც გამოჰკრას ხელი!

**საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა მეუღლის, მიხეილ სააკაშვილის, სამომავლო გეგმებზე ჰოლანდიურ მედიასთან ისაუბრა.**

„ახალმა ხელისუფლებამ ჩემი ქმრის გარემოცვის წევრების მიმართ შურისმაძიებლური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ყოფილი მინისტრები გაასამართლეს, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კი დაპატიმრებულია. დიპლომატები ჩემს ქმარს ქვეყნის დატოვებას ურჩევდნენ, სწორედ ამიტომ მან ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველო დატოვა. საბედნიეროდ, მას ბევრ ადგილას სიამოვნებით ხვდებიან, თუმცა რთულია, როცა იცი, რომ შენი ქმარი იმას არ აკეთებს, რისი გაკეთებაც უნდა და ის არ არის, ვინც უნდა, რომ იყოს. ჩემი მეუღლე პრეზიდენტობით არ არის დაინტერესებული. ასე რომ, **მომავალში გამორიცხულია ჩემი პირველი ლედობა. თუმცა არავინ იცის, ვიქნები თუ არა პრემიერმინისტრის მეუღლე"**, — განაცხადა სანდრა რულოვსმა.

**ნათქვამია, ოცნებას კაცი(ქალი) არ მოუკლავსო და იქნებ ქალბატონმა სანდრამ შაჰის ცოლობასაც გამოჰკრას ხელი!**



## მართვის მოწმობის აღების მსურველებს პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ქალაქში მოუწევთ

**მართვის მოწმობის აღების მსურველებს პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება რეალურ მოძრაობაში, ქალაქის პირობებში მოუწევთ, — ნათქვამია შს სამინისტროს 2014 წლის სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტში.**

„2014 წლიდან უკვე შესაძლებელია მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე. ასევე შემოღებულ იქნება პრაქტიკული გამოცდის რეალურ მოძრაობაში (ქალაქის პირობებში) ჩაბარება", — ნათქვამია დოკუმენტში.

2014 წელს ასევე იგეგმება ახალი ტიპის სანომრე ნიშნების შემოღება, რომლებიც თავისი ფორმითა და შინაარსით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება. გარდა ამისა, დაგეგმილია სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების სწავლება, ხოლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სიჩქარის მზომი დამატებითი რადარების დამონტაჟება.




# ვაშინგტონში ირაკლი ღარიბაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრა გაიმართა

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვაშინგტონში, თეთრ სახლში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა.
აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ჯოზეფ ბაიდენის სამუშაო შეხვედრას შეუერთდა.**



შეხვედრას პრემიერთან ერთად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და აშშ-ში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე ესწრებოდნენ; აშშ-ის მხრიდან კი — პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ვიცეპრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი.

შეხვედრის ძირითადი თემები იყო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური პერსპექტივა, აგრეთვე, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები.

როგორც პრემიერმა ჯო ბაიდენთან შეხვედრაზე აღნიშნა, 2014 წლის შემდგომამდე საქართველო ხელს მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ხელისუფლება მიესალმება აშშ-ის მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. საქართველოს პრემიერმინისტრის განმარტებით, ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-სა და საქართველოს შორის მაღალი დონის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებებს და აშშ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება. საქართველოს პრემიერმინისტრმა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი საქართველოში მიიწვია. საქართველოს პრემიერმინისტრის შეფასებით, აშშ რჩება საქართველოს ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორად და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდეს, საგარეო საქმეთა მინისტრის — მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობისადმი აბსოლუტური მხარდაჭერა გამოხატა ყველა იმ საკითხში, რომელიც დღეისთვის აქტუალურია.



**„მან აღნიშნა, რომ ამ შენობაში არ არის არავინ, ვინც მხარს არ უჭერდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს სუვერენიტეტს, საქართველოს თავისუფალ არჩევანს, გახდეს დიდი ევროპული ოჯახის წევრი და, აგრეთვე, ნატოსკენ მიმავალ გზაზე გაიაროს ახალი ნაბიჯები ინტეგრაციისა და საერთოდ, საქართველოს მთავრობას აქვს თეთრი სახლის სრული მხარდაჭერა. ეს იყო პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი",** — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

# საქართველოს საპატრიარქოს განცხადება ბერი გაბრიელის საფლავის გახსნის შესახებ

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ბერი გაბრიელის საფლავის გახსნის შესახებ ავრცელებს განცხადებას, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**



„ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ ღირსი მამის, გაბრიელ სალოსის, წმიდა ნაწილების აღმოყვანებას და სვეტიცხოვლიდან თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში გადმობრძანებას. დიდია ხალხის სიყვარული მისადმი, ამიტომაც სამების ტაძარი არ დაიკეტება და მრევლს ერთი კვირის განმავლობაში 24 საათის განმავლობაში ექნება საშუალება, მიეახლოს წმინდანს. უნდა ითქვას, რომ წმინდანთა აღმოყვანების ტრადიცია საქართველოში თითქმის არ იყო, რადგან ქვეყანა მუდმივ შემოსევებს განიცდიდა და მათი დაცვის გარანტია არ არსებობდა. თუმცა მართლმადიდებელ სამყაროში კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, საბერძნეთის, რუსეთის, უკრაინის და სხვა ეკლესიებში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საერთოდ, აღმოყვანებული ნაწილები ზოგჯერ არის ნაწილობრივ უხრწნელი ან მხოლოდ ძვლების სახით დაცული. მაგალითად, უხრწნელია წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი, კიევის ლავრაში დაბრძანებულ წმინდანთა დიდი ნაწილი, მაგრამ, მაგალითად, მოციქულების, წმიდა გიორგის, სტეფანე პირველმოწამის, ბასილი დიდის, გრიგოლი ღვთისმეტყველის და სხვა წმინდანების მხოლოდ ძვლებია და მას მიეახლებიან მორწმუნენი. რაც შეეხება მამა გაბრიელს, ამოსვენების დროს მხოლოდ თავის ქალის ძვლის მცირე ნაწილი გამოჩნდა. მისი წმიდა ნეშტი კი საერთოდ არ გახსნილა, როგორც იყო საბერო მანტიაში და ჭილობში დაკრძალული, ასევე დარჩა, გარედან ახალი საბერო სამოსით შეიმოსა და ლუსკუმაში ჩასვენდა. კიდევ ერთი



ინფორმაცია: ვითვალისწინებთ რა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დიდ სურვილს წმინდანთან მიახლებისა, მათთვის ხუთშაბათს, 27 თებერვალს, 12 საათიდან 17 საათამდე საგანგებოდ გადახდილი იქნება საჯანმრთელო პარაკლისები და დაილოცებიან მომსვლელნი. თუმცა, რა თქმა უნდა, მათ სხვა დროსაც შეეძლებათ ტაძარში მიბრძანება. მამა გაბრიელმა მრავალი სასწაული აღასრულა და ღვთის მადლით კვლავაც ბევრს აღასრულებს, მისი ლოცვა და ღვთის წინაშე მეოხება შეეწიოს სრულიად საქართველოს!"

რობერტ სტურუა: რა უცნაური ხალხი ყოფილან უკრაინელები: ეძებენ ქვეყნის პრეზიდენტს, რომ გაასამართლონ ჩადენილი დანაშაულის გამო — თავისუფლების შეზღუდვის, საკუთარი მოქალაქეების დარბევის, სისხლისღვრის, ქურდობის, საკუთარი ოჯახის წევრების უკანონო გამდიდრების, ქვეყნის ბიუჯეტის თანხებით უამრავი საპრეზიდენტო რეზიდენციების აგების გამო?!. ეძებენ, რათა გაასამართლონ, წარმოგიდგენიათ?! არა, ჩვენთვის ეს გაუგებარი რამაა!..

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეიდები ქართველების წინააღმდეგ

## ევრომაიდანზე მიხეილ სააკაშვილს უკრაინელმა მამაკაცმა ბანდიტი უწოდა

**უკრაინული ტელეკომპანია Гром TV-ის ჟურნალისტმა კიევში მყოფ საქართველოს ექსპრეზიდენტთან ინტერვიუ ჩაწერა. მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და ხელისუფლების ძალადობრივ ქმედებებზე ისაუბრა და უკრაინელ ხალხს რჩევები მისცა. „ის, რასაც ხელისუფლება სჩადის, სუფთა წყლის ბანდიტიზმია", — აღნიშნა სააკაშვილმა. ინტერვიუს დროს მათ ერთ-ერთი მომიტინგე მიუახლოვდა.**



**„შენც ისეთივე ბანდიტი ხარ, როგორც დანარჩენები. სიმართლე თქვი ტელეკამერის წინაშე, როგორ გახდი მილიარდერი.**

**სიმართლე სიმართლეა, რატომ გამოგაგდეს საქართველოდან? სიმართლე თქვი, იმიტომ, რომ ეს მაიდანია და აქ ხალხს ხოცავენ ისეთი ბანდიტები, როგორიც თქვენ ხართ. ხალხს სიმართლე უთხარი, როგორ გახდი მილიარდერი? ვისი ფულით გახდი? რატომ ჩამოხვედი საქართველოდან უკრაინაში?"** — მიმართა ევრომაიდანზე მისულ სააკაშვილს უკრაინელმა მამაკაცმა, რომელიც ექსპრეზიდენტის დაცვამ გაიყვანა.

**კიევში, ევრომაიდანზე საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, გამოსვლამ ქართველების მიმართ აგრესია გამოიწვია.** კიევის, ოდესის, დნეპროპეტროვსკისა და ხარკოვის ქუჩებში რეიდები მიმდინარეობს. არაოფიციალური ინფორმაციით, უსაფუძვლოდ დააკავეს ორასზე მეტი ქართველი.

# «რა უცნაური ხალხი ყოფილან უკრაინელები!»

**რეჟისორმა რობერტ სტურუამ სოციალურ ქსელში უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე წერილი გამოაქვეყნა.**



„რა უცნაური ხალხი ყოფილან უკრაინელები: ეძებენ ქვეყნის პრეზიდენტს, რომ გაასამართლონ ჩადენილი დანაშაულის გამო — თავისუფლების შეზღუდვის, საკუთარი მოქალაქეების დარბევის, სისხლისღვრის, ქურდობის, საკუთარი ოჯახის წევრების უკანონო გამდიდრების, ქვეყნის ბიუჯეტის თანხებით უამრავი საპრეზიდენტო რეზიდენციების აგების გამო?!. ეძებენ, რათა გაასამართლონ, წარმოგიდგენიათ?! არა, ჩვენთვის ეს გაუგებარი რამაა! ახლა კიდევ, მომავალ პარლამენტში, მინისტრების სიებში არ ვიხილოთ ადამიანები, ვინც ადრე კრიმინალურ პრეზიდენტს ემსახურებოდაო?! არა, არა, აქეთ გამოიხედეთ, ჩვენთან პირიქით — ჰუმანიზმი პირველ რიგში! მკვლელი, რასაკვირველია, უნდა შევიბრალოთ, ადამიანები არ ვართ? ვიღაცამ ვიღაცა გააუპატიურა (რა მოხდა — კაცია თუ ქალი?) — რატომ ბოროტდებით, ძმებო? კაცია და არ უნდა გავუგოთ?! ჰოდა, ნახეთ, რა ტკბილ შედეგებს მივაღწიეთ! მართალია, ისინი ჩვენ გვაბრალებენ იმ დანაშაულს, რომელშიც ასე დაოსტატდნენ. ჩვენგან მოითხოვენ კაცთმოყვარეობას, ადამიანის უფლებების დაცვას, და ძალიან კარგი! ჩვენ პირდაღებულნი ვუსმენთ და ვსწავლობთ დემოკრატიის პრინციპებს. აი, ვიღაც ლამაზი მომღერალი გაიძახის, მე მიყვარს მკვლელებიო, მეორე ლოგინში უწვება, ქურქი აჩუქეს. ასე არ სჯობს?! ეს უკრაინელები კი რაღაც ნამეტანი ბოროტი ხალხი ყოფილა, ეტყობა, ძალიან ვერ იტანენ საკუთარ ნაძირლებს... ტყუილად კი არ ჩავიდა ჩვენი ექსჭკვიანი კიევში, მაიდანზე, ალბათ, აუხსნის, რაა პოლიტიკა. ისწავლეთ, ისწავლეთ, უკრაინელებო, თუ მშვიდობა გინდათ. კოაბიტაციასაც შეგახსენებს ევროკავშირის ვინმე პედოფილი თუ მექრთამე... და იცხოვრეთ ასე, ლამაზად და ტკბილად: ჭამეთ ვარენიკები არაჟანში ამოვლებული და წიწაკიანი ჰორილკა დააყოლეთ... უხ, შენი, არ გვიჯერებენ, მაინც მოითხოვენ იანუკოვიჩის დასჯას... მაშინ თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ", — წერს სტურუა.

# დაბალშემოსავლიან გადამხდელს დაუბეგრავი მინიმუმის სახით თანხა დაუბრუნდება

**შემოსავლების სამსახურსა და კომერციულ ბანკებს შორის დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის მექანიზმებთან დაკავშირებით თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს შემოსავლების სამსახურსა და ბანკ „რესპუბლიკას", „პრივატბანკს", „თიბისი ბანკს", „საქართველოს ბანკს", „ლიბერთი ბანკს", „ბაზისბანკს", „ქართუ ბანკს", „კორსტანდარტ ბანკს", „ბანკს კონსტანდასა" და „ფინკა ბანკი საქართველოს" შორის ხელი ფინანსთა სამინისტროში მოეწერა.**

მემორანდუმის შედეგად მოქალაქეებს შეუძლიათ დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის საკითხზე ნებისმიერი აღნიშნული ბანკით ისარგებლოს. ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე მათ დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა დაუბრუნდებათ.

**„მოგეხსენებათ, რომ 2013 წლის განმავლობაში მუშავდებოდა დაუბეგრავი მინიმუმის თემა და 2014 წლის 1 აპრილიდან მოსახლეობისთვის ამ თანხების დაბრუნება დაიწყება. ის ადამიანები, რომელთა შემოსავალი წელიწადში არ აღემატებოდა 6 000 ლარს, ნებისმიერ იმ ბანკში უნდა მივიდნენ, რომლებთანაც მემორანდუმს მოვაწერეთ ხელი და უმარტივესი დეკლარაცია შეავსონ — ეს რეალურად სისტემაში მხოლოდ პირადი ნომრის შეყვანას გულისხმობს. ამის შემდეგ დაიწყება დაბრუნების პროცესი",** — განუცხადა ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

მისივე განმარტებით, ხელისუფლების აღნიშნული ინიციატივა დაახლოებით 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი გადამხდელის მხარდაჭერას ითვალისწინებს. როგორც ცნობილია, 2013 წელს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება შეიტანა.

# საწვავსა და ბუნებრივ აირზე ფასები გაიზრდება?

**ექსპერტი კახი კახიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანულ მხარესთან სატრანზიტო გადაზიდვების ფასების შესახებ მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს.**

**„საწვავის ფასის გაძვირების შემთხვევაში ყველა პროდუქციაზე გაიზრდება ფასები, ამიტომ ვურჩევ საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკებები აზერბაიჯანულ მხარესთან ფასების დარეგულირებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარი განაცხადონ აზერბაიჯანიდან საწვავის შემოტანაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აზერბაიჯანის საწვავი სტანდარტებს და მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ასე რომ, მათთვის შეღავათი უნდა იყოს ისიც, რომ ამხელა ბაზარი მათ საწვავს მოიხმარს",** — განაცხადა კახიშვილმა და დასძინა, რომ „აზერბაიჯანს მოლაპარაკებების შედეგად მაინც მოუწევს ამ სატრანზიტო გადაზიდვების ფასების დაწევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იმ სამომხმარებლო ბაზარს დაკარგავს". მისივე თქმით, თუ სატრანზიტო ფასებზე შეთანხმება ვერ მოხდება, „ხელისუფლებას მოსახლეობისთვის განმარტება მოუწევს იმასთან დაკავშირებით, რომ საწვავის ფასთან ერთად ფასი ყველაფერზე აიწევს. დღეს აზერბაიჯანული საწვავი მხოლოდ იმიტომ იყიდება, რომ ევროპულთან შედარებით ნაკლები ღირს".





# გიორგი ონიანს 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, ასევე განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ონიანი დააკავა.**

გამოძიებით დადგინდა, რომ გიორგი ონიანმა 2011 წელს კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელის შეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, შპს „დაო-პრინტის" მენეჯერი დავით შათირიშვილი უკანონოდ დააკავა.

გიორგი ონიანმა თავის დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს დაავალა პატაკის შედგენა, რომ დავით შათირიშვილი თითქოს უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. რეალურად კი ასეთი ინფორმაცია გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებს მიღებული არ ჰქონდათ. იმავე დღეს, ონიანის ორგანიზებითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით, ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დააკავეს დავით შათირიშვილი. პოლიციის თანამშრომლებმა ის მხოლოდ დაკავების შემდგომ გაჩხრიკეს. მას ნარკოტიკული საშუალება არ აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დავით შათირიშვილი დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ, გიორგი ონიაინის ბრძანებით, იგი გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში გადაიყვანეს.

გიორგი ონიანის ძალისხმევით, დავით შათირიშვილს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით და საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

**ონიანის საქმის გამოძიება გრძელდება. მას რვა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

# ეროვნული ვალუტის ნიმუშის გამოვლენაში საზოგადოებაც ჩაერთვება

**ქართული ფულის — ლარის სიმბოლოს შესარჩევმა დროებითმა კომისიამ, წარმოდგენილი 231 ნიმუშიდან 5 საუკეთესო შეარჩია. კომისიამ გამარჯვებული ნიმუშის გამოვლენამდე, შერჩევის პროცესში საზოგადოების აქტიურად ჩართვა გადაწყვიტა.**

ამ მიზნით, 2014 წლის 25 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე http://www.nbg.gov.ge/vote გამოკითხვა ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობა ყველა ინტერნეტმომხმარებელს შეეძლება. გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად აღნიშნულ ვებგვერდზე მომხმარებელმა მისთვის სასურველი ერთი სიმბოლო უნდა მონიშნოს და ხმის მიცემა დაადასტუროს. ინტერნეტგამოკითხვას სარეკომენდაციო ხასიათი ექნება და ლარის სიმბოლოს შესარჩევ კომისიას გამარჯვებული სიმბოლოს გამოვლენაში დაეხმარება.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციის მიზნით ლარის სიმბოლოს შესარჩევი კონკურსი 2013 წლის 27 დეკემბერს გამოაცხადა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსაღი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა. და 82 ადამიანს, რომლებიც ამისთვის დაიღუპნენ, გმირობა მიანიჭა**

# უკრაინის კოლონიზაცია — კინო, რომელიც ქართველებმა უკვე ვნახეთ

**2008 წლის აგვისტოში, პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას წამოიწყო სააკაშვილმა ცხინვალის სისხლიანი ავანტიურა, რომელმაც, პრაქტიკულად, საქართველოს დაშლა გამოიწვია, ხოლო სოჭის ოლიმპიადის საფინალო ეტაპზე, ასევე ამერიკელების წაქეზებითა და დირიჟორობით, პიკს მიაღწია მაიდანის ავანტიურამ კიევში, რამაც უკრაინა დაშლა-დაქუცმაცების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა! და ეს ყველაფერი ამერიკის სინდისზეა!..**



აქ ე. წ. დასავლეთზე ზოგადად საუბარიც კი უადგილო მგონია, რადგან აშშ ერთადერთი გამგებელია დასავლეთ და უკვე აღმოსავლეთ ევროპისაც, რომელიც ძია სემის დაუკითხავად სიზმარსაც ვერ ნახულობს და კიევის მაიდანზე ბაროზოებისა თუ ეშტონების აქტივობა სინამდვილეში აშშ-ის დირექტივების უნიჭოდ კამუფლირებული განხორციელება იყო, ამიტომ ქვემოთ, სადაც დამჭირდება, აშშ-ს ვიხმარ და, ვისაც გინდათ, ევროპა იგულისხმეთ...

ჰოდა, აქ რუსეთი, სამწუხაროდ, არაფერ შუაშია. სამწუხაროდ, რადგან საკვირველ-აუხსნელი დემონსტრაციული არჩარევა-ნეიტრალურობის გამო ვერ შეძლეს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დაცვა, რამაც უკრაინა შეიძლება მართლაც დაშალოს. ეს კი სხვა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, კარგს არაფერს უქადის.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მთელი ეს ქაოსი, რომელიც ახლა უკრაინაში ხდება, რუსეთის გამოუვალ და მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებას ისახავს მიზნად. აშკარაა ძალაუფლების ძალადობრივი მიტაცება, ფაქტობრივად, ინტერვენცია მოძმე უკრაინაში, რომელსაც, **თუ ახალი ხელისუფლების პირველივე რუსოფობიულ ნაბიჯებს გავითვალისწინებთ, აუცილებლად მოჰყვება დაძაბულობის ესკალაცია, რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროება, იმ რეგიონების ეგზეკუცია, რომლებიც არ იზიარებენ მეიდნის იდეოლოგიას, ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე გააკეთეს საქართველოში — შეესივნენ სამეგრელოს, წამოიწყეს უაზრო ავანტიურები და გაანახევრეს ქვეყანა**. ამ ვითარებაში რუსეთის ჩარევა ნიშნავს იმას, რომ ამერიკა მოახერხებს მის ჩათრევას ამ ავანტიურაში, არჩარევა კი ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ხელისუფლება წააწყდება საკუთარი მოსახლეობის მკვეთრ უკმაყოფილებას. ერთი სიტყვით, მდგომარეობა ფრიად მძიმეა და ის, პირველ რიგში, არასახარბიელოა უკრაინის, როგორც სახელმწიფოსა, და უკრაინელებისთვის.

**რაც უნდა დაარქვას ამას დასავლეთმა – რევოლუცია, ბრძოლა თავისუფლებისთვის, — რაც სინამდვილეში მოხდა კიევში, ჩვენთვის, ქართველთათვის, კარგად ნაცნობი იყო. ეს კინო ჩვენ 1991-92 წლებში ვნახეთ — კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობა!**

2010-ში იანუკოვიჩი ოლიგარქების წყალობით გახდა პრეზიდენტი, დასავლეთის ბანკებში განთავსებული კაპიტალი იყო მისი „მმართველი". ჩანასახშივე შეიძლებოდა მაიდანის ექსტრემისტების ალაგმვა, მაგრამ ამერიკელების ზეწოლის გამო **„ბერკუტმა" მაშინაც კი ვერ მიიღო სათანადო ბრძანება, როდესაც „მშვიდობიანი მომიტინგეები" ცოცხლად წვავდნენ და კალაშნიკოვებით ხოცავდნენ სპეცრაზმელებს.**

ო, როგორ ჰგავს ეს ყველაფერი საქართველოს 1991 წლის გადატრიალების, 2003 წლის „ვარდების რევოლუციისა" თუ 2012 წლის „არნახულად დემოკრატიული" არჩევნების სცენარებს. **ჩვენთანაც ასე იყო: ჯერ აშშ-მა იარაღითა და ექსტრემისტების დახმარებით დაამხო გამსახურდიას ხელისუფლება, მერე ეს ექსტრემისტები შეესივნენ ქვეყნის იმ ნაწილებს, რომლებმაც არ გაიზიარეს საეჭვო წარმოშობის მართული ბანდიტების სულისკვეთება და მივიღეთ სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში... როდესაც მეხუთე კოლონა ისე მოძლიერდა, რომ ახალი თაობა უკვე ავტონომიურად შეძლებდა ამერიკის ნების უპირობო შესრულებას, მივიღეთ „ვარდების რევოლუცია". როდესაც ამ ახალგაზრდებმა ნდობისა და ადამიანურობის ყველანაირი რესურსი ამოწურეს, მივიღეთ ხელისუფლება ოლიგარქით სათავეში, რომელიც, მართალია, მალე გადადგა, მაგრამ დაგვიტოვა ოლიგარქატი, სადაც ამერიკის სიტყვა უფრო მეტად კანონობს და ანგარიშგასაწევია, ვიდრე რომელიმე ამერიკულ შტატში.**

საიდუმლო არავისთვის არის, რომ არაერთი გადატრიალება-რევოლუციის შედეგად **საქართველოს ხელისუფლებაში ძირითადად არაქართველები მოვიდნენ და მათი ბირთვი, რომელიც დღემდე რჩება ხელისუფლებაში, დღემდე აქტიურად ახორციელებს ანტიქართულ საქმიანობას.** საგულისხმოა, რომ არც უკრაინული მეიდანის ლიდერები არიან უკრაინელები. საქართველოში კარგად ვიცით, როგორ მოხდა გამსახურდიას დამხობის შემდგომ პერიოდში ყველგან, ყველა მნიშვნელოვან პოსტზე ყოველივე ქართულისგან ან მართლმადიდებლობისგან შორს მდგარი ადამიანების დაწინაურება.

წლებია, ვჩივით ქართველები — **ვინ და რატომ არჩევს ამ ჩვენებური მეხუთე კოლონის ხელმძღვანელებად ფსიქიკური გადახრების მქონე პირებს, მამათმავლებს, სექტანტებს, უცხოტომელებს, აგენტებს?!** თუმცა, პასუხი ყველამ ვიცით: ასეთია ამერიკის მუშაობის სპეციფიკა. თუ ვინმეს ჯერაც ეჭვი ეპარება, გადახედოს უკრაინული მაიდანის ლიდერებს.

**მათი უმრავლესობა არიან გრეკოკათოლიკები; პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ტურჩინოვი ბაპტისტია. არსენიი იაცენიუკი და ვლადიმერ კლიჩკო ებრაელები არიან. კლიჩკო ისრაელში შეტანილია გამოჩენილ ებრაელ სპორტსმენთა კრებულში, იაცენიუკის დედა არის თალმუდის (ებრაული მოძღვრება) განმმარტებელთა ერთ-ერთი ცნობილი გვარიდან, მისი მეუღლეც ებრაელია, ხასიდების სექტიდან. იულია ტიმოშენკო ხომ სომეხია (გრიგიანი), ესეც, დიდი ხანია, ვიცით და არავისთვის საიდუმლო არ არის. შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრიც სომეხია — არსენ ავაკოვი. სომხობას თავი დაანებოთ და უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ვიდეო, რომ უკრაინის შინაგან საქმეთა ახლადდანიშნული მინისტრი არსენ ავაკოვი და პოლიტიკოსი ალექსანდრე კირში გეები არიან.** მათ ახალგაზრდა მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობა დაამყარეს. ეს მამაკაცი არ უარყოფს მომხდარს და ადასტურებს, რომ ავაკოვი ინტერნეტით გაიცნო, რომ ავაკოვმა მას ფულის სანაცვლოდ ჰომოსექსუალური მომსახურება სთხოვა და რომ მსგავსი „მომსახურება" 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა. ამის შემდეგ ავაკოვმა მას გააცნო პოლიტიკოსი ალექსანდრე კირში, და სთხოვა, მისთვისაც გაეწია ჰომოსექსუალური მომსახურება. ფაქტობრივად, **უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსაღი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა. და 82 ადამიანს, რომლებიც ამისთვის დაიღუპნენ, გმირობა მიანიჭა** — არის თუ არა ეს ფარისევლობა, თავად განსაჯეთ.

**უკრაინაში შექმნილი ვითარება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს საქართველოსას, სადაც დასავლეთმა შეარჩია და ხელისუფლებაში მოიყვანა ის ადამიანები, რომლებსაც ეთნიკურად და რწმენით საქართველოსთან არაფერი აკავშირებთ, მათ ეს ქვეყანა არ სტკივათ**. ასე იყო ჩვენთანაც, ასე იყო ელცინის რუსეთში, სადაც ხელისუფლებაში რუსები თითქმის არ იყვნენ, და ასეა დღეს უკრაინაშიც. **ამ ტიპის რევოლუციებს დასავლეთი აკეთებინებს იმ ადამიანებს, რომლებსაც ქვეყანა არ ედარდებათ და ადვილად აქცევენ მას კოლონიად.**

მეიდნის კიდევ ერთმა ლიდერმა, ოლეგ ტიაგნიბოკმა, უკვე მოასწრო და მოითხოვა არა მხოლოდ რუსული ენის რეგიონული სტატუსის გაუქმება, რაც უკვე გააუქმა კიდეც „ახალმა" რადამ, არამედ რუსულ ენაზე საუბრის აკრძალვაც კი. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც მილიონობით ეთნიკური რუსი ცხოვრობს და კიდევ რამდენიმე მილიონი არაუკრაინული წარმოშობის ხალხისთვის რუსული დანარჩენ უკრაინასთან საკომუნიკაციო ენაა! **ხომ არ გაგონებთ ეს შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონებზე, ანუ მათზე, ვინც მეიდნის ანტისახელმწიფოებრივ სულისკვეთებას არ იზიარებს, პერმანენტულ რეიდებს სამეგრელოში, შეძახილებით: "ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა? "**

ექსტრემისტების პასუხად, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ადგილობრივი ხელისუფლებები უკვე ღიად საუბრობენ კიევის მიმართ დაუმორჩილებაზე და არა მარტო საუბრობენ — ხარკოვში შედგა რეგიონული ხელისუფლებების ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ ქვეყანაში კანონიერების აღდგენამდე თავად კისრულობენ საკუთარ რეგიონებში წესრიგის დაცვას. იქ ადგილობრივი მილიციის დასახმარებლად იქმნება ე. წ. სახალხო „დრუჟინები", რათა არ დაუშვან მაიდნის „ზარაზა". ქერჩში მოხდა სერიოზული ფიზიკური დაპირისპირება — ევრომაიდნელ დესანტს არ მისცეს მიტინგის ჩატარების საშუალება, სასტიკად სცემეს „დესანტნიკებს" და ა. შ. მოკლედ, უკრაინა დუღს და ტემპერატურა სულ უფრო მატულობს.

ამერიკა თავისი მოპედერასტო, მოშიზოფრენიკო „ძალლიშვილების" მეშვეობით, რომლებსაც უკრაინასთან ეთნიკური და სულიერი კავშირი არ აქვთ, ყველაფერს აკეთებს რუსეთის პროვოცირებისთვის. ცდილობს, მას ძალისმიერი მოქმედებისკენ უბიძგოს და როგორმე გააჩინოს ცეცხლის კერები პოსტსაბჭოთა სივრცეში, რათა გაიგოს, რაზეა წამსვლელი რუსეთი. **ასეთი მოსინჯვა იყო სააკაშვილის მიერ პეკინის ოლიმპიადის დროს მოწყობილი სისხლიანი კალო.** ეს მიმართულია იქით, რომ მოსკოვი ან ჩათრეულ იქნას ძალადობრივ კონფლიქტში, ან, თუკი არაფერი მოიმოქმედა, რუსეთში გაზარდოს უკმაყოფილება. **თუკი დასავლეთი მოახერხებს ამ სისხლისღვრაში მოსკოვის ჩათრევას, პუტინს აღარ ექნება იმისი დრო, რომ ჩაერიოს საერთაშორისო პოლიტიკაში, ხოლო თუ რუსეთი არ ჩაერევა, უკმაყოფილო მოსახლეობას გაუჩნდება პროტესტი ხელისუფლების მიმართ. საბოლოო მიზანი კი რუსეთის ხელისუფლების გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებაა.**

ერთი რამ აშკარაა: რუსეთი უპასუხოდ ვერ დატოვებს კიევის მოვლენებს და რას მოიმოქმედებს, ამაზე მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლება. **პუტინს რეალურად აქვს ორი გზა: პირველი — განაგრძოს ჩაურევლობის პოლიტიკა იქამდე, ვიდრე ევროპასთან ჩახუტებული უკრაინელები თვითონ არ მოიტეხენ კისერს, როგორც მოიტეხეს ევროკავშირის მეორე და მესამეხარისხოვანმა ქვეყნებმა (მაგალითად, საბერძნეთმა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს) და გაღატაკებულ-გაპედერასტებულები თავად არ მოსთხოვენ პასუხს რევოლუციის ლიდერებს.** Mმაგრამ ეს დროში გაწელილი პროცესია. მეორე — უკრაინის მსგავსი სცენარის გათამაშებას ამერიკელები მოსკოვის „ბალოტნიზედაც" შეეცდებიან. ასევე მოსალოდნელია, რომ კიევის მაიდანი აღმოსავლეთ უკრაინაზეც სწრაფად დააპირებს კონტროლის დამყარებას და, თუ შეძლეს, ამას ლოგიკურად მოჰყვება ამერიკელების ზეწოლა სევასტოპოლიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანაზე. **ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, პუტინს რუსეთის შიგა ძალები პირდაპირ და მკაცრად შეჰბედავენ — რად გვინდა ამდენი ტანკები და რაკეტები, თუ იანკებისგან ვერც მოძმე უკრაინელები დავიცავით და ვერც საკუთარი ფლოტი?!**

**თუმცა, რუსეთი საკუთარ თავს როგორმე უჩვენოდაც მიხედავს. დასანანია, რომ უკრაინელებმა ვერ ისწავლეს საქართველოს შეცდომებზე და მომამათმავლო ექსტრემისტთა „დრუჟინას" საკუთარი სამშობლოს ქაოსში ჩაძირვის საშუალება მისცეს, რაც, დიდი ალბათობით, უკრაინისთვის გაცილებით მძიმე პირობებით დასრულდება, ვიდრე ეს ასეთივე „დრუჟინის" ხელით მოხდა საქართველოში...**

მაგრამ, რადგან უკრაინელები ჩვენგან არ სწავლობენ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც არ ვისწავლოთ მათ შეცდომებზე და სათანადო დასკვნები არ გამოვიტანოთ მაიდნის კატასტროფისგან.

**დავით მხეიძე**



**ხალხი, რომელიც რევანშზე ოცნებობს, მთელი არსებით ორიენტირებულია დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციაზე და სკამების დასაბრუნებლად ხელს ნებისმიერ არაკაცობას მოაწერს, ძალზე საშიშია ქართული დემოკრატიისთვის...**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის ესიზმრება თბილისური «მაიდანი»?

**კიევში განვითარებული მოვლენების კვალობაზე, ზოგიერთ პოლიტიკოსს და საზოგადოების წარმომადგენელს მკვეთრად გამოხატული მოლანდებები დაეწყო. ალბათ, თითოეული ჩვენგანი მოვალეა, ყურადღება მიაქციოს მათ მდგომარეობას, მითუმეტეს, რომ გაეროს კონვენცია სულიერად დაავადებულთა უფლებების დაცვის შესახებ ცალსახად მოგვიწოდებს, შესაბამისი პრობლემების მქონე ადამიანები განსაცდელში არ მივატოვოთ.**

გასულ კვირას **„ნაციონალური მოძრაობის" ზოგიერთი ლიდერის გულში დიდი იმედი დაიბადა** (ამას არაერთი პუბლიკაცია ადასტურებს), **რადგან უკრაინაში მკვეთრად გაძლიერდა იმ პოლიტიკოსების პოზიციები, რომელთაც თავიანთ მოკავშირეებად აღიქვამენ.** რამდენად რეალურია ეს მოკავშირეობა, ცალკე საუბრის თემაა, მთავარია, მის სიმტკიცეში დარწმუნებულნი არიან და მათ გადარწმუნებას, სავარაუდოდ, ცხონებული ავლიპიც კი ვერ მოახერხებდა. არაერთი ჩანაწერი სოციალურ ქსელებში მიანიშნებს იმაზე, რომ მათ თვალწინ დგას თბილისური „მაიდანი", ციხიდან ტიმოშენკოს მსგავსად გამოსული მერაბიშვილი, რევოლუციური მასები ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან და ფანტაზიის ამ აღმაფრენამ ნამდვილად შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ **საქართველოში გალოპერიდოლის მარაგი ამოიწურა.**

ძალიან ძნელია, მოახდინო იმ ლოგიკური ჯაჭვის რეკონსტრუირება, რომელიც პაციენტს უბიძგებს, ნაპოლეონის ან ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ ხელში სამართებელი აიღოს. ყველასთვის ცხადია, რომ ის ვერ შექმნის დიად იმპერიას, მაგრამ რამდენიმე ადამიანი შეიძლება სერიოზულად დააზიანოს, ვიდრე წააქცევენ და სამართებელს წაართმევენ. აქედან გამომდინარე, **საჭიროა წინდახედულობა და გარკვეული პრევენციული ზომების მიღება, რათა ექსტაზში შესულებმა არც გარშემომყოფთ, არც საკუთარ თავს არაფერი დაუშავონ. ამისთვის, როგორც მინიმუმი, აუცილებელია მათი ლოგიკის გაშიფრვა, ეს წარმოუდგენლად რთული ამოცანაა, მაგრამ ქვეყანაში, რომელსაც ესოდენ დიდი ფსიქიატრიული ტრადიციები აქვს, ამ გამოწვევამ, წესით, არ უნდა შეგვაშინოს.**

2012 წლის არჩევნების შემდეგ განვლილმა პერიოდმა ნათლად აჩვენა (ამას ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს), რომ **„ნაცმოძრაობა" იზოლირებულია ერთგვარ „ელექტორალურ რეზერვაციაში", რომლის საზღვრების გაფართოება არ ძალუძს. ახალი ხელისუფლების აშკარა შეცდომებისა და ზეინტენსიური პროპაგანდის მიუხედავად, ის ვერ ახერხებს იმ რაოდენობის მხარდამჭერთა მობილიზებას, რომლებიც არჩევნების მოგებაზე თუნდაც მორიდებული ოცნების შესაძლებლობას მისცემს.** ამან შეიძლება დააფიქროს ყოფილი მმართველი პარტიის ზოგიერთი ლიდერი პროვოკაციებზე, რომლებიც ხელისუფლების რეიტინგს მკვეთრად დასცემს და რომელსაც შეიძლება მოჰყვეს „უკრაინული ტიპის" გადატრიალების მცდელობა.

ბევრს გაუჭირდება სააკაშვილის მომხრეთა წარმოდგენა „მოლოტოვის კოქტეილებით" ხელში და ამ ვარაუდისთვის შეიძლება დაგვცინოს კიდეც, რადგან, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მამაცი „ნაციონალი" ისეთივე იშვიათობაა, როგორც ტანზანიელი მოციგურავე. მაგრამ აუცილებელი არაა, ქუჩის მებრძოლების როლი პარტიულმა აქტივისტებმა შეასრულონ. ჯერ ერთი, **საქართველო ძალზე ღარიბი ქვეყანაა და აქ საკმარისზე მეტი ახალგაზრდაა, რომლებიც, რამდენიმე ასეული ლარის სანაცვლოდ, აბსოლუტურად ყველაფერს გააკეთებენ. ამასთანავე, არ უნდა გამოვრიცხოთ „მოწვეული სტუმრების" გამოყენებაც, თუნდაც იმავე უკრაინიდან ან ჩრდილოეთ კავკასიიდან. არ უნდა დაგვავიწყდეს სტიქიური ნაციონალიზმის ან მილიტარისტული აღტკინების ნიადაგზე შექმნილი ჯგუფებიც, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ვერ აცნობიერებენ, ვის ინტერესებს ემსახურებიან სინამდვილეში სხვადასხვა ინციდენტის დროს. მათი მომზადება ქუჩის შეტაკებებისთვის შეიძლება უკრაინულ ბანაკებში მოხდეს.** უკრაინაშივე შეიძლება „შავი პარტიული ფულის" დატრიალება და ლეგალიზება მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით. მართალია, დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედზე გაცილებით წინდახედული ჩანს და ნაკლებად სავარაუდოა, მან დამოუკიდებელ ტელეკომპანიებში შევარდნა, მშიდობიანი დემონსტრანტების ხოცვა და პატიმრების გაუპატიურება დაიწყოს, მაგრამ **უამრავი მაგალითი ადასტურებს იმას, რომ ძალზე გამოცდილ და ძლიერ სპეცსამსახურებსაც კი უჭირთ ისეთი სცენარების ნეიტრალიზება, რომელთაც პირობითად შეიძლება „უცნობი სნაიპერები" ეწოდოს.**



**«ქართული ოცნებისთვის» დღეს გაცილებით აქტუალურია, ხელი შეუშალოს შესაძლო ალიანსს «ნაცმოძრაობის» ნარჩენებსა და თავის კოალიციურ პარტნიორებს — ალასანია-რესპუბლიკელებს შორის**

ცხადია, არც ფული, არც კომპრომატი, რომელიც (ხელისუფლების ცუდ საკადრო პოლიტიკასთან ერთად) აღმასრულებელ სტრუქტურებში „მეხუთე კოლონის" შენარჩუნებას უზრუნველყოფს, არც კავშირები უკრაინასთან არაა საკმარისი იმისთვის, რომ ყოველივე ჩამოთვლილზე მეოცნებე ლიდერებმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა შეძლონ. ამისთვის, დღევანდელ სიტუაციაში საჭიროა მძლავრი უცხო სახელმწიფოს დახმარება, ხოლო არც ერთ მათგანს ივანიშვილის მთავრობასთან პრინციპული უთანხმოება არ აქვს. მაგრამ ეს ვითარება შეიძლება შეიცვალოს, თანაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. სხვათა შორის, **გასულ კვირას ყირგიზეთიდან ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოვიდა. უკრაინის ამბებმა, როგორც ჩანს, აღაფრთოვანა იქაური პოლიტიკოსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2005 და 2010 წლების გადატრიალებებში, ხოლო შემდგომ ხელისუფლებიდან წასვლა მოუწიათ; მათ ახალი ოპოზიციური მოძრაობა ჩამოაყალიბეს.** იმ მომენტში, როდესაც არაფერი იყო ცნობილი ამ ახალი გაერთიანების სახელწოდებასა და იდეოლოგიურ პლატფორმაზე, მათ დაიწყეს საუბარი ქუჩის საპროტესტო აქციებზე, ხოლო კულუარებში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებს ორგანიზაციის „საბრძოლო ფრთას". შესაძლოა, საქმე ეხება „ამბოხის ინფრასტრუქტურის" წინმსწრებ შექმნას, იმ იმედით, რომ მაშინ, როდესაც უცხოელი მოთამაშეები ყირგიზეთში ხელისუფლების შეცვლით დაინტერესდებიან (2015 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდება ეს თუ უფრო ადრე), ამ პოლიტიკოსებს ყველაფერი უკვე გამზადებული ექნებათ. მარტივად რომ ვთქვათ, **იმ გარემოებიდან, რომ ამბოხი დღეს ძნელი წარმოსადგენია და უცხოელები ამით დაინტერესებულნი არ არიან, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ სამზადისს არავინ დაიწყებს.**

ხელისუფლებას, იდეაში, შეუძლია ფარული დახმარება აღმოუჩინოს „ზომიერ ნაციონალებს", რათა მათი ხელით სისხლიან რევანშზე მეოცნებე რადიკალები მოგუდოს. თუმცა არის მეორე, „შედარებით მაკიაველისტური ვარიანტი": ფარულად დაეხმაროს რადიკალებს „ზომიერების" მოშორებაში, შემდეგ კი ამ უკანასკნელებს მოუმზადებელი პუტჩისკენ უბიძგოს (და, შესაბამისად, მიწასთან გაასწოროს). **ხელისუფლებას შეუძლია საერთოდ არაფერი გააკეთოს, რაც ამ სიტუაციაში ყველაზე დემოკრატიული ვარიანტია და დაელოდოს, თუ რით დასრულდება ბუნებრივი გადარჩევის პროცესი „ნაცმოძრაობის" შიგნით. „ქართული ოცნებისთვის" გაცილებით აქტუალური დღეს სხვა რამ ჩანს — ხელი შეუშალოს შესაძლო ალიანსს „ნაცმოძრაობის" ნარჩენებსა და თავის კოალიციურ პარტნიორებს** (ალასანია-რესპუბლიკელებს) **შორის,** რომლებიც დღესდღეობით ასევე ძნელი წარსადგენია, თუმცა მასზე რატომღაც სულ უფრო მეტს საუბრობენ.

ცხადია, საზოგადოების რეაქცია სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის თუნდაც მოკრძალებულ მცდელობაზე უაღრესად მწვავე იქნება. **სიძულვილი „ნაციონალური მოძრაობის" მიმართ ძალიან დიდია და არაერთი ადამიანი** (მაგალითად, ისინი, ვისაც წინა ხელისუფლებამ ნათესავები მოუკლა), **პუტჩის თუ სახალხო რევოლუციის იმიტაციის შემთხვევაში, უბრალოდ, გავა ქუჩაში, პოლიციას გვერდზე გაწევს და ცეცხლს ყველა კალიბრიდან გახსნის.** ამ და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო, **ფიქრი „უკრაინულ სცენარზე" ყოფილი მმართველების მხრიდან სრული უგუნურებაა.** მაგრამ ის, რაც ცხადია ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისთვის, შეიძლება გაუგებარი იყოს რევანშის და შურისძიების სურვილით შეპყრობილისთვის, რადგან ამ შემთხვევაში წინა პლანზე არა პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური (თუ არა ფსიქიატრიული) ფაქტორები გამოდის. ამ მხრივ **უკრაინულმა მოვლენებმა „ნაცმოძრაობის" ზოგიერთი ლიდერისთვის შეიძლება სერიოზული მაპროვოცირებელი როლი შეასრულოს.**

**ხალხი, რომელიც რევანშზე ოცნებობს, მთელი არსებით ორიენტირებულია დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციაზე და სკამების დასაბრუნებლად ხელს ნებისმიერ არაკაცობას მოაწერს, ძალზე საშიშია ქართული დემოკრატიისთვის, მაგრამ ამით არ შეიძლება მათი უფლებების ნებისმიერი შეზღუდვის გამართლება. აქედან გამომდინარე, მუდმივი სამოქალაქო კონტროლი ფიგურანტებზე, ალბათ, ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც სავარაუდო საფრთხეების თუნდაც ნაწილობრივი ნეიტრალიზება შეუძლია.**

ყოველივე თქმული არ ნიშნავს იმას, რომ უშიშროებამ ყველა საქმე გვერდზე უნდა გადადოს და დაკავდეს „ნაციონალი" ლიდერების ურთიერთობის მონიტორინგით მათ უკრაინელ კოლეგებთან ან კიდევ, სხვადასხვა არაფორმალური ჯგუფის წევრში პოტენციური ბოევიკი დაინახოს. ეს სააკაშვილის გზა და მისი ხელისუფლების პარანოიდული პრაქტიკაა; **პოლიტიკური პოლიციის გამოყენება, თუნდაც ყველაზე მარგინალური ჯგუფის წინააღმდეგ, კარგს არაფერს მოგვიტანს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვარაუდი მათ დესტრუქციულ გეგმებთან დაკავშირებით სავსებით ლოგიკურია. თუ აშკარა კანონდარღვევას ადგილი არ აქვს, სახელმწიფო მანქანის ჩარევა მინიმალური უნდა იყოს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საუბარი ეხება საერთაშორისო ტერორისტებთან ყოფილი მაღალჩინოსნების შესაძლო თანამშრომლობას, რომელზეც ლაფანყურის ინციდენტის შემდეგ არაერთმა ექსპერტმა მიუთითა.** მაგრამ კერძო პირებსა და მათ მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს ნამდვილად შეუძლიათ განხილული პრობლემატიკით დაინტერესდნენ და გამოიკვლიონ „ნაციონალი" ლიდერების საეჭვო კავშირები და შესაძლო სამზადისი „უკრაინული ვარიანტისთვის"; ეს, ალბათ, გაცილებით კონსტრუქციული იქნება, ვიდრე მათი პერმანენტული ცემა რესტორნებში.

ამ წერილის მიზანი „კუდიანებზე ნადირობის" პროვოცირება ნამდვილად არ არის. სააკაშვილის მომხრეების უფლება, ილოცონ თავიანთი ბელადის პორტრეტზე, გამოაცხადონ მეგის ქარდავა ეროვნულ გმირად და მოაწყონ რიტუალური ცეკვები ცოცხებით (და ა.შ.), გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ისევე, როგორც უფლება — მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, (მეტიც, გაიმარჯვონ არჩევნებში, თუ შეძლებენ). **„ნაცმოძრაობის" ლიდერების დიდ ნაწილს სავსებით აკმაყოფილებს კოაბიტირებული საპარლამენტო ოპოზიციის როლი, მშვენივრად თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და არანაირ ძალისმიერ ვარიანტზე არ ფიქრობს. თუმცა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ლიდერების ნაწილი სკამების დაბრუნებისთვის ხელს აბსოლუტურად ყველაფერს მოაწერს, იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ, ალბათ, აჯობებს, ვიხელმძღვანელოთ პრინციპით „სიფრთხილეს თავი არ სტკივა".** ვიწრო დარგის სპეციალისტების ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, საქმე პაციენტის მიერ სამართებლის აღებამდე არ უნდა მივიყვანოთ. კაცმა რომ თქვას, გალოპერიდოლის დამრტყმელი დოზები გაცილებით სწრაფ თერაპიულ ეფექტს მოიტანდა, თუმცა პრეპარატის მიღებაზე, როგორც ჩანს, უარს ამბობენ და მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება მოგვიწევს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ კრემლი იგრძნობს, რომ დასავლელმა პარტნიორებმა უკრაინული ოპერაციით სერიოზული საფრთხე შეუქმნეს, ის, დიდი ალბათობით, ახლო მომავალში საერთაშორისო არენაზე ძალიან ხისტად იმოქმედებს და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული წინდახედულობის გამოვლენა მოუწევს.**

# უკრაინული რებუსი



**გასულ კვირას უკრაინაში ორხელისუფლებიანობის სიომ დაუბერა, რადიკალურ და ზომიერ „მაიდანელებს“ შორის აშკარა წინააღმდეგობები გამოიკვეთა. უკრაინელი ოლიგარქების და ზოგიერთი რეგიონული ჯგუფის ამბიციების გათვალისწინებით, საუბარი, ალბათ, სამ, ოთხ და „ხუთხელისუფლებიანობაზეც“ შეიძლება. თუ ყოველივე ამას მივუმატებთ პროცესებში უცხო სახელმწიფოების ჩარევას, რომელნიც ერთმანეთს ხელს უშლიან, ალბათ, „მრავალხელისუფლებიანობის“ მსგავსი ტერმინის გამოგონება მოგვიწევს, თუმცა, ვინაიდან მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ უკრაინაში ჯერჯერობით ბანალური ქაოსია და ის შეიძლება საკმაო ხანს გაგრძელდეს, თუნდაც უკრაინული პოლიტიკური რებუსის რომელიმე ელემენტი ჩამოთვლილთაგან თამაშს გამოეთიშოს ან მისი ადგილი სხვა, უცაბედად გამოჩეკილმა ძალამ დაიკავოს.**

## ცეკვა ბეწვის ხიდზე

ქართველი კომენტატორების ნაწილს არ ასვენებს დაუოკებელი სურვილი — ნებისმიერი, მათ შორის უკრაინული, დაპირისპირება პრიმიტიულ, ბიპოლარულ, შავ-თეთრ სქემამდე დაიყვანოს და კრიზისში მხოლოდ რუსეთ-დასავლეთის ესქატოლოგიური დაპირისპირება დაინახოს. ისინი არ ითვალისწინებენ იმას, რომ **„დასავლეთის“ შემადგენელ ნაწილებს, მაგალითად, აშშ-სა და გერმანიას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგჯერ დიამეტრალურად საპირისპირო პოზიცია აქვთ.** ამასთანავე, იმ უკრაინელი პოლიტიკოსების ბიოგრაფიები, რომლებიც ამ კომენტატორებს „პროდასავლური“ ან „პრორუსული“ ვექტორის განსახიერებად გამოჰყავთ, ზოგიერთ ეპიზოდში საკმაოდ დამაფიქრებელია. მაგალითად, **ფორმალურად პროდასავლურმა ტიმოშენკომ ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელმაც უკრაინა „გაზპრომის“ წინაშე დააჩოქა. ხოლო ფორმალურად პრორუსულმა იანუკოვიჩმა ჩაშალა რუსეთთან მთელი რიგი შეთანხმებების რეალიზაცია** (ე. წ. საინტეგრაციო პაკეტი), **რის გამოც რუსი ექსპერტების დიდი ნაწილი ბოლო ორი წლის განმავლობაში მოღალატეს უწოდებდა. სინამდვილეში კი უკრაინელი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი „ორმაგი დაქვემდებარებისაა“** (თუ არა სამმაგი).

რა თქმა უნდა, **დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს შორის უკრაინულ არენაზე რეალურად არსებობს, თუმცა მან ხანდახან შეიძლება ძალზე უცნაური ფორმა მიიღოს.** მაგალითად, **მხარეებმა შეიძლება მიაღწიონ კონსენსუსს ხელისუფლების სათავეში იულია ტიმოშენკოს მოსვლის თაობაზე, მაგრამ ამას სრულიად განსხვავებული მოლოდინი დაუკავშირონ: ამერიკელებმა — უკრაინის კონსოლიდაცია ანტიმოსკოვური ლოზუნგების ქვეშ, ხოლო რუსებმა — ტიმოშენკოს დაპირისპირება დასავლეთ უკრაინის რადიკალურ ჯგუფებთან, რომელსაც მოსკოვის უშუალო კონტროლქვეშ მყოფი** (ამ კონტექსტში „მესამე“) **ძალების ბუნებრივი გაძლიერება მოჰყვება.** თეთრ სახლს და კრემლს კრიზისის ამ ეტაპზე ნაკლებად აინტერესებთ, რა ერქმევა ადამიანს, რომელიც უკრაინის ლიდერის სავარძელში ჩაჯდება და რა ლოზუნგებს გამოიყენებს. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია: ა) ვისგან აიღებს ის კრედიტებს; ბ) ვის დაუთმობს ბაზებს უკრაინის ტერიტორიაზე; გ) რა პოლიტიკას გაატარებს მეზობლების მიმართ; დ) კონტროლი უკრაინის ეკონომიკაზე; ე) კონტროლი ტრანზიტზე; ვ) კონტროლი უკრაინულ ელიტაზე და საზოგადოებრივ აზრზე. ყველაფერი დანარჩენი ბელეტრისტიკაა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის სურვილები და მისწრაფებები ამ კონტექსტში მეორეხარისხოვანია, თუ არა მეათეხარისხოვანი. **ზოგიერთი ჩამოთვლილი პოზიციის მიხედვით, ლიდერობს აშშ, ზოგიერთის მიხედვით კი — რუსეთი; ნაკლებად სავარაუდოა, რომელიმე მათგანი ვაბანკზე წავიდეს და მოწინააღმდეგისთვის მთელი მისი აქტივების წართმევა სცადოს, რადგან ეს შეიძლება ძალიან სახიფათო კონფრონტაციით დასრულდეს.** მათი დღევანდელი ჩართულობა უკრაინის კრიზისში ერთობ ჰგავს სიტუაციას კაზინოში, როდესაც მოთამაშეებს ჯერ კიდევ უჭირავთ კარტები, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა მაგიდა უკვეააყირავა. ამ პოზიციიდან შესაძლებელია როგორც ბანქოს თამაშის გაგრძელება, თითქოს ინციდენტი შემთხვევით მოხდა, ისე ხელჩართულ ბრძოლაზე გადასვლა.

**უკრაინა ძალიან დიდი, მნიშვნელოვანი რესურსების მქონე ქვეყანაა და მის ელიტას ნამდვილად ჰქონდა შესაძლებლობა, გლობალური მოთამაშეებისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი გამხდარიყო, თანდათან გაეფართოვებინა სუვერენული გადაწყვეტილებების სივრცე**

**დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს შორის უკრაინულ არენაზე რეალურად არსებობს, თუმცა მან ხანდახან შეიძლება ძალზე უცნაური ფორმა მიიღოს**

**და აეძულებინა მოსკოვი და ვაშინგტონი, უკრაინის გულის მოსაგებად ძალიან ძვირი გადაეხადათ.** მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ: **ელიტამ სახელმწიფო კრახის პირას მიიყვანა და საკუთარი თავი ლამის მარიონეტთა თეატრად გადააქცია.** საერთოდ, უკრაინული ელიტა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც თავისებური კონფედერაცია, რომელიც უამრავი პატარა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებების მქონე ერთეულისგან შედგება (პოლიტიკური ჯგუფები, ცალკეული ოლიგარქების გარემოცვა, სხვადასხვა ტიპის მაფიები და ა. შ.) და მისი მართვა ისეთივე რთულია, როგორც ტარას ბულბას დროინდელი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებების.

მიუხედავად იმისა, რომ კრავჩუკსა და კუჩმას უამრავი მინუსი ჰქონდათ და მათი მმართველობის წლებში ქვეყანაში ტოტალური კორუფცია დამკვიდრდა, ისინი ახერხებდნენ ამ მასის შიგნით გარკვეული კონსენსუსის შენარჩუნებას და ამით მოიგეს დრო, როდესაც შეიძლებოდა ამორფული სახელმწიფოს კონსოლიდაციისთვის აუცილებელი იდეების გამომუშავება და ელიტის შიგნით თამაშის ახალ, გაცილებით ცივილურ წესებზე შეთანხმება. მაგრამ ეს არ მომხდარა, ხოლო **იუშჩენკომ, ტიმოშენკომ და იანუკოვიჩმა, რომელნიც ფორმალურად კონსენსუსის შენარჩუნების პოლიტიკას აგრძელებდნენ, სცადეს, რადიკალურად შეეცვალათ ძალთა ბალანსი ერთი** (საკუთარი) **ძალის სასარგებლოდ. ეს დაახლოებით იგივე იყო, ბეწვის ხიდზე მიმავალ კაცს „კაზაჩოკის“ ცეკვა რომ დაეწყო, და სიტუაცია ელიტის შიგნით ბუნებრივად აირია, შესაბამისად, გარე მოკავშირეების** (ალბათ, უფრო პატრონების) **როლი ცალკეული გავლენიანი ჯგუფებისთვის გაიზარდა.**



როგორც უნდა დასრულდეს ამჟამინდელი კრიზისი, **უკრაინა, დიდი ალბათობით, გადადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს დესუვერენიზაციისკენ, იმისკენ, რომ გარე ძალების დაპირისპირების კიდევ ერთი, შესაძლოა, სისხლით მორწყული არენა გახდეს.** არადა, მას ნამდილად ჰქონდა დიდი და, შესაძლოა, ჯერ კიდევ შემორჩა, მცირეოდენი შანსი რეალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო, რომელსაც უცხო ქვეყნები პატივისცემით მოეპყრობოდნენ და ანგარიშს გაუწევდნენ.

## ისინი ყოველთვის მოიპარავენ

სროლის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე ერთმა კიეველმა ბლოგერმა აიღო კამერა და „მაიდანის“ სიახლოვეს გაისერნა. ის ეკითხებოდა ხალხს, თუ როგორ დასრულდებოდა დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და როგორი მომავალი ელოდებოდა უკრაინას. საინტერესოა, რომ მის მიერ გამოკითხულ ორ კაცს (ერთი „ევრომაიდანელი“ იყო, ხოლო მეორე — „ანტიმაიდანელი“), როგორც ჩანს, „გულწრფელობის შეტევა“ დაემართა და ბლოგერს აბსოლუტურად იდენტური პასუხი გასცა: **„როგორც იპარავდნენ, ისევ ისე მოიპარავენ“** (თან ორივე გულისხმობდა, რომ გამარჯვება მის ფავორიტ ძალას დარჩება). ეს, ალბათ, ძალზე საგულისხმო შემთხვევაა და ამ პოზიციაზე არაერთი მოქალაქე დგას როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში.

**ხალხი დაიღალა ელიტის გაუმაძღრობით და უსინდისობით, მას რცხვენია, რომ ქვეყანას ისეთი ადამიანები მართავენ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობის მიზანი ფულის შოვნა და ძალაუფლებით ტკბობაა და, უხეშად რომ ვთქვათ, ოქროს უნიტაზის იქით ვერაფერს ხედავენ.**

სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაული შესაძლებელი, მათ შორის, იმიტომ გახდა, რომ მეორე მსოფლიო ომის და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანას არ გააჩნდა არანაირი რესურსი (პრაქტიკულად მთელი წიაღისეული ჩრდილოეთშია), **ხოლო 1950-53 წლების ომმა ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი მიწასთან გაასწორა. რაოდენ უცნაურადაც უნდა გაიჟღეროს, ქვეყანაში მოსაპარი აღარაფერი დარჩა, ხალხი დღედაღამ შრომობდა, ხოლო ელიტა იძულებული გახდა, პატიოსნება გამოევლინა.** გენერალი პაკ ჩონ ხი ქვეყნის ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ როგორც სასტიკი დიქტატორი და ეკონომიკური სასწაულის მამა, არამედ როგორც უპატიოსნესი ჩინოვნიკი, რომელსაც ერთი ცენტიც კი არ მოუპარავს, უქმე დღეებში პაპისეულ ნაკვეთს ამუშავებდა და იქ მოყვანილ მოსავალს პრეზიდენტის რეზიდენციაში მიირთევდა; ამას მისი მოსისხლე მტრებიც კი არ უარყოფენ.

**უკრაინასა და საქართველოში სულ სხვა რამ მოხდა. ჩვენ ნულიდან არ დაგვიწყია; ადგილობრივი ელიტა ეცა უპატრონო საბჭოთა მემკვიდრეობას, როგორც ბარბაროსების ურდო — ანტიკურ რომს და ამით დაიწყო, შემდეგ კი გაგრძელდა ქვეყნის, მისი თითოეული მოქალაქის უდიდესი ძარცვა-გლეჯა უახლეს ისტორიაში. კრიტიკულ მომენტში არ მოიძებნა არავინ, ვინც, იმ სამხრეთკორეელი გენერლის მსგავსად, ელიტას გაჩერებას აიძულებდა.** ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორი სიხარულით შეხვდა საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილი სააკაშვილის დემაგოგიას ჩინოვნიკების თავგასულობის და პრივილეგიების შეზღუდვის შესახებ და რამდენად იმედგაცრუებული დარჩა მას შემდეგ, რაც სააკაშვილის მთავრობამ „გალორების ტემპებით“ წინამორბედს გადააჭარბა. იგივე მოხდა უკრაინაში, სადაც ამომრჩეველი ამა- ▶

**დღეს საქართველოს აქვს შესაძლებლობა, თერაპიული მეთოდებით განიკურნოს სენისგან, რომლის დამარცხებას მომავალში შეიძლება ქირურგიული ჩარევა დასჭირდეს. მკაცრი სამოქალაქო კონტროლი ელიტაზე და მისი «იძულება პატიოსნებისადმი» ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია**

„არ ვიცი, იქნებ ვილაცისთვის კარგია, რომ იქ, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა, საბაგირო გზის გაჩერება გაკეთდება, მაგრამ ამას აუცილებლად დასჭირდება პროფესიონალების დასკვნა, რადგან საბაგირომ უნდა გადაკვეთოს რუსთაველის გამზირი; ამასთან, ხალხის მოთხოვნაა, რომ ჩვენი დიდი მეფის ძეგლი თავის ადგილას დააბრუნონ, რაც, ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება.“

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ვე იმედებს კუჩმას შემცვლელ იუშჩენკოს უკავშირებდა. დაახლოებით ასეთივე იმედგაცრუება იბადება დღეს საქართველოში, როდესაც ხალხი ახალი მთავრობის ჩინოვნიკების ხარჯებს და მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერებს უყურებს. გამორიცხული ნამდვილად არაა, მალე მსგავსი რამ უკრაინაშიც განმეორდეს, მას შემდეგ, რაც ახალი მთავრობის წარმომადგენელთა მადა გაიზრდება.

**ნებისმიერი ხელისუფლება, რომლის წარმომადგენელთა უმრავლესობის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი ოქროს უნიტაზია, ადრე თუ გვიან ძალიან სამარცხვინოდ დაამთავრებს, რამდენად კარგ ლოზუნგებსაც არ უნდა ამოეფაროს და როგორიც არ უნდა იყოს მისი ხელისუფლებაში მოსვლის ისტორია; ამის ნათელი მაგალითი ახლახან უკრაინაში ვიხილეთ.** სხვა საქმეა, რომ ხალხის სამართლიან პროტესტს თავისი მიზნებისთვის 99% შემთხვევაში არანაკლებ უსინდისო ძალები იყენებენ. **დღეს საქართველოს აქვს შესაძლებლობა, თერაპიული მეთოდებით განიკურნოს სენისგან, რომლის დამარცხებას მომავალში შეიძლება ქირურგიული ჩარევა დასჭირდეს. მკაცრი სამოქალაქო კონტროლი ელიტაზე და მისი „იძულება პატიოსნებისადმი“ ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია.** ამასთანავე, კარგი იქნება, თუ ნიჭიერი და პატიოსანი ახალგაზრდები არ დაელოდებიან მინიშნებას „ზემოდან“ და დაფინანსებას (ამავე წყაროდან), რათა პოლიტიკაში, სამოქალაქო სექტორში ან პროფკავშირულ მოძრაობაში მოვიდნენ. ეს ელიტის სამომავლო გაჯანსაღებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ალბათ, აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსი ინიციატივების გამოვლენის თვალსაზრისით, ქართველები ძალზე ინერტულები ვართ და ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის გვეშინია.

### მაქსიმალური სიფრთხილე

**თუ კრემლი იგრძნობს, რომ დასავლელმა პარტნიორებმა უკრაინული ოპერაციით სერიოზული საფრთხე შეუქმნეს** (სავარაუდოდ, სწორედ ასე მოხდება), **ის, დიდი ალბათობით, ახლო მომავალში საერთაშორისო არენაზე ძალიან ხისტად იმოქმედებს და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული წინდახედულობის გამოვლენა მოუწევს.** თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში გაღრმავდება კონფრონტაცია გლობალურ მოთამაშეებს შორის, ყველა კოზაკს მოუწევს დაფიქრება იმაზე, თუ როგორ არ უნდა გაიჭყლიტოს აქლემების ჩხუბში.

**ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, სერიოზული შეცდომების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა როგორც დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთან წინამორბედზე გაცილებით დალაგებული ურთიერთობების დაამყარება, რომელთაც დადებითი დინამიკა ახასიათებს. ახლა მთავარია, რომ ის არ ჩავარდეს ილუზიების ტყვეობაში და სააკაშვილის მსგავსად არ დაიწყოს ახალგაღვიძებული თუ დაჭრილი დათვისთვის ქვების სროლა, რადგან ეს შეიძლება კიდევ უფრო მძიმე შედეგით დასრულდეს, ვიდრე 2008-ში.**

ამ კონტექსტში, ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ 2004-05 წლები, როდესაც „ფერადი რევოლუციების“ წარმატებული მარში გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც სააკაშვილს რუსეთთან ურთიერთობაში რიტორიკა (და პოლიტიკა) შეაცვლევინა; თავიდან ის გაცილებით ზომიერი იყო. მაშინ ამერიკელები უტევდნენ, შემდეგ რუსები კონტშეტევაზე გადავიდნენ როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე ცენტრალურ აზიასა და უკრაინაში და ყველაზე მძიმე შედეგით ეს საქართველოსთვის დასრულდა. **ახლა, როგორც ჩანს, დაიწყო ამერიკელების ახალი შეტევა** (ეს ერთობ ჰგავს ერთსა და იმავე მონაკვეთის დაუსრულებელ გადასვლას ხელიდან ხელში პირველი მსოფლიო ომის დროს), **შემდეგ, დიდი ალბათობით, ისევ რუსული კონტრშეტევა დაიწყება** და ასე შემდეგ.

**ასეთ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ადეკვატურობა შეინარჩუნოს და ილუზიებში არ გადავარდეს, მითუმეტეს რომ ეს, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ შეტოპვა მწვავე კონფორნტაციაში კრემლთან, სავარაუდოდ, „ნაციონალების“ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ოცნებას წარმოადგენს.**

პოსტსკრიპტუმის ნაცვლად: 1917-20 წლებში ხელისუფლება კიევში 14-ჯერ შეიცვალა. ეს XX საუკუნის რეკორდია და იმის გარანტია, რომ XXI საუკუნეში მისი „გაუმჯობესება“ არ მოხდება, ალბათ, მაინც არ არსებობს.

**დიმიტრი მონიავა**

**უკრაინა, დიდი ალბათობით, გადადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს დესუვერენიზაციისკენ, იმისკენ, რომ გარე ძალების დაპირისპირების კიდევ ერთი, შესაძლოა, სისხლით მორწყული არენა გახდეს**

# კვერცხი დედაქალაქის ცენტრში





## გოგა ბათიაშვილი: ზუსტად არ ვიცი, რა უნდა აშენდეს რუსთაველის გამზირზე, მაგრამ კვერცხის ადგილი იქ არ არის

**ქვეყანაში არაფერი რომ არ შეცვლილა, განსაკუთრებით უკეთესობისკენ, ახალი ამბავი არ არის. არ შეცვლილა არც ერთ დარგში, არც ერთ სექტორში, მათ შორის, არც დედაქალაქის არქიტექტურისა და მისი იერ-სახის მხრივ. სააკაშვილის ახირებების განხორციელება ისევ გრძელდება. ქვეყნის სათავეში მოსვლამდე ეს ხელისუფლება გამუდმებით აკრიტიკებდა ქალაქების ქუჩებში დადგმულ ველოსიპედის ძეგლს, შეღებილ სახლებს, ხიდებს, შადრევნებს, უკანონო მშენებლობებს, მაგრამ დღეს სააკაშვილის ვერმოსწრებული იდეის განხორციელებას ცდილობენ — დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას კვერცხი უნდათ, დადგან.**
**ზოგისთვის ეს სასაცილო და საქილიკო ამბავია, მაგრამ არიან ჩვენს ქვეყანაში ადამიანები, რომლებიც ასეთ ფაქტებს სიცილითა და ხუმრობით ვერ უყურებენ. „საქართველო და მსოფლიო“ დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას კვერცხის დადგმის ინიციატივასთან დაკავშირებით ცნობილ არქიტექტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გიგა ბათიაშვილს ესაუბრა.**

**«ვიდრე საქმის მცოდნენი არ გამოთქვამენ ამა თუ იმ პროექტის შესახებ საკუთარ მოსაზრებას, მანამდე ხმამაღლა ნურაფერს გამოაცხადებენ»**

**— ბატონო გიგა, ამბობენ, სააკაშვილის იდეა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას კვერცხი დაიდგას, რომელიც საბაგირო გზის გაჩერება იქნება, კვლავ ძალაში რჩებაო...**

— კვერცხი დედაქალაქის ცენტრში? — საშინელებაა!

ასეთი ძეგლების გამოჩენამ თავის დროზე საზოგადოებაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგივე ახალი ხელისუფლების ხელშიც გრძელდება. ნუთუ საზოგადოება ცდებოდა, როცა უარყოფითად აფასებდა მსგავსი ძეგლების დადგმას? ამ ყველაფერს პროფესიონალების დასკვნა სჭირდება, ამაზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ. საერთოდ, **ძეგლებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რამდენად უღირს მთავრობას ამა თუ იმ ნაგებობაზე ფულის დახარჯვა და რა კულტურული ღირებულების მატარებელია იგი.**

პატარა ერი ვართ, მაგრამ კულტურა, რომელიც გაგვაჩნია, ჩვენთვის ფასდაუდებელია და ეს არავის უნდა დაავიწყდეს.

**არ ვიცი, იქნებ ვილაცისთვის კარგია, რომ იქ, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა, საბაგირო გზის გაჩერება გაკეთდება, მაგრამ ამას აუცილებლად დასჭირდება პროფესიონალების დასკვნა, რადგან საბაგირომ უნდა გადაკვეთოს რუსთაველის გამზირი; ამასთან, ხალხის მოთხოვნაა, რომ ჩვენი დიდი მეფის ძეგლი თავის ადგილას დააბრუნონ, რაც, ვფიქრობ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება.**

საბაგირო გზა რომ აუცილებელი იყო თბილისისთვის, სწორედ ამიტომ დაპროექტდა და აშენდა ის გამართული კაპიტალური შენობა, რომელიც ახლა მეცნიერებათა აკადემიის ეზოში დგას. მას ხელის შევლებაც არ სჭირდება, უბრალოდ, სისტემაა შესაცვლელი. თუ საბაგიროს ისე დატოვებენ, როგორც იყო, ყველაფერი თავის ადგილას დადგება, დავით აღმაშენებლის ძეგლიც ძველ ადგილს დაუბრუნდება.



**ზუსტად არ ვიცი, რა უნდა აშენდეს რუსთაველის გამზირზე, ამბობენ, კვერცხიო, მაგრამ კვერცხის ადგილი იქ არ არის.**

გარდა ამისა, ხალხი დაბნეულია იმ ხიდთან დაკავშირებითაც, რომელიც თავის დროზე ანჩისხატსა და რიყეს შორის აშენდა. მას „ბუდა“ ბარი მოჰყვა, ამის შემდეგ ის „ბოტები“ აშენდა, რომელსაც გულივერისა შევარქვი. ეს „ბოტები“ უინტერესო არ არის, მაგრამ ძალიან მოუხერხებელ ადგილასაა და აკნინებს ისტორიულ გარემოს.

**— ბატონო გიგა, ვინ უდგას ამ ყველაფერს სათავეში? პროფესიონალთა გუნდი მუშაობს?**

— არ ვიცი, ვინ მუშაობს. ფაქტია, რომ არაფერი გათვლილი არ არის. **მარტო ძეგლების საკითხი კი არ არის პრობლემა, სერიოზულად დასაფიქრებელია თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობაც. ამ პროექტზე ხან ამბობენ, რომ შეჩერდა, ხან ხელახლა იფეთქებს... შემოვლითი რკინიგზა უნდა გაკეთდეს, ამას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ არა იმ ადგილას, სადაც ახლა შენდება.** და აი, რატომ: პირველი, ეს წარმოშობს ეკოლოგიურ პრობლემებს. ვინც კარგად იცის თბილისის ზღვის ტერიტორია, ისიც ეცოდინება, რომ ფერდი, რომელზეც გზა გაჰყავთ, მისი ყველა ნაოჭი, დიდი თუ პატარა ხრამი, თბილისის ზღვისკენ მიემართება, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ავარიის შემთხვევაში, ყველა სიბინძურე ზღვაში ჩავა, ეს ჩვენთვის კატასტროფა იქნება, ზღვა ხომ სასმელი წყლის რეზერვუარია.

ქალაქს განვითარება სჭირდება, ფუნქციური განვითარება, სწორედ ზღვის ტერიტორიაზე არსებულ ფერდზე შეიძლება სრული ინფრასტრუქტურით ახალი ქალაქის აშენება და განვითარება. ასეთივე დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის პორტის მშენებლობაც. საზღვაო კარიბჭე უნდა შეიქმნას, მაგრამ სად?

**— გასაგებია თქვენი წუხილი, მაგრამ არ გიფიქრიათ, იმ ადამიანებისთვის თქვენი მოსაზრება გაგეზიარებინათ?**

— უნდა აღდგეს ის ინსტიტუტები, რომლებიც ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობდა. მსგავსი რამეები ქვეყანაში ძალაუფლების მქონე და გავლენიანი ადამიანების გადაწყვეტილების შედეგად არ უნდა ხორციელდებოდეს, საკითხს მეცნიერული შესწავლა სჭირდება, ამიტომ მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებზე მხარი იმ ადამიანებს უნდა დავუჭიროთ, რომლებიც ამ საკითხზე პროფესიონალურად იმუშავებენ.

**ის, რაც დღეს კეთდება, ვერ გეტყვით, რა კრიტერიუმებით ფასდება, ვინაიდან, ასეთ გადაწყვეტილებებს ეროვნულ-კულტურული ღირებულება არ გააჩნია. საქმეზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ და აცნობონ ქვეყნის მმართველებს. ეს იქნება საკითხისადმი სწორი მიდგომა. ჩვენს ქალაქში ყველაფერი გაუგებრად ხდება. არ არსებობს თბილისის გენერალური გეგმა, ქვეყნის განსახლების პროექტი, არაფერი გაანალიზებული არ არის.**

**— სააკაშვილის დროს არსებობდა?**

— სააკაშვილს ეს არც სჭირდებოდა, მას არ აინტერესებდა გეგმები, საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა და სხვებსაც თავს ახვევდა.

ჩემი რჩევა იქნება, ვიდრე სერიოზულ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებენ, პროფესიონალებს გააცნონ; ვიდრე საქმის მცოდნენი არ გამოთქვამენ ამა თუ იმ პროექტის შესახებ თავის მოსაზრებას, მანამდე ხმამაღლა ნურაფერს გამოაცხადებენ. ქვეყანა თუ მეცნიერებას ზურგს შეაქცევს, წინ ვერ წავა, ვერ დაიმკვიდრებს მსოფლიო იერარქიაში ადგილს. დღეს ჩვენი ქვეყანა ცნობილია ხელოვნებით, კულტურით, მეცნიერებით, სწორედ ამით გავაგებინეთ მსოფლიოს ჩვენი არსებობა, რასაც გაფრთხილება სჭირდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ებრაელებმა უკვე დაამუნათეს ევროპა ნაცისტების მხარდაჭერისთვის, მაგრამ ევროპა იხტიბარს არ იტეხს, არც ბანდერას მომხრეებს იმჩნევს და არც იმათ, ვინც ხმამაღლა აცხადებს, რომ არ დაუშვებს, სხვა ეროვნების ხალხმა უკრაინაში რამეზე პრეტენზია განაცხადონ!**

# არასაექსპერტო ფიქრები უკრაინაზე

**უკრაინაშიც და მის ფარგლებს გარეთაც უკვე ყველას დაავიწყდა, რა საბაბით შეიკრიბა მაიდანზე ხალხი. საბაბი ამ შემთხვევაში „გაყალბებული არჩევნები“ კი არ იყო, არამედ ის, რომ იანუკოვიჩმა „ევროპას უღალატა“. ღალატი იმაში მდგომარეობს, რომ მან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი თქვა. ევროპა, თავის მხრივ, დარტყმის ქვეშ აღმოჩენილი უკრაინული მრეწველობის გადასარჩენად თანხის გაღებას არ აპირებდა. რუსეთმა უკრაინას გაზიც გაუიაფა და 15 მილიარდი ევროც გამოუყო. შედეგი ასეთია: რუსეთი ცუდია, ევროპა — კარგი და სათნო.**

**„რუსეთს უნდა, გავლენა გააძლიეროს უკრაინაზე,“** — გაიძახიან ჩვენი ადგილობრივი „ინტეგრატორები“ (ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრენი), თუმცა ისინი ცოცხალი თავით არ იმჩნევენ, რომ **გავლენას უკრაინაზე რეალურად შეერთებული შტატები და ევროკავშირის ბირთვის სახელმწიფოები აძლიერებენ.**

ვიქტორია ნუდელმანის (ეს გვარი ჰქონდა, ვიდრე ნულანდად გადაიკეთებდა) ხელით მაიდანზე დარიგებული პურფუნთუშეული, სავარაუდოდ, დამშეულ უკრაინას დიდხანს არ გაჰყვება, ხოლო ეს დამშევა რომ რეალურია, ამაზე მხოლოდ ბულგარეთისა და რუმინეთის მაგალითებიც იკმარებს. იქ ადგილობრივი წარმოება გაჩერებულია, მოსახლეობა სიღატაკის ზღვარს მიღმაა, ახალგაზრდობა ქვეყნიდან გარბის.

**და მაინც – რისთვის იდგნენ ადამიანები მაიდანზე?**

**ევროპაში უვიზო მიმოსვლისთვის? ევროპულად მაძღარი ცხოვრებისთვის? იდეალებისთვის?**

**ახლა ეს ყველაფერი რეალურია?**

**თუ — პირიქით?**

ჯინ შარპის სახელმძღვანელოდ ქცეულმა „ხელისუფლების არაძალადობრივი შეცვლის“ ტექნოლოგიამ აზრი დაკარგა; **ხელისუფლება ძალადობრივად შეიცვალა, „მშვიდობიანი მომიტინგეები“, რომელთა უფლებების დაცვასაც დასავლეთი მოითხოვდა, სინამდვილეში ბოევიკები აღმოჩნდნენ.**

**ქვეყანა დაშლის ზღვარზეა და დღეს უკვე ევროპა რუსეთს მიმართავს, რომ არ დაუშვან უკრაინის გაყოფა.**

დღეს ევროპა უკვე იმასაც ხვდება, რომ უკრაინის ალტერნატივის წინაშე დაყენება — ან რუსეთი, ან ევროპა, შეცდომა იყო. შეცდომა იყო იმ ოპოზიციის მხარდაჭერა, რომელსაც მაიდანი ყურს არ უგდებს. ახლა ერთი ნაბიჯი რჩება მოფაშისტო ელემენტებთან მოლაპარაკებამდე და ეს უთუოდ „ევროპული არჩევანი“ იქნება. რას იზამ, თავად ფაშიზმიც ხომ ევროპული გამოგონებაა!

ბანდერას პორტრეტები და ტრანსპარანტები გაცილებით უკეთ მეტყველებს იმაზე, თუ რა ხდება კიევში, ვიდრე ევროჩინოვნიკთა სტერილური განცხადებები.

**ციხიდან ინვალიდის ეტლით მაიდანზე გამოცხადებულ იულია ტიმოშენკოს დიდ პოლიტიკაში დაბრუნება ესიზმრება, მაიდანი კი წერილობით პასუხობს, რომ მისი კანდიდატურა არ განიხილება — უკრაინის პრეზიდენტი ვერ იქნება კორუფციაში ეჭვმიტანილი. იულიას კი უკვე გადაავიწყდა, რომ ხერხემლის სერიოზული დაავადება აქვს და ეტლში ისეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ზის, რომელზეც ხერხემლის მცირე პრობლემითაც კი ვერ შედგებოდა.** „ყველაზე მეტი, ახალ პარლამენტში ფრაქციის თავმჯდომარეობას დაკმაყოფილდიო,“ — მისწერა მაიდანმა უსტარი იულიას, ანგელა მერკელს კი ახსოვს, რომ ტიმოშენკოს მკურნალობა ესაჭიროება და გერმანიაში ეპატიჟება.

მსხვერპლის როლში და ინვალიდის ეტლში მჯდომი იულია კვლავაც იბრძვის. მეორე მხარეს კი კლიჩკო, იაცენიუკი და ტიაგნიბოკი დგანან. **ებრაელებმა უკვე დაამუნათეს ევროპა ნაცისტების მხარდაჭერისთვის, მაგრამ ევროპა იხტიბარს არ იტეხს, არც ბანდერას მომხრეებს იმჩნევს და არც იმათ, ვინც ხმამაღლა აცხადებს, რომ არ დაუშვებს, სხვა ეროვნების ხალხმა უკრაინაში რამეზე პრეტენზია განაცხადონ!**

სად არიან ამ დროს ჩვენებური „ტოლერანტობის მამები და მამიდები“? — მორცხვად დუმან ნაციონალიზმის გამოვლინებებზე, მაგრამ გულით ხარობენ მაიდნის გამარჯვებაზე. **„იულია გამოვიდა, ესე იგი ვანოც გამოვა!“** — ამ აზრის გაგრძელება მათთვის საამურია: **„ნაციონალური“ ხელისუფლება დაბრუნდება!**

**ვერა, ვერ დაბრუნდება!**

ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკრაინელი ოპოლიდერები თუ ჯერ არავინ იცის, რისი გამკეთებლები არიან, „ნაციონალების“ ცხრაწლიანი მოღვაწეობა მთელი საქართველოსთვის არის ცნობილი და მის გამეორებას არავინ დაუშვებს.

მეორეც, დასავლეთი ამჯერად უკრაინაში კოაბიტაციას როდი ითხოვს, საქართველოსგან განსხვავებით. იქ რევოლუციაა, ჩვენთან — ორი პროდასავლური ძალის თანაარსებობა. ივარაუდება, რომ ასე იქნება დიდხანს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ხალხს ყელში არ ამოუვა და ორივეს არ გარეკავს.

**„რუსეთის სამხედრო ჩარევა უკრაინის საქმეებში სერიოზული შეცდომა იქნება“,** — აცხადებს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი სიუზენ რაისი. სახალისოა, რომ **ამას იმ ქვეყნის წარმომადგენელი ამბობს, რომელიც, ბოლო 20 წელია, მხოლოდ სერიოზულ შეცდომებს უშვებს მსოფლიოს ყველა კუთხეში.**



**ქვეყანა დაშლის ზღვარზეა და დღეს უკვე ევროპა რუსეთს მიმართავს, რომ არ დაუშვან უკრაინის გაყოფა**



**განმეორდება თუ არა თბილისში მაიდანი? არ განმეორდება, რადგან 1991-92 წლებში ნანახი ზაფრის შემდეგ ჩვენი მომიტინგეები ისე გამოდიან ქუჩაში პროტესტით, რომ «ხიდან ფოთოლი არ ვარდება»**

ახლა საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკრაინისთვის კრედიტის გამოყოფის საკითხს განიხილავს, ოღონდ უცნობია, რა დაუჯდება უკრაინას ეს „დახმარება“. **რუსეთმა პირველი სამმილიარდიანი ტრანშის შემდეგ პაუზა აიღო და შემდეგი ტრანშის გახსნას არ ჩქარობს. მართლაც გაუგებარია, ვის ხელში აღმოჩნდება ეს თანხა და რას მოხმარდება.**

საქართველოში ძალიან კარგად იციან, რა მოსდევს რუსეთის ჯიბრზე მოქმედებას. ამ „საქველო“ საქმეში სააკაშვილს დღეს დასავლეთმაც აუწყო ფეხი და შუაგულ ევროპაში სირია გაიმეორა. ეს იმ ბავშვის საქციელს ჰგავს, დედის ჯინაზე რომ შარვალში ჩაისვარა.

**რა სიკეთეს უქადის ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება უკრაინას? აღმოსავლეთის სამრეწველო კომპლექსი, რომლის პროდუქცია მთლიანად რუსეთის ბაზარზე გადის, ისევე გაჩერდება, როგორც ევროკავშირის სხვა ახალ წევრებში. უკრაინის 48-მილიონიანი ბაზარი გაიხსნება ევროპული პროდუქციისთვის. სამუშაო ადგილები დაიკარგება, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას და ტარიფების გაზრდას მოითხოვს.** სამაგიეროდ, **უკრაინის წიაღისეული მთლიანად ევროპელი მწარმოებლების ხელში გადავა.** რუსეთმა ეს ყველაფერი ელცინის მმართველობისას გაიარა და წლები დასჭირდა სიტუაციის შემობრუნებას, რომ ქვეყნის რესურსებს ქვეყანაზე ემუშავა და არა უცხოელ ბიძიებზე.

მავანი იტყვის, რომ ეს მეტისმეტად შავი სცენარია, მაგრამ, საუბედუროდ, თანამედროვე სამყაროში სხვა სცენარები არ მუშაობს. პირიქით, დემოკრატიას მხოლოდ მათ უქებენ, ვინც საკუთარ რესურსებს განვითარებულ ქვეყნებს ჩუქნის, თუ არა და, „დემოკრატიის იმპორტიორები“ მის შემოსატანად მზად არიან!

ის, რაც მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს, მწვანე ქალაქში ბოლო დღეებში ხდებოდა, 1991-92 წლების თბილისურ ზამთარს წააგავდა, 2003 წლის „მშვიდობიანი პროტესტის“ საკმაზით. მოქმედი პირნი და შემსრულებლებიც საოცრად ჰგვანან ერთმანეთს. იქაურ რევოლუციონერებში არ ჭირს ჩვენებური „თავისუფლების ინსტიტუტისა“ თუ სხვა პერსონაჟების ამოცნობა. რას იზამ, ყველას თავისი მეხუთე კოლონა ჰყავს, ოღონდ კასტინგს ერთსა და იმავე ადგილას გადიან! ისევ ის თამაში რელიგიის საკითხებით, ისეთივე შეუპოვარი მებრძოლი ათეიზმი — ამჯერად ლოცვითა და შეჩვენებებით გაწყობილი!

ამასობაში კი ჩვენი „მეოცნებეები“ საინტერესო აღმოჩენას აკეთებენ: **„ავსტრიელი კოლეგა ჰაიდემარია გიურერი შეგვეკითხა, ხომ არ ახორციელებს ქართული ეკლესია რუსეთის ინტერესებს“,** — განაცხადეს პარლამენტის ვიცესპიკერმა ზურაბ აბაშიძემ და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზვიად კვაჭანტირაძემ. **ავსტრიის ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივის დეპარტამენტის დირექტორს, ელჩ ჰაიდემარია გიურერს ინფორმაცია ამის შესახებ მაიდნის ქართველმა ქომაგებმა – ჩიორა თაქთაქიშვილმა, გიორგი კანდელაკმა, გია ბარამიძემ და აკო მინაშვილმა მიაწოდეს.**

„როდესაც ჩვენ ვართ ხოლმე ქვეყნის საზღვრებს გარეთ, იმავე ნატოში, ევროკავშირში ან სხვაგან, ჩვენი კოლეგები საპარლამენტო უმცირესობიდან, ოდიოზური პერსონაჟები, პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ეკლესია პუტინისა და კრემლის ინტერესების მთავარი გამტარებელია და ამავე დროს, მთავარი დამაბრკოლებელი ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენი ინტეგრაციისთვის. ასეთ განცხადებებს აკეთებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაზე ხშირად დადიან საზღვარგარეთ, არიან დელეგაციების შემადგენლობაში და პარტიაში საერთაშორისო პორტფელი აბარიათ. ესაა, გნებავთ, კანდელაკი, ბარამიძე, მინაშვილი, თაქთაქიშვილი და სხვები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში არიან ჩართულნი“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

დიახ, ისინი ერთნაირები არიან, იმიტომაც მიუწევთ გული მაიდნისკენ. იმიტომაც ხარობენ იმ ქაოსით, რომელმაც კიევში დაისადგურა. მათი ლოზუნგია „რაც — უარესი, მით უკეთესი“! მათ იციან, რომ მაიდანი ოდენ დეკორაციაა, აუცილებელი „მასოვკა“, ქვეყნების ბედს კი ნუდელმანები, მესამე კლასის მოხელეები წყვეტენ და მთელ ევროპას გინებით მოიხსენიებენ.

**შეგინებულ ევროპაში სწრაფვა კი „ეროვნულ ამოცანად“ არის აღიარებული. ჩვენები ასეთ შემთხვევაში ამბობენ — „არჩეულ კურსს არ გადავუხვევთ“! ნუ გადაუხვევთ, თავით შეასკდით! ამ კედელზე ლაპარაკობდა სწორედ პატრიარქი, რომ არ არის აუცილებელი შეასკდე, ზოგჯერ შეიძლება შემოუარო კიდეც!** თუმცა ეს „პუტინისა და კრემლის ინტერესების გატარება“ ყოფილა. შეასკდით კედელს პატრიარქის ჯინაზე! მარტო თქვენ რომ ასკდებოდეთ, დიდად არ ვიდარდებდი, მაგრამ თქვენ მთელ ქვეყანას ახეთქებთ თავით იმ კედელს, რომლის შემოვლაც შეიძლება!

**ხომ გაიმარჯვა მაიდანმა, როდის ასრულდება იქ მდგომი ადამიანების ოცნება?**

**დაახლოებით მაშინ, როცა „ქართული ოცნება“ შეასრულებს თავის ყველა დანაპირებს!**

უკრაინა საქართველოსთან შედარებით კი არა, ევროპული მასშტაბებითაც უზარმაზარი ქვეყანაა. იქაური ოცნებების ასრულება ბევრად უფრო საძნელოა, ვიდრე საქართველოს მთელი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება.

**განმეორდება თუ არა თბილისში მაიდანი?**

**არ განმეორდება, რადგან 1991-92 წლებში ნანახი ზაფრის შემდეგ ჩვენი მომიტინგეები ისე გამოდიან ქუჩაში პროტესტით, რომ „ხიდან ფოთოლი არ ვარდება“. და ეს კარგი ტრადიციაა.**

არავინ ააოხრებს თბილისს იმისთვის, რომ შლეგები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ევროპა კი... ევროპა უკრაინასთან უფრო ახლოს არის და იქ უფრო მალე გამოჩნდება, რა იყო მაიდანზე ნამდვილი და რა — ყალბი, როგორც იულიას ნაწნავი.

„უკრაინაში თავისუფლებისთვის იბრძვიანო, საინფორმაციო ომი რომ იყო გაჩაღებული, ვინმე ედავებოდა მათ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას?! ახლა კი უკვე მართლა სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, იმიტომ, რომ ქვეყნის გახლეჩვის საფრთხე არსებობს. კი იბრიძებოდა იქ უკრაინელი ნაციონალისტთა ლიდერი, ამას არ დავუშვებთო, მაგრამ როგორ არ დაუშვებენ, ძალიან მაინტერესებს, რა, თავს დაესხმებიან ყირიმისა და სევასტოპოლის მოსახლეობას?!“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# აკაკი ასათიანი: უკრაინელი ხალხი ქაოსისა და სიღარიბის მეტს ვერაფერს მიიღებს!

**რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პერსპექტივაზე, მიმდინარე სამართლებრივ პროცესსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, ვლადიმერ პუტინის განცხადებას, რომ მზად არის, საქართველოს პრეზიდენტს შეხვდეს და მოლაპარაკებები დაიწყოს, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში, განსაკუთრებით ოპოზიციაში, ბევრი კრიტიკული თვალით უყურებს. ძირითადად, ერთი და იმავე შინაარსის შეფასებები კეთდება: ეს შედეგს ვერ მოიტანს, იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის და ა. შ. თქვენ რას ფიქრობთ, რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ შეხვედრა შეხვედრისთვისაც უნდა იყოს და მეორე — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დიალოგი დაიწყო რაღაც მკაცრი, შეუვალი წინაპირობებით. თუ ამ გზით წავალ, ეს უკვე დიალოგი კი არა ულტიმატუმია და ულტიმატუმით რუსეთთან ვინ რას მიაღწია, შეგიძლიათ ისტორიას გადახედოთ. **პუტინმა თქვა მარტივად და გასაგებად, — მზად ვარ, მიგიღოთო, ამიტომ ჩვენი მხრიდან ახლა იმაზე საუბარი, რომ ეს შეხვედრა არაფერს მოუტანს, ჩვენვე წარმოგვაჩენს ცუდად მთელი მსოფლიოს, მათ შორის იმ ჩვენი პარტნიორების, თვალში.**

**— იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტირები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, რა შეიძლება ჩვენმა ხელისუფლებამ კრემლის მესვეურებს შესთავაზოს ის, რასაც სააკაშვილი და მისი გუნდი ვერ სთავაზობდა?**

— აქ ამ ეტაპზე რამის შეთავაზება-არშეთავაზებაზე არაა ლაპარაკი. საუბარია იმაზე, რომ მხარეებმა გადადგან რაღაც საწყისი ნაბიჯები და ორ ქვეყანას შორის ელემენტარული კონტაქტი, კავშირი აღსდგეს. ვინც ამას ეწინააღმდეგება, მას ან არ ესმის, რა დამღუპველ პოზიციაზე იმყოფება, ან, უბრალოდ, ავისმსურველია ამ ქვეყნის. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ ვერ მივალთ სააკაშვილისებური ზემკაცრი რიტორიკით, ულტიმატუმებით რუსეთთან და ვერ ვეტყვით პუტინს: მოდი ახლა შენ აფხაზეთი, სამაჩაბლო დაგვიბრუნე, ტაოკლარჯეთიც შემოგვიერთე და მერე ჩვენ ვიფიქრებთ შეხვედრაზე. ვისაც ჰგონია, რომ ამ ფორმით კრემლთან რამის მიღწევა შეიძლება, ვურჩევ, ისტორიას გადახედოს...

**— თავის დროზე პუტინს სააკაშვილიც შეხვდა, მაგრამ ეს შეხვედრა სრულიად უშედეგოდ დასრულდა.**

— სააკაშვილმა მაშინ ძალიან ხელსაყრელი შეთავაზებები მიიღო და გარკვეული შეთანხმებაც იყო იმავე გაზსადენთან, სადავო ტერიტორიებთან, ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მან ეს დაპირებები არ შეასრულა. რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანას აქედან, რაც თურმე ჩვენი უდიდესი მიღწევა ყოფილა, ამაზე ისინი ერთადერთ რამეს ითხოვდნენ, — ჩვენ მივდივართ, მაგრამ სხვა ნურავინ შემოვაო. მე ვთვლი, რომ კარგი პირობა იყო და მაშინდელ ხელისუფლებას ეს უნდა გამოეყენებინა. ამის მიუხედავად, სააკაშვილმა იმ დროს სხვისი მითითებებით იმოქმედა და შედეგიც მალევე მივიღეთ, — ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა, მერე კი იყო ავბედითი მოვლენები აგვისტოში, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი ტრაგედიაა.

**— 2008 წლის აგვისტოს მოვლენები დღემდე გამოუძიებელია. როგორ ფიქრობთ, თუკი პროკურატურა ამ საქმეს სიღრმისეულად შეისწავლის, შესაძლებელია, რომ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?**

— სამართლებრივად ეს უნდა გააკეთონ საგამოძიებო სტრუქტურებმა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით თუ მეკითხებით, **რა თქმა უნდა, სააკაშვილის დანაშაული არის ის, რომ ომამდე მივიდა საქმე. ჩემი აზრით, ესაა დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და, როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, სწორედ ამ საქმის გამოძიება უნდა მოხდეს პირველ რიგში.**

**— არ ფიქრობთ, რომ ამ საქმის გამოძიება და მით უფრო სააკაშვილის გასამართლება ამერიკელებს არ აძლევთ ხელს?**

— რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ არა იმიტომ, რომ სააკაშვილი ძალიან უყვართ, აქ სულ სხვა მიზეზია: უბრალოდ, ვინ შეასრულებს მათ დავალებებს, თუ სააკაშვილს არ გამოესარჩლებიან?! ეს წმინდა პოლიტიკური ინტერესია და ამიტომაა, ამათ ბოლომდე რომ იცავენ, თორემ პიროვნულად, მერწმუნეთ, არც მიშა აინტერესებთ ვაშინგტონში, არც ვანო და არც სხვები.



**«ავღანეთი კიდევ მესმის, იმიტომ, რომ იქ ადრეც უომიათ ჩვენებს, მაგრამ აფრიკაში თუ ოდესმე ქართველი ჯარისკაცი ფეხს დადგამდა, ვერ წარმოვიდგენდი»**

**— უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზეც გკითხავთ: ბევრი ფიქრობს, რომ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე მსგავს სირთულეებს, შესაძლოა, საქართველოც წააწყდეს. თქვენი აზრით, გვემუქრება თუ არა რეალურად ეს საფრთხე და რამდენად ვართ ამისთვის მზად?**

— უკრაინული სცენარის ალბათობას საქართველოში ამ ეტაპზე ვერ ვხედავ, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი სხვა რამეა: რამდენად სწორად გვაქვს ჩვენ შეფასებული ევროკავშირის მნიშვნელობა საქართველოსთვის, რომ ვიცოდეთ, რის გამკეთებლები უნდა ვიყოთ ამისთვის. ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით ადექვატური შეფასება არც ოპოზიციაში და არ ხელისუფლებაში არ მომისმენია, ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, რომ არ გვაქვს გააზრებული, რას ვირჩევთ.

**რაც შეეხება უკრაინას: იქ, ისევე, როგორც საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს, ჰგონიათ, რომ ევროპა სამოთხეა, რომ, შევლენ თუ არა მათთან კავშირში, ეკონომიკურად აყვავდებიან, მაგრამ მერწმუნეთ, დახმარება, რომელსაც მათ მსოფლიო ბანკი სთავაზობს, ის დახმარება არ არის, რომელსაც უკრაინელი ხალხი ელოდება.**

**— და ამის გამო იქნება იმედგაცრუებაც?**

— დარწმუნებული ვარ, ერთ-ორ წელიწადში იმავე მოედანზე გაცილებით მეტ ადამიანს ვნახავთ უკვე ანტიევროპულად განწყობილს.

**— გამოდის, რომ უკრაინელებმა შეცდომა დაუშვეს? რა მიიღეს ან რას მიიღებენ ისინი რეალურად?**

— უკრაინელი ხალხი ვერაფერს მიიღებს, ქაოსისა და პრობლემების გარდა. ცალკე დგას კიდევ ქვეყნის გაყოფის რეალური საფრთხე, რაზეც პასუხისმგებელია ყველა — ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. არ მინდა, რომ იგივე განმეორდეს საქართველოში, ამიტომ მეტი სიფრთხილე და დაფიქრებაა საჭირო. გაკვეთილები, საუბედუროდ, ძალიან ბევრი გვაქვს მიღებული. ასე რომ, **იმედია, ეს ხელისუფლება მაინც აღარ დაუშვებს საბედისწერო შეცდომებს.**

**— ევროკავშირისადმი გადაჭარბებული მოლოდინები საქართველოშიც არის.**

— კი, არის და ამის მიზეზია სწორედ ის საინფორმაციო ვაკუუმი, რომელშიც საზოგადოება იმყოფება. ხალხმა რეალურად არ იცის, რას მივიღებთ, თუ, ვთქვათ, სასწაული მოხდება და მართლა მიგვიღებენ იმ ევროპულ ოჯახში. არც არავინ კითხულობს, რა გვინდა იქ და რატომაა ეს ჩვენი ისტორიული არჩევანი. აი, ამიტომაა გადაჭარბებული ეს მოლოდინები; **თვითონ ევროპელი დიპლომატები ამის გამო შეშფოთებულებიც კი არიან. პირდაპირ ამბობენ ხოლმე პირად საუბრებში: ხალხს ჰგონია, რომ მიგიღებთ თუ არა, ევროპაში უფასოდ ისწავლიან, იმკურნალებენ, დასაქმდებიან და კარგ სამსახურებს იშოვიან; იქნებ მიაწოდოთ ობიექტური ინფორმაციაო.** მე პირადად ნეიტრალიტეტის მომხრე ვარ.

**— იძლევა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა ამის საშუალებას?**

— ჩემი აზრით, ეს შესაძლებელია. მოკლედ ამაზე საუბარი ახლა შორს წაგვიყვანს. ჩვენ, უბრალოდ, უნდა გავერკვეთ ჩვენს თავში და დანიშნულებაში საერთაშორისო ასპარეზზე, თორემ ხომ ხედავთ, უკვე სანამდე მივედით: **ავღანეთი კიდევ მესმის, იმიტომ, რომ იქ ოდესმე უომიათ ჩვენებს, მაგრამ აფრიკაში თუ ოდესმე ქართველი ჯარისკაცი ფეხს დადგამდა, ვერ წარმოვიდგენდი.**

**— საერთაშორისო უსაფრთხოების მისიაში მონაწილეობა ხომ სახელმწიფოს იმიჯისთვის საჭიროა? ყოველ შემთხვევაში, გვარწმუნებენ, რომ ეს ხელს უწყობს ჩვენს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.**

— ნებისმიერ მისიასა და კამპანიაში მონაწილეობა საჭიროა, თუ ეს რამეს გაძლევს, მაგრამ ჩვენთან როგორაა, ხომ ხედავთ — აგერ უკვე 22 წელია, დამოუკიდებლები ვართ, მივდივართ ამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ, რომელთა კარიც თურმე ღიაა, როგორც გვეუბნებიან, და ვერაფრით შევედით. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა მიხვდე, რომ თავს იტყუებ?! **უკრაინაში თავისუფლებისთვის იბრძვიანო, საინფორმაციო ომი რომ იყო გაჩაღებული, ვინმე ედავებოდა მათ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას?! ახლა კი უკვე მართლა სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, იმიტომ, რომ ქვეყნის გახლეჩვის საფრთხე არსებობს. კი იბრიძებოდა იქ უკრაინელი ნაციონალისტთა ლიდერი, ამას არ დავუშვებთო, მაგრამ როგორ არ დაუშვებენ, ძალიან მაინტერესებს, რა, თავს დაესხმებიან ყირიმისა და სევასტოპოლის მოსახლეობას?!**

**— ჩვენ ვისაუბრეთ ევროინტეგრაციისთვის საჭირო ცვლილებების პოლიტიკურ ნაწილზე, მაგრამ ეს ყველაფერი ასევე გულისხმობს საკმაოდ რთულ და ფუნდამენტურ იდეოლოგიურ, მენტალურ ცვლილებებსაც საზოგადოების ცნობიერებაში. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არსებობს სერიოზული შიში ამ პროცესისადმი. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა წინააღმდეგობები ელის ქართველ ხალხს ევროპულ ღირებულებებთან დაახლოების გზაზე?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სერიოზულ გარდატეხებს უკავშირდება ეკონომიკაში, კულტურაში, ცნობიერებაში. ამას ისინი არც მალავენ; ანუ, მათი გადმოსახედიდან, ჩვენ გვაქვს მავნე ცნობიერება და აქ უნდა მოხდეს ფუნდამენტური ცვლილება. შემთხვევით კი არ ამბობდა სააკაშვილი თითქმის ყველა გამოსვლაში, აი, რამხელა გარდაქმნა მოხდა მენტალობაშიო. ეს იყო მათი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომლისთვისაც დასვეს სათავეში და, სამწუხაროდ, იგივე დავალება აქვს ამ ხელისუფლებასაც. რამდენად კარგად შეასრულებენ, ამაზე მერე ვისაუბროთ...

**— ამ დავალების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, ალბათ, ეკლესიის დისკრედიტებაა. „ნაციონალებმა“ უკვე ღიად დაიწყეს სასულიერო პირების კრიტიკა, მაგალითად, ჩიორა თაქთაქიშვილმა ორი კვირის წინათ საკომიტეტო სხდომაზე პირდაპირ შეურაცხმყოფელი სიტყვებით ისაუბრა მეუფე იაკობზე.**

— ეკლესია იმთავითვე იყო და, ბუნებრივია, დღესაცაა ე. წ. ლიბერალურ ძალთა მთავარი სამიზნე. ამას თავისი მიზეზები აქვს და ახლა ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. აქ, უბრალოდ, ერთი რამ უნდა გავიაზროთ ყველამ: ვინ დგას ამ პროპაგანდის უკან, რა ინტერესები. მე მგონი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა ეს იცის და ამის ფონზე ჩემთვის მით უფრო გაუგებარია, რატომაა ჩვენთვის ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტული სწრაფვა იმ სივრცისკენ, რომლიდანაც მოდის ასეთი რიტორიკა.

**— დასაწყისში თქვით, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს ობიექტური ინფორმაცია ევროკავშირში საქართველოს პერსპექტივაზე. რომ მივაწოდოთ მათ ეს ინფორმაცია, დამოკიდებულება შეეცვლებათ?**

— როგორც მინიმუმ, რალაცების გადაფასება მოხდება და დარწმუნებული ვარ, პროდასავლურობა აღარ იქნება პოლიტიკური ვექტორის, ორიენტაციის სიჯანსაღის საზომი. ჩემი აზრით, **სწორედ რეალური ალტერნატივა სჭირდება დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ყველაზე მეტად, თორემ „ნაციონალები“ ვინმეს თუ გააკრიტიკებენ და გალანძღავენ, ამ მკრეხელობისთვის მათ აუცილებლად მიეზღვებათ; იქ გადაწყდება ყველაფერი — ზეცაში; და „მერე გვიანღა იქნება თითზე კბენანი და კბილთა ღრჭენანი“.** მოკლედ, ვერავინ გაექცევა თავის წილ სასჯელს, თუმცა ეს უკვე სხვა საკითხია და ამაზე ცალკე შეიძლება საუბარი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველომ კარგად იცის, რომ ამერიკას ხარკი ისე უნდა მივართვათ, რომ თითქოს ამერიკის სამხედრო ავანტიურებში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამით ჩვენი ჯარი ვითარდება, ეზიარება დემოკრატიას და უახლოვდება დასავლეთს. ეს არის დემაგოგია, რომელიც ყველასთვის კარგად არის ცნობილი. მინდა იცოდეთ, რომ საქართველოს არავინ ძალას არ ატანს. სააკაშვილის დროს ჯარისკაცებზე ძალდატანება იყო, მაგრამ დღეს ამას არავინ აკეთებს.“**

# სავალდებულო კონტრიბუცია თუ ნებაყოფლობითი ხარკი?

**ამერიკასთან არ გვიომია და, შესაბამისად, არც ომი წაგვიგია, მაგრამ „სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი“ კონტრიბუციას გვიწესებს, თანაც ცოცხალი ძალისას. ქართველი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცად იქცნენ ერაყში, ავღანეთსა და ახლა აფრიკაშიც. მკითხველისთვის განვმარტავთ: კონტრიბუცია არის ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ახდევინებს მტერი მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობას. რასთან გვაქვს საქმე და რატომ ვუხდით ხარკს ამერიკას, „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ. გაზეთისთვის ასევე საინტერესო იყო თემა, რომელზეც, ბოლო რამდენიმე დღეა, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ საუბრობენ, კერძოდ კი ის, რომ პატარა ევრომაიდანი, შესაძლებელია, საქართველოშიც მოეწყოს, რომლითაც სააკაშვილის დაბრუნებას შეეცდებიან და თან ამ პროცესების ხელშემწყობი კვლავ ჯორჯ სოროსი („ნაცებისა“ და არა მარტო მათი, აღმზრდელი და მარჩენალი) აღმოჩნდება.**



**ელიზბარ ჯაველიძე,** აკადემიკოსი:

**— ბატონო ელიზბარ, რატომ დაგვაკისრა კონტრიბუცია ამერიკამ, ის ხომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია?**

— დიახ, **კონტრიბუციაა და თან არა მარტო ცოცხალი ძალით, ქართული სულის ამოგლეჯვით. დღევანდელი საქართველოს უბედურება გარედან მოდის, უბედურების მთავარი არსი კი ის არის, რომ გადაშენება და გადაგვარება გვემუქრება.**



ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა პოლიტიკოსებმა მიჩქმალეს და არა იმიტომ, რომ ვერ ხვდებიან, არამედ იციან, რომ ამაზე საუბარი ზიანის მომტანია მათი სკამებისთვის. პოლიტიკოსები საკუთარ თავზე ფიქრობენ და არა ხალხის ნება-სურვილზე. ჩვენ კი, 25 წელიწადია, საშუალება არ გვაქვს, ავირჩიოთ ის მთავრობა, რომელიც გვსურს. შედეგიც სახეზეა. პოლიტიკოსები ქართველი ხალხისგან ყრუ კედლით არიან დაშორებულები. ამის გამო არჩევნებში, 20 წელზე მეტია, მონაწილეობა არ მიმიღია.

უკანასკნელ არჩევნებში იმედი გაჩნდა, რომ მოგვშორდებოდა ჭირი სააკაშვილის სახით, მაგრამ მხოლოდ სააკაშვილის განდევნა პოლიტიკიდან არ იყო ქართველი ხალხის ოცნების ხორცშესხმა. **სამწუხაროდ, ქვეყანაში გაჩნდა პრობლემა, რომელიც თავზარდამცემია.**

## ელიზბარ ჯაველიძე: ეს სისტემა ამერიკამ შექმნა, მოიტანა და დანერგა; ამას, თუ გნებავთ, კონტრიბუცია უწოდეთ, ხარკი, მონობა, ეს სისტემა დღემდე მუშაობს

**ადამიანში როდესაც იღვიძებს იმედი და შემდეგ კვდება, ეს მისთვის ყველაზე დიდი დარტყმაა. სააკაშვილი გამოკვეთილი მტერი იყო და მას ხმალშემართული ვებრძოდით, ახლა გაურკვევლობაში ვართ.** სააკაშვილის არყოფნა საკმარისი არ არის, მისი კუდების ყურება უფრო გამაღიზიანებელია. ყველაფერი აღიზიანებს დღეს ქართველ ადამიანს — ტელევიზია, იქიდან გადმოფრქვეული უმსგავსობა, სიბინძურე, ისევ ის სახეები, რომელთა დანახვაც არავის სიამოვნებდა არც მაშინ და დღეს — მითუმეტეს... თქვენ გგონიათ, მე შეკითხვას გადავუხვიე? არა, ეს არის პასუხი; ამას, **ყველაფერს, ინდივიდები კი არ აკეთებენ, არამედ ესაა სისტემა, რომელიც ამერიკამ შექმნა, მოიტანა და დანერგა. ამას, თუ გნებავთ, კონტრიბუცია უწოდეთ, ხარკი, მონობა, ეს სისტემა დღემდე მუშაობს, მანქანას შეიძლება ჭანჭიკი შეუცვალო, მაგრამ ჭანჭიკი მის მოქმედებას არ შეცვლის, პირიქით — უფრო აძლიერებს. დღეს ჩვენზეა დამოკიდებული, მივიღებთ თუ არა გარედან თავსმოხვეულ ინიციატივებს, მაგრამ, საუბედუროდ, ქართველი პოლიტიკოსები ამას დიდი სიამოვნებით ასრულებენ.**

რა მოხდა ჩვენს მეზობელ ქვეყანაში — უკრაინაში? პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ეს რუსეთის ბრალია, მაგრამ, თუ ვინმეს უკრაინაში ასეთი არეულობა არ აძლევდა ხელს, ეს რუსეთია. გადავავლოთ თვალი „ფერად რევოლუციებს“. ყველამ კარგად ვიცით, ვისი ინიციატივით ხდებოდა ისინი. ყველგან რევოლუციების ინიციატორი იყო ის სატანური ძალა, რომელიც ფესვგადგმულია ამერიკაში.

**ჩვენი ერთდერთი საშველია ახალი არჩევნები. თავდადებას არავის ვთხოვთ, უბრალოდ, გვინდა ქვეყნის სათავეში ხალხი, რომელიც პირად ბედნიერებაზე წინ ქვეყანას დააყენებს. მტკნარი სიცრუეა იმაზე საუბარი, რომ 90% ევროინტეგრაციის მომხრეა.** პირველი ამერიკანისტი მე ვიყავი და ვბეჭდავდი „ამერიკის ხმის“ ინფორმაციას, მაგრამ დღეს ვაცხადებ, რომ **ამერიკაზე საზარელი და საზიზღარი ქვეყანა არ არსებობს. ის დემოკრატიის სახელით უდიდეს სიბინძურეებს გვახვევს თავს ჩვენც და ჩვენისთანა ქვეყნებს.** 26 მაისს მომხდარი ვანდალიზმი და უკრაინაში მომდინარე მოვლენები შევადაროთ ერთმანეთს. ამერიკამ ორივე შემთხვევაში განაცხადა, რომ ეს იყო დასჯა ურჩი ადამიანებისა, ისინი ცდილობენ, მუდმივად მოახდინონ მანიპულირება იმით, რომ ვიღაც ვიღაცის სიმშვიდეს არღვევს და ამიტომ უნდა ჩაერიოს. **უკრაინაში იწვოდა ქალაქი, ჰყავდათ სნაიპერები, ხოცავდნენ ადამიანებს — ამას ყველაფერს კი ხელისუფლებას აბრალებდნენ, თუმცა კარგად ვიცით, რომ იქ ამერიკის საელჩოს მანქანებით დადიოდნენ და ფულს არიგებდნენ.** საბოლოოდ, როდესაც ამერიკა მიხვდა, რომ შეიძლებოდა ოპოზიციის ლიდერი ვიტალი კლიჩკო ეროვნულ რელსებზე გადასულიყო, პროცესები შეაჩერა. ასეთი ბინძური ამერიკა ჩვენს ხელისუფლებას გაიდეალებული ჰყავს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ ეღირსება თანამდებობას, თუ ამერიკას არ დაემორჩილება. ნორლანდი არის ყველგან და ყველასთან, მაგრამ მინდა მას ვუთხრა, წავიდეს და ამერიკის „ბოზ მამიდას“ მიხედოს, ჩვენ მისი ჭკუის დარიგება არ გვჭირდება.

ახლა გადათარგმნეს პარაფირებული ხელშეკრულება, რომლის 16 პუნქტი გაწერილია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ შვილები, რომ პატივი სცენ ლგბტ-ებს. საქართველოში დღესაც ცდილობენ, დაწინაურდნენ ის ადამიანები, რომლებიც ფალოსის ტორტებს ჭამენ და თან ჩხუბობენ, რომელს რომელი ნაწილი უნდა შეხვდეს. ადამიანები, რომელთაც სამშობლო უყვართ, მარგინალებად აქციეს და ეს გრძელდება დღესაც.

**ისტორიის კარგი მცოდნე ვარ. ქართველი ერი ფიზიკურად გადარჩა რუსეთის ხელში. რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები, მაგრამ რატომ წაგვართვა? ამას არავინ კითხულობს, ამის მიზეზი აქ, ჩვენს ხელისუფლებაში, უნდა ვეძებოთ, მაგრამ ამერიკისგან უფრო დიდ საშიშროებას ვხედავ, ვიდრე რუსეთისგან. ამერიკა სულს გვართმევს, ჩვენი შვილები იზრდებიან პრინციპით — ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც უკეთესად ვიცხოვრებ!**

საშინელებაა, როდესაც შენი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა სხვის ომში მიდის. ჩვენ გვახსოვს მამლუქები, მაგრამ ყველა მათგანს დიდი პატივი ერგო, მათ მოიხსენიებდნენ, როგორც დიდ მეომრებს. ჩვენი ჯარისკაცები კი ყველანაირად დამცირებულნი არიან: ჯერ ერთი, ცოტას უხდიან ჯამაგირს, იაფი მეომრები არიან, არც დაღუპულებს აქვთ პატივისცემა დიდად. **ქართველები დაქირავებულ ჯარისკაცებად აქციეს, დაქირავებული ჯარისკაცი კი როდის მოიხედავს თავისი სამშობლოს დასაცავად, კაცმა არ იცის. ამას ნატოში შესასვლელად აკეთებენ, მაგრამ ნატოში ჩვენ ვერ შევალთ. ამით მხოლოდ გადაგვარებულ ევროპელებს თუ ამერიკელებს დავემსგავსებით.**

ამერიკის კონტრიბუცია თუ ჩვენი მთავრობის საკუთარი ინიციატივა მარტო ჩვენი ბიჭების მსხვერპლად შეწირვაში კი არ გამოიხატება, არამედ ჩვენი სულიერების, განათლების, მეცნიერების, კულტურის განადგურებაში, რომელშიც ყველაზე დიდი წვლილი საკუთარ სკამებზე მოფიქრალ ჩვენს მთავრობის წევრებს მიუძღვით. საქართველო, როდესაც დაპყრობილი იყო და ჩვენ მართლაც სამხედრო ხარკს ვიხდიდით, მაშინ სახელიც დიდი გვქონდა. ჩვენი ბიჭების აფრიკაში წასვლა მხოლოდ ერთმა პარლამენტარმა გააპროტესტა, სამწუხაროდ.

პრეზიდენტი გამოვიდა პარლამენტში, როგორც ჩანს, მას მხოლოდ კარგი ფაჩუჩების ქსოვა ცოდნია, რადგან ქვეყნის პრეზიდენტს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ქართველი კაცის პრობლემებზე, ერთი სიტყვა არ დასცდენია ჩვენი ჯარისკაცების აფრიკაში გაშვებაზე.

**— ამბობენ, სოროსი უნდა ჩამოვიდეს, ფონდის მუშაობა ხელახლა უნდა დაგეგმოს, გადაახალისოს და მიშას დაბრუნებაზე უნდა იზრუნოსო.**

— ყველაფერი მოსალოდნელია. ჩვენ შევქმენით მოძრაობა „ანტისოროსი“, მხარში იგორ გიორგაძის პარტია გვედგა, მაშინ მაია თოფურია (არაჩვეულებრივი ქალბატონი), თემურ ჟორჟოლიანი, ზაზა დავითაია — სულ 12 ადა-

## ირაკლი ღარიბაშვილმა არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო.**

ირაკლი ღარიბაშვილს ეროვნულ სასაფლაოზე გენერალი ჯეფრი ბუჩანანი მიესალმა. ცერემონიაში 330 ჯარისკაცი მონაწილეობდა, რომლებმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად საზეიმო ზალპი 19-ჯერ გაისროლეს. შესრულდა საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო ჰიმნები.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოზე მდებარე მუზეუმიც დაათვალიერა და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ცერემონიის ხელმძღვანელმა ჰარი ჰარდმა კი ირაკლი ღარიბაშვილი საპატიო სერტიფიკატით დააჯილდოვა.

უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინით შემკობის ცერემონიაში საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით მონაწილეობდა.



**„უკრაინაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელშიც უკრაინელი არც ხალხი მონაწილეობდა და არც მაღალჩინოსნები, მთავარი ფიგურები იყვნენ ევროპელი პოლიტიკოსები. მათ აიძულეს იანუკოვიჩი, წასულიყო ისეთ დათმობებზე, რომელიც უკრაინელი ხალხის ღალატი უფროა, ვიდრე დათმობა. ევროპის ყიჟინა გამარჯვებაზე ჯერ ნაადრევია, დამთავრებული არ არის არაფერი, მოვლენები შეიძლება გართულდეს, ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირება იკვეთება.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მიანი დააპატიმრეს, ახალმა მთავრობამ გაათავისუფლა და ვითომ არაფერი, ისე ჩაიარა ამ ამბავმა, არავინ დაუსჯიათ. სოროსის წინააღმდეგ იმიტომ ვიბრძოდით, რომ ყველაფერი, რაც საქართველოში საშინელება ხდება, მისი დამსახურებაა. **ფონდ „ღია საზოგადოების“ წესდებაში უწერია, რომ ლაბორატორიაშიც კი არ უნდა იჯდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი პრინციპების გამტარებილი არ იქნებაო. ჰოდა, საქმე ასეც მიდის: დღეს უკვე ხელისუფლებაში გვყავს ხიდაშელ-უფუპოვი, თამარ ჩუგოშვილი კი პრემიერის მრჩეველია. უნივერსიტეტიდან აკადემიკოსები გამოუშვეს და, თუთბერიძე სადაც კითხულობს ლექციას, ის ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტად ითვლება. ვინც საქართველო სიზმარში ნახა, ყველა გაანადგურეს.**



სოროსი საშიში პიროვნებაა. ის თავის ფინანსებს მთლიანად მოახმარს იმას, რომ თავისი ბინძური გავლენის ქვეშ მოაქციოს საქართველო. რაც შეეხება სააკაშვილის რეაბილიტაციას, ამას მარტო სოროსი კი არა, ნახევარი მსოფლიო ცდილობს. ამ ხელისუფლების უნიათობაზეც ყველა საუბრობს და მართლაც ასეა, სხვა შემთხვევაში პედოფილიაში შემჩნეული გივი თარგამაძე ასეთი გონორით ვერ ილაპარაკებდა. მოკლედ, ბერძენიშვილს სურს, რომ „ნაცები“ გადაარჩინოს და ამიტომაც მათ ყველა ეფერება; ამერიკასაც ეს სურს, თუ ახალი ხელისუფლება დროზე გონს არ მოეგება, მაშინ „ნაცებთან“ ერთად, ამათაც ისე გაუშვებენ, რომ შეიძლება ცოცხებიც კი მოენატროთ.

## გულბაათ რცხილაძე: ქართული ცოცხალი საზარბაზნე ხორცი იაფი ჯდება

**გულბაათ რცხილაძე,** **ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

**— ეს არ არის კონტრიბუცია, ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველო ამერიკის გავლენის ქვეშ არის და ამიტომაც ამ ხარკს საკუთარი ინიციატივით ვიხდით, ამერიკაც უარს არ გვეუბნება, რადგან ქართული ცოცხალი საზარბაზნე ხორცი იაფი ჯდება, თავად კი თანხებს ზოგავს, თან საბრძოლო ვითარებაში პოლიტიკური სატელიტების ჩართვაც არ არის მათთვის უმნიშვნელო პროცესი.**



საქართველო დაბლა დგას სხვა სატელიტებთან შედარებით, ჩვენი მთავრობაც თავისი ჯარისკაცებით ამიტომაც კეკლუცობს. გარდა ამისა, **საქართველომ კარგად იცის, რომ ამერიკას ხარკი ისე უნდა მივართვათ, რომ თითქოს ამერიკის სამხედრო ავანტიურებში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამით ჩვენი ჯარი ვითარდება, ეზიარება დემოკრატიას და უახლოვდება დასავლეთს. ეს არის დემაგოგია, რომელიც ყველასთვის კარგად არის ცნობილი.**

**მინდა იცოდეთ, რომ საქართველოს არავინ ძალას არ ატანს. სააკაშვილის დროს ჯარისკაცებზე ძალდატანება იყო, მაგრამ დღეს ამას არავინ აკეთებს.**

ვფიქრობ, ყველას ღირსება უნდა ჰქონდეს და ცოტა პოლიტიკური აზროვნებაც, თუ რას აკეთებს და სად მიდის. სამხედროს ევალება, ცოტა პოლიტიკურადაც იაზროვნოს, იმ დონეზე მაინც, რომ არ იძახოს, სამშობლოს ვიცავო, როცა ვიღაც თავისი ამბიციებისთვის იყენებს. ჯარისკაცმა, რომელიც იქ იბრძვის, თავად უკეთ იცის, მას რამდენს უხდიან და სხვა ქვეყნიდან ჩასულებს — რამდენს, ამიტომ ასე იაფად ნუ გაიყიდებიან, მათი შრომა, სისხლი და ენერგია ბევრად მეტი ღირს. მითუმეტეს, როდესაც საუბარია გაურკვეველ სამხედრო ავანტიურებზე, რომლებზეც ბევრი სხვა სახელმწიფო უარს ამბობს. **ქართველი ჯარისკაცების ამერიკულ ავანტიურაში მონაწილეობა საქართველოს საერთოდ არ სჭირდება, ჩვენ ისედაც ვკარგავთ თანამოქალაქეებს — ზოგს შიმშილით, ავადმყოფობით, ნარკოტიკებით და ასეთ ვითარებაში, ჯანმრთელ, ჯანსაღ მებრძოლ ადამიანებს სხვა ქვეყანაში ვუშვებთ სასიკვდილოდ, უკეთეს შემთხვევაში, ფსიქიკურად დაავადებულებს ვიღებთ უკან.**

**— უკრაინის მოვლენებს შევეხოთ, რამდენად შესაძლებელია, რომ პატარა ევრომაიდანი აქაც მოეწყოს, თუ ვინმე, მაგალითად, სოროსი, გადაწყვეტს, რომ სააკაშვილის რეაბილიტაცია მოახდინოს?**

— სოროსი ამისთვის ბებერია. სოროსის დონეზე არ წყდება ასეთი ამბავი, ის სტრატეგი აღარ არის. სტრატეგიას განსაზღვრავენ ამერიკის სპეცსამსახურები, პრეზიდენტისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციები, ეროვნული უშიშროები სააგენტო. **ამერიკა არის სპეცსამსახურების ქვეყანა, ასეთი რუსეთს არც დაესიზმრება, მსგავსი მხოლოდ ამერიკასა და ისრაელს აქვთ. ამიტომ სოროსი მიშას უკან დაბრუნების საქმეში არ სჭირდებათ, აქვე გვაქვს ამერიკის საელჩო მთელი შემადგენლობით, ინსტრუქტორებით, აგენტებით და, თუ რამე მოხდება, ეს იქნება ამერიკის საელჩოს დამსახურება.**

## ვალერიან დოლიძე: ამერიკულ თამაშებში ჩართვა ჩვენთვის ყოველმხრივ დამღუპველია



**ვალერიან დოლიძე, პროფესორი:**

— საქართველოში გაჭირვებაა, ხალხს შია, ამიტომ ამერიკისთვის ჩვენი გაჭირვება ხელსაყრელია და სარგებლობს კიდეც. ჩვენი ჯარისკაცები იქ გაჭირვების გამო მიდიან. ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება აქტიური არ არის, პოლიტიკურადაც ვერ გაიზარდა, ღარიბია, ამიტომ ამერიკელები ჩვენნაირ ქვეყნებს ასეთი საქმეებისთვის იყენებენ.

**ამ ჯარისკაცებს ჩვენი მთავრობა არწმუნებს, რომ ტერიტორიების დაბრუნებაში დაგვეხმარება „ამერიკისთვის გაწეული დახმარება“, რაც აბსურდია. ყველა უნდა დაფიქრდეს, რას სჩადიან ჩვენი ბიჭების სხვა ქვეყანაში გაშვებით; რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, თანაც გროშებისთვის; ამერიკულ თამაშებში ჩართვა ჩვენთვის ყოველმხრივ დამღუპველია, ამას ჰქვია „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“.**

ჯარი დახურული სტრუქტურაა, ამიტომ მათი იდეოლოგია არ არის ცნობილი, გასაკვირია ის განცხადებები, რომელთაც ჩვენი ჯარისკაცები აკეთებენ ავღანეთიდან — ჩვენ სამშობლოს ვიცავთო. სად არის ჩვენი სამშობლო — ავღანეთში თუ აფრიკაში? მთავრობას ურჩევნია, ჯარისკაცებს ცხოვრება გაუუმჯობესოს და ფულის გულისთვის სამშობლოდან ათასი კილომეტრის დაშორებით სიკვდილი აარიდოს. თავს იმართლებენ, ნატოს დავუახლოვდებითო. სისულელეა, გაღატაკებული ქვეყანა ნატოს როგორ დაუახლოვდება?!

## ვალერი კვარაცხელია: არ შეიძლება, შეასრულო ყველა დავალება, რომელთაც ამერიკა დაგაკისრებს და ფაქტია, აქ კონტრიბუცია არაფერ შუაშია

**ვალერი კვარაცხელია,** **პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— ეს არ არის კონტრიბუცია, საქართველო სიამოვნებით ყოფს თავს ამ ყულფში — უსიტყვოდ ემორჩილება დასავლეთიდან და ამერიკიდან მომავალ ყველა დირექტივას. **საქართველოს ძალიან დიდი მსხვერპლი, ცრემლი და ტკივილი მოუტანა ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობამ ნატოს პროგრამებში. დროა, გონს მოეგოს ჩვენი ხელისუფლება, თანაც ვხედავთ, უკრაინაში რაც მოხდა. არ შეიძლება, როცა მართლა კონტრიბუციასთან არ გაქვს საქმე, შეასრულო ყველა დავალება, რომელთაც ამერიკა დაგაკისრებს; ფაქტია, აქ კონტრიბუცია არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩვენი ხელისუფლება საკუთარი სკამების გამყარების გზას მხოლოდ ამაში ხედავს. ჩვენ ხომ ჩვენი ხელისუფლება არ გვყავს, იგი თავსმოხვეულია.**

25 წელიწადია, ამერიკისა და ევროპის პოლიტიკის გატარებამ ამ მდგომარეობამდე მოგვიყვანა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩვენი ჯარისკაცი ფულის გამო ცხრა მთას იქით იბრძვის. ეს საშინელი რეალობაა.

კონტრიბუცია ის სიტყვა არ არის, რომელიც ჩვენი ჯარის ამერიკის ავანტიურაში ჩართვას შეეფერება, რადგან ეს არის ჩვენი მთავრობის სურვილი, რომ ქართველი ჯარისკაცები ამერიკის და ნატოს პროგრამებში იყვნენ ჩართულები, ეს ამერიკას აძლევს ხელს, ამით მიბმული ჰყავს საქართველო.

**— ამბობენ, სოროსი ჩამოდის და შეეცდებიან, სააკაშვილის უკან დაბრუნებაზე იმუშაონ...**

— არაფერი მსმენია სოროსის ვიზიტზე. სოროსი გახლავთ ულევი ფული, რომელიც ჩვენი ქვეყნის დაქცევისკენ არის მიმართული, მაგრამ მერე აღმოვაჩინეთ, რომ მის ფონდს საქართველოში ბიძინა ივანიშვილი ავსებდა, ყველაფერი გადაბმულ-გადახლართულია, ამაზე არ მინდა საუბარი, მაგრამ ვიტყვი, რომ იმის ფონზე, რაც უკრაინაში მოხდა, სოროსის გააქტიურება ნამდვილად არ გამიკვირდება.

**უკრაინაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელშიც უკრაინელი არც ხალხი მონაწილეობდა და არც მაღალჩინოსნები, მთავარი ფიგურები იყვნენ ევროპელი პოლიტიკოსები. მათ აიძულეს იანუკოვიჩი, წასულიყო ისეთ დათმობებზე, რომელიც უკრაინელი ხალხის ღალატი უფროა, ვიდრე დათმობა. ევროპის ყიჟინა გამარჯვებაზე ჯერ ნაადრევია, დამთავრებული არ არის არაფერი, მოვლენები შეიძლება გართულდეს, ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირება იკვეთება.**

ისინი ცდილობენ, რუსეთს ფრთები შეუკვეცონ და ნატოსა და ევროკავშირის ალყაში მოაქციონ, მაგრამ რამდენად შეუძლია ამაზე დათანხმება პუტინს, ვერ გეტყვით, რადგან რუსეთს შეუძლია უკან დახევა და მოთმენა, ვიდრე კედელს მიადგება, მაგრამ, მგონი, ახლა უკვე კედელთან დგას, უკრაინის დათმობა ნიშნავს გაზგამტარის დათმობას, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე გადის და ევროპას მიეწოდება, იქ არის რუსული ფლოტი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას აღარ დარჩება მოკავშირე, რადგან, თუ ახლა უკან დაიხევს, აშკარად ცუდი სიგნალი იქნება ეს ბელარუსისთვის, ყაზახეთისთვის, ყირგიზეთისთვის, სომხეთისთვის, რომლებიც საკუთარ თავს ევრაზიულ კავშირში მოიაზრებენ. რუსეთის უკან დახევა ნიშნავს რუსეთის დაშლის სანუკვარი ოცნების ასრულებას. **უკრაინაში მიმდინარე მოვლენები უფრო რუსეთის გამო დაიწყო. ეს მოვლენები საქართველოზეც აისახება, ვფიქრობ, საქართველოშიც სერიოზული გართულებებია მოსალოდნელი. პოლიტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთს ჩვენს ქვეყანაში ბერკეტები არ აქვს, ის ან უვიცია, ან რაღაცის მიჩქმალვას ცდილობს, რუსეთს უამრავი ბერკეტი აქვს იმისათვის, რომ საქართველოზე გავლენა მოახდინოს.** ამიტომ მთავრობამ გონივრული ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ სამ ნაწილად გახლეჩილი ქვეყანა უფრო არ დაანაწევროს. ჩვენ უფრო ფრთხილები უნდა ვიყოთ, ამის გამოცდილება წლებმა შეგვძინა. აქვე მინდა ვთქვა ისიც, რომ სირცხვილია, რაც რაგბის თამაშზე მოხდა, რუსული ჰიმნი სტვენით რომ გადაფარეს.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## ამერიკისთვის საქართველოს პრემიერი დამოუკიდებელი და სანდო მოკავშირეა

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ღარიბაშვილი-ობამას შეხვედრას წარმატებულს უწოდებს და აცხადებს, რომ საქართველო-ამერიკას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.**

„ირაკლი ღარიბაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრა არის დასტური იმისა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ამერიკული მხარე უყურებს, როგორც დამოუკიდებელ და სანდო მოკავშირეს. სწორედ ეს ნდობა ჩვენი ორი ქვეყნის ლიდერებს შორის მართლაც თვისობრივად ახალ საფეხურზე გადაიყვანს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს. იცით, რომ გაჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ძალიან დინამიური იქნება – ეს არის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ქვეყნის ეკონომიკისთვის იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი და სხვა მიმართულებებს კიდევ უფრო გააძლიერებს, ისეთს, როგორიცაა სამხედრო თანამშრომლობა, ზოგადად ჩვენი სამოკავშირეო ურთიერთობები ნატო-ში. ბარაკ ობამამ და ამერიკელმა ლიდერებმა გამოთქვეს სრული მხარდაჭერა ჩვენი ნატო-ში ინტეგრაციის კუთხითაც და ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძნელია, დაიჯერო ის, რომ ქართველი ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს იმის გამო ტოვებს და იმიტომ მიდის ტყვიასა თუ კანიბალის მაჩეტეზე, რომ ეს სამშობლოს სჭირდება. საქმე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რომ ეხებოდეს, კიდევ — ჰო, მაგრამ აფრიკის გავლით ნატოს გზაზე დადგომა, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდს ჰგავს. რეალურად საქმე ხელფასშია, იმ ხელფასში, რომელიც საქართველოში მოსახლეობის 70 პროცენტს არ აქვს...**

# რა ღირს ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე?

**ბოლომდე ისიც ვერ გაუგია ყველას, რატომ იბრძვიან ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში და ახლა ირკვევა, რომ ქართული კონტიგენტი ცენტრალურ აფრიკაში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ევროკავშირმა შესთავაზა საქართველოს, ჩვენმა ხელისუფლებამ განიხილა, მოიწონა და 21 თებერვალს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გიორგი მარგველაშვილმა პირდაპირ მოუწოდა მთავრობას, რომ ქართულ საჯარისო ნაწილებს ამის ნება დართონ.**



ვიდრე უშუალოდ იმას მოგახსენებთ, სად იმსახურებენ ჩვენი ბიჭები, გეტყვით, რომ ანალოგიურ შეთავაზებაზე არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ თქვა უარი და ამით საკუთარ მომავალს გაუფრთხილდა, ჩვენ კი უშურველად ვუშვებთ ქართველ ჯარისკაცებს იქ, სადაც ამას წინათ ქუჩაში მიმავალი ადამიანი მაჩეტეებით აჩეხეს და იქვე შეჭამეს, ანუ **ჯარისკაცები ამ ქვეყანაში არა მხოლოდ აჯანყებული ადამიანების, არამედ რიგითი კანიბალების სამიზნეებიც იქნებიან და სულ არ დაგიდევენ, ვისი ხორცის ჭამა მოუწევთ — მთავარია, დანაყრდნენ.**

ახალმა ხელისუფლებამ ავღანეთში მყოფ ქართულ დანაყოფს ჯამაგირი მალევე გაუზარდა. რიგითებს 40%-ით გაეზარდათ სარგო და 715 დოლარის ნაცვლად 1001 დოლარი აქვთ; კაპრალებს, 780 დოლარის ნაცვლად, — 1040 დოლარი; უმცროს სერჟანტებს, 845 დოლარის ნაცვლად, — 1079 დოლარი; სერჟანტები, 910 დოლარის ნაცვლად, 1118 დოლარს მიიღებენ; უფროსი სერჟანტები, 975 დოლარის ნაცვლად, — 1157 დოლარს; მასტერ-სერჟანტები, 1105 დოლარის ნაცვლად, — 1235 დოლარს; მთავარი სერჟანტები, 1170-ის ნაცვლად, — 1300 დოლარს; ლეიტენანტები, 1274 დოლარის ნაცვლად, — 1391 დოლარს; უფროსი ლეიტენანტები, 1300 დოლარის ნაცვლად, — 1417 დოლარს; კაპიტნებს ჯამაგირი 1430 დოლარიდან 1547 დოლარამდე გაეზარდათ; მაიორები, 1690-ის ნაცვლად, 1781 დოლარს მიიღებენ; ვიცეპოლკოვნიკებს 1950 დოლარიდან 2041 დოლარამდე გაუზარდეს ჯამაგირი; პოლკოვნიკების ანაზღაურება კი, 2210 დოლარის ნაცვლად, 2301 დოლარი იქნება. ეს ყველაფერი ასე დეტალებში იმიტომ მოგიყევით, რომ აფრიკაში წასასვლელად გამზადებული კონტიგენტიც ანალოგიურ ხელფასს მიიღებს.

**არ შეიძლება თავდაცვის მინისტრის ხელფასი იმაზე ათჯერ მეტი იყოს, ვიდრე იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც ტყვიას შუბლს უშვერენ და რომელთა თავდადებითაც ევროპასა თუ ამერიკაში ვიწონებთ თავს**

**ძნელია, დაიჯერო ის, რომ ქართველი ადამიანი ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს იმის გამო ტოვებს და იმიტომ მიდის ტყვიასა თუ კანიბალის მაჩეტეზე, რომ ეს სამშობლოს სჭირდება. საქმე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რომ ეხებოდეს, კიდევ — ჰო, მაგრამ აფრიკის გავლით ნატოს გზაზე დადგომა, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდს ჰგავს.** რეალურად საქმე ხელფასშია, იმ ხელფასში, რომელიც საქართველოში მოსახლეობის 70 პროცენტს არ აქვს და სწორედ ოჯახის წევრთა შესანახავად „მიეფიცხებიან“ აფრიკულ მზეს ქართველები და სწორედ ოჯახების გამო დადიან ავღანურ ხრიოკებზე. თუ არ გჯერათ, ექსპერიმენტი ჩაატარეთ, **იგივე ანაზღაურება საქართველოში სამსახურისთვის დაუნიშნეთ ჩვენს ჯარისკაცებს და მერე ნახავთ, რამდენს გაუჩნდება ავღანეთსა და აფრიკაში წასვლის სურვილი. არც ერთს, ბატონებო, არც ერთს!!! და ეს მწარე რეალობაა.**

კი დავიჯერებდით იმას, რომ ხელისუფლებას არ აქვს შესაძლებლობა, ეს ჯამაგირი იხადოს და მით უფრო, რომ მინისტრებსაც კი ხელფასები შეუმცირდათ და, 6300 ლარის ნაცვლად, 5000 ლარს იღებენ, თუმცა...

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ მიღებულმა თანამდებობრივმა სარგომ შეადგინა 3540 ლარი, სტაჟის დანამატი — 25%, ანუ 885 ლარი, საიდუმლოს დანამატი — 15% (531 ლარი), პრემიერმინისტრის ბრძანებით, დანამატი — 4335 ლარი, საკლასო ჩინის დანამატი 35% — 1239 ლარი, პრემია — 4335 ლარი, სულ დარიცხული ხელფასი — 20090.32. აქედან საშემოსავლოა 4018,06 ლარი, ხელზე კი აიღო 16072,26 ლარი.

**16072,26 ლარი — ეს არის თავდაცვის მინისტრის ერთი თვის ჯამაგირი. მინისტრს ნორმალური ჯამაგირი უნდა ჰქონდეს, კორუფციაზე რომ არ იფიქროს, მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს თანხა იმაზე ათჯერ მეტი იყოს, ვიდრე იმ ჯარისკაცებისა, რომლებიც ტყვიას შუბლს უშვერენ და რომელთა თავდადებითაც ევროპასა თუ ამერიკაში ვიწონებთ თავს.**

წლებია, ასე გრძელდება და სანაცვლოდ მხოლოდ დაპირებებს ვიღებთ, რომ, ადრე თუ გვიან, იბერია გაბრწყინდება და დიდი და მყარი ნაბიჯებით შევალთ ნატოში. ძალიან რთულია, ეს ყველაფერი დაიჯერო და დაიჯერო იმის ფონზე, როცა ხედავ, რომ რეალური ძვრები არ არის და, რაც მთავარია, ხელისუფლებაც მხოლოდ სასწაულის იმედზეა.

საუბედუროდ, ცხელი წერტილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ყოველთვის იქნება და, თუ ყველგან ქართველები წავლენ წესრიგის დასამყარებლად, საჭირო დროს და საჭირო მომენტში თავის დაცვა რიგით ადამიანებს მართლა ჯიბის დანებითა და ჩანგლებით მოგვიხდეს.

და ერთიც — **თუ საბოლოოდ გადაწყვეტენ, რომ ქართული ჯარი აფრიკაში უნდა წავიდეს, აეროპორტში ჰიმნის ნაცვლად „მამა აფრიკა“ დავუკრათ, ევროპელებს გაუხარდებათ.**

# მაოხრებელი ჯორჯის დაბრუნება

**არც ისე შორეულ წარსულში ასეთი რეკლამა იყო: ბავშვი რეკავდა ტელეფონზე და ნაღვლიანი ხმით ამბობდა: — „მისტერ ჯონსონ, დედაჩემი ისევ ხმარობს ჩემს შამპუნს“... ახლა არ ვიცი, სად დავრეკოთ და არსებობს კი ჩვენი მშველელი „მისტერ ჯონსონი“, მაგრამ დღეს ეს რეკლამა ასეთი შინაარსისაა: — „მისტერ ჯონსონ, ჯორჯ სოროსი ისევ ხმარობს...“ და ამ სამი წერტილის ნაცვლად, გნებავთ, წინა მთავრობის პოლიტიკური ელიტა დაწერეთ, გნებავთ, — ახლანდელის. ვერა და ვერ მოვრჩით ს(ი)როსობანას და ეს პატივცემული გვამი ისევ აპირებს ჩამოსვლას საქართველოში.**



ვიზიტი არაოფიციალურია (ოფიციალური ვიზიტით სოროსი იშვიათად დადის) და გაცხადებულია, რომ ის საქართველოში ფონდ „ღია საზოგადოების“ მუშაობას უნდა გაეცნოს, თუმცა რეალურად მას ახალ ხელისუფლებასთან სურს კავშირის გაბმა და, როგორც შევიტყვეთ, თანახმაა, ამჟამინდელ მთავრობასაც ისევე უხადოს სახელფასო დანამატი, როგორც წინას უხდიდა, სანაცვლოდ კი...

სანაცვლოდ **სოროსი გაერთობა და, როგორც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებზე, ქართველებზეც განაგრძობს ექსპერიმენტების ჩატარებას, იმ ექსპერიმენტების, რომლებიც მის ავადმყოფ ტვინში იხარშება და რომელთა შედეგადაც არამარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ აფრიკის კონტინენტზეც სისხლის მდინარეებმა იდინა.** შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ სოროსი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დაიბადა და თავდაპირველად დიერდ შვარცი ერქვა. მერე გვარი მამამისმა, ტივადარ შვარცმა, გადაიკეთა და სოროსი გახდა, შვილმა კი უცნაურად გამოსათქმელ დიერდს ჯორჯი არჩია და ასე მოევლინა ქვეყანას ფინანსისტი, რომელმაც ფინანსური სპეკულაციებით (და ზუსტად ეს ტერმინი წერია მის ბიოგრაფიაში) უამრავი ფული იშოვა, ამ ფულით კი სხვადასხვა ქვეყანაში ხან რევოლუცია დააფინანსა და ხან — ევოლუცია.

**ძია ჯორჯის მილიონებს დახარბებული ძლიერნი ამა ქვეყნისანი არ არიან წინააღმდეგნი, სოროსს უმასპინძლონ, მოუსმინონ, დაუჯერონ და მერე რა, თუ წინ მორიგი 17 მაისი გველოდება...**

**სოროსის ფულის გემო საქართველოში კარგად იციან. იციან ისიც, რომ ეს კაცი ეროვნულ ფასეულობებს ებრძვის და არ აინტერესებს არც ქვეყნის წარსული, არც აწმყო, მომავალს კი მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ გეგმავს და არ მალავს, რომ მზად არის, ლიბერალური მოძრაობები დააფინანსოს, ორიენტაციადაკარგულ ადამიანებს დახმარების ხელი გაუწოდოს და ასე წაიყვანოს ევროპისკენ.** ამას წინათ ერთმა უკრაინელმა (იმ ერის შვილმა, ყოველდღიურად სოლიდარობას რომ ვუცხადებთ და კიევში მიმდინარე მოვლენებში უკრაინელთა შემდეგ ყველაზე მეტი ქართველი რომ არის დაღუპული) განაცხადა, სოროსი ასეთ გეგმას გვთავაზობს: „ვ ევროპუ, ჩერეზ პოპუ“ და ეს ხელს არ გვაძლევსო. ჩვენთან კი კარგა ხანია, ფულს არც სუნი აქვს, არც გემო და მითუმეტეს, არც ფორმა. ამიტომ, **ძია ჯორჯის მილიონებს დახარბებული ძლიერნი ამა ქვეყნისანი არ არიან წინააღმდეგნი, სოროსს უმასპინძლონ, მოუსმინონ, დაუჯერონ და მერე რა, თუ წინ მორიგი 17 მაისი გველოდება?! მერე რა, თუ იმავე უკრაინაში ლგბტ აქტივისტთა მიერ მოწყობილ მსვლელობაში მონაწილეობა შტეფან ფულემაც მიიღო?! ჩვენ ფულეც გვიყვარს და გვიყვარს თუნდაც იმიტომ, რომ მისი გვარი ასე ძალიან ჰგავს ფულს.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, 84 წლის ჯორჯ სოროსის თავში რა გეგმაა მომწიფებული, მაგრამ, ტყუილად რომ არ ჩამოდის, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ **ამ ვიზიტს ერთგვარი საიდუმლო ელფერი დაჰკრავს და ეჭვი გვაქვს, კოალიციური მთავრობის რამდენიმე თვალსაჩინო წარმომადგენელი მისტერ სოროსს პირადად შეხვდება და მის მიერ მოწოდებულ იდეებს შეისრუტავს.** სამაგიეროდ კი სწორედ იმას სთხოვს, რაც თავში ვახსენეთ — ფულს და მერე რა, თუ სანაცვლოდ რაღაცებზე უარის თქმა მოუწევს, მთავარი მამოძრავებელი ძალა ხომ ფულია?!

**ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის დასრულდება ეს ყველაფერი, როდის მივხვდებით იმას, რომ ჯორჯ სოროსისთვის საქართველო ერთ-ერთი რიგითი ბოცვერია იმ ექსპერიმენტული ქვეყნებიდან, რომლებზეც ის ერთობა, მაგრამ, ასაკის გათვალისწინებით, მალე მისტერ ჯორჯმა მოგზაურობა ველარ უნდა შეძლოს. მანამდე კი გვიშველეთ, მისტერ ჯონსონ, ჯორჯ სოროსი ისევ ხმარობს...**

გვერდი მოამზადა **დავით მინდიაშვილმა**

**„როდესაც თვითონ სახელმწიფოს საგარეო კურსი არ აქვს მთლიანად ჩამოყალიბებული, საგარეო საქმეთა მინისტრად მადლენ ოლბრაიტიც რომ ჰყავდეს, მაინც ვერაფერს გააკეთებს. როცა შენ ბუნდოვანი გაქვს საგარეო კურსი, ვერაფერს გააკეთებ, წინსვლა არ გექნება. თუნდაც რუსეთი ავიღოთ, ზეწოლა ყველა შემთხვევაში წამოვა რუსეთისგან, თუ ჩვენ არ განვსაზღვრეთ, რა გვინდა მისგან, თუ არ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ და რანაირად ვითანამშრომლოთ მასთან.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სააკაშვილმა ევროპაში 4 ლობისტური კომპანია დაიქირავა და რევანშისთვის ემზადება?!»



**რახანია, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანა ვართ, თან ევროპა გვინდა, თან — ამერიკა და თანაც გვგონია, რომ რუსეთი, როგორც კი შევაგინებთ, მაშინვე გულში ჩაგვიკრავს, მთელი დანარჩენი მსოფლიო კი ჩაგვიხუტებს; გვავიწყდება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთი ევროპას მხსნელად მოევლინა, ამასთან, თავად ევროპელები არც კი ფიქრობენ რუსეთთან კონფრონტაციას. რა შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის უკრაინაში განვითარებულ პროცესებს, კარგია ეს თუ ცუდი ჩვენთვის, აქაც ისევე განვითარდება მოვლენები, როგორც უკრაინაში, ვინ იქნებიან მოქმედი პირები — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ესაუბრა.**



## გიორგი ფოფხაძე:

# ღარიბაშვილმა თუ არ შეცვალა მთავრობა, ცუდად მოუბრუნდება უკან ყველაფერი; ეს მთავრობა აბსოლუტურად უუნარო გამოდგა

**— არაერთი წინააღმდეგობრივი მოსაზრება გაჩნდა უკრაინის თემასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, უკრაინაში მიმდინარე პროცესები შიდა დაპირისპირებაა თუ დაპირისპირება ცივილიზაციათა შორის?**

— **საქართველოში შექმნილია წარმოდგენა რუსეთზე, თითქოს ბუაა, ევროპა კი ცოტა სხვანაირად უყურებს რუსეთსა და რუსეთში მიმდინარე მოვლენებს; თვლის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი მაინც ევროპის სტრატეგიული პარტნიორია.** დიახ, ჩვენგან განსხვავებულად განიხილავს ევროპა ამ ყველაფერს. შესაძლოა, საქართველოს თვალთახედვით ეს იყოს შიდა დაპირისპირება. ვიმეორებ, ევროპაში ეს არ იგრძნობა, მეტიც, რუსეთს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ პარტნიორს უკრაინის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. აქ სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე – ეს იყო იანუკოვიჩის თამაში, რომელმაც აბსოლუტურად არასწორად გათვალა ის, რაც უნდა გაეთვალა. აქვე მინდა ვთქვა: მოდი გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ უკრაინა საქართველოზე გაცილებით წინ არის ევროპასთან ურთიერთობის მხრივ. სხვათა შორის, იანუკოვიჩიც არ იყო ანტიევროპულად განწყობილი, უბრალოდ, როგორც გითხარით, ვერ გათვალა ის ბიუროკრატიული მექანიზმები, რომლებიც ევროპაშია. ევროპაც შეცდა იმ მომენტში, უკრაინას რომ არ დაუთმო ჯეროვანი ყურადღება.

**— მიუხედავად დიდი საინფორმაციო რეზონანსისა, ევროპა არ ცდილობს პირდაპირ დაუდგეს გვერდით უკრაინაში მისთვის მისაღებ მხარეს. ამასობაში კი ქვეყანა დაანგრიეს, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მშვიდი და დაწყნარებული უკრაინა ევროპისთვის არც ისე მისაღებია?**

— ევროპა ყოველთვის სტაბილურობის მომხრეა. ევროპელები გამოდიან ერთი მოსაზრებიდან: მაგ., საქართველოში არასტაბილურობამ ჩემთან არასტაბილურობა არ გამოიწვიოსო. აი, ამიტომ არიან იქ სტაბილურობის გარანტები, დიახ, იმიტომ აკეთებენ ამას, რომ თვითონ არ შეწუხდნენ. იქნებ განვიხილოთ, რა შეცდომა დაუშვა ევროპამ და თავად იანუკოვიჩმა.

**იანუკოვიჩი, როდესაც ჩამოდიოდა, ყოველთვის აცხადებდა, რომ უკრაინა, აუცილებლად უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ასოცირებაზე ლაპარაკი არ იყო. რატომ? იანუკოვიჩი ამბობდა, რომ მათ ეს პროცესი, ასოცირების ხელშეკრულება, უკვე გაიარეს, ანუ მსგავს დოკუმენტზე ხელი მოწერილი გვაქვსო. ის გულისხმობდა ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას, რომელსაც უკრაინამ და ევროკავშირმა 1995 წელს მოაწერეს ხელი. ჩვენ კი ეს ეტაპი ჯერ გასავლელი გვაქვს, ჩვენ ასოცირებას ახლა ვაწერთ ხელს. უკრაინამ ეს ყველაფერი 1995 წელს გაიარა, უბრალოდ, მაშინ ასოცირების ხელშეკრულების სხვა ფორმატი არსებობდა.** აი, ამიტომ არ თანხმდებოდა იანუკოვიჩი ასოცირების ხელშეკრულებას, ის ამბობდა, წინ წავიდეთ, ანუ კოპენჰაგენის ხელშეკრულებით დავიწყოთ საუბარიო, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავდა ევროკავშირში გაწევრიანებას. და მე მახსოვს, ბაროზოსა და სოლანას პასუხები: ეს გრძელი პროცესია, უკრაინამ ჯერ დემოკრატიული პროცესები უნდა განავითაროსო. ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი უკრაინასა და ევროკავშირს შორის იყო დემოკრატიული ფაქტორი.

**ჩვენგან განსხვავებით, უკრაინას საღად აფასებდა ევროკავშირი, ისე, როგორც უნდა უყურებდეს ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირისკენ ისწრაფვიან. ეს ჩვენთან იყო, რომ სააკაშვილი აპრიორი ითვლებოდა დემოკრატიის გარანტად, რადგან ჩვენს სახელმწიფოში არავინ იყო, ვინც ეტყოდა ევროკავშირს, რომ საქართველოში ისე არაფერი ხდება, როგორც თქვენ გგონიათო.** დიახ, უკრაინა საქართველოსთან შედარებით მედიის თავისუფლებითაც წინ იყო, სახელმწიფო სტრუქტურების თავისუფლებითაც და მრავალპარტიულობითაც. მოკლედ, იმიტომ ამბობდა იანუკოვიჩი უარს ასოცირების ხელშეკრულებაზე, რომ ასოცირების ხელშეკრულება იყო მისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი, მას კი წინ წასვლა სურდა.

**— საუბრები, რომ რუსეთის ფაქტორის გამო შეიკავა თავი იანუკოვიჩმა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისგან, არ შეესაბამება სიმართლეს? ისე, უკრაინა ვერ წავიდა წინ და საქართველოს რისი იმედი აქვს?**

— არა, სისულელეა, ისევე, როგორც ის საუბრები, თითქოს რუსეთი ჩაერთო ამ პროცესში. გახსოვთ, ალბათ, მერკელისა და იანუკოვიჩის საუბარი, რომელიც სოციალურ ქსელშიც გავრცელდა. ის პირდაპირ ეუბნება მერკელს, თქვენ დამტოვეთ მე რუსეთთან პირისპირ მარტოო. ისინი ჩვენსავით ბრმად არ აწერდნენ ხელს, ჩვენ კიდევ მივედით და ბრმად მოვაწერეთ ხელი დოკუმენტს; ახლა კი ვკითხულობთ: რას მოვაწერეთ? ახლა ითარგმნა ის ტექსტი და არა მანამდე. უკრაინაში საჯარო, სახალხო განხილვა იყო ამ ტექსტის. ჰოდა, აი, ეს პირობები იყო, რაც ზემოთ გითხარით, აქედან გამომდინარე დაიწყო უკრაინაში ის, რაც დაიწყო. **ხალხი ქუჩაში სპონტანურად გამოვიდა, მათ იანუკოვიჩის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერა უკრაინისთვის დამანგრეველ ფაქტად შეაფასეს, რადგან ევროპაში შესვლა უნდოდათ. ერთი სიტყვით, ის, რაც მოხდა უკრაინაში, იყო იანუკოვიჩის არაადეკვატური პოლიტიკისა და ევროკავშირის მესვეურების აბსოლუტურად არაადეკვატური პოლიტიკის შედეგი.**

**— გავრცელდა მოსაზრება, რომ უკრაინის შემდეგ რუსეთი საქართველოსთვის მოიცლის...**

— არ გამოვრიცხავ, რადგან ვხედავ ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ევროპას აბსოლუტურად აიგნორებს. და ამ დროს რა ხდება, იცით? **სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ დღემდე ოთხ ლობისტურ კომპანიასთან მუშაობს ევროპაში, ანუ ოთხი ლობისტური კანტორა ჰყავს დაქირავებული, რომლებიც დილიდან საღამომდე მუშაობენ და ის ინფორმაციები მიაქვთ ევროპელებთან, რომლებიც სააკაშვილს სურს.** დავიღალე საქართველოს მთავრობასთან ამაზე ლაპარაკით, აღარ შემიძლია, ვეუბნები, — ეს გააკეთეთ, ის გააკეთეთ, ამათ კი ძინავთ. დიახ, არაფერი შედის ამათ ტვინში. დამიჯერეთ, **სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ემზადება რევანშისთვის და ზუსტად იმის გაკეთებას გეგმავენ, რაც მოხდა უკრაინაში, მაგრამ უკრაინაში ეს მოხდა ბუნებრივად, ესენი კი ამის გაკეთებას ხელოვნურად აპირებენ, მეტიც, ამათ უკვე ევროკავშირის მესვეურები შეგუებული ჰყავთ იმ აზრს, რომ, ხვალ მიშა სააკაშვილი მომხრეებთან ერთად შტურმით რომ შევარდეს მთავრობის კანცელარიაში და აიღოს საქართველოს მთავრობა, ევროკავშირში არ მოიძებნება ერთი კაციც კი, რომელიც იტყვის, სააკაშვილი არასწორად მოიქცაო.**

**— ასე წარმატებით მუშაობენ „ნაცების“ ლობისტები?**

— აბსოლუტურად წარმატებულად მუშაობენ, ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს. ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი იყო მნიშვნელოვანი, ანუ კაცი დაჯდა და ნორმალურად აუხსნა ევროპელებს სიტუაცია, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგია როგორაა მოწყობილი, ხომ იცით? — ყოველდღიურად თუ არ უმეორე, არაფერი გამოვა. და ამ დროს რა ხდება? ყოველდღე ის იღებს სააკაშვილის მომხრეებისგან ინფორმაციას, რომ საქართველოში ყველაფერი ცუდადაა, შენ კი წელიწადში ერთხელ ჩამოდიხარ და ეუბნები, რომ ისე კი არა, ასეაო. კი, ბატონო, წამიერად შეიცვლის აზრს, მაგრამ მაინც ისევ ძველ აზრზე დარჩება. არადა, **ვეუბნები ხელისუფლების წარმომადგენლებს: თქვე მამაცხონებულებო, გამოგვიყენეთ ჩვენც, სხვებიც. რატომ არ აკეთებენ ამას? ხუხაშვილს არ მოვწონდით მე და ირმა ინაშვილი, დაგვბლოკა, ახლაც მიდის ინერციულად ასე. ახლა, ნახეთ, რა ცუდ მდგომარეობაში ვართ, როდესაც მივდივარ და ვეუბნები ევროკავშირის წარმომადგენელს რამეს („ნაცების“ დროს მე და ირმას ოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების სტატუსი გვქონდა და ამიტომ გვისმენდნენ, ახლა ეს ფაქტორი მოგვეხსნა), მობრუნდებიან და მეკითხებიან — შენ ვინ ხარ, ის არ მელაპარაკება, ვინც უნდა მელაპარაკებოდესო!** დიახ, ძალიან ბევრი შემთხვევა მქონდა ასეთი. მაგ., როდესაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილზე მქონდა საუბრები, იგივე ანა გომესი ავიღოთ, როცა ველაპარაკე და ვუთხარი, აი, ფაქტები, ეს ასე არ არის, ასეა-მეთქი, შემომიტრიალდა და მითხრა: **თეა წულუკიანი რომ იყო აქ, იმან რატომ არ მითხრა ეს, შენ ვინა ხარო?! თქვენს სახელმწიფოს ხომ ჰყავს ლობისტები, ისინი სად არიან, სად მუშაობენო, შენგან მე ვერ დავიჯერებ, შენ ჟურნალისტი ხარო.** აი, ასეთი ცუდი მდგომარეობაა, აქედან გამომდინარე, მე არ გამოვრიცხავ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცადოს, უკრაინის სცენარი გაითამაშოს, მაგრამ მე ერთი რამ მაიმედებს — უკრაინაში ოპოზიციას ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, საქართველოში კი „ნაცმოძრაობას“ 2% არ უჭერს მხარს.

**— დიახ, გეთანხმებით, „ნაცები“, მათ შორის, ექსპრეზიდენტი, ყველანაირად ცდილობენ უკრაინის თემა სათავისოდ გაიხადონ... ალბათ, შეეცდებიან, მობრუნდნენ ხელისუფლებაში, როგორც დასავლური ფასეულობების გამტარებელი ერთადერთი ძალა (ასე უნდათ, თავი წარმოაჩინონ)...**

— კი, ბატონო, იყენებენ ამას. ჩვენ ევროპაში თავადვე შევქმენით ისეთი ვაკუუმი, რომ, ევროკავშირის ნებისმიერი ჩინოვნიკი რომ გაალვიძო და ჰკითხო, ვინ არის საქართველოში პროევროპული ძალა, არ დაფიქრდება, ისე გეტყვის — მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდიო. აი, ესაა რეალობა და ჩვენს მთავრობას ამის არც დანახვა უნდა და არც გაგონება. მერე მირეკავენ ხოლმე და პირად საუბრებში მეუბნებიან, იცი, გიორგი, ძალიან ბევრი კითხვა ჰქონდათ ჩვენ მიმართოო. რა თქმა უნდა, უფრო მეტი ექნებათ, სანამ ასე ისხდებიან და არაფერს გააკეთებენ. აი, ეს არის უბედურება. **ერთი ირაკლი ღარიბაშვილი ვერაფერს შეცვლის, რამდენჯერ უნდა ჩამოვიდეს ევროპაში — ჰა, ჰა 2 წელიწადში ერთხელ ხომ?!**

**— იმის თქმა გინდათ, რომ ახალი მთავრობა სუსტი და უუნარო გამოდგა?**

— დიახ, აბსოლუტურად უუნარო გამოდგა და, თუ არ შეცვალა ღარიბაშვილმა ეს მთავრობა, ძალიან მძიმედ მოუბრუნდება ეს ყველაფერი, ვიმეორებ, ძალიან მძიმედ. მან მთავრობა და ევროპული კურსი უნდა გახადოს ქმედითუნარიანი. და **როდესაც თვითონ სახელმწიფოს საგარეო კურსი არ აქვს მთლიანად ჩამოყალიბებული, საგარეო საქმეთა მინისტრად მადლენ ოლბრაიტიც რომ ჰყავდეს, მაინც ვერაფერს გააკეთებს. როცა შენ ბუნდოვანი გაქვს საგარეო კურსი, ვერაფერს გააკეთებ, წინსვლა არ გექნება. თუნდაც რუსეთი ავიღოთ, ზეწოლა ყველა შემთხვევაში წამოვა რუსეთისგან, თუ ჩვენ არ განვსაზღვრეთ, რა გვინდა მისგან, თუ არ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ და რანაირად ვითანამშრომლოთ მასთან.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რომლის გამოც ჩვენ ხმა მოგვცა მოსახლეობამ, იყო სწორედ კრემლთან ურთიერთობის მოგვარების დაპირება. აქედან კი უკვე ნათლად ჩანს, რა უნდა საზოგადოებას და რას ითხოვს ის ჩვენგან; ასე რომ, რა გამძაფრებული პროპაგანდაც უნდა დაუპირისპირონ ხელისუფლების კურსს, ერთი რამ აშკარაა: ჩვენ მოსაგვარებელი გვაქვს ურთიერთობა მეზობელთან, ამისთვის კი დიალოგს და მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს.“

სოსო ჯაჭვლიანი:

# დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს!

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეჟისორი და მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი.**



**— ბატონო სოსო, საზოგადოების დიდ ნაწილში დღითიდღე იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ ხელისუფლების მთავარი დაპირება — სამართლიანობის აღდგენა ბოლომდე არ შესრულებულა. ბევრი ფიქრობს, რომ, თუკი მმართველმა გუნდმა უახლოეს მომავალში რამე ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა, შეიძლება მოვლენები უკრაინის მსგავსად განვითარდეს და ხალხი აუჯანყდეს ხელისუფლებას.**

— მე ვარ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი და ვლაპარაკობ გასაგებ ენაზე: ხალხი წყვეტს ყველაფერს, ზუსტად ამისთვის არსებობს არჩევნები. **მხართეძოზე წამოწოლა და სურვილების ასრულებაც არ გამოვა, თუკი შენ არ აკონტროლე სიტუაცია და მმართველ გუნდს არ მიუთითე, რა გინდა, ზოგჯერ მკაცრი ფორმითაც. მერწმუნეთ, არ არსებობს ხელისუფლება, რომელიც 100 პროცენტით იმას გააკეთებს, რაც ხალხს უნდა.** სანამ ამას არ ვისწავლით, უკმაყოფილების, იმედგაცრუების განცდა ყოველთვის იქნება. **განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება პრობლემას ყოველთვის დროულად აგვარებს და საქმეს აჯანყებამდე არ მიიყვანს.**

ახლა რაც შეეხება უკრაინას: ტრაგედიაა, რაც იქ ამ დღეებში მოხდა, მაგრამ ვთქვათ სიმართლე, წააქეზეს ეს ხალხი, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, აგორდა ტალღა და ვიღაცებმა ამით ხელი მოითბეს. მე ვისმენდი შეფასებებს, რომლებიც რუსეთში კეთდებოდა, ვაკვირდებოდი დასავლეთის რეაქციასაც და მინდა გითხრათ, რომ რიგითი მოქალაქეების ინტერესი არსად ჩანდა. ყველამ დაინახა მარტო სისხლი და ხოცვაჟლეტა ამ მოვლენებში, რომელზეც შემდეგ ააგეს პიარი... აი, ესაა ორმაგი სტანდარტი.

**— კერძოდ, რაში ჩანდა ეს ორმაგი სტანდარტი?**

— ყველაფერში — მოქმედებაში, პიარში... ესენი რომ ახლა ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობენ, ეს ვირთხები, „ნაციონალებს“ ვგულისხმობ, 26 მაისს, 7 ნოემბერს საუბრობდნენ ამ თემაზე?! ვერ გავიგე, უკრაინაში თავისუფლებისთვის იბრძვიან და, ჩვენ რომ ვითხოვდით, ის სხვა თავისუფლება იყო?!

**— დავუბრუნდეთ სამართლიანობის აღდგენის საკითხს, რამდენიმე დღის წინ ვანო მერაბიშვილმა პირდაპირ პროცესზე განაცხადა, ჩემი სახით საქართველოში ევროპას ასამართლებენო. რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

— გადი, შე, საცოდავო-თქო. თუ ევროპას ასამართლებენ შენი სახით, ანუ, თუ შენ ხარ ევროპის სახე, შევარცხვინე ასეთი ევროპა! არ მჭირდება მე ასეთი არც ევროკავშირი და არც ნატო.

**— თავის დროზე არჩილ კბილაშვილმა რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ, შესაძლოა, სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარონო, თუმცა მას შემდეგ თითქმის ნახევარი წელი გავიდა და პროკურატურას მსგავსი მოთხოვნა არ დაუყენებია. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში შესაძლებელია სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება?**

— ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, ეს არა თუ შესაძლებელია, ძალიანაც რომ არ უნდოდეს ვიღაცას, სამართლიანი გამოძიება ამას, უბრალოდ, ვერ გაექცევა. **სააკაშვილი იყო რეჟიმის შემოქმედი და, თუკი ვინმემ რამე დააშავა ბოლო 9 წლის მანძილზე ამ ქვეყანაში, ყველაფრის თავი და თავი ის სწორედ არის; ამიტომ, ცხადია, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს ეს ადამიანი.**

**— 1 და 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველას ეგონა, რომ „ნაცმოძრაობა“ წინამორბედის ბედს გაიზიარებდა და „მოქალაქეთა კავშირივით“ დაიშლებოდა, მაგრამ რეალურად პირიქით მოხდა — დღეს ისინი მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსით სარგებლობენ. როგორ ფიქრობთ, გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენად აქვთ მათ იმის შანსი, რომ უფრო მნიშვნელოვანი ბერკეტები მოიპოვონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ან სულაც ხელისუფლებაში?**

## «არანაირი შანსი «ნაცმოძრაობას» არ აქვს, ის არის პოლიტიკური გვამი, რომელსაც მიწის მიყრაღა აკლია»

— **არანაირი შანსი „ნაცმოძრაობას“ არ აქვს, ის არის პოლიტიკური გვამი, რომელსაც მიწის მიყრაღა აკლია. რაც შეეხება მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს, ჩემთვის პირადად ვერასოდეს იქნება ოპონენტი მკვლელი, ვერ იქნებიან ღირსეული მოწინააღმდეგეები ის ადამიანები, რომლებმაც გააუბედურეს ასობით და ათეულათასობით უდანაშაულო მოქალაქე.** ამიტომ არ ვიცი, რა შანსებზე მელაპარაკებით, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ ერთი რამ: ალბათობა, რომ სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმი დაბრუნდეს, არის ნულის ტოლი.

**— პუტინის განცხადებაზეც გკითხავთ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისთვის მზადყოფნასთან დაკავშირებით გააკეთა: როგორ ფიქრობთ, რა სიგნალი იყო ეს ჩვენთვის და რას უნდა ველოდოთ?**

— მოლოდინზე მარტივად შემიძლია გიპასუხოთ: არაფერს უნდა ველოდოთ, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს, რის საფუძველსაც ჩვენი პოლიტიკა და სტრატეგია გვაძლევს. ისე, შეხვედრა თუ შედგება, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და, ვფიქრობ, ორი ქვეყნის ურთიერთობას სერიოზულად წაადგება.

**— ექსპერტთა ნაწილის ვარაუდით, ეს იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის და ის რეალურ შედეგს ვერ მოიტანს.**

— შეფასებები მეც ბევრი მოვისმინე და ამ ყველაფერში, იცით, სასაცილო რა არის? — რუსეთს თავისი ინტერესები აქვსო, რომ იძახიან. ბიჭო, სამმილიონიან სომხეთს აქვს ინტერესები და ▶

# «პაატა კურტანიძესა და ნიკა ოქრიაშვილს მილიონები აკლდათ, აქაც რომ არ ჩაჩრილიყვნენ?»

**№6 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი გრძელდება. ყველაფერი კი 2011 წლის აგვისტოში დაიწყო, როდესაც თბილისის მერიამ გამრეკელის ქუჩაზე მდებარე ზემოხსენებული ობიექტი 5 წლით უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაასხვისა, თუმცა მერიამ პირობა დაარღვია და გასხვისებიდან ორ დღეში შენობა ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გაიტანა. ამ ისტორიას საკმაოდ საინტერესო გაგრძელება მოჰყვა, რაშიც სააკაშვილის ხელისუფალნი და მათ მიერ შექმნილი მონოპოლისტი ე.წ. ბიზნესმენები არიან გარეულნი. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლებაც არ ფიქრობს სამართლის აღდგენაზე და არც დიაგნოსტიკური ცენტრის თანამშრომელთა ბედი აღელვებს. ეს ადამიანები კი ცოტა ხანში უმუშევრები დარჩებიან. ამ ყველაფერზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიოს“ №6 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი დაუკავშირდა, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო ვინაობის გამხელა არ ისურვა.**



პაატა კურტანიძე

— 2007 წელს, ვაჟა-ფშაველას №8-ში მდებარე ბავშვთა მე-10, პეკინის №7-სა და პეკინის №14-ში მდებარე პოლიკლინიკები გააერთიანეს. მანამდე პეკინის №14-ში მდებარე პოლიკლინიკის იმჟამინდელმა მთავარმა ექიმმა გოგი კოლუაშვილმა ამ პოლიკლინიკის შენობა გადაცვალა და ეს სამედიცინო დაწესებულება გადავიდა გამრეკელის №19-ში. როდესაც მერიამ ნახა, რომ ეს ფართობი საკმაოდ დიდი იყო, განახორციელა ოპტიმიზაცია და პეკინის №7-სა და ვაჟა-ფშაველას №8-ში მდებარე პოლიკლინიკები შეუერთა. შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა „შპს სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი №6“. გავიდა წლები, **ჩვეულებრივ ვმუშაობდით, საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 3 მილიონ 162 ათას ლარამდე, ყოველ წელს ამ სამკურნალო ცენტრის შემოსავალი 200 ათასი ლარით იზრდებოდა. ბიუჯეტში კი ყოველწლიურად მილიონ ლარამდე შეგვქონდა და სულ ცოტაღა გვაკლდა, რომ მსხვილგადამხდელთა რიგებში მოვხვედრილიყავით.**

მაგრამ 2011 წლის აგვისტოში დაგვირეკეს მერიიდან და მოგვთხოვეს, რომ უსასყიდლო უზუფრუქტით, 5 წლით გადაგვეცა დიაგნოსტიკური ცენტრი, თან ამ ობიექტს პროფილი შეუნარჩუნდებოდა და ამავე მისამართზე ბენეფიციარებს უნდა მომსახურებოდა. მალევე ეს შენობა გადასცეს მერიასთან არსებულ ქონების მართვის სააგენტოს. ყველა თანამშრომელს გაგვიხარდა, რადგან მუშაობას ძველებურად განვაგრძობდით და 5 წლის განმავლობაში ყველაფრისგან ვთავისუფლდებოდით. **ეს ყველფერი 2011 წლის 12 აგვისტოს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, თუმცა მესამე დღეს, 11 საათზე ჩვენი პოლიკლინიკის შენობა აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად.** როდესაც გადმოგვეცა პოლიკლინიკა უსასყიდლო უზუფრუქტით, საწესდებო კაპიტალი ამოიღეს და ასე გაანულეს შენობის ფასი. აი, ამ მომენტიდან დაიწყეს მომზადება კორუფციული გარიგებისთვის და **3 მილიონ 162 ათასი ლარის ქონება აუქციონზე გაიტანეს მილიონ 220 ათას ლარად და გაყიდეს მილიონ 250 ათას ლარად.**

— ვინ იყიდა ეს შენობა?

— **სააფთიაქო ქსელის „პსპ“-ს მფლობელმა ნიკა ოქრიაშვილმა და „ავერსის“ მფლობელმა პაატა კურტანიძემ. მათ ამ შენობის 50-50 პროცენტი იყიდეს.** თუმცა, მათ ეს ქონება აუქციონზე იმავე პირობით შეისყიდეს, როგორც ჩვენ დაგვპირდნენ, ანუ 5 წლის განმავლობაში უსასყიდლო უზუფრუქტით და პროფილის შეუცვლელად. **ამ შენობის გაყიდვიდან 6 თვის შემდეგ უსასყიდლო უზუფრუქტი შეცვალეს სასყიდლიანი უზუფრუქტით და მათ მიერ შესყიდულ შენობაზე კურტანიძემ და ოქრიაშვილმა პოლიკლინიკის თანამშრომლებს იჯარის გადახდა დაგვაკისრეს.** ამის შემდეგ **მალევე გააუქმეს სასყიდლიანი უზუფრუქტიც, შენობა პაატა კურტანიძემ და ნიკა ოქრიაშვილმა მთლიანად ჩაიგდეს ხელთ და პოლიკლინიკაში ყველანაირი მომსახურება ფასიანი გახადეს.** არადა, როდესაც ეს შენობა უსასყიდლო უზუფრუქტით გაასხვისეს, პოლიკლინიკის თანამშრომლებს გაგვიჩნდა პროტესტის გრძნობა, რადგან ჩვენც შეგვეძლო ამ შენობის შესყიდვა, ის ხომ საკმაოდ შემოსავლიანი პოლიკლინიკა იყო?! რაც მთავარია, **ოქრიაშვილმა და კურტანიძემ ის პოლიკლინიკები, რომლებიც იყიდეს, იპოთეკით დატვირთეს და ფული დაატრიალეს. სწორედ ამის გამო ვერ ვპოულობთ ნასყიდობის ხელშეკრულებას. არადა, აუქციონის ოქმის შემდეგ ნასყიდობის ხლშეკრულება საჯარო რეესტრში უნდა იყოს, მაგრამ იქ არ დევს.**

რომ არა კორუფციული გარიგება, სხვა შემთხვევაში მერია რატომ მიჰყიდდა მათ ამ შენობას? შენობა გაყიდეს მესამედ ფასად. ან რატომ გაყიდეს შენობა, რომელსაც არასდროს ჰქონია დავალიანება, არ იყო ავარიული, აღჭურვილია არაჩვეულებრივი ტექნიკით, კოლექტივი მუშაობს, რომელიც ასრულებს ყველანაირ შეკვეთას და სახელმწიფო დავალებებს. წესით და კანონით, მხოლოდ ის შენობა უნდა გაიყიდოს, რომელიც დანგრეულია და ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. ხოლო როდესაც ყიდი, სახელმწიფომ მოგება უნდა ნახოს და არა ზარალი. ეს გარიგება რომ არა, მართლაც ძვირად გაყიდდნენ ამ შენობას. **პაატა კურტანიძემ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, „ნაცმოძრაობას“ ვაფინანსებდიო და მერიამ სწორედ ამიტომ სცა პატივი და ამიტომ მიჰყიდა მესამედ ფასში ეს შენობა.**

როგორც ჩანს, ეს კაცი ისევ ასაზრდოებს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამიტომაც ჩაუგდეს ხელში ეს შემოსავლიანი პოლიკლინიკა. გარდა ამისა, შეიტყ- ▶

**„პაატა კურტანიძემ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, „ნაცმოძრაობას“ ვაფინანსებდიო და მერიამ სწორედ ამიტომ სცა პატივი და ამიტომ მიჰყიდა მესამედ ფასში ეს შენობა. როგორც ჩანს, ეს კაცი ისევ ასაზრდოებს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამიტომაც ჩაუგდეს ხელში ეს შემოსავლიანი პოლიკლინიკა.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აზერბაიჯანს, რუსეთს რომ ჰქონდეს, რა არის ამაში გასაკვირი?!

**— აქ საუბარია ინტერესთა თანხვედრაზე და არა თავისთავად არსებობაზე ამ ინტერესების.**

— გასაგებია, მაგრამ 9 წლის განმავლობაში ჩვენ რას ვხედავდით? მიდიოდა გამუდმებული ჭიდილი და ძიძგილაობა რუსეთთან. დღეს აქ ძალიან მკაფიო მოცემულობაა — ეს არის სახელმწიფო, რომელსაც ყველაზე მეტი სიმდიდრე აქვს დედამიწაზე. ახლა გეკითხებით: ამ სახელმწიფოს დანგრევას ველოდებით? ვაი, იმის პატრონს, ვინც ასე ფიქრობს, ის რომ დაინგრევა, შენი ბუნდღაც არ დარჩება მანამდე...

**— სოჭის ოლიმპიადაში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობასაც სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ოპოზიციის მხრიდან. თქვენ რა აზრის ხართ — რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ?**

— ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით ძალიან მარტივია: **ქართველი სპორტსმენების წაუსვლელობა სოჭში იქნებოდა იმ დამღუპველ შეცდომათა ჯაჭვის გაგრძელება, რომელსაც სააკაშვილის უგუნური, ანტიეროვნული ხელისუფლება უშვებდა 9 წლის მანძილზე.** სხვათა შორის, თავის დროზე მოსკოვის ოლიმპიადას რომ ბოიკოტი გამოუცხადეს კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, მათ ეგონათ, ეს იყო სწორი ნაბიჯი და საკუთარი პრინციპების ერთგულება. გავიდა წლები და მიხვდნენ, რა შეცდომაც მოუვიდათ: ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტი პირდაპირ წერს მემუარებში, რომ ყველაზე ცუდი, რაც გავაკეთე ჩემს ცხოვრებაში, ეს ბოიკოტები იყოო.

**— გინდათ, თქვათ, რომ ამ ოლიმპიადაში მონაწილეობას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა?**

— ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ 9-წლიანი უფსკრული, რომელიც რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებობს, ერთბაშად ამოივსება, მაგრამ ყველაფერს დეტალები ქმნის. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ოლიმპიადას, ამიტომ ჩვენი მხრიდან არანაირად იქნებოდა გამართლებული შანსის ხელიდან გაშვება. ის კი არა, **მე თუ მკითხავთ, სამთავრობო დელეგაციაც უნდა გამგზავრებულიყო იქ და პრეზიდენტიც კი უნდა ჩასულიყო. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამ ოლიმპიადის ფარგლებში ჩვენ მივიღეთ რამდენიმე პოზიტიური სიგნალი რუსეთისგან, რომელსაც სერიოზული მუშაობა სჭირდება...**

**— კერძოდ?**

— კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხომ აჩვენა რუკა, რომელზეც საქართველო ტერიტორიულად მთლიანია? რუსეთმა აჩვენა ბურუსში. ჩემი აზრით, ეს უკვე გზავნილია. გარდა ამისა, ასეთი ფართო წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაციები, როგორც იქ იყო, ადრე არც ერთ ოლიმპიადაზე არ ყოფილა, პან გი მუნიდან დაწყებული, დამთავრებული წამყვან სახელმწიფოთა უმაღლესი თანამდებობის პირებით, ყველა ესწრებოდა; ასე რომ, ვფიქრობ, **საქართველოს პრეზიდენტიც თუ დაესწრებოდა ამ ღონისძიებას, ამით, როგორც მინიმუმ, სახელმწიფოს და ქვეყნის ინტერესებს არაფერი დაუშავდებოდა.**

**— თქვენი აზრით, დღეს რამდენად არის მზად საქართველოს ხელისუფლება კრემლთან დიალოგისთვის?**

— ის, რომ ჩვენ შორის ინტერესთა სრული თანხვედრა არ არის და პირიქით, უამრავი საკითხია, რომლებშიც შეიძლება საპირისპირო პოზიციები გვქონდეს, ფაქტია, მაგრამ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება — **დრო ჩვენ სასარგებლოდ არ მუშაობს, ანუ რისი თქმა მინდა: რაც უფრო მეტხანს იარსებებს ეს უზარმაზარი უფსკრული ორ ქვეყანას შორის და რაც უფრო ხანგრძლივად ვიქნებით გაბუტულები, ამით ჩვენვე დავზარალდებით.**

ქართველი ხალხი საკმაოდ ჭკვიანია საიმისოდ, რომ ესმოდეს, სად დევს ჩვენი უმთავრესი პრობლემების გასაღები. მეტიც, ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რომლის გამოც ჩვენ ხმა მოგვცა მოსახლეობამ, იყო სწორედ კრემლთან ურთიერთობის მოგვარების დაპირება. აქედან კი უკვე ნათლად ჩანს, რა უნდა საზოგადოებას და რას ითხოვს ის ჩვენგან; ასე რომ, რა გამძაფრებული პროპაგანდაც უნდა დაუპირისპირონ ხელისუფლების კურსს, ერთი რამ აშკარაა: ჩვენ მოსაგვარებელი გვაქვს ურთიერთობა მეზობელთან, ამისთვის კი დიალოგს და მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

◀ ვეთ, რომ **ამ გარიგების შედეგად, იმდენივე თანხა, რა ფასშიც ეს შენობა გაიყიდა, კურტანიძემ და ოქრიაშვილმა ვინმე გოგა ცხაკაიას გადაუხადეს. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ეს ცხაკაია უგულავას მოადგილე ყოფილა.**

სხვათა შორის, ჩვენი ცენტრის გენერალურ დირექტორ ზაზა ჯაფარიძეს წამოსცდა კიდეც ერთ-ერთ წერილში, ჩვენ ეს შენობა იმაზე ძვირად ვიყიდეთ, ვიდრე გაიყიდაო.

ამის შემდეგ, როგორც კი საბოლოოდ ხელში ჩაიგდეს პოლიკლინიკა, ყველა თანამშრომელს გეგმა დაგვიწესეს. სადმე გინახავთ, ავადმყოფზე დაწესებული გეგმა? ზოგს 800-ლარიანი გეგმის შესრულება დაავალეს, ზოგსაც — 2500-5000-ლარიანის. არადა, ჩვენი პოლიკლინიკა ისეთი შემოსავლიანია, რომ ის თანხა, რამდენიც ამ შენობაში გადაიხადეს, უკვე ამოღებული აქვთ. აგვისტოში 2 წელი ხდება და საკმაოდ დიდი თანხაა შემოსული. ასე რომ, თუ ამ პოლიკლინიკას სახელმწიფოს დაუბრუნებენ, ოქრიაშვილი და კურტანიძე წაგებულნი არ დარჩებიან. სხვათა შორის, ივანიშვილის ბრძანებაში წერია, რომ უნდა ჩატარებულიყო შემოწმება იმ ობიექტებზე, რომლებიც კანონდარღვევით იყო გაყიდული. **ამაზე მეტი დარღვევა რა გინდა? რამდენიმე მილიონიანი პოლიკლინიკა კაპიკებად გაყიდეს! ამაზე თანამშრომლებმა ხმა ამოვიღეთ, გავაპროტესტეთ, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია.**

რაც მთავარია, **2012 წლის სექტემბერში, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ბიუჯეტიდან „სოფლის ექიმის ფონდისთვის“ განკუთვნილი თანხა (500 ათასი ლარის ოდენობით) გადმორიცხეს თბილისის პოლიკლინიკებში. ეს მოხდა ივანე მერაბიშვილის ბრძანებით,** რომელიც 2012 წლის 31 აგვისტოს გასცა, ანუ მერაბიშვილმა ეს თანხა გადმოურიცხა ზურაბ ჭიაბერაშვილს, ჭიაბერაშვილმა კი თბილისის პოლიკლინიკებს ვითომ დაურიგა, რაც გამორიცხულია. თუნდაც ასე ყოფილიყო, რას ერჩოდნენ ისედაც გაპარტახებულ სოფლის პოლიკლინიკებს? მათთვის ფულის წართმევა შეიძლებოდა? **დღეს რომ ტლიკინებს ჭიაბერაშვილი ბევრს, აგვიხსნას, რატომ და რა მიზნით წამოიღო „სოფლის ექიმის ფონდის“ კუთვნილი თანხა და რაში გახარჯა!** ამას რატომ არავინ ეკითხება თუნდაც სასამართლოზე მერაბიშვილსა და ჭიაბერაშვილს, ძალიან მიკვირს. ან რაში დახარჯეს რეალურად ეს თანხა, არსად ჩანს.

**— კურტანიძე და ოქრიაშვილი რას გეუბნებიან თანამშრომლებს?**

— რა უნდა გვითხრან?! ალბათ, დავრჩებით პოლიკლინიკის გარეთ. ან რა უნდოდათ ჩვენგან, რატომ გვართმევენ საარსებო წყაროს და თანაც ისეთ სამსახურს, სადაც ზოგ თანამშრომელს სიცოცხლის ნახევარი აქვს გატარებული?! **რა, პაატა კურტანიძესა და ნიკა ოქრიაშვილს მილიონები აკლდათ, აქაც რომ არ ჩაჩრილიყვნენ?! მაგრამ მერიას ჩვენთვის რომ მოეყიდა იმავე კორუფციული სქემით ეს ობიექტი, იცოდნენ, რომ ამდენ ხალხს ვერ გაურიგდებოდნენ, ჩვენგან ვერ წაიღებდნენ მილიონებს და ამიტომ ისევ თავიანთ ხალხთან იჩალიჩეს.** აღსანიშნავია, რომ ჩვენი პოლიკლინიკა შუა ზაფხულში გაასხვისეს, სწორედ იმ დროს, როდესაც თანამშრომელთა უმრავლესობა შვებულებაში იყო.

**— საბოლოოდ რას უპირებენ ამ შენობას?**

— ზაზა ჯაფარიძეს წამოსცდა, რომ დიდი-დიდი დამჭირდეს რამდენიმე თერაპევტი, პედიატრი და გინეკოლოგიო. **სავარაუდოდ, კურტანიძესა და ოქრიაშვილს სურთ სამშობიაროს გახსნა.** არ ვიცი, რა გვეშველება და, საერთოდ, ამ ქვეყანას რამე თუ ეშველება! ქვეყანაში ისევ ისეთი მონოპოლია მძვინვარებს, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო, თითქმის არაფერი შეცვლილა და იგივე მონოპოლისტები ბოგინობენ. **იქნებ გამოფხიზლდეს ჯანდაცვის სამინისტრო ან სამართალდამცავი სტრუქტურები, რათა მსგავსი ფაქტები აღმოიფხვრას საქართველოში.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

# რა პირობა მისცა «საქართველო და მსოფლიოს» შს მინისტრმა ჭიკაიძემ?

## ალექსანდრე ჭიკაიძე:

## პირადად ვარ იმის გარანტი საზოგადოებისთვის, რომ არანაირი უკანონო ვიდეო და აუდიომეთვალყურეობა, ვიდეოთვალთვალი, ხმის ჩაწერა და მიყურადება არ ხდება და არც მოხდება



**ორიოდე დღის წინ სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო“ იყო მიწვეული. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, 2014 წელს გაგრძელდება სამინისტროს სისტემის რეფორმა, შენარჩუნდება შს სამინისტროს დეპოლიტიზების კურსი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას.**
**შს სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასაზღვრო უსაფრთხოება, მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, ტერორიზმის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, კორუფციის, ტრეფიკინგისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორც შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, პრიორიტეტი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა, ასევე პოლიციის განვითარება, მისი ტექნიკურ-ოპერატიული აღჭურვა. 2014 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პოლიციელთა გადამზადების დონის ამაღლებასაც, რადგან ბოლო წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში პროფესიონალიზმის სერიოზული ნაკლებობა იყო. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ „საქართველო და მსოფლიოს“ შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ექსკლუზიურად ესაუბრა.**

**— ბატონო ალექსანდრე, რამდენიმე დღის წინ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისში მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს... ოფისის ხელმძღვანელის — ზურაბ კვარაცხელიას განცხადებით, ეს აპარატურა იქ ახალი ჩამონტაჟებული იყო. გარდა ამისა, ადვოკატი ირმა ჭკადუა ამტკიცებს, მის ტელეფონს უსმენენ და საერთოდ, კატასტროფულად ბევრი ნომერი ისმინება... რა ხდება: შს სამინისტრო ისევ უკანონოდ უსმენს მოქალაქეებს?**

— ალბათ, აჯობებს, ჯერ დაადგინონ, ეს მოსასმენი აპარატურა რა ვითარებაში შეიტანეს იმ ოფისში და ზუსტად როდის დაამონტაჟეს. **პირადად ვარ იმის გარანტი საზოგადოებისთვის, რომ არანაირი უკანონო ვიდეო და აუდიომეთვალყურეობა, ვიდეოთვალთვალი, ხმის ჩაწერა და მიყურადება არ ხდება და არც მოხდება.** დღეს ჩვენი სამინისტრო მთლიანად გადართულია სახელმწიფოსა და მოქალაქის ინტერესებზე, ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და არა მოქალაქეების დევნაზე, ჩაგვრაზე, შანტაჟსა და შევიწროებაზე.

**— საზოგადოების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ნაციონალებისდროინდელი ზონდერები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, გახმაურებულ უკანონო სადამსჯელო სპეცოპერაციებში მონაწილე პირები შს სამინისტროში თქვენი მოსვლის შემდეგაც მუშაობენ, მეტიც, საკვანძო თანამდებობებზე ინიშნებიან. როგორია თქვენი კომენტარი?**

— პირველ რიგში, იმის თქმა მინდა, რომ მე არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმპციას, გამოძიება მიმდინარეობს. დამერწმუნეთ, ჩვენს სამინისტროში მკვლელები არ მუშაობენ, ჩვენ მკვლელებს არ ვნიშნავთ, არავის ვკლავთ და არც მკვლელს ვტოვებთ თანამდებობაზე. თუ მომავალში გამოძიებით დადგინდება, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა, ყველა სათანადოდ დაისჯება, პირადად გაძლევთ ამის გარანტიას.

**— იური ვაზაგაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ თქვენ მფარველობთ ქალაქის პოლიციის უფროსს — გიორგი დალაქიშვილსა და მის მოადგილეს — ოთარ მირზოევს, რომლებიც მისი შვილის მკვლელობის თანამონაწილენი არიან. რა პასუხს გასცემთ ამ ბრალდებებზე?**

— თუ გამოიკვეთა გიორგი დალაქიშვილისა და ოთარ მირზოევის დანაშაული, ისინი აუცილებლად დაისჯებიან, გაძლევთ ამის პირობას.

**— ახლო წარსულში, ხშირი იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე პოლიციელი მოქალაქის დაკავების დროს მძაფრ ზეწოლას ახდენდა დაკავებულ პირზე, სისტემატური სახე ჰქონდა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ერთი წელი არ არის საკმარისი დრო იმისთვის, რომ ეს მავნე პრაქტიკა ბოლომდე აღმოიფხვრას. როგორ უნდა მოახერხოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ თავის დაცვა, როცა რამდენიმე პოლიციელი აკავებს მას ასეთი ფორმით და როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ პოლიციელებმა თავიანთ უფლებამოსილებას გადაამეტეს მასთან დაკავშირებით?**

— შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს გენერალური ინსპექცია და ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს პოლიციელის მხრიდან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში; გენერალური ინსპექცია გამოიკვლევს აბსოლუტურად ყველა დარღვევას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება რეაგირება.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**P.S. ბევრი შინაგან საქმეთა მინისტრი ნახა ჩვენმა საზოგადოებამ. ძირითადად, მათი ტონი არ იცვლებოდა, ყველა საუბრობდა ადამიანის უფლებებზე, დასავლურ ფასეულობებზე და მოქალაქის უსაფრთხოებაზე. მოგვიანებით ირკვეოდა, რომ თურმე ამ მინისტრებს ელიტურ კორუფციაში იდლიამდე ჰქონდა ხელი ჩაფლული, ხოლო ზოგი მათგანი „ორ გვამსაც“ მოითხოვდა თანამშრომლებისგან მსუყე პრემიის სანაცვლოდ... დრო გვიჩვენებს, აღმოჩნდება თუ არა ჭიკაიძე გამონაკლისი მინისტრების ამ სიიდან და რამდენად შეასრულებს „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ პირობას ახალი მინისტრი.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე პირობა — კოალიციური მთავრობის ფორმირება — რთული შესასრულებელია. უკრაინის ახალი მთავრობა პროფესიონალებისგან უნდა შედგებოდეს, ქვეყანამ თავიდან დეფოლტი რომ აიცილოს. არადა, როგორც უკრაინის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ტურჩინოვმა განაცხადა, უკრაინის ხაზინაში ფული საერთოდ არ არის და ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია.**

# როდემდე შეინახავს აშშ დამშეულ უკრაინას?

**საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ეს დაწესებულება უფრთხის უკრაინის სუსტი ეკონომიკისთვის კრედიტების გამოყოფას. ახლახან საბერძნეთში მიღებული გამოცდილებით დასტურდება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შიში უსაფუძვლო არ არის. ძლიერი პოლიტიკური ნების გარეშე რეფორმის ჩატარება შეუძლებელია. ამასთანავე, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული დახმარება და უკრაინის მიერ პირობების შესრულება გარანტიას არ იძლევა, რომ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს თავს დააღწევს. შარშან, ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა თავისი შეცდომები კრიზისიდან საბერძნეთის გამოყვანის პროცესში, და ზარალი, რომელიც მათი რეკომენდაციების გათვალისწინებამ მოუტანა ამ ქვეყანას.**



აშშ მზად არის, დაეხმაროს უკრაინას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (სსფ) ფინანსური დახმარების მიღებაში, თუმცა ვაშინგტონმა წამოაყენა პირობები — საკონსტიტუციო რეფორმა და კოალიციური მთავრობის ფორმირება.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დახმარების მიღების შემთხვევაში უკრაინას არაპოპულარული ეკონომიკური რეფორმების გატარება და ცხოვრების დონის დაქვეითება ელის. რუსეთი კი, ალბათ, მას ფულს არ მისცემს.**

„უკრაინის ეკონომიკის ერთადერთი სასიცოცხლო გზა საერთაშორისო სავალუტო ფონდზე გადის. ვიმედოვნებთ, რომ, როდესაც ნაციონალური ერთობის მთავრობა ჩამოყალიბდება, მასში გაერთიანდებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ უფლებამოსილება, რაც შეიძლება სწრაფად დაამყარონ კონტაქტი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან“, — განაცხადა 21 თებერვალს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა და დასძინა, რომ მოლაპარაკებები უკრაინისთვის კრედიტის გამოყოფაზე რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. **„ჩვენ ამის შესახებ ბოლო თვეში კიდევ უფრო ხშირად და კონკრეტული ტერმინებით დავიწყეთ საუბარი მთავრობასთანაც და ოპოზიციასთანაც, გაიმართა სატელეფონო საუბარი ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს შორის“,** — მოჰყავს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვები სააგენტო „როიტერს“.

**„ჩვენ მკაფიოდ ვეუბნებოდით მას (იანუკოვიჩს): თუ მზად ხართ საკონსტიტუციო რეფორმისთვის, ნაციონალური ერთობის მთავრობის შესაქმნელად, მაშინ აშშ-ის მხრიდან მტკიცე მხარდაჭერა გექნებათ“**, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა და დააზუსტა, რომ ვაშინგტონი ამ საკითხში ევროპელი პარტნიორებისგანაც ელოდება მხარდაჭერას.

**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა და მისმა გერმანელმა კოლეგამ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადეს, რომ ლონდონი და ბერლინი ძალისხმევას არ დაიშურებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასარწმუნებლად, აღმოუჩინოს კიევს „ასეთი აუცილებელი“ დახმარება.**

აშშ და ევროკავშირი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველაზე მსხვილი და გავლენიანი დონორები არიან (აშშ-ს ხმების 16,75% აქვს, დიდ ბრიტანეთს — 4,29%, გერმანიას — 5,81%) და შეუძლიათ ფონდის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედება, რათა მათ კრედიტი გასცენ.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დახმარების მიღების შემთხვევაში უკრაინას არაპოპულარული ეკონომიკური რეფორმების გატარება და ცხოვრების დონის დაქვეითება ელის. რუსეთი კი, ალბათ, მას ფულს არ მისცემს**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2 ძირითადი მოთხოვნიდან უკრაინამ ერთი უკვე შეასრულა — უკრაინის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთა აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება „უზრუნველყოფს უკრაინის ეკონომიკის მდგრად განვითარებას“. რუსეთმა უკვე თქვა უარი უკრაინისთვის მეორე ტრანშის გამოყოფაზე. 1,984 მილიარდის ოდენობით უკრაინული ევროობლიგაციებით პოტენციური მყიდველები არ დაინტერესდნენ და ემისია ვერ განხორციელდა.

**„უკრაინისთვის მეორე ტრანშის გამოყოფის შესახებ საკითხის განხილვა მას შემდეგ დაიწყება, როდესაც კიევში ახალი მთავრობა ჩამოყალიბდება“**, — განაცხადა რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა.

ანალიტიკოსების აზრით, თუ რუსეთი საბოლოოდ იტყვის უარს უკრაინის დახმარებაზე, აშშ და ევროპა მზად უნდა იყვნენ უკრაინისთვის დახმარების პროცესის გააქტიურებისთვის.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ეს დაწესებულება უფრთხის უკრაინის სუსტი ეკონომიკისთვის კრედიტების გამოყოფას. ახლახან საბერძნეთში მიღებული გამოცდილებით დასტურდება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შიში უსაფუძვლო არ არის. ძლიერი პოლიტიკური ნების გარეშე რეფორმის ჩატარება შეუძლებელია. ამასთანავე, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული დახმარება და უკრაინის მიერ პირობების შესრულება გარანტიას არ იძლევა, რომ ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისს თავს დააღწევს. შარშან, ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა თავისი შეცდომები კრიზისიდან საბერძნეთის გამოყვანის პროცესში, და ზარალი, რომელიც მათი რეკომენდაციების გათვალისწინებამ მოუტანა ამ ქვეყანას.**




რამდენიმე დღის წინათ ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ტელეარხ „ბლუმბერგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბრიუსელს მოუწოდა, სასწრაფოდ გამოუყონ უკრაინას 2 ან 3 მილიარდი დოლარი, შემდეგში კიდევ 10 მილიარდი დოლარის გამოყოფის გათვალისწინებით. ადრე უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი ამბობდა, რომ მის ქვეყანას ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის წელიწადში, სულ ცოტა, 20 მილიარდი ევრო სჭირდება, ანუ 2017 წლამდე დაახლოებით 60 მილიარდი.

იმხანად ევროპა ამ მოთხოვნას არ დათანხმდა. დღეს კი **უცნობია, რა ოდენობის იქნება თანხა, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აშშ-ისა და ევროპის პროტექციით, უკრაინას გამოუყოფს.**

აღსანიშნავია. რომ გასული წლის ბოლოს რუსეთი უკრაინას 15 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფას დაჰპირდა და პირველი ტრანში — 3 მილიარდი დოლარი — დაუყოვნებლივ გადაურიცხა. გარდა ამისა, რუსეთი დაპირებას იძლეოდა, რომ უკრაინას ბუნებრივი აირის ფასს მესამედით შეუმცირებდა.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2 ძირითადი მოთხოვნიდან უკრაინამ ერთი უკვე შეასრულა — უკრაინის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება 2004 წლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე.**

2004 წლის კონსტიტუციის დაბრუნება კი ნიშნავს, რომ სახელისუფლო უფლებამოსილებები პრეზიდენტისგან პრემიერმინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან გადაინაცვლებს.

2004 წლის კონსტიტუციით საპარლამენტო უმრავლესობა პრემიერის კანდიდატურას პრეზიდენტს წარუდგენს და ის ვალდებულია, ეს კანდიდატურა დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინოს. პარლამენტი, აგრეთვე, ამტკიცებს პრემიერის მიერ წარდგენილი მინისტრების კანდიდატურებს, გუბერნატორებს კი პრემიერის წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავს.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეორე პირობა — კოალიციური მთავრობის ფორმირება — რთული შესასრულებელია. უკრაინის ახალი მთავრობა პროფესიონალებისგან უნდა შედგებოდეს, ქვეყანამ თავიდან დეფოლტი რომ აიცილოს. არადა, როგორც უკრაინის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ტურჩინოვმა განაცხადა, უკრაინის ხაზინაში ფული საერთოდ არ არის და ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია.**

როგორც ჩანს, აშშ უკრაინაში ქაოსს ყიდულობს და, როდემდე გაგრძელდება ეს ქაოსი, არავინ იცის. უკრაინა არ არის საქართველო, რომლის ხელისუფლებასაც ამერიკელი „მამები“ ყველაფერზე იყოლიებენ — ქვეყნის ეკონომიკის დანგრევაზე, ეროვნული ტრადიციების მოსპობაზე, კულტურისა და განათლების განადგურებაზე და ამას აკეთებენ სწორედ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციიდან გამოყოფილი ფინანსური ინიექციებით თუ ჯორჯ სოროსისნაირი „ფინანსისტების“ ფულით. თანაც ეს ფული უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც უკრაინას დასჭირდება ეკონომიკური კრიზისისგან თავის დასაღწევად. ამიტომაც **გაუგებარია როდემდე შეინახავს ამერიკა დამშეულ უკრაინას, განსაკუთრებით მაშინ, თუ აღმოსავლეთი უკრაინა, რომელიც მდიდარია წიაღისეულით და აქვს განვითარებული მრეწველობა, დაუმორჩილებლობას გამოუცხადებს უკრაინის ახალ ხელისუფლებას.**

**მომზადებულია gazeta.ru-ს მასალების მიხედვით**

**P.S. უკრაინის ტერიტორიის შესაძლო დანაწევრებაზე კომენტარი გააკეთა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა სუზან რაისმა. მან განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიის დანაწევრება ხელს არ აძლევს არც აშშ-ს, არც რუსეთს და არც ევროპას. მან, აგრეთვე, თქვა, რომ უკრაინაში რუსეთის ჯარების შეყვანა „სერიოზული შეცდომა“ იქნება. ამ განცხადებას მყისვე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელმაც რეკომენდაცია მისცა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს, რომ რჩევები არა რუსეთის, არამედ აშშ-ის პირველი პირისთვის მიეცა.**

**რუსეთის მთავრობა (აგრეთვე, უკრაინის მთავრობაც) უგუნურად იქცევა, როდესაც თავის ქვეყანაში მუშაობის უფლებას აძლევს უამრავ არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლებიც აშშ-დან ფინანსდება. ესენი არიან ვაშინგტონის აგენტები, რომლებიც ამოფარებულნი არიან სახელწოდებებს „უფლებადამცველი ორგანიზაცია", „დემოკრატიის მშენებლობა" და ა. შ.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლ კრეიგ რობერტსი:

# თუ რუსები არ გაიღვიძებენ, ისტორიის კუთვნილებად იქცევიან!

**აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი თანაშემწე, ცნობილი ეკონომისტი და პუბლიცისტი უკრაინული სასაკლაოს სავარაუდო შედეგებზე საუბრობს.**
**პოლ კრეიგის სტატია „რუსეთი დარტყმის ქვეშ" მის ოფიციალურ ინტერნეტგვერდ Paulckaigroberts.org-ზე გამოქვეყნდა.**



ჩემს რამდენიმე სტატიაში უკვე ავხსენი, რომ საბჭოთა კავშირი აშშ-ისთვის წინააღმდეგობას წარმოადგენდა. სსრკ-ის დაშლამ ხელ-ფეხი გაუხსნა აშშ-ის ნეოკონსერვატიულ წინსვლას მსოფლიოში ჰეგემონიისკენ. ნეოკონსერვატიული დღის წესრიგის შემზღუდველები მხოლოდ რუსეთი პუტინთან ერთად, ჩინეთი და ირანი არიან. ატომური რაკეტები და სამხედრო ტექნოლოგიები — ეს ყველაფერი რუსეთს ძლიერ სამხედრო წინაღობად აქცევს აშშ-ის ჰეგემონიისთვის. **რუსეთის გასანეიტრალებლად ვაშინგტონმა რეიგანისა და გორბაჩოვის შეთანხმება დაარღვია, ნატო ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიებზე გააფართოვა და ახლა განზრახული აქვს, ნატოში შეიყვანოს თვით რუსეთის ყოფილი ნაწილები — საქართველო და უკრაინა.** ვაშინგტონმა დაარღვია ხელშეკრულება, რომელიც კრძალავდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას და რაკეტსაწინააღმდეგო ბაზები რუსეთის საზღვარზე განალაგა. ვაშინგტონმა უღალატა თავის ატომურ სამხედრო დოქტრინას, რათა საკუთარი თავისთვის მიეცა უფლება, პირველმა მიაყენოს ატომური დარტყმა. ეს ყველაფერი მიმართულია რუსეთის ღირსების დასამცირებლად და ვაშინგტონისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასათრგუნავად.

**რუსეთის მთავრობა (აგრეთვე, უკრაინის მთავრობაც) უგუნურად იქცევა, როდესაც თავის ქვეყანაში მუშაობის უფლებას აძლევს უამრავ არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლებიც აშშ-დან ფინანსდება. ესენი არიან ვაშინგტონის აგენტები, რომლებიც ამოფარებულნი არიან სახელწოდებებს „უფლებადამცველი ორგანიზაცია", „დემოკრატიის მშენებლობა" და ა. შ.**

Pussy Pior-ის აქციები არის ოპერაცია, რომელიც მიმართულია პუტინისა და რუსეთის ცუდად წარმოსაჩენად. თვითონ ქალები კი გამოიყენეს და მოატყუეს.

სოჭის ოლიმპიადაზე დასავლური მედიასაშუალებების თავდასხმა პუტინისა და რუსეთის სასაცილოდ აგდებისა და დემონიზაციის პროცესის ნაწილია.

ვაშინგტონმა გადაწყვიტა, რომ პუტინსა და რუსეთს აეკრძალოთ წარმატებისკენ სწრაფვის გამოვლენა ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს დიპლომატია, სპორტი თუ ადამიანის უფლებები. **ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — ეს არის პროპაგანდის სამინისტრო, რომელიც ემსახურება მთავრობას და კორპორაციებს. ისინი ეხმარებიან ვაშინგტონს, რუსეთი ლაფში ამოსვაროს.** სტივენ ფ. კოენი ზუსტად აღწერს, რომ ამერიკული მასმედია ყველაფერს, რაც რუსეთში ხდება, აშუქებს, როგორც „პოლიტიკურად წაქეზებული და არაპროფესიონალური სამარცხვინო მოვლენების ბობოქარ ნაკადს".

როგორც „ცივი ომის" გადმონაშთი, ამერიკული მასმედია ინარჩუნებს თავისუფალი პრესის სახეს, თითქოს მისი ნდობა შეიძლებოდეს. სინამდვილეში, ინტერნეტსაიტების გამოკლებით, ამერიკაში არ არსებობს თავისუფალი პრესა. კლინტონის რეჟიმის ბოლო პერიოდში აშშ-ის მთავრობამ უფლება მისცა 5 მსხვილ კორპორაციას, დაემქვემდებარებინა სხვადასხვა თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალება. ამ უზარმაზარი მეგაკომპანიების ღირებულება დამოკიდებულია მაუწყებლობის ფედერალურ ლიცენზიებზე.

ამრიგად, მასმედია ვერც ერთ მნიშვნელოვან საკითხში ვერ გაბედავს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას. გარდა ამისა, მედიაკორპორაციებს, უკვე დიდი ხანია, ჟურნალისტები კი არა, სარეკლამო მენეჯერები და ყოფილი სახელმწიფო მოხელეები მართავენ, რომლებიც უყურებენ არა ფაქტებს, არამედ რეკლამიდან შემოსულ თანხებსა და სახელისუფლო „წყაროებთან" დაშვების შესაძლებლობას.

**ვაშინგტონი მასმედიას ამერიკელი ხალხის რუსეთთან კონფრონტაციისთვის მოსამზადებლად იყენებს და იმისთვის, რომ რუსი და მსოფლიოს სხვა ხალხები პუტინის წინააღმდეგ განაწყოს.**

ვაშინგტონისთვის სასურველი იქნებოდა, რუსეთს გაცილებით სუსტი და გაცილებით თვინიერი ლიდერი ჰყოლოდა, ვიდრე პუტინია.

**რუსთაგან ბევრია მიმნდობი ადამიანი. მათ გამოსცადეს კომუნისტების მმართველობა, კრახისგან გამოწვეული ქაოსი და გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ ამერიკა საუკეთესო ადგილია, მსოფლიოსთვის სამაგალითო**

## უდარდელი ამერიკელები ყურადღებას არ აქცევენ და აზრზე არ არიან, რომ ერთი მუჭა ნეოკონსერვატიული იდეოლოგები მსოფლიოს განადგურებისკენ უბიძგებენ

**ქვეყანა, რომლისაც უნდა გწამდეს და რომელსაც უნდა ენდობოდე. ეს იდიოტური მრწამსი, რომელიც იმ დროს გამოვლინდა დასავლეთ უკრაინაში, როდესაც აშშ ცდილობს ამ ქვეყნის დესტაბილიზაციას და მის ხელში ჩასაგდებად ემზადება, მნიშვნელოვანი იარაღია, რომელსაც აშშ იყენებს რუსეთში სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით.**

ზოგი რუსი მიუტევებს ვაშინგტონს ანტირუსულ რიტორიკას და ამას იმით ხსნის, რომ ეს რიტორიკა „ცივი ომისდროინდელი" ძველი სტერეოტიპებიდან მომდინარეობს. „ძველი სტერეოტიპები" — ეს არის ყურადღებით გადასატანი მანევრი, რომელიც თესავს დაბნეულობას. ვაშინგტონი რუსეთს უმიზნებს. რუსეთი დარტყმის ქვეშაა და, თუ რუსები ამას ვერ მიხვდებიან, ისტორიის კუთვნილებად იქცევიან.

ბევრ რუსს „გადამრთველ ღილაკზე სძინავს". მათ გაღვიძებას „იზბორსკის კლუბი" (ექსპერტთა გაერთიანება — რედ.) ცდილობს. 2014 წლის 12 თებერვალს რუსულ ყოველკვირეულ „ზავტრაში" გამოქვეყნებულ სტატიაში სტრატეგიისა და სამხედრო ექსპერტები გვაფრთხილებდნენ: დასავლეთი საპროტესტო გამოსვლებს იმისთვის იყენებს, რომ უკრაინას გააუქმებინოს გადაწყვეტილება ევროკავშირში გაწევრებაზე უარის შესახებ. შედეგად, ამან შექმნა სიტუაცია, როდესაც შესაძლებელია ფაშისტური გადატრიალების მოწყობა. ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ძმათამკვლელი ომი უკრაინაში და გახდეს სერიოზული სტრატეგიული საფრთხე რუსეთისთვის.

**ექსპერტთა დასკვნით, თუკი ასეთი გადატრიალება მოხდება, რუსეთისთვის შედეგები იქნება შემდეგი:**

**— სევასტოპოლის, როგორც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზის, დაკარგვა;**

**— სამხრეთ და აღმოსავლეთი უკრაინიდან წარმოშობით რუსი დევნილების იძულებითი ნაკადი;**

**— კიევში, დნეპროპეტროვსკსა და ხარკოვში, სადაც რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსისთვის შეკვეთებს ასრულებენ, საწარმოო სიმძლავრეების დაკარგვა;**

**— რუსულენოვანი მოსახლეობის დათრგუნვა იძულებითი უკრაინიზაციით;**

**— ნატოს ამერიკული სამხედრო ბაზების შექმნა უკრაინაში, მათ შორის, ყირიმში; ტერორისტების საწვრთნელი ცენტრების შექმნა, რომელთა სამიზნეც იქნება კავკასია, ვოლგისპირეთი და, შესაძლოა, ციმბირი;**

**— რუსეთის ქალაქებში არარუსი ეროვნების წარმომადგენელთა აქციები კიევის ხელმძღვანელობით.**

რუსი სტრატეგები მიდიან დასკვნამდე, რომ **„სიტუაცია, რომელიც იკვეთება უკრაინაში, შეიძლება კატასტროფული შედეგები ჰქონდეს რუსეთისთვის".**

რა უნდა გაკეთდეს? აქ სტრატეგიის ექსპერტები, რომლებმაც სწორად გააანალიზეს სიტუაცია, ფართო საინფორმაციო კამპანიისკენ მოუწოდებენ, რათა გამოააშკარაონ გადატრიალების ხასიათი. ისინი, აგრეთვე, მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას, რომ მიმართოს 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმს და უკრაინის კონფლიქტის დასარეგულირებლად მოიწვიოს კონფერენცია რუსეთის, უკრაინის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამდენიმე მხარე მხარს არ დაუჭერს ბუდაპეშტის მემორანდუმის გამოყენებას უკრაინის სუვერენიტეტის დარეგულირების საქმეში, ექსპერტები რუსეთის ხელისუფლებას ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობენ. არგუმენტად კი იშველიებენ კენედისა და ხრუშჩოვის მოლაპარაკებას, რომელიც 1962 წელს კუბის სარაკეტო კრიზისის პერიოდში გაიმართა.

მაგრამ ეს განუხორციელებელი ოცნებაა. ექსპერტები ილუზიების ტყვეობაში მოექცნენ. **ვაშინგტონი თვითონ არის დამნაშავე უკრაინის კრიზისში და განზრახული აქვს, უკრაინაში გადატრიალება მოაწყოს სწორედ იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ექსპერტებმა ჩამოთვალეს.**

ეს არის რუსეთის დესტაბილიზაციისა და აშშ-ის მხრიდან სირიასა და ერაყზე თავდასხმის თავიდან აცილების პუტინის წარმატებული დიპლომატიის უარყოფის გეგმა.

**თუკი ვაშინგტონი შეძლებს უკრაინაში გადატრიალების მოწყობას, რუსეთი, როგორც წინაღობა აშშ-ის ჰეგემონიისა მსოფლიოზე, ლიკვიდირებული იქნება. რჩება მხოლოდ ჩინეთი.**

ვეჭვობდი, რომ უკრაინა დუღილის წერტილამდე სწორედ იმ მომენტში მივიდოდა, როდესაც პუტინი და რუსეთი სოჭის ოლიმპიადით იქნებოდნენ დაკავებულნი. ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ რუსეთი სერიოზული სტრატეგიული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

რა რეალური ვარიანტები არსებობს რუსეთისთვის? ნებისმიერ შემთხვევაში ვაშინგტონის მხრიდან რამე კეთილი ნების იდეა უნდა გამოირიცხოს.

შესაძლოა, რუსეთმა ამერიკული სცენარით იმუშაოს. თუ რუსეთს ჰყავს უპილოტო თვითმფრინავები, შეეძლო ისე გამოეყენებინა, როგორც ამას ვაშინგტონი აკეთებდა ამერიკის მიერ დაფინანსებული საპროტესტო აქციების ლიდერების დასახოცად. ან რუსეთს შეუძლია გაგზავნოს სპეცრაზმი რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი აგენტების გასანადგურებლად. **თუკი ევროკავშირი განაგრძობს უკრაინის დესტაბილიზაციისთვის მხარდაჭერას, მაშინ რუსეთს შეუძლია შეუწყვიტოს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდება ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც აშშ-ის მარიონეტები არიან.**

გარდა ამისა, **რუსეთის ჯარს შეუძლია, დაიკავოს დასავლეთი უკრაინა, ვიდრე არ გაფორმდება ხელშეკრულება უკრაინის გაყოფის შესახებ, რომელიც ბოლო 200 წლის განმავლობაში ერთიანი რუსეთის ნაწილი იყო.**

ცხადია, რომ აღმოსავლეთი უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთი ურჩევნია ევროკავშირს. ისიც შესაძლებელია, რომ დასავლეთ უკრაინის საკმაოდ ტვინგამორეცხილი პერსონაჟები, შეწყვეტენ დორბლის ყრას და მიხვდებიან, რომ **აშშ-ისა და ევროკავშირის ხელში ყოფნით უკრაინა ისევე გაიძარცვება, როგორც საბერძნეთი და ლატვია.**

მე აღვწერე ყველაზე ნაკლებად სახიფათო შედეგები კრიზისისა, რომელსაც ქმნიან ვაშინგტონი და მისი უგუნური მარიონეტი ქვეყნები. ყველაზე ცუდი შესაძლო შედეგი კი ომია. **თუ რუსები გულხელს დაიკრეფენ, სიტუაცია მათთვის აუტანელი გახდება. და რადგან უკრაინა ნატოს წევრობისა და რუსი მოსახლეობის დათრგუნვისკენ მიილტვის, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება ან თავს უნდა დაესხას უკრაინას და დაამხოს უცხო რეჟიმი, ან დანებდეს ამერიკელებს.**

**შედეგი თავხედური სტრატეგიული საფრთხისა, რომელთან შეჯახებისკენაც რუსეთს უბიძგებს ამერიკა, არის ატომური ომი.**

ნეოკონსერვატიული ვიქტორია ნულანდი ზის სახელმწიფო დეპარტამენტში და სიხარულით არჩევს უკრაინის ახალი მთავრობის წევრებს. გაცნობიერებული აქვს მას ატომური ომის დაწყების რისკი უკრაინისა და რუსეთის საშინაო საქმეებში ვაშინგტონის ჩარევის გამო? **იციან კი პრეზიდენტმა ობამამ და აშშ-ის კონგრესმა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის შესახებ, რომელმაც შეიძლება არმაგედონი გამოიწვიოს?**

**უდარდელი ამერიკელები ყურადღებას არ აქცევენ და აზრზე არ არიან, რომ ერთი მუჭა ნეოკონსერვატიული იდეოლოგები მსოფლიოს განადგურებისკენ უბიძგებენ.**

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქალმა სისხლიანი კალო დაატრიალა

**44 წლის შერი როადესმა ქალაქ ალტურასში (სიდარველი, ინდიელთა რეზერვაცია, აშშ) სისხლიანი კალო დაატრიალა.** შეიარაღებული ქალი ინდიელთა საბჭოს ოფისში შევიდა, სადაც მისი და მისი შვილის ინდიელთა თემიდან მოკვეთის საკითხი განიხილებოდა. შერიმ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ გაისროლა, შედეგად ოთხი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, ერთი კი დაჭრა. შემდეგ ქალმა დანა ამოიღო და კიდევ ერთი ადამიანი დაჭრა. როადესმა სიცოცხლეს გამოასალმა ტომის ბელადი და კიდევ სამი მამაკაცი, მათ შორის 2 ძმისშვილი.





## დააპატიმრეს მილიარდერი სენატორი

**პარიზის გარეუბან ნანტერში ფრანგი სენატორი, მილიარდერი სერჟ დასო დააპატიმრეს.** 88 წლის სენატორი (ესონის ოლქიდან) ამომრჩეველთა მოსყიდვაშია ეჭვმიტანილი. დასო ქალაქ კორბეი-ესონს 1995-2009 წლებში მართავდა და, ვინმე რაშიდ ტუმის განცხადებით, მართავდა როგორც მაფიოზი. რაშიდ ტუმიმ განაცხადა, რომ მის მოკვლას ორჯერ შეეცადნენ დასოს თანამზრახველები. 2008 წელს დასომ გაიმარჯვა არჩევნებში, მაგრამ საარჩევნო კომისიამ შედეგები გააუქმა, რადგან ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტები გამოვლინდა. 2009 წლის არჩევნებში კი დასოს თანამოსანგრე ჟან-პიერ ბეშტემ გაიმარჯვა. ბეშტესა და მერიის კიდევ ერთ თანამშრომელს კრესტელ დე ოლივეირას უკვე წაუყენეს ბრალდებები.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ „ფორბსის" სარეიტინგო სიაში დასო მეოთხეა ფრანგ მილიარდერთა შორის; მსოფლიოში კი 13-მილიარდიანი ქონებით — 69-ე ადგილზე.



## ძიძა წყვილს უნიტაზის წყლით წამლავდა

**ქალმა, რომელიც შურს იძიებდა იმ ოჯახის წევრებზე, რომელთანაც ძიძად მუშაობდა, შეიტყო, რომ მის მიერ ჩადენილი ბოროტების გამო ადამიანებს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნათ და ჩადენილი მოინანია.**

შურისმაძიებელმა ამერიკელმა ქალმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღწერს, რაც ჩაიდინა და რჩევას საზოგადოებას ეკითხება.

**„ადრე მე ძიძად ვმუშაობდი ყველაზე უყურადღებო, უხეშ და მოუთმენელ წყვილთან. მათთან ყოფნა აუტანელი იყო, ამიტომ დავიწყე მათი დასჯა. სააბაზანოში შევდიოდი და მათ კბილის ჯაგრისებს უნიტაზში ვყოფდი. ვიცოდი, რომ ოჯახის უფროსის ცოლს ტუმბოზე ყოველთვის ედო წყლით სავსე ბოთლი და ამ ბოთლში უნიტაზიდან ამოღებულ წყალს ვასხამდი. ეს ყველაფერი მაძლევდა იმის საშუალებას, რომ თავი უკეთესად მეგრძნო და ამ საშინელი სიტუაციის შესახებ დამევიწყებინა",** — წერს ძიძა და დასძენს, რომ „დივერსიულ" მოქმედებას სამი თვის განმავლობაში განაგრძნობდა, შემდეგ კი ფსიქიკის პრობლემა შეექმნა და სამსახური მიატოვა. ახლა კი ჩადენილის გამო სინდისი ქენჯნიდა, რადგან შეიტყო, რომ წყვილს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა.

**„შევიტყვე, რომ ისინი ავად გახდნენ, და ახლა სინდისის მქენჯნის, ხომ შეიძლება, რომ მე ვიყო ამის მიზეზი? არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დავურეკო მათ და ყველაფერი ვაღიარო? ასეთ შემთხვევაში ჩვენ შორის კარგი ურთიერთობის იმედი არ უნდა მქონდეს. როგორ მოვიქცე?"** — ამ კითხვით მიმართა ამერიკელმა ძიძამ საზოგადოებას და „ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტ ემილი იოფეს, რომელმაც ურჩია მას, რომ ადვოკატი აეყვანა, რადგან აუცილებლად დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

## სეპარატისტული განწყობა კალიფორნიაში

**აშშ-ის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული შტატის სახელმწიფო მდივანმა დებრა ბოუენმა დაეთანხმა კალიფორნიის დანაწევრების მსურველებს, დაიწყონ აგიტაცია.** კალიფორნიის დაყოფის იდეის ავტორი ამერიკელი ფინანსისტი, კომპანია Draper Fischer Jurvetson-ის დამფუძნებელი ტიმ დრეიპერია. მისი აზრით, „ოქროს შტატის" უზარმაზარი ტერიტორია მისი ეფექტურად მართვის შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ რამდენიმე ნაწილად უნდა დაიყოს. ამ იდეის განსახილველად და შემდეგ განსახორციელებლად აქტივისტებმა 18 ივლისამდე უნდა შეაგროვონ 800 ათასი ხელმოწერა. სეპარატისტული განწყობილება არამხოლოდ კალიფორნიაში, არამედ სხვა შტატებშიც შეინიშნება, თუმცა მხოლოდ დრეიპერის პროექტი ითვალისწინებს 6 ახალი რეგიონის წარმოქმნას. ერთ-ერთ შტატს, რომელშიც შევა ქალაქები სან-ხოსე, მონტერეი და სან-ფრანცისკო, კაჟის ველი დაერქმევა; სამხრეთ კალიფორნიაში შევა ქალაქები სან დიეგო, ირვინი და რივერსაიდი; დასავლეთ კალიფორნიაში — ტერიტორია ლოს ანჯელესიდან სან-ლუის-ობისპომდე. ცენტრალური კალიფორნია მოიცავს ბეიკერსფილდს, ფრესნოსა და სტოქტონს. კიდევ ერთ ახალ შტატ ჯეფერსონში კი შევა ტერიტორია ორეგონის საზღვრიდან ქალაქ რედინგამდე.




## ისრაელის ციხეში ამბოხებული ამერიკელი მოკლეს

**ისრაელის ციხეში პოლიციელებმა მოკლეს 34 წლის ამერიკელი სემუელ შეინბეინი, რომელმაც სროლა ატეხა საპყრობილეში,სადაც სასჯელს იხდიდა.**

შეინბეინის განეიტრალების ოპერაციაში ტერორიზმთან ბრძოლის რაზმის წევრები მონაწილეობდნენ. სპეცრაზმი მას შემდეგ გამოიძახეს, როცა შეინბეინმა ერთ-ერთ მცველს იარაღი წაართვა, სამ ზედამხედველს ესროლა და ციხის ტერიტორიაზე ბარიკადები ააგო.

შეინბეინმა შემთხვევის ადგილას მისულ სპეცრაზმსაც გაუხსნა ცეცხლი, მაგრამ პოლიციელის საპასუხო ტყვიამ იმსხვერპლა. ორი ზედამხედველი კი, რომლებსაც პატიმარმა სროლა აუტეხა, მძიმედ დაიჭრა.




სემუელ შეინბეინი ისრაელის ციხეში 24-წლიან სასჯელს იხდიდა მკვლელობისთვის, რომელიც მან 1997 წელს მერილენდის შტატში (აშშ) ჩაიდინა. მკვლელობის შემდეგ ებრაული წარმოშობის ამერიკელი, რომელსაც ისრაელის მოქალაქეობის უფლება ჰქონდა, სამუდამო პატიმრობის თავიდან აცილების მიზნით ისრაელში გაემგზავრა. შეინბეინს განაჩენი 1999 წელს ისრაელის სასამართლომ გამოუტანა. ამერიკელი სამართალდამცავები მკვლელობაში ბრალდებულის ექსტრადიციას ითხოვდნენ, მაგრამ მის გადაცემაზე ისრაელმა უარი განაცხადა, რადგან ისრაელის კანონმდებლობა კრძალავს მისი მოქალაქის ექსტრადიციას.

შეინბეინი ბრალდებული იყო 19 წლის ალფრედ ტელოს მკვლელობაში, რომელიც 17 წლისამ ჩაიდინა თანამზრახველ აარონ ნიდლთან ერთად. მკვლელობის მოტივი კი ნიდლის მტრული დამოკიდებულება იყო ტელოს მიმართ. შეინბეინმა და ნიდლმა მსხვერლს ჯერ გონება დააკარგვინეს ელექტროშოკერით, შემდეგ დანით რამდენჯერმე დაჭრეს, ბოლო კი გადაჭრილი თოფის კონდახით მოუღეს. შემდეგ ტელოს გვამი დაანაწევრეს და ავტოფარეხში დამალეს, თუმცა, გადაგდება ვერ მოასწრეს.

პოლიცია ბოროტმოქმედთა კვალზე გავიდა და ნიდლის დაპატიმრებას შეეცადა, მაგრამ მან თავი მოიკლა, შეინბეინმა კი თავი ისრაელს შეაფარა.



## მასწავლებელმა მოსწავლეს ზურგში ფანქარი ჩაარჭო

**ჰავაის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში შოკისმომგვრელი ინციდენტი მოხდა: მასწავლებლის თანაშემწემ წამახული ფანქარი მოსწავლის წინააღმდეგ გამოიყენა.**

ამ ინციდენტის შემსწრე ერთ-ერთი მოსწავლის მამამ კევინ კენედიმ ჟურნალისტებს გამაოგნებელი ამბავი მოუყვა:

„როგორც ჩანს, ერთ ბავშვს მოსწყურდა და მასწავლებლის დაუკითხავად მერხიდან წამოდგა. ამ მომენტში მასწავლებლის თანაშემწემ უბრძანა, უკან დაბრუნებულიყო, სკამზე დამჯდარიყო და ხელები მაგიდაზე დაეწყო. მოსწავლე არ დაემორჩილა და გაექცა. შესაძლოა, მოსწავლემ უზრდელად მიმართა თანაშემწეს, რის გამოც ის გააფთრდა — დახია მოსწავლის წიგნები და იატაკზე დაყარა, შემდეგ კი წამახული ფანქარი აიღო და ბიჭს ზურგში ჩაარჭო".

## ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის თავდასხმამ მექორწილეები იმსხვერპლა

**საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაცია „ჰუმან რაითს უოჩმა" 2013 წლის დეკემბერში იემენის ქალაქ რადას დაბომბვის გამოძიების შედეგები გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ ავიათავდასხმას 12 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, 15 კი დაიჭრა.**

რაკეტების აფეთქების შედეგად ქალაქ რადაში საქორწინო ცერემონიაზე მისული ადამიანები დაიღუპნენ. ამერიკელი სამხედროები კი ამტკიცებენ, რომ უპილოტო თვითმფრინავიდან გაშვებულმა რაკეტებმა „ალ ქაიდას" წევრები იმსხვერპლა.

„ჰუმან რაითს უოჩის" მიერ ჩატარებული გამოძიება მოწმობს, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაპირება, რომ უპილოტო თვითმფრინავების გამოყენებისას მშვიდობიან მოსახლეობას არაფერი დაემუქრებოდა, ცარიელი სიტყვებია, უპილოტო თვითმფრინავებიდან გაშვებული რაკეტების აფეთქების შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები იემენის გარდა, ავღანეთშიც დაიღუპნენ და პაკისტანშიც.






## ფილმიდან ობამა — «სატანის» კადრები ამოჭრეს

**ამერიკული ფილმის „ღვთის შვილი“ მსახიობი მოჰამან მეჰდი ოუაზანი, რომელიც სატანის როლს ასრულებდა, ძალიან ჰგავს პრეზიდენტ ბარაკ ობამას. ამის გამო პროდიუსერები იძულებულნი შეიქნენ, ფილმიდან ის სცენები ამოეჭრათ, რომლებშიც ბოროტების შემოქმედ აშშ-ს პირველი პირის სახე აქვს.** ერთ-ერთი პროდიუსერი რომა დაუნი ამბობს, რომ რამდენიმე სცენის ამოჭრა ფილმს არ გააფუჭებს, რადგან სურათის ცენტრალური ფიგურა არის იესო ქრისტე. **„ეს ფილმი იესოზეა, ღვთის შვილზე, სატანას კი ეკრანზე დრო აღარ ექნება“**, — განაცხადა რომა დაუნიმ. ფილმის „ღვთის შვილი“ პრემიერა 2014 წლის 28 თებერვალს გაიმართება.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიუ იორკის პოლიცია: სკანდალები, გაუპატიურებები, მკვლელობები

**პოლიცია აშშ-ში — ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში. ამერიკელ კოპებს მიეტევებათ თითქმის ყველაფერი: ნარკოტიკებით ვაჭრობა, გაუპატიურება და მკვლელობებიც კი. ამ მხრივ ნიუ იორკის პოლიციას კონკურენტი არ ჰყავს. თვე არ გავა, რომ აქაური სამართალდამცველები სკანდალში არ გაეხვიონ.**



სამი კვირის წინათ 72 ყოფილი პოლიციელი დაადანაშაულეს სადაზღვევო და სოციალური დახმარების თაღლითურად მიღებაში. მათ ბრალი ფსიქიკური აშლილობის სიმულირებაში დასდეს — თითქოს 2001 წლის 11 სექტემბერს სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად ჩამონგრეულ შენობებში მუშაობისას ფსიქიკური ტრამვა მიიღეს. ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ ამ პოლიციელებმა ბიუჯეტიდან უკანონოდ მიიღეს 400 მლნ დოლარი, თუმცა კანონისა და სამართლიანობის გამარჯვებაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევია.

**ნიუიორკელი პოლიციელები რეგულარულად ეხვევიან სკანდალებში, მაგრამ მათი დიდი ნაწილი თავს აღწევს მართლმსაჯულებას.** ბოლო 11 წლის განმავლობაში მათ საიმედო დამცველი ჰყავდათ — ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი (მას უფლებამოსილების ვადა 2013 წლის 31 დეკემბერს ამოეწურა), რომელიც შეპყრობილი იყო იდეით, ექცია ნიუ იორკი აშშ-ის ყველაზე უსაფრთხო მეგაპოლისად. ამ მიზნით პოლიციას შეუზღუდავი უფლებები მისცეს, მათ შორის ადამიანებს მასობრივი თავშეყრის ადგილებში იარაღის გამოყენებისა და, აგრეთვე, „გაჩერება-დაკითხვა-ჩხრეკის“ უფლება, რაც ნებისმიერი „საეჭვო“ ადამიანის დაკავებას გულისხმობს. **ბლუმბერგის მერობის პერიოდში ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტი რამდენიმე კორუფციულ სკანდალშიც აღმოჩნდა გარეული**. ყველაზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა ე. წ. Ticket-Fixing-ის საქმეს. აშშ-ში ავტომოყვარულები, რომლებიც დაარღვევენ საგზაო მოძრაობის წესს, იღებენ საჯარიმო ქვითარს, აგრეთვე, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, შეიძლება მართვის მოწმობას დიდი ხნით გამოეთხოვონ. ვინც პოლიციელის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მიდის სასამართლოში, სადაც გადაწყვეტილებას პრაქტიკულად ყოველთვის ბრალდების მხარის სასარგებლოდ იღებენ — და ასეთ შემთხვევაში ავტომოყვარულს არა მხოლოდ ჯარიმის (რომელიც ათასობით დოლარს შეადგენს) გადახდა უწევს, არამედ სასამართლოსთვისაც უნდა გაიღოს ხარჯები. თუმცა, თუ პოლიციელი, რომელიც ჯარიმას გამოწერს, სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდება, მაშინ გადაწყვეტილება ავტომატურად „დამრღვევის“ სასარგებლოა. აფერის არსიც სწორედ ის არის, რომ ქრთამის აღების შემდეგ პოლიციელები დანიშნულ დღეს სასამართლოში არ ცხადდებოდნენ. **ქალაქის პოლიციის შეფის განცხადებით, ასეთი 300 პოლიციელია გამოვლენილი, რომლებმაც ნიუ იორკის ბიუჯეტი 2 მლნ დოლარით აზარალეს.**

**რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ ნიუ იორკის პოლიციას უწოდა «მოძალადეთა ერთობა, რომლის წევრებიც აუპატიურებენ ქალებს და სდევნიან მოქალაქეებს»**




**სკანდალის აპოთეოზი იყო 43 წლის ხოსე რამოსისა და მისი მეუღლისთვის მისჯილი ხანგრძლივი პატიმრობა. როგორც გაირკვა, ოფიცერი არა მხოლოდ საავტომობილო ჯარიმების თაღლითობაში მონაწილეობდა, არამედ ვაჭრობდა ნარკოტიკებით და ძარცვავდა კიდეც. უფრო მეტიც — საგამოძიებო იზოლატორში ყოფნისას ის მოწმის მკვლელობის ორგანიზებას შეეცადა და ცოლს სთხოვა, ქილერი მოეძებნა.**

2011 წლის აგვისტოში გამოძიება დაიწყო 30-მდე პოლიციელის მიმართ. მათ ბრალი ედებოდათ ცრუ ჩვენების მიცემასა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულებში. როგორც გაირკვა, ისინი თხზავდნენ დაპატიმრების გარემოებებს და აყალბებდნენ სამხილებს.

2012 წელს ნიუ იორკის სამართალდამცველ ორგანოებში ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევები შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მკვლელობების რიცხვი, რომლებშიც ნიუიორკელი კოპები მონაწილეობდნენ. **თუკი 2011 წელს ნიუიორკელმა სამართალდამცველებმა 11 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს, 28 კი დაჭრეს, 2012 წელს ეს მონაცემები შეადგენდა, შესაბამისად, 16 და 30 კაცს.**

2012 წლის თებერვალში ბრონქსში, კერძო სახლში, პოლიციელებმა მოზარდი მოკლეს, სექტემბერში ოფიცერმა „შემთხვევით“ გამოასალმა სიცოცხლეს მინიმარკეტის თანამშრომელი, ოქტომბერში კი ქვინსში მოკლეს ნასვამი მამაკაცი, სხვათა შორის, ეროვნული გვარდიის ოფიცერი. კიდევ ერთმა ინციდენტმა, რომელიც აგვისტოში მოხდა, ამერიკა შეძრა. **ბოროტმოქმედის დევნისას ნიუიორკელმა პოლიციელებმა ქუჩაში გამვლელი 9 მოქალაქე დაჭრეს. პოლიციელებმა ბოროტმოქმედს 16 ტყვია ესროლეს და მათგან 9 უდანაშაულო მოქალაქეებს მოახვედრეს...**

ამ ინციდენტზე მაიკლ ბლუმბერგის კომენტარი განცვიფრებას იწვევს. ნიუ იორკის იმჟამინდელმა მერმა პოლიციელები დაიცვა და ხაზი გაუსვა მათ „მაღალ პროფესიონალიზმს“(?).

2013 წელს დაიწყო განაჩენის გამოტანა პოლიციელისთვის, რომელმაც 25 წლის მასწავლებელი გააუპატიურა. მან ეს ჩაიდინა გარყვნილი ფორმით, თან ქალს პისტოლეტით ემუქრებოდა. ნიუ იორკის შტატის კანონმდებლობა არ ცნობს „ორალურ“ და „ანალურ“ სექსს, როგორც გაუპატიურებას და მას „სექსუალურ ძალადობად“ მიიჩნევს.

აქედან გამომდინარე, პოლიციელი მაიკლ პენა მკაცრ სასჯელს გადაურჩა. არადა, მის მიერ ჩადენილი კიდევ ორი ანალოგიური შემთხვევაც რომ გამოეძიებინათ, მოძალადე სამართალდამცველი 85-წლიან პატიმრობას ვერ გადაურჩებოდა.

ალსანიშნავია, რომ ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე **რამდენიმე უფლებადამცველმა ორგანიზაციამ ნიუ იორკის პოლიციას უწოდა „მოძალადეთა ერთობა, რომლის წევრებიც აუპატიურებენ ქალებს და სდევნიან მოქალაქეებს“. ამ მკვეთრი განცხადების მიზეზი იყო ორი ეპიზოდი — ორი პოლიციელის მიერ ქალის გაუპატიურების მცდელობა, 2011 წლის სექტემბერში ანტისამთავრობო დემონსტრაციის დარბევა.**

2013 წელს ნიუიორკელმა პოლიციელებმა დაჭრეს ორი გამვლელი, როდესაც ესროდნენ „საეჭვო“ მამაკაცს, რომელსაც ჯიბეებში ჰქონდა ხელები ჩაწყობილი. აგვისტოში 14 წლის მოზარდი მოკლეს, სექტემბერში კი კიდევ ერთი სასროლეთი მოაწყვეს თაიმსსკვერში, სადაც 2 ქალი დაჭრეს. ეჭვმიტანილს კი, რომელსაც პოლიციელებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ესროლეს, ნაკაწრიც არ ჰქონდა. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ „ეჭვმიტანილი“ უიარაღო იყო. მოგვიანებით პოლიციელებმა განაცხადეს, რომ მათ მოეჩვენათ, თითქოს მამაკაცი მოქალაქეების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა იარაღით(?).

**აქვე აღსანიშნავია ერთი შემთხვევა, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში ვაშინგტონში მოხდა. ქალს, რომელმაც კონგრესის შენობასთან ახლოს მოძრაობის წესი დაარღვია, პოლიციელმა ესროლა. ქალი დაიღუპა, მისი 18 თვის შვილი კი, რომელიც ავტომობილის უკანა სავარძელში იჯდა, სასწაულით გადარჩა...**





## ამერიკელი ქალი ღირსების შეურაცხმყოფელი ფრაზის თქმისთვის გააუპატიურეს

**ამერიკული საკრუიზო ლაინერის დამლაგებელს, ინდონეზიის მოქალაქეს, ბრალი გაუპატიურებასა და მკვლელობის მცდელობაში დასდეს.**

გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა 28 წლის კეტუტ პუჯაიასა პორტ ფორტლოდერდეილში (ფლორიდის შტატი) გემისშესვლისთანავე დააპატიმრეს, მანამდე კი ეჭვმიტანილი გემის დაცვის წევრების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

დაკითხვისას პუჯაიასამ განაცხადა, რომ ქალი მას უპატივცემულოდ მოეპყრო და თავს ამიტომ დაესხა. დამლაგებელი განსაკუთრებით შეურაცხყო ფრაზამ, რომლითაც მას ქალმა კაიუტის კარზე დაკაკუნების შემდეგ მიმართა: „ერთი წუთით დაიცადე, ძაღლისშვილო!“ პუჯაიასა შევიდა კაიუტაში, 31 წლის ამერიკელი ქალი გალახა და გააუპატიურა, შემდეგ კი აივნიდან ზღვაში გადაგდება დაუპირა, მაგრამ ამ მომენტში კაიუტის კარზე სხვა მგზავრმა დააკაკუნა და ბოროტმოქმედი გაიქცა.

პუჯაიასა მალე დაიჭირეს და ახლა ის სასამართლოს განაჩენს ელოდება.



## ამერიკელი პოლიტიკოსი პორნოგრაფიის შენახვისთვის დააპატიმრეს

**ზიმბაბვეში დააპატიმრეს აშშ-ის ყოფილი კონგრესმენი ილინოისის შტატიდან მელვინ ჯეი რეინოლდსი. ის ეჭვმიტანილია საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევასა და პორნოგრაფიის შენახვაში.**

ყოფილი კონგრესმენი სასტუმროს ნომერში აწყობდა ორგიებს და ყველაფერს ფოტო და ვიდეოკამერებით იღებდა, გარდა ამისა, ზიმბაბვეში ვადაამოწურული ვიზით იმყოფებოდა. რეინოლდს სასტუმროს ვალიც ჰქონდა — 25 ათასი დოლარი.

რეინოლდსი კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი იყო (დემოკრატიული პარტიიდან) 1993-1995 წლებში. ის იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო მას შემდეგ, რაც გახმაურდა, რომ სქესობრივი კავშირი ჰქონდა არასრულწლოვანთან და შინ პორნოგრაფიას ინახავდა. ამისთვის რეინოლდს 5 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. 2010 წელს ყოფილი კონგრესმენი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას დაუბრუნდა, კონგრესის არჩევნებშიც მონაწილეობდა, მაგრამ წარუმატებლად.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ძალების ავღანეთიდან გასვლა სულაც არ იქნება ტრიუმფატორების დაბრუნება სამშობლოში, პირიქით, ეს სამარცხვინო უკანდახევას უფრო ჰგავს. ამიტომაც ამერიკელებს სურთ, „წავიდნენ დარჩენით“, ანუ ისე, რომ ნებისმიერ წუთს შეეძლოთ „ოპერატიული გაფართოება“.**




# ამერიკელები ავღანეთიდან წასვლას არ აპირებენ

**ავღანეთიდან ამერიკული სამხედრო კონტიგენტის ევაკუაცია, გეგმის თანახმად, 2014 წლის დეკემბრისთვის უნდა დასრულდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკელები შეყოვნდებიან. საამისოდ საუკეთესო საბაბი მდგომარეობის დესტაბილიზაციაა და შემთხვევითი არ არის, რომ ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ამერიკელები თალიბებთან შეთქმულებაში დაადანაშაულა...**





**ჰამიდ ყარზაი:**

## ამერიკელები თანამშრომლობენ მეამბოხეთა ზოგიერთ დაჯგუფებასთან, რომლებიც აშშ-ის დაკვეთებს ასრულებენ

ამერიკელები ავღანეთში 2001 წლის დასასრულს შეიჭრნენ, როცა ჯორჯ ბუშ უმცროსმა ტერორიზმთან ბრძოლა გამოაცხადა. მას შემდეგ აშშ-ის სამხედრო კონტიგენტი, რომელსაც ნატოს წევრი ქვეყნების მომცრო ნაწილები შეერწყა, ასი ათასზე მეტ წევრამდე გაიზარდა. **12-წლიანი ომის მანძილზე ავღანეთი აშშ-ის მილიონ-ნახევარმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა. მიუხედავად ამისა, კოალიციამ მაინც ვერ მიაღწია რაიმე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ შედეგს — „ალ ქაიდასა“ და „თალიბანის“ წინააღმდეგობის ჩახშობას.** უფრო მეტიც, მშვიდობიანი სოფლებისთვის მოწყობილი წმენდით, იმ სამოქალაქო პირების წამებებისა და მკვლელობების გამო, რომელთაც ტერორიზმთან დაკავშირებულებად მიიჩნევდნენ, ამერიკელებმა ადგილობრივ მოსახლეობას საფუძვლიანად შეაძულეს თავი.

**„მთავარი ამოცანა — უსაფრთხოების უზრუნველყოფა — მიღწეული არ არის, ტერორიზმთან ბრძოლა წარმატებით არ დაგვირგვინებულა“,** — დაასკვნა პრეზიდენტმა ყარზაიმ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ.

**აშშ-ის ძალების ავღანეთიდან გასვლა სულაც არ იქნება ტრიუმფატორების დაბრუნება სამშობლოში, პირიქით, ეს სამარცხვინო უკანდახევას უფრო ჰგავს. ამიტომაც ამერიკელებს სურთ, „წავიდნენ დარჩენით“, ანუ ისე, რომ ნებისმიერ წუთს შეეძლოთ „ოპერატიული გაფართოება“. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი ფორმალობის დაცვა, კერძოდ, ავღანეთის ოფიციალური ხელისუფლების დარწმუნება, ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ქვეყანაში უნდა დარჩეს აშშ-ის არმიის ათიათასიანი კონტიგენტი.**

ამ ხელშეკრულებას ყარზაი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს, თუ ამერიკელები ვალდებული გახდებიან, დაიცვან მოქალაქეების საცხოვრებლების ხელშეუხებლობა, შეწყვიტონ სამხედრო ოპერაციები ოთხ დასახლებულ ობიექტზე, სამშობლოში დააბრუნონ გუანტანამოს ციხეში გამომწყვდეული ავღანელები და დაკეტონ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი, ტერორიზმში ექვმიტანილთათვის განკუთვნილი საკონცენტრაციო ბანაკები.

მაგრამ თეთრ სახლში შეჩვეულნი არ არიან, რომ მათ ვინმე პირობებს უყენებდეს. მით უფრო, თუ საუბარია სახელმწიფოზე, სადაც ვარსკვლავზოლოვანი ჯარისკაცები, დიდი ხანია, თავს სრულფასოვან ბატონებად გრძნობენ.

ამრიგად, ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ **ამერიკელები, რომელთაც სურთ, ავღანეთში საკუთარი პირობებით დარჩნენ, ნავს შეარყევენ — იმოქმედებენ თავად ან იმ ისლამური დაჯგუფებების და მათ შორის „თალიბანთან“ დაკავშირებულთა დახმარებით, რო-**



**ანდერს ფოგ რასმუსენი:**

## ავღანეთის პრეზიდენტი ცეცხლს ეთამაშება, როდესაც უარს ამბობს აშშ-თან ხელშეკრულების გაფორმებაზე

**მელთაც თავად აკონტროლებენ.**

გასულ წელს ყარზაიმ რამდენიმეჯერ მიანიშნა ამგვარ სცენარზე. მაგალითად, მარტში მან განაცხადა, რომ ამერიკელები ცდილობენ, ავღანელთა დაშინებას, თვითმკვლელების თავდასხმები კი იმის გამო ხდება, რომ ავღანელებმა უცხოური ძალების დარჩენის სურვილი გამოთქვან. ეს განცხადება ავღანეთის ტელეეთერით იმ ორი აფეთქების შემდეგ გაისმა, რომლებმაც 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაშინ ყარზაიმ პირველად განაცხადა, რომ **ამერიკელები თანამშრომლობენ მეამბოხეთა ზოგიერთ დაჯგუფებასთან, რომლებიც აშშ-ის დაკვეთებს ასრულებენ.** უფრო მეტიც, **ავღანეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ თალიბების წარმომადგენლები და ამერიკელი დიპლომატები საზღვარგარეთ ყოველდღიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ამასთან, მან დემონსტრაციულად განაცხადა უარი პენტაგონის მეთაურთან შეხვედრაზე.** ამავე დროს ყარზაის თანაშემწემ პრესას აცნობა, რომ **ქაბულის ვარაუდით, ტერაქტების განხორციელებაში დამნაშავეა ცსს-ს მომზადებული რამდენიმე ათასი ბოევიკი, რომლებიც ცნობილნი არიან „ავღანური კონტრტერორისტული ძალების“ სახელით.**

მთელი დარჩენილი წელი სიტყვიერ კინკლაობაში გავიდა, ქაბულსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები იძაბებოდა, ხელშეკრულების საკითხი იოტისოდენადაც არ დაძრულა მკვდარი წერტილიდან. იანვარში ავღანეთის მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის მორიგი ამოფრქვევა „მოკავშირეებს“ შორის ღია განქეთქილების მიზეზად იქცა. ახალი წლის შემდეგ ჰელმანდის პროვინციაში აშშ-ის საზვაო ქვეითებმა ოთხი წლის ბიჭი მოკლეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვარსკვლავზოლოვანმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბომბები ჩამოყარეს საცხოვრებელი კვარტლების თავზე, რასაც კიდევ შვიდი ბავშვი და ერთი ქალი ემსხვერპლნენ.

მეორე დღეს ანალოგიურ შემთხვევა მოხდა ყანდაღარში — ამერიკული პოზიციების მხრიდან სარაკეტო სროლის შედეგად სამი ავღანელი ფეხბურთელი დაიღუპა, ოთხი კი — დაიჭრა. ერთი კვირის შემდეგ ლაგმანის პროვინციაში კალათბურთის მოედანზე უცნობმა ხუთი მოსწავლე ჩაცხრილა. ეს შემთხვევა ბოლო წვეთად იქცა. საქმე ისაა, რომ **ტერორისტი მოქმედებდა რადიკალურ ისლამურ სწავლებასთან მკაცრი შესაბამისობით, ამ სწავლების თანახმად კი სპორტული თამაშები აკრძალულია. მაგრამ „თალიბანის“ წარმომადგენლებმა მომხდარისადმი კავშირი უარყვეს, რაც ძალზე უცნაურად ჟღერდა, რადგან ისინი, როგორც წესი, ბოლო ხმაზე ყვირიან ხოლმე, როდესაც რაიმე დანაშაულს ჩაიდენენ.**

სწორედ ამ დროს გააჟღერა ქაბულის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ქვეყნის პრეზიდენტის აზრი: ავღანეთში ამ და სხვა ტერაქტების უკან დგანან არა ისლამისტი ფუნდამენტალისტები, არამედ „უცხოური სპეცსამსახურები“. **„მთელ რიგ ტერაქტებში, რომლებიც ქაბულსა და სხვა რაიონებში მოხდა, უცხოური დაზვერვების ხელი ურევია; ჩვენ უტყუარ მტკიცებულებებს ვფლობთ“**, — ხაზი გაუსვა აჯმალ ფაიზიმ. მისი განცხადებით, 17 იანვარს უცხოურმა სპეცსამსახურებმა ქაბულის ლიბანურ რესტორანზე ბოევიკების თავდასხმის ორგანიზება გააკეთეს. მომხდარს 20-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

მრავალმა ჩათვალა, რომ ეს მეზობელ პაკისტანს ეხებოდა, რადგან მას ხშირად ადანაშაულებენ „თალიბანთან“ კავშირებში. მაგრამ ავღანელმა ოფიციალურმა პირებმა უმალ განმარტეს, რომ შეგნებულად გამოიყენეს არაკონკრეტული ფორმულირება, რათა აშშ-ის შესაძლო მონაწილეობაზე მიენიშნებინათ. **ავღანეთის ადმინისტრაციის ჩინოვნიკის თქმით, „სასიკვდილო შეტევები, იმის მსგავსი, როგორიც რესტორანში მოხდა, ძალიან რთულია იმისათვის, რომ „თალიბანის“ ნამოქმედარი იყოს“.**

ყარზაიმ თავისი ეჭვები სიის სახით წარმოადგინა და ეს სია ადასტურებს, რომ **აშშ-ის ხელისუფლებამ ათობით ამგვარი თავდასხმა განახორციელა ავღანეთში დესტაბილიზაციის შესაქმნელად.** ამის შესახებ გაზეთი The Washington Post-ი წერს. გაზეთის წყარო აცხადებს, რომ პრეზიდენტმა სიის შედგენა რამდენიმე წლის წინ დაიწყო და მასში იმ „საეჭვო ინციდენტებს“ აგროვებდა, რომლებიც შეიცავდა მინიშნებებს ვაშინგტონის მონაწილეობაზე. მსგავსი ინციდენტებით განსაკუთრებით მდიდარი გასული წელი აღმოჩნდა. სხვა შემთხვევებს შორის განიხილება ქაბულში იუსტიციის სამინისტროს ოფისზე და ფარახის პროვინციაში სასამართლოს შენობაზე განხორციელებული შეტევები, რომლებმაც 50 მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე იმსხვერპლა.

რაც უნდა იყოს, ბრიტანული Sunday Times-ისთვის ახლახან მიცემულ ინტერვიუში ავღანეთის პრეზიდენტმა აღიარა, რომ ავღანეთში აშშ-ის ჯარების ყოფნაში კარგი არაფერი დაუნახავს. **„მთელი ეს 12 წელი გავიდა ამერიკისადმი მუდარაში, ისეთივე დამოკიდებულება ჰქონოდა ავღანეთის სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლის მიმართ, როგორიც ადამიანების სიცოცხლის მიმართ აქვთ საერთოდ“,** — აღნიშნა მან და მხედველობაში ჰქონდა **მშვიდობიან მოსახლეობას შორის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, რომელიც ამერიკული ჯარების მოქმედებათა შედეგია.**

მან განაცხადა, რომ უკანასკნელი შვიდი თვის მანძილზე ბარაკ ობამასთან არ უსაუბრია. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, **ყარზაი კრახად განიხილავს ნატოს მისიას მისი მთავარი დეკლარირებული მიზნის — უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.**

ყარზაის მიმართ ვაშინგტონის უკმაყოფილებამაც უმაღლეს წერტილს მიაღწია. კონგრესმენებმა მკვეთრად შეამცირეს ავღანეთის განვითარებისთვის დახმარება კოალიციურ ძალთა სრული გაყვანის შემთხვევისთვის. **„ავღანეთის პრეზიდენტი ცეცხლს ეთამაშება, როდესაც უარს ამბობს აშშ-თან ხელშეკრულების გაფორმებაზე“,** — გახსნა კარტები ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

ლოგიკურია ვარაუდი, რომ ახლა, როდესაც ყველა ნიღაბი ჩამოხსნილია, საკითხი მწვავედ დგას: **ამერიკელები ავღანეთში მხოლოდ ყარზაის გვამზე გადაბიჯებით დარჩებიან. ჯერჯერობით საუბარია მხოლოდ პოლიტიკურ გვამზე, აპრილში ხომ ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, ვაშინგტონმა კი, როგორც ვიცით, მშვენივრად უწყის, როგორ მოაგვაროს საკუთარი პრობლემები „დემოკრატიული არჩევნების“ გზით.** ავღანეთის კონსტიტუციის თანახმად, ჰამიდ ყარზაის საკუთარი კანდიდატურის მესამედ წამოყენების უფლება არ აქვს, ამიტომ მის კლანს სათავეში ჩაუდგება მისივე უფროსი ძმა აბდულ კაიუმ ყარზაი. თუმცა, აშშ-ის ექს თავდაცვის მინისტრის — რობერტ გეიტსის მემუარების თანახმად, **ობამას ყარზაების მთელი ოჯახი სძულს და დიდი ხანია, ოცნებობს, ქვეყანას სათავეში რომელიმე უფრო დამჯერი მარიონეტი ჩაუყენოს.**

საარჩევნო კამპანიამ უკვე აიღო სტარტი. მიუხედავად იმისა, რომ ათზე მეტი კანდიდატის, როგორც ჩანს, მთავარი ბრძოლა გაიმართება ჰამიდ ყარზაის ძმასა და ვინმე აშრაფ განი ახმადზაემს შორის. ამ უკანასკნელმა განათლება აშშ-ში მიიღო და ახლა გულმხურვალედ უჭერს მხარს ხელშეკრულების იმ ფორმაზე ხელმოწერას, რომელიც ვაშინგტონს აძლევს ხელს.

fbii.org

**მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საყოველთაო გადამრჩენისა და მცველისგან აშშ გამხეცებულ ოკუპანტად იქცა, ნატოს პირველი, მართლაც მსხვილი ერთობლივი ოპერაცია კი იმ არამოტივირებული დანაკარგების გროვად იქცა, რომლებიც დიდწილად ამერიკული არმიის არაადეკვატურმა ქმედებებმა განაპირობა.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საზარბაზნე ფარში

## ავღანეთში «მეგობრული ცეცხლი» გაცილებით ხშირად იხსნებოდა, ვიდრე ერაყის ომში

**2014 წელს მთავრდება ავღანეთში საერთაშორისო ძალების 13-წლიანი ოპერაცია. 50-მდე ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები სამშობლოში დაბრუნდებიან და, თუ რიგითი ჯარისკაცებისთვის ეს დიდი სიხარული იქნება, ნატოს არმიის მეთაურობისთვის ასე არ არის — ჯარების გაყვანა ნიშნავს, რომ აუცილებელი გახდება ალიანსში დაგროვილი პრობლემების გადაჭრა, მთავარი პრობლემა კი აშშ-ის ხელმძღვანელობას უკავშირდება.**



## «ამერიკელები საკუთარ პარტნიორებს ზიზღით უწოდებდნენ MEAT FOR THE GRINDER-ს — ხორცს ხორცსაკეპ მანქანისთვის, ანუ ხორცს, რომელიც წუთი წუთზე ფარშად იქცევა»



დღეს ცოტა ვინმე თუ იხსენებს, რომ **2001 წელს ავღანეთში შეჭრა დაიწყო ორი კოლონით. პირველი წარმოადგენდა „მსურველების კოალიციას“, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ისინი, ვისაც სურდათ, ეომათ და ძირითადად ისინი იყვნენ ამერიკელები, ბრიტანელები, კანადელები და უფროსი ძმისთვის სამსახურის გაწევის მსურველი კიდევ რამდენიმე ქვეყნის ჯარები. მეორე კოლონაში კი, რომელმაც გაეროს მანდატი მიიღო, შევიდა იმ სახელმწიფოთა კონტიგენტები, რომლებიც მზად არ იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში და საკუთარი ჯარისკაცების სისხლი ელვარათ მოუხელთებელი ტერორისტის წინააღმდეგ გაჩაღებულ საეჭვო ომში.** მიუხედავად ამისა, ვაშინგტონმა უმალ მოითხოვა ISAF-ის წევრი ქვეყნებისგან „მანდატის გაფართოება“, ანუ მშვიდობისმყოფელთა გამოყენება შეტევით ოპერაციებში, რომლებიც „უძლეველი თავისუფლების“ ფარგლებში ტარდებოდა, ანუ **ვაშინგტონმა ავღანეთში შეჭრის პირველივე თვეებიდან აიღო საკუთარ თავზე ორივე კოლონის დეფაქტო და ოპერატიული ხელმძღვანელობა, რის შემდეგაც ოპერაცია საკუთარი სურვილების შესაბამისად და მოკავშირეების ინტერესების სრული იგნორირებით ჩაატარა.**

შედეგად ISAF-ის და კოალიციური ძალების ტაქტიკა დავიდა შემდეგზე: ნაციონალური კონტიგენტები პატრულირებენ საკუთარი პასუხისმგებლობის რაიონებში, საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში, მოწინააღმდეგესთან უშუალო კონტაქტში შედიან და კოორდინატებს ამერიკელებს გადასცემენ. ეს უკანასკნელნი გზავნიან საჰაერო მხარდაჭერას უშუალოდ მიზანზე დარტყმის მისაყენებლად. შემდეგ კი, როგორც ბავშვები ამბობენ ხოლმე, დახუჭობანას თამაშისას — ვინც ვერ დაიმალა, ჩემი ბრალი არ არის. სწორედ ამის გამო **ავღანეთში „მეგობრული ცეცხლი“ გაცილებით ხშირად იხსნებოდა, ვიდრე ერაყის ომში.**

გერმანელი უფროსი ლეიტენანტი **დენიელ ლიუკინგი** ამბობს: **„ჩვენ ავღანეთის არმიასთან ერთად ბოევიკების ჯგუფს რომელიმე ძნელად მისადგომ ადგილას მივიმწყვდევდით, უკანასკნელი დარტყმის მიყენების უფლებას კი ამერიკელები მუდამ თავისთვის იტოვებდნენ. მათ ჰყავთ სპეციალური ჯგუფები ადამიანთა მიგნებისა და დახოცვისთვის. და თუ მათ აქვთ ინფორმაცია, რომ რომელიღაც სოფელში ტერორისტები იმალებიან, თავდაუზოგავად „მუშაობენ“, დიდი სისულელე გამოდიოდა: დღისით ჩვენ ვაშენებდით საავადმყოფოებსა და საბავშვო ბაღებს, ღამით მოდიოდნენ ამერიკელები და წმენდნენ სოფლებს, ამ პროცესში კი უამრავ მშვიდობიან მოსახლესაც კლავდნენ“.**

ლიუკინგს გაუმართლა და ცოცხალი გადარჩა, მისი თანამებრძოლების უმეტესობა კი ამერიკელთა დამამთავრებელი დარტყმის მსხვერპლი გახდა. საზღვაო დამრტყმელი ვერტმფრენების ესკადრილიის მეთაურმა ჟურნალ Salon-ს უთხრა, რომ **„სამხედრო საჰაერო ძალების ბევრი მფრინავი, უბრალოდ, მიზეზს ეძებს, რომ გამშვებ ღილაკს დააწვეს და სულ არ ადარდებს, სად არიან მისი თანამებრძოლები“.**

ამერიკელთა ცეცხლმა მოკავშირეები ასობით შემთხვევისას იმსხვერპლა, მაგრამ ამერიკის არმიის სარდლობამ კამპანიის „ქარიშხალი უდაბნოში“, რომლის დროსაც დახოცილთა მეოთხედი „მეგობრულ ცეცხლს“ ემსხვერპლა, აღიარა მხოლოდ ის შემთხვევები, რომელთა დამალვაც უკვე შეუძლებელი იყო. ამ შემთხვევებს შორის მოხვდა 2006 წლის ფაქტი, როდესაც **ბრიტანელი საზღვაო ქვეითები ათი საათის მანძილზე ომობდნენ თალიბებთან, ხოლო როცა საჰაერო მხარდაჭერა გამოიძახეს, საკუთარ პოზიციებზე მიიღეს დარტყმები.** და 2007 წლის აგვისტოს შემთხვევაც, როდესაც **ამერიკელებმა 225-კილოგრამიანი ავიაბომბებით მიწასთან გაასწორეს ბრიტანული ბლოკპოსტები.**

სიტუაციას ამწვავებს ის, რომ ამერიკელების ცეცხლი მოკავშირეების საუკეთესო ნაწილებს ანადგურებს. ამერიკული მეთაურობის ერთ-ერთი მანევრი „კოლონებს“ შორის სხვაობის მოსაშლელად იყო სპეციალური დანიშნულების კოალიციური ძალების ჩამოყალიბება. **დამრტყმელ სპეცრაზმში ამერიკელებმა საუკეთესო ჯარისკაცები წაიყვანეს და პირდაპირ ცეცხლში უკრეს თავი. საკუთარი ქვეყნების მანდატების დარღვევით ამ სპეცრაზმების წევრები ცსს-ს წარმომადგენელთა დავალებებს ასრულებდნენ და ხშირად საკუთარი ტერიტორიიდან დიდი დაშორებით ახორციელებდნენ „დელიკატურ ოპერაციებს“.** ცსს-ს თანამშრომლების მიერ გაცემული შეტევის ან უკან დახევის ბრძანებები ოფიციალურად არსად ფორმდებოდა.

სპეცრაზმი ამერიკელებს ექვემდებარება და მას ყველაზე რთულ დავალებებზე გზავნიდნენ. კომანდოსების სახეები ნიღბების უკანაა დამალული, დოკუმენტებში კი მათ გამოგონილი სახელები უფიქსირდებათ. ამის გამო მსხვერპლის ამოცნობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია და იმავე მიზეზით **ავღანეთში მოკავშირეების დანაკარგები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამას ოფიციალური პირები აცხადებენ ხოლმე.**

ამ სპეცრაზმების ნამუსზე ათასობით მშვიდობიანი ავღანელის სიცოცხლეა.

ავღანეთში მებრძოლი ესტონური კონტიგენტის ერთ-ერთი ჯარისკაცის მამა ამბობს, რომ **„ამერიკელები საკუთარ პარტნიორებს ზიზღით უწოდებდნენ meat for the grinder-ს — ხორცს ხორცსაკეპი მანქანისთვის, ანუ ხორცს, რომელიც წუთი წუთზე ფარშად იქცევა“.**

**იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც მეტ-ნაკლებად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ომში, კონტიგენტის პროცენტული რაოდენობის გათვლით, ამერიკას ყველაზე ნაკლები დანაკარგები აქვს.** გარდა ამისა, თუ ზოგადად ომისთვის ნორმალურ მაჩვენებლად ითვლება თითო მოკლულზე 3-4 დაჭრილი ჯარისკაცი, ავღანეთის ომში დაჭრილების რაოდენობა 3-4-ჯერ აღემატება ამ ნორმას. ექიმები ამბობენ, რომ ეს თანამედროვე ამუნიციის ბრალია. ჯარისკაცებს დაცული აქვთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები, მაგრამ იზრდება ტრავმირების შემთხვევები. **ავღანეთის ომიდან უჩვეულოდ ბევრი ინვალიდი დაბრუნდა და სტატისტიკა აქაც ანალოგიურია — ყველაზე ნაკლები დანაკარგები ამ მხრივაც ამერიკას აქვს.**

ერთ-ერთი სკანდინავიური მისიის თანამშრომლის განცხადებით, **ამერიკელები ყველას ზემოდან უყურებენ და ამცირებენ. ისინი სუსტებს ან „ქალაჩუნებს“ ეძახიან მათ, ვინც, ვთქვათ, ავღანელი ქალების ცხოვრების შემსუბუქებაზე ზრუნავენ. მათი აზრით, საჭიროა მოქმედება არა საგანმანათლებლო პროგრამებით, არამედ მკვლელობებითა და წმენდებით.**

ცხადია, ამერიკელებიც ეწევიან ქველმოქმედებას, მაგრამ მათ ქმედებებში ბოროტი სარკაზმით გაჟღენთილი ინფანტილური და განურჩეველი მიდგომა იკვეთება. მაგალითად, ამერიკელებმა მოიგეს შესაბამისი კონტრაქტი და ავღანეთს აწოდებდნენ კომპლექტებს „ალტიმეიტ ფრისბის“ სათამაშოდ. თავად ამერიკელებს ეს თამაში ძალიან უყვართ, მაგრამ ავღანელებმა „თეფშების“ ერთადერთი დანიშნულება იციან — მათზე საკვები უნდა დადონ. სათამაშო თეფშებით კი ამერიკელები სამი წლის მანძილზე ამარაგებდნენ ავღანეთს, ვიდრე გერმანულმა სარდლობამ არ გააუქმა ეს მიწოდებები.

**აშშ-ის მცდელობების წყალობით, ავღანელები უცხოურ ჯარებს ინტერვენტებად და ოკუპანტებად განიხილავენ.** შვედი სამხედრო ჟურნალისტი ფრიდოლინ გუსტავი ამერიკელ მოკავშირეებს ასე ახასიათებს: **„ისინი გამოირჩევიან საარაკო უპრინციპობით. მათ შეეძლოთ, ცნობილ ბოევიკს ტყვედ ჩაბარებაზე მოლაპარაკებოდნენ და მაშინვე ჩაეცხრილათ. ისინი შტურმით იღებდნენ სოფლებს და ქუჩებში მოკლული ბოევიკების გვამებს დაათრევდნენ, რათა ყველას ენახა, თუ რა ელის მას, ვინც ახალი ხელისუფლების წინააღმდეგი იქნება“.**

**„ეს კატასტროფაა. იმედი მაქვს, რომ ავღანეთი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის და აღარ მივიღებთ მონაწილეობას ნატოს სამხედრო ოპერაციების აქტიურ ფაზებში ევროპის საზღვრებს გარეთ“,** — ამბობს ერაყსა და ავღანეთში ნამუშევარი დანიელი ჟურნალისტი. იგივე განწყობაა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. **მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საყოველთაო გადამრჩენისა და მცველისგან აშშ გამხეცებულ ოკუპანტად იქცა, ნატოს პირველი, მართლაც მსხვილი ერთობლივი ოპერაცია კი იმ არამოტივირებული დანაკარგების გროვად იქცა, რომლებიც დიდწილად ამერიკული არმიის არაადეკვატურმა ქმედებებმა განაპირობა.** გასაკვირი არაა, რომ აშშ-მა ველარსად იპოვა მოსურნე, ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი კონფლიქტის გასაჩაღებლად, ევროპელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შორის კი ალაპარაკდნენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კრიზისსა და მისი წევრების რაოდენობის მოსალოდნელ შემცირებაზე.

**P.S. „ამერიკელთა ბანაკები რამდენიმეჯერ უკეთესი იყო გერმანელების ბანაკებზე, — ამბობს ბუნდესვერის ყოფილი კაპრალი იოჰანეს კოშორეკი. — ჩვენს სასადილოში სულ ორი კერძი კეთდებოდა, პლუს რაღაც ნამცხვარი და ხილი. ამერიკელებთან კი ათობით სახეობის საჭმელს, სხვადასხვაგვარ ცხელ სასმელს ამზადებდნენ. უზარმაზარი ბარი სავსე იყო სალათებით, წვენების ფართო არჩევანი და კარტოფილის ჩიფსებიც კი ჰქონდათ. ამერიკელები თუ სადმე მიდიან, უმალ ეწყობიან იქ ხანგრძლივი დროით. მათთვის ასეა: ისინი იღებენ ქვეყანას მთლიანად და უფასოდ!“**

fbii.org

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სადაზვერვო საზოგადოებამ სული მოითქვა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. ტყუპი ცათამბჯენების დაცემით შოკირებულმა და მსგავსი ტერაქტების განმეორების შიშით შეძრწუნებულმა ამერიკამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განაცხადა თანხმობა, უარი ეთქვა საკუთარი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ ნაწილზე უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ.**




# განაში სიტყვის უფრო მეტი თავისუფლებაა, ვიდრე აშშ-ში

**დემოკრატიის ერთ-ერთი საყრდენი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის პირველი შესწორებითაა გარანტირებული, დიდი ტემპით კარგავს თავისი შეურყვნელობის ბრწყინვალებას. სამწუხარო ფაქტის კონსტატირება მოახდინა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“.**
**180 ქვეყნისგან შემდგარ სიაში, რომელშიაც შევიდნენ ქვეყნები, რომლებშიც სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგი ხორციელდებოდა, აშშ სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე 14 პოზიციით დაეშვა და 46-ე ადგილზე აღმოჩნდა. აშშ-ში მოქალაქეების უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, უფრო მეტად შეზღუდული აღმოჩნდა, ვიდრე ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიც განა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სალვადორია.**




**„ქვეყნები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი დემოკრატიითა და უფლებათა უზენაესობით, სინამდვილეში შორს არიან მისაბაძი მაგალითობისგან. სიტყვის თავისუფლება ძალიან ხშირად ეწირება მსხვერპლად ნაციონალური უსაფრთხოების ძალზე ფართო და დაუნდობელ მცნებას“,** — აღნიშნავენ კვლევის ავტორები. ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მონაცემებით, **ობამას ადმინისტრაცია სულ უფრო მკაცრ ზომებს იყენებს ინფორმაციის გაჟონვის წყაროების მიმართ — ხუთი წლის მანძილზე იუსტიციის სამინისტრომ უფრო მეტი საქმე აღძრა, ვიდრე ამერიკის ნებისმიერი სხვა პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში.**

დემოკრატიული ნორმებიდან შემაშფოთებელი გადახვევის მტკიცებულებების სახით ანგარიშში მოყვანილია უამრავი ნათელი მაგალითი. ყველაზე თვალსაჩინო მათგან არის ბრედლი მენინგის სასტიკი განაჩენი, ედვარდ სნოუდენის დაუნდობელი დევნა, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც New York Times-ის ჟურნალისტ ჯეიმს რაიზენს ავალდებულებს, ცსს-ს ყოფილი თანამშრომლის — ჯეფრი სტერლინგის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. ამ უკანასკნელმა გაზეთის რედაქციას ინფორმაცია მიაწოდა აშშ-ის იმ საიდუმლო ოპერაციის შესახებ, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაგრამ ანგარიშის ავტორების ყველაზე დიდი **აღშფოთება გამოიწვია საუკუნო პატიმრობის ვადამ, რომელიც დამოუკიდებელ ჟურნალისტ ბარეტ ბრაუნს ემუქრება. ესოდენ სასტიკი სასჯელის მიზეზი შეიძლება გახდეს მის მიერ გამოქვეყნებული ცნობები, რომლებიც ჰაკერებმა კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია Statfor-ის სერვერის გატეხვის შედეგად მოიპოვეს. ამ ორგანიზაციას მეტსახელად ჩრდილოვან ცსს-ს უწოდებენ.**

უშუალოდ მასმედიას ეხება ის სკანდალიც, რომელიც გასულ გაზაფხულზე ატყდა. მაშინ ცნობილი გახდა, რომ **2012 წლის აპრილიდან მაისამდე სპეცსამსახურები სანქციის გარეშე უსმენდნენ საინფორმაციო სააგენტო ASSOCIATED PRESS-ის ნიუ იორკის, ვაშინგტონისა და ჰარტფორდის ოფისების ტელეფონებს.**

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, ლენგლის სპეციალისტები ამ გზით ცდილობდნენ, გაერკვიათ, თუ ვინ მიაწოდა სააგენტოს ჟურნალისტებს იემენში ცსს-ს სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაცია. სააგენტოს პრეზიდენტის გერი პრიუიტას ყველა მცდელობა, მიეღწია სამართლიანობისთვის, დაიმსხვრა აშშ-ის გენპროკურორ ერიკ ჰოლერის განცხადებაზე, რომ ამ „ძალზე სერიოზული გაჟონვას“ შესაძლოა ამერიკის მოქალაქეებისთვის სერიოზული საფრთხე შეექმნა და გადამწყვეტ მოქმედებებს მოითხოვდა.

**Associated Press-ის ჟურნალისტების დამცირების ისტორია მრავალმხრივ იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას. ის მშვენივრად ასურათებს, თუ ვინ, როგორ და რა მიზეზით ჩამოართვა ამერიკულ მასმედიას დამოუკიდებლობა და დაიყვანა მმართველი ელიტის ინსტრუმენტის პოზიციამდე.**

## ამერიკული მედია იქცა «პროპაგანდის სამინისტროდ ხელისუფლებისა და კორპორაციისთვის»



გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამდვილად დამოუკიდებელი „მეოთხე ხელისუფლების“ არსებობა შესაძლებელი გახადა უოტერგეიტმა, რისი შედეგიც გახდა არა მხოლოდ პრეზიდენტის პირველი გადადგომა, არამედ ამერიკის სპეცსამსახურების მოქმედებათა შეზღუდვაც. **1978 წელს უოტერგეიტისგან შტაბეჭდილებებით აღსავსე კონგრესმა მიიღო „უცხოურ დაზვერვაზე დაკვირვების აქტი“, რომელმაც მკაცრ საკანონმდებლო და სასამართლო კონტროლს დაუქვემდებარა ქვეყნის შიგნით მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესი.**

სადაზვერვო საზოგადოებამ სული მოითქვა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. **ტყუპი ცათამბჯენების დაცემით შოკირებულმა და მსგავსი ტერაქტების განმეორების შიშით შეძრწუნებულმა ამერიკამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განაცხადა თანხმობა, უარი ეთქვა საკუთარი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ ნაწილზე უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ.**

## ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკის ჯვაროსნული ლაშქრობის სწორი და ობიექტური გაშუქებისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ქცევის სპეციალური წესები დაუდგინეს

ზემოხსენებული აქტის ბორკილებისგან განთავისუფლებულ სპეცსამსახურებს დაეხმარა 2001 წელს მათივე ზეწოლით მიღებული პატრიოტის აქტიც (USA Patriotic Act), 2006 წელს მიღებული ტერორისტების თვალთვალის აქტიც (Terrorist Surveillance Act) და 2007 წელს მიღებული ამერიკის დაცვის აქტიც (Protect America Act). ზუსტად ასეთივე სისწრაფითა და თანმიმდევრულობით ასუფთავებდნენ ამერიკას სიტყვის თავისუფლებისგანაც.

უპირველეს ყოვლისა, თეთრი სახლი საერთოეროვნულ ბეჭდვით გამოცემებს, ტელე და რადიოარხებს გაუსწორდა. **ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკის ჯვაროსნული ლაშქრობის სწორი და ობიექტური გაშუქებისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ქცევის სპეციალური წესები დაუდგინეს.** ამ წესების საერთო შინაარსს კარგად გამოსცემს 2001 წლის შემოდგომაზე CNN-ის ხელმძღვანელის — უოლტერ ისააკსონის მიერ ტელეარხის ყველა შემოქმედებითი თანამშრომლისთვის გაგზავნილი სამახსოვრო წერილი.

ამ წერილში განსაზღვრული იყო ავღანეთში აშშ-ის ოპერაციის გაშუქების კრიტერიუმები. **„ჩვენ გადამეტებული ყურადღება არ უნდა დავუთმოთ ავღანეთის მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლს, რომელიც აუცილებლად იქნება ამ ომის მსვლელობისას. ავღანეთის თემაზე ყველა რეპორტაჟს უნდა ახლდეს კომენტარი, რომელიც შეიცავს შეხსენებას, რომ თალიბები საკუთარ ტერიტორიაზე მალავენ ხუთი ათასი ადამიანის (2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შედეგად დაღუპული ამერიკის მოქალაქეები) მკვლელ ტერორისტებს.“**

ანალოგიურად უჭერდა მხარს წამყვანი ამერიკული მედია ერაყში შეჭრას. როგორც Institute for Political Economy-ის ხელმძღვანელმა პოლ კრეიგ რობერტსმა აღნიშნა, ამით **ამერიკული მედია იქცა „პროპაგანდის სამინისტროდ ხელისუფლებისა და კორპორაციისთვის“.**

იგივე რობერტსი დიდი სიზუსტით ახასიათებს, დემოკრატიის თვალსაზრისით, ერთ დროს სამაგალითო მასმედიის დეგრადაციის არსს: **„კლინტონისეული რეჟიმის ბოლო წლებში ხელისუფლებამ ხუთ უმძლავრეს კონგლომერანტს უფლება მისცა, ხელში ჩაეგდო რაღაც დონით დამოუკიდებელი მედიასაშუალებები. ამ უზარმაზარი კომპანიების მოღვაწეობა დამოკიდებულია ფედერალურ სამაუწყებლო ლიცენზიებზე, ანუ ისინი ვერ გაბედავენ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდნენ ოდნავ მნიშვნელოვან საკითხშიც კი. გარდა ამისა, ახლა ამ მედიასაშუალებებს მართავენ არა ჟურნალისტები, არამედ რეკლამის სპეციალისტები და ყოფილი სახელისუფლო ჩინოვნიკები, რომლებიც მიისწრაფვიან არა ფაქტების გაშუქებისკენ, არამედ რეკლამიდან შემოსავლების მიღებისა და ადმინისტრაციული რე-** ▶



## 2012 წლის აპრილიდან მაისამდე სპეცსამსახურები სანქციის გარეშე უსმენდნენ საინფორმაციო სააგენტო Associated Press-ის ნიუ იორკის, ვაშინგტონისა და ჰარტფორდის ოფისების ტელეფონებს




**კონსერვატორული ამერიკის აღსასრული დაპროგრამებულია თეთრ სახლში პირველი აფროამერიკელის მოსვლის დღიდან. ცხადია, მან თან მოიტანა ახალი იმედები აშშ-ის ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მაგრამ, ამასთან ერთად, მოიტანა უზარმაზარი ქვეყნის ყველა სოციალური წყლულის არნახული გამწვავება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სურსებისადმი წვდომისკენ“.**

ამერიკული საინფორმაციო გიგანტების მართვადობა კარგად შეიმჩნევა არა მხოლოდ საგარეოპოლიტიკურ დონეზე (ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის გადმოცემა, სოჭის ოლიმპიადის პოლიტიზირება, ჩინეთთან ურთიერთობებისა და დამოკიდებულების ასახვა), არამედ თავად აშშ-ში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისასაც. მაგალითად, მედიაგიგანტებიდან არც ერთს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია 2011 წლის სექტემბერში დაწყებულ მოძრაობაზე Occupy Wall Street. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო გამოსვლებში ასიათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, თავად ეს საპროტესტო გამოსვლები კი ნიუ იორკს გასცდა, კორპორატიულმა ახალი ამბების არხებმა ან სრული იგნორირებით უპასუხეს მიმდინარე მოვლენებს, ან აბსოლუტურად ნეგატიურ კონტექსტში გააშუქეს ისინი.

ზუსტად ასევე **ყველა საერთონაციონალურმა მედიასაშუალებამ მდუმარებით აუარა გვერდი საიდუმლოებით მოცულ ისტორიას, როდესაც სილიკონის ველზე სნაიპერების ჯგუფმა ქვესადგური დაცხრილა. ისროლეს რა 20 წუთის მანძილზე 100-ზე მეტი ტყვია, ამ ჯგუფის წევრებმა 17 ტრანსფორმატორი დააზიანეს, შემდეგ კი უკვალოდ გაქრნენ.**

ამ ინციდენტის შესახებ, რომელიც „შიდა ტერორიზმის“ ფარგლებში განიხილება, ფართოდ ცნობილი გახდა მომხდარიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, ისიც ადგილობრივი გაზეთებისა და ბლოგერების წყალობით.

პარადოქსია, მაგრამ **თვით ედვარდ სნოუდენის მხილებებიც კი, რომლებიც სიტყვის თავისუფლების ძველ საზღვრებთან დაბრუნებისთვის ბრძოლის დაწყების საბაბად უნდა ქცეულიყო, ისევ სიტყვის თავისუფლების საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა.** შეიტყვეს რა ამერიკის მოქალაქეების პირადი ინფორმაციის კონტროლის საქმეში გამოძიების ფედერალური ბიუროსა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს პრაქტიკულად უსაზღვრო შესაძლებლობების შესახებ, ჟურნალისტებს კიდევ უფრო აუკანკალდათ კალამი და კიდევ უფრო მეტად დაკავდნენ თვითცენზურით. საქმე ისაა, რომ კარადაში ყველას აქვს ჩონჩხი გადამალული, არსებულ პირობებში კი სპეცსამსახურებს ამ ჩონჩხების საპოვნელად ზედმეტი ძალისხმევა არ დასჭირდებათ.

**დღეს თავად ამერიკაში უამრავი ექსპერტი მწუხარებით აღიარებს, რომ სიტყვის თავისუფლება ძლივსღა არსებობს მომცრო ადგილობრივი გაზეთების გვერდებზე და ინტერნეტსივრცეში. მაგრამ, როგორც ჩანს, აღარც აქ დარჩა მას დიდი ხნის სიცოცხლე. თებერვალში პენტაგონმა გაუშვა პროექტი Memex ზემძლავრი საძიებო მექანიზმის შექმნის მიზნით. Memex-ი შეაღწევს მსოფლიო აბლაბუდის ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიც კი და დაძლევს ყველაზე რთულ დაცვას. ამის შემდეგ კი „უფროს ძმას“ ველარავინ ველარსად დაემალება...**

fbii.org

# ლგბტ-აქტივისტები ტეხასს უტევენ

**რუსეთში ბავშვებს შორის გეიპროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით სოჭის ოლიმპიადის დისკრედიტაციის კამპანიის პარალელურად ამერიკელმა სექსუმცირესობებმა შიდა გარჩევებისთვისაც გამონახეს დრო. აშშ-ში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ ჯანსაღ კონსერვატიზმსა და ოჯახურ ღირებულებებზე ზეწოლა მნიშვნელოვნად გაძლიერდა...**



**შეერთებული შტატები დაემსგავსა მახინჯების ცირკს, რომელიც მუტაციას განიცდის და რომელშიც რაიმეს მისაღწევად არატრადიციული ორიენტაციისადმი კუთვნილება უნდა აღიარო**

ამერიკის საზღვრებში ჯერ კიდევ არსებობს ადგილები, სადაც ჰომოსექსუალები, ლესბოსელები და ტრანსექსუალები მკაცრი დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრობენ. მაგალითად, **იუტას შტატში პირდაპირ აკრძალულია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, არიზონაში კი ტაბუდადებულია ჰომოსექსუალური კავშირების, როგორც ცხოვრების პოზიტიური წესის, წარმოდგენა.** ასევე აკრძალულია ბავშვებთან საუბარში იმის მტკიცება, რომ „ერთსქესიანი სექსი შეიძლება უსაფრთხო იყოს“. **ალაბამასა და ტეხასში ჰომოსექსუალიზმი ფართო საზოგადოებისთვის მიუღებლად ითვლება.** ამასთან, მოსწავლეები სექსუალური აღზრდის გაკვეთილებზე იგებენ, რომ ჰომოსექსუალური ქცევა სისხლის სამართლის დანაშაულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლიდან ტეხასში ამერიკელების ერთსქესიანი კავშირები, რომლებიც არასაზოგადოებრივ ადგილებში ორმხრივი სურვილის საფუძველზე მყარდება, კანონით არ იდევნება.

როგორც Ohe Washington Post-ი წერს, ამერიკის რვა შტატში, ასევე მთელ რიგ ქალაქებსა და ოლქებში რუსულის მსგავსი აკრძალვა მოქმედებს. **„ალაბამაში, არიზონაში, ლუიზიანაში, მისისიპიში, ოკლაჰომაში, სამხრეთ კაროლინაში, ტეხასსა და იუტაში საკანონმდებლო აკრძალვა ეხება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, რაც დეფაქტო ნიშნავს ერთსქესიანი ქორწინებების და ერთსქესიანი სიყვარულის საზოგადოებაში დემონსტრირების აკრძალვას“,** — განიცდიან გაზეთის ლიბერალი ჟურნალისტები.

პირველი, რაც თვალს ხვდება, ცხადია, თეთრი სახლის მიერ ორმაგი სტანდარტების პრაქტიკის მორიგი გამოყენებაა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ **აშშ-ში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ ჯანსაღ კონსერვატიზმსა და ოჯახურ ღირებულებებსაც მალე გენდერული ტოლერანტობის ტალღა ჩარეცხავს.**

დღეს „დისკრიმინაციული“ კანონების გაუქმების მთავარი ლობისტი თავად ბარაკ ობამაა, თუმცა აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის სექსუალურ უმცირესობებთან მეგობრობის მიზეზი სულაც არ არის სენტიმენტალობა ან სამართლიანობის გრძნობა — **ეს პოლიტიკური აუცილებლობის გაცნობიერებაა.**

1998 და 2005 წლებში ილინოისის შტატიდან სენატში ასარჩევად საარჩევნო კამპანიები ობამამ ტრადიციული ფასეულობების დაცვის ეგიდით ჩაატარა. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას მან თავი დაიძვრინა კითხვებზე პასუხებისთვის გვერდის ავლით. როგორც ჩანს, **აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში სექსუმცირესობების მონაწილეობასთან დაკავშირებით ობამას დამოკიდებულება სერიოზულად შეიცვალა 2009 წლის 11 ოქტომბრიდან.** ამ დღიდან 200 ათასი გეი, ლესბოსელი და ტრანსექსუალი კაპიტოლიუმის წინ მოედანზე შეიკრიბა, რათა ღიად განეცხადებინათ საკუთარი უფლებების შეზღუდვის თაობაზე. დემონსტრაციის მონაწილეთა რაოდენობამ ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ობამამ, რომ ეს ახალი მძლავრი მოძრაობა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა.

რაღაც დროის მანძილზე იგი შორიდან ეთამაშებოდა კატათაგვობანას სექსუმცირესობებს და მათ ღია მხარდაჭერაზე თავს იკავებდა, თუმცა ხშირად უგდებდა მათ „ძვალს“. მაგალითად, **ობამას ზეწოლის შედეგად 2011 წელს პენტაგონმა გააუქმა ნორმა „არ იკითხო, არ ილაპარაკო“, რომელიც აღიარებულ ჰომოსექსუალებს აშშ-ის შეიარაღებული ძალებისკენ მიმავალ ყველა გზას უჭრიდა.**

ბოლოსდაბოლოს, **2012 წლის საპრეზიდენტო კამპანიის წინ უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა ობამას კონფიდენციალური მესიჯი გაუგზავნეს და პირდაპირ მოსთხოვეს, „გასცდენოდა თავისი ძველი პირადი რიტორიკის საზღვრებს და დამდგარიყო ისტორიის მხარეს სექსუმცირესობების ბრძოლაში საკუთარი უფლებებისთვის“.** მაშინაც კი ობამა დაელოდა, ამ საჭოჭმანო თემაზე მისი მთავარი მოწინააღმდეგე რას იტყოდა. **„ვფიქრობ, რომ ქორწინება აკანონებს მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობას“,** — უმალ მოჭრა უკან დასახევი გზა რესპუბლიკელმა კანდიდატმა მიტ რომნიმ. მხოლოდ ამის შემდეგ განაცხადა ობამამ ყველას გასაგონად, რომ მხარს უჭერდა ერთსქესიან ქორწინებებს. **სახელისუფლო წყაროები მედიას ატყობინებდნენ, რომ, მათი შეფასებით, ეს „პოლიტიკური სტრატეგიის“ აუცილებელი შეცვლა იყო.**

იმავე 2012 წელს ობამამ აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებში სექსუმცირესობებისთვის კვოტები დააწესა. მანვე გასცა განკარგულება, შეემუშავებინათ მიდგომა, რომელიც აკრძალავდა სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციას და რომელიც ჩართული იქნებოდა ფედერალური კონტრაქტების გაფორმების პირობებში. ამრიგად, Fortune 500-ის სიის ფაქტობრივად ყველა კომპანია იძულებული გახდა, ლგბტ-ს წარმომადგენლებისთვის კვოტირება შემოეღოთ.

ამავე დროს ობამამ რიგი შეხვედრებისა ჩაატარა განათლების სფეროს მუშაკებთან. ამ შეხვედრების დროს მან ყველას მოუწოდა, მფარველობა გაეწიათ სტუდენტი ტრანსგენდერებისთვის. შედეგად **ამერიკულ სკოლებსა და კოლეჯებში ბავშვებს უფლება მისცეს, აერჩიათ გასახდელები და საპირფარეშოები არა ფიზიოლოგიური სქესის, არამედ გენდერული კუთვნილების შესაბამისად.**

**„პოლიტიკური სტრატეგიის შეცვლამ“** სრულად გაამართლა — **სექსუმცირესობებმა ობამას მხარდაჭერის მძლავრი კამპანია გააჩაღეს, ორგანიზებულად მივიდნენ საპრეზიდენტო არჩევნებზე და ობამა მეორე საპრეზიდენტო ვადით უზრუნველყვეს.**

აქ უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც მიაკუთვნებს საკუთარ თავს ამა თუ იმ კონკრეტულ პარტიას, განუხრელად იკლებს, ამიტომ რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც დაინტერესებულნი არიან იმ გარკვეული ელექტორატული ჯგუფების თავის მხარეს გადაბირებით, რომელთა წარმომადგენლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მკაფიო და ხანგრძლივი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებით.

აი, რატომაა, რომ, ვთქვათ, რესპუბლიკელებს იარაღის ტარების აკრძალვის წინააღმდეგ გამომსვლელი ამერიკელების იმედი აქვთ. ამ დროს დემოკრატები ეყრდნობიან ლეგალური იმიგრანტებისა და სექსუმცირესობების მხარდაჭერას. ლგბტ ხომ ძალზე სერიოზული საამომრჩევლო ბაზაა: **გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციალური გამოკითხვების თანახმად, აშშ-ის 50 შტატში დღეს 18-დან 29-წლამდე ასაკის ამერიკელთა 6,5% თავს სექსუალურ უმცირესობას მიაკუთვნებს.**

გასაკვირი არაა, რომ თეთრ სახლში დემოკრატი პრეზიდენტის ყოლით ისინი დიდ თავდაჯერებულობას გრძნობენ და აძლიერებენ ზეწოლას ჯანსაღ კონსერვატიზმზე. ლგბტ-ს ადვოკატების პირველი რიგის ამოცანაა ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზება, რომელიც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და გააადვილებს სხვა „დისკრიმინაციული“ კანონების გაუქმებასაც.

აშშ-ის კანონმდებლობა საოჯახო სამართალს შტატების იურისდიქციას მიაკუთვნებს, ამიტომ ძირითადი ბატალიები ადგილობრივ დონეზე მიმდინარეობს ხოლმე. **20-მდე შტატში ერთსქესიანი ქორწინებები უკვე ლეგალიზებულია, მთელ რიგ შტატებში კი შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც საზღვრისპირა შეიძლება ეწოდოს. მაგალითად, კენტუკში ჯერჯერობით არ არეგისტრირებენ ერთსქესიან წყვილებს, მაგრამ მათ უკვე აქვთ უფლება, სახალხოდ გამოხატონ საკუთარი გრძნობები. ნევადასა და ვირჯინიაში შტატების გენერალურმა პროკურორებმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ იმ საკონსტიტუციო ნორმების დაცვაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება სექსუმცირესობების წარმომადგენელთა შორის ქორწინებების რეგისტრირებას.** ეს ნიშნავს, რომ პირველივე სარჩელი, რომელსაც ერთსქესიანი წყვილი ქორწინების დაკანონების მიზნით შეიტანს, დაკმაყოფილდება და იქცევა პრეცენდენტად, რომელიც, თავის მხრივ, შტატის კანონი გახდება.

თვით კონსერვატიზმის ციტადელ ტეხასშიც კი ანალოგიური კანონი თვალსა და ხელს შუა იშლება. სულ რამდენიმე დღის წინ ადგილობრივმა გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს სთხოვა, არ მიეღო სარჩელები იმ ჰომოსექსუალებისგან, რომლებიც ითხოვენ ქორწინების განსაზღვრების, როგორც ერთ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის კავშირის, შეცვლას. პროკურორის პოზიცია სავსებით თავსებადია 2005 წლის რეფერენდუმის შედეგებთან — ამ რეფერენდუმზე ტეხასელების სამმა მეოთხედმა ქორწინებას მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის კავშირი უწოდა.

მიუხედავად ამისა, ტეხასშიც კი ძალზე ცოტა შანსი აქვს ყველას, ვინც ტრადიციული ღირებულებების დაცვას მოინდომებს. სამოქალაქო უფლებების დაცვის ჯგუფებმა ახლახან მოიგეს მსგავსი სასამართლო პროცესები იუტასა და ოკლაჰომაში. აბსურდულად ჟღერს, მაგრამ **სექსუალური უმცირესობების ადვოკატები მას შემდეგ ახერხებდნენ მოსამართლეების გადაბირებას, რაც ერთსქესიანი ქორწინებების ამკრძალავ კანონებს 1865 წელს აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 შესწორებით გაუქმებულ მონობას ადარებდნენ.**

თუმცა, განა შეიძლებოდა, ვინმეს რაიმე სხვა მოლოდინი ჰქონოდა? **კონსერვატორული ამერიკის აღსასრული დაპროგრამებულია თეთრ სახლში პირველი აფროამერიკელის მოსვლის დღიდან. ცხადია, მან თან მოიტანა ახალი იმედები აშშ-ის ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისთვის, მაგრამ, ამასთან ერთად, მოიტანა უზარმაზარი ქვეყნის ყველა სოციალური წყლულის არნახული გამწვავება. შედეგად ამერიკის შეერთებული შტატები დაემსგავსა მახინჯების ცირკს, რომელიც მუტაციას განიცდის და რომელშიც რაიმეს მისაღწევად არატრადიციული ორიენტაციისადმი კუთვნილება უნდა აღიარო.** სასკოლო საღამოებზე ბიჭები გოგონებივით ირთვებიან, ნაფიცი მსაჯულები კი დამნაშავეს მალე მხოლოდ იმის გამოც გაამართლებენ, რომ იგი შავკანიანი ტრანსვესტიტია.

fbii.org

გეოსტრატეგი
www.geoworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც ხდება აშშ-ში, აუცილებლად სანქცირდება „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ მიერ. აშშ-ისა და დიდ ბრიტანეთის შეთანხმება, რომელიც პირველად გაიხსნა (მანამდე იყო ბევრი საიდუმლო შეთანხმება), ჩერჩილსა და რუზველტს შორის დაიდო 1938 წელს, რომლის თანახმადაც აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები ვალდებულებას იღებდნენ, გადაეცათ საიდუმლო მასალები ბრიტანეთის დაზვერვისთვის.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (236-241)

**სუალი მჭიდრო კონტაქტში მუშაობს ჰოლთან და სხვა ფაბიანელებთან. ბრიტანული დაზვერვა დაინტერესდა მისით, როგორც პოტენციური აგენტით, როდესაც იგი ინგლისში ოქსფორდის უნივერსიტეტის Ruskir Labour კოლეჯში სწავლობდა, სწორედ იმ კომუნისტური განათლების ცენტრში, რომელმაც მოგვცა მილნერი, როდსი, ბერჯესი, მაკლინი და კიმ ფილბი. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები უკვე დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენს სასწავლო დაწესებულებებს ბრიტანეთის უმაღლესი საზოგადოების შვილებისთვის. ოქსფორდში სუალი „ახალგაზრდა სოციალისტურ ლიგაში“ შევიდა, სულ მალე კი ბრიტანულმა დაზვერვამ გადაიბირა.**

სუალი აშშ-ში გააგზავნეს, სადაც მას ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური მემარცხენე იდეოლოგი უოლტერ ლიპმანი მფარველობდა. ლიპმანმა დააარსა და ხელმძღვანელობს **„ლიგას ინდუსტრიული დემოკრატიისთვის“**, ასევე ორგანიზაციას **„სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისთვის“**. ორივე ორგანიზაცია მებრძოლი მემარცხენე მიმართულებისაა. მათი მიზანია, შექმნან კონფრონტაცია, ერთი მხრივ, მრეწველობის მუშებსა და მეორე მხრივ, ე. წ. „კაპიტალისტურ კლასსა“ და მათ მმართველებს შორის. **ლიპმანის ორივე პროექტი წარმოადგენდა „300-თა კომიტეტის“ სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მთელ ამერიკაზე ვრცელდებოდა. ამასთან, ლიპმანი კომიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი გახლდათ.**

სუალს მჭიდრო კავშირები გააჩნია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროსთან და შეუძლია მიიღოს ფედერალური გამოძიების ბიუროსგან დოსიე მისთვის საინტერესო ნებისმიერ პიროვნებაზე. იუსტიციის სამინისტრომ გასცა ბრძანება, მიაწოდონ სუალს ნებისმიერ მომენტში ყველაფერი, რასაც ის ისურვებს. სუალის ძირითადი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ „თვალყური ადევნოს ნებისმიერ მემარჯვენე პიროვნებას და დაჯგუფებას“.

**სახელმწიფო დეპარტამენტს გააჩნია აგენტების მთელი ფენა მემარჯვენე ბანაკში, რომლებიც თავს წარადგენენ, როგორც „უშიშარი მებრძოლი – ანტისემიტები“. ამ ინფორმატორების ჯგუფს ჰყავს ოთხი ლიდერი, სამი მათგანი ჩვეულებრივი ებრაელ-ჰომოსექსუალისტია.** ჯგუფი, უკვე ოცი წელია, საქმიანობს — აქვეყნებს ანტიებრაულ გაზეთებს და გაყიდვაში ანტისემიტური ლიტერატურის ფართო არჩევანი აქვს. მისი ერთ-ერთი მთავარი განყოფილება ლუიზიანაში მდებარეობს. **სუალი ღრმად იყო ჩართული ABSCAM-ის** (ფედერალური გამოძიების ბიუროს საიდუმლო პროვოკაციული ოპერაციების სისტემა მექრთამეობისა და კორუფციის გამოსამჟღავნებლად) **ოპერაციებში, მას ხშირად იყენებდნენ სამართალდამცავი ორგანოები გამოძიებასა და პროვოკაციული ოპერაციების განხორციელებაში დახმარების მიზნით.**

**სუალს დაევალა რეიგანის „კორექტირება“, რათა მას პრეზიდენტისთვის „მემკვიდრეობის ფონდის“ მიერ შერჩეული კურსიდან არ გადაეხვია, და თუ რეიგანი ამას მაინც მოახერხებდა ან შეეცდებოდა, სუალს უნდა გაეკეთებინა რამდენიმე „გამაფრთხილებელი გასროლა“.** სუალი რეიგანის ადმინისტრაციას ეხმარებოდა ნებისმიერი უხერხული მემარჯვენე მრჩეველის მოშორებაში, თუ ეს უკანასკნელი „მემკვიდრეობის ფონდისთვის“ არასასურველი იყო. მათ შორისაა რეი დონოვანი, შრომის მინისტრი რეიგანის ხელისუფლებაში, რომელიც ბოლოსდაბოლოს გადააყენეს პოსტიდან adl-ის „ბინძური ოპერაციების განყოფილების“ ძალისხმევით. **ჯეიმს ბეიკერ III, რომლის კანდიდატურაც**



რონალდ რეიგანი

**სუალს დაევალა რეიგანის «კორექტირება», რათა მას პრეზიდენტისთვის «მემკვიდრეობის ფონდის» მიერ შერჩეული კურსიდან არ გადაეხვია, და თუ რეიგანი ამას მაინც მოახერხებდა ან შეეცდებოდა, სუალს უნდა გაეკეთებინა რამდენიმე «გამაფრთხილებელი გასროლა»**

**ასევე იყო „მემკვიდრეობის ფონდის“ რეკომენდაციის სიაში, წარმოადგენდა შუამავალს, რომელიც გადასცემდა პრეზიდენტს სუალის სიძულვილით სავსე გზავნილებს დონოვანის შესახებ.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეთქმული იყო ფილიპ ეიჯი, ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს ე. წ. დეზერტირი. ის არ იყო კომიტეტის წევრი, თუმცა წარმოადგენდა მის საგანგებო დავალებათა აგენტს მექსიკაში, საქმიანობდა „ საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ ხელმძღვანელობით. ცნობისთვის: **რაც ხდება აშშ-ში, აუცილებლად სანქცირდება „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის“ მიერ. აშშ-ისა და დიდ ბრიტანეთის შეთანხმება, რომელიც პირველად გაიხსნა** (მანამდე იყო ბევრი საიდუმლო შეთანხმება), **ჩერჩილსა და რუზველტს შორის დაიდო 1938 წელს, რომლის თანახმადაც აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები ვალდებულებას იღებდნენ, გადაეცათ საიდუმლო მასალები ბრიტანეთის დაზვერვისთვის.**

ასეთია ამ ორ სახელმწიფოს შორის ე.წ. „განსაკუთრებული ურთიერთობის“ საფუძველი, რომლითაც ტრაბახობდნენ ჩერჩილი და ლორდ გალიფაქსი. **სწორედ ამ „განსაკუთრებულმა ურთიერთობებმა“ აიძულა აშშ, ეომა სპარსეთის ყურეში ერაყის წინააღმდეგ ბრიტანეთის ინტერესებისთვის, განსაკუთრებით ბრიტანული კომპანიის British Petroleum-ის ინტერესებისთვის, „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიის, რომელშიც დედოფალ ელისაბედის ოჯახს კაპიტალის დიდი წილი აქვს.**

1938 წლიდან მთელი სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდებოდა ამ სპეციალური ერთობლივი გუნდური სტრუქტურის კონტროლქვეშ. ფილიპ ეიჯი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ნოტრდამის შემდეგ ჩაირიცხა, სადაც ის იეზუიტური ფრანკმასონობის წრეში იყო მიღებული. ეიჯიმ ჩემი ყურადღება პირველად 1968 წელს მიიპყრო, როგორც დაზვერვის ოფიცერმა, რომელიც მეხიკოს უნივერსიტეტში არეულობის უკან იდგა. მექსიკის სტუდენტური არეულობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება იყო ის, რომ ეს არეულობები მოხდა ერთსა და იმავე დროს, როგორც სტუდენტური არეულობები ნიუ იორკში, ბონში, პრაღასა და დასავლეთ ბერლინში.

**მოქმედების კოორდინაციის გამოცდილებითა და სპეციალური სადაზვერვო ქსელის წყალობით, რომლის ძირითად შემადგენელ ნაწილს ინტერპოლი წარმოადგენს, კომიტეტისთვის სულაც არ არის ძნელი, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, წამოიწყოს დროში ზედმიწევნით შეთანხმებული გლობალური აქციები — იქნება ეს სტუდენტური არეულობები თუ სუვერენული სახელმწიფოების** (როგორც ბევრს ჰგონია) **ლიდერების ჩამოგდება.** მექსიკაში საქმის დასრულების შემდეგ ეიჯის ყურადღება პუერტორიკოს ტერორისტულ დაჯგუფებებზე გადავიდა. ამავე დროს, ის კუბელი დიქტატორის, ფიდელ კასტროს ნდობით აღჭურვილი პირი გახდა.

ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ ეიჯი მთელ ამ ოპერაციებს ახორციელებდა, როგორც „წითელი“ აგენტი. პირიქით, ის მთელი ამ დროის მანძილზე ცენტრალური დაზვერვის სამმართველოზე მუშაობდა. პრობლემები გაჩნდა, როდესაც DGI-მ (კუბის სადაზვერვო სამსახური) შეძლო მისი „გაშიფრვა“. **ეიჯი აგრძელებდა მუშაობას ცენტრალური დაზვერვის სამართველოს აგენტად, ვიდრე მისი ორმაგი როლი არ გამჟღავნდა. ამასთან, კავშირი ჰქონდა დასავლეთში ყველაზე დიდ საბჭოთა მოსასმენ პუნქტთან, რომელიც კუბაში, ლურდესში (Lourdes) მდებარეობს.** მოსმენისა და გაშიფრვის 3000 საბჭოთა სპეციალისტით დაკომპლექტებულ ბაზა ლურდესს შეუძლია ერთდროულად ადევნოს თვალი ათასობით ელექტრონულ სიგნალს. ბევრი პირადი სატელეფონო საუბარი მოისმინეს კონგრესის წევრებსა და მათ საყვარლებს შორის და შედეგიანადაც გამოიყენეს.

**1991 წელს ჩვენ გვეუბნებიან, რომ „კომუნიზმი მკვდარია“, შეერთებულ შტატებს არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ დაეხურათ უზარმაზარი ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც, პირდაპირი მნიშვნელობით, ჩვენს ზღურბლზე დგას.** სხვათაშორის, **ბაზა ლურდესს შეუძლია დაიჭიროს ყველაზე სუსტი სიგნალი, რომელიც იგზავნება ფაქსით ან ელექტრონული საბეჭდი მანქანით, თან ამ სიგნალის გაშიფრვა აჩვენებს ყველაფერს, რაც იბეჭდება ელექტრონულ საბეჭდ მანქანაზე ან იგზავნება ფაქსით. ბაზა ლურდესი რჩება ხანჯლად აშშ-ის გულში.** თუ აშშ-სა და სსრკ-ს შორის მართლაც მშვიდობაა, რისთვისაა საჭირო ასეთი მსხვილი ჯაშუშური ბაზა? მთელი სიმართლე ისაა, რომ, პერსონალის შემცირების მაგივრად, რაშიც ცდილობენ დაგვარწმუნონ, სუკ-მა 1990 და 1991 წლებში თავის რიგებში დამატებით მიიღო თანამშრომლები.

კურტ ლევინის სახელი, შესაძლოა, ნაკლებად იყოს ცნობილი აშშ-ში. „პოპ-ვარსკვლავებისგან“ ან ბოლო საცოდავი ჰოლივუდის „აღმოჩენებისგან“ განსხვავებით, მეცნიერები იშვიათად ან საერთოდ არ იქცევენ პუბლიკის ყურადღებას. **„რომის კლუბის“ კონტროლქვეშ მომუშავე ასობით მეცნიერიდან აშშ-ში ლევინი განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, ამის მიზეზი კი მისი როლია ირანის, ფილიპინების, სამხრეთ აფრიკის, ნიკარაგუისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ დივერსიულ ქმედებებში. ირანის შაჰის დამხობა განხორციელდა იმ გეგმის მიხედვით,** ▶



კურტ ლევინი



რიჩარდ ფალკი

**ირანის შაჰის დამხობა განხორციელდა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შეიმუშავეს კურტ ლევინმა და რიჩარდ ფალკმა (Richard Falk) ასპენის ინსტიტუტის კონტროლქვეშ, რომელსაც რობერტ ანდერსონი ხელმძღვანელობს**

**ნებისმიერ ლიდერს, რომელიც ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს და უეცრად გამოჩნდება, რათა ერი „გადაარჩინოს“, ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ. გავიხსენოთ, რომ ბრიტანული დაზვერვა წლების მანძილზე ამზადებდა ჰომეინის თავისი მისიისთვის, განსაკუთრებით პარიზში ყოფნისას, ვიდრე ის უეცრად გამოჩნდებოდა, როგორც ირანის გადამრჩენელი. ბორის ელცინიც MI6 SIS-ის იმავე თავლიდან გახლავთ.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «რომის კლუბმა» წარმატებას მიაღწია ქრისტიანული ეკლესიების გაყოფაში; მან წარმატებას მიაღწია ქარიზმატული ფუნდამენტალისტებისა და ევანგელისტების არმიის შექმნაში, რომლებიც სიონისტური სახელმწიფოს — ისრაელისთვის იბრძოლებენ

**◀ რომელიც შეიმუშავეს კურტ ლევინმა და რიჩარდ ფალკმა (RICHARD FALK) ასპენის ინსტიტუტის კონტროლქვეშ, რომელსაც რობერტ ანდერსონი ხელმძღვანელობს.**

ლევინი გახლავთ ავტორი ნაშრომისა „დროის პერსპექტივა და მორალური სული“ (Time Perspective and Morale). „რომის კლუბის“ ეს პუბლიკაცია წარმოადგენს სახელმძღვანელოს ერისა და ცალკეული ლიდერების მორალური სულის დასათრგუნად. აი, ამ დოკუმენტის ამონარიდიც:

**„მორალური სულის დათრგუნვის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი (დაშინების სტრატეგიის გამოყენებით) შემდეგი ტაქტიკის ზუსტ შესრულებაში მდგომარეობს: უნდა ამყოფო ადამიანი სრულ გაურკვევლობაში მის მიმდინარე მდგომარეობასა და იმასთან დაკავშირებით, თუ რა ელის მას მომავალში. გარდა ამისა, თუ ხშირი მერყეობა მკაცრ დისციპლინარულ ზომებსა და კარგი მოპყრობის დაპირებას შორის, ურთიერთგამომრიცხავი ამბების გავრცელებასთან ერთად, სიტუაციის კოგნიტიურ სტრუქტურას ბუნდოვანს ხდის, მაშინ ადამიანი კარგავს წარმოდგენასა და თავდაჯერებულობას, რომ მისი რომელიმე კონკრეტული გეგმა სასურველ მიზნამდე მიიყვანს მას ან დააშორებს მას. ასეთ პირობებში ისეთი პიროვნებებიც კი, რომელთაც მკაფიო მიზნები აქვთ და მზად არიან რისკზე წასასვლელად, პარალიზებული ხდებიან ძლიერი შინაგანი კონფლიქტის გამო, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, თუ რისი გაკეთება ღირს.“**

„რომის კლუბის“ ეს პროგრამა გამოიყენება როგორც ქვეყნების, ასევე ცალკეული პიროვნებების მიმართ, განსაკუთრებით ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურებზე. ჩვენ აშშ-ში არ უნდა ვიფიქროთ – „ეს ხომ ამერიკაა და ამგვარი რამ ჩვენთან არ მოხდება“. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს ყველაფერი ხდება აშშ-ში და შეიძლება უფრო ხშირადაც, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ლევინ-„რომის კლუბის“ გეგმა მიზნად ისახავს ჩვენს დემორალიზებას, რომ ჩვენ ბოლოსდაბოლოს მორჩილად მივიღოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის იყო დაგეგმილი. ჩვენ ცხვრებივით დავემორჩილებით „რომის კლუბის“ ბრძანებებს. **ნებისმიერ ლიდერს, რომელიც ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს და უეცრად გამოჩნდება, რათა ერი „გადაარჩინოს“, ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ. გავიხსენოთ, რომ ბრიტანული დაზვერვა წლების მანძილზე ამზადებდა ჰომეინის თავისი მისიისთვის, განსაკუთრებით პარიზში ყოფნისას, ვიდრე ის უეცრად გამოჩნდებოდა, როგორც ირანის გადამრჩენელი. ბორის ელცინიც MI6 SIS-ის იმავე თავლიდან გახლავთ.**

„რომის კლუბი“ დარწმუნებულია, რომ მან შეასრულა „300-თა კომიტეტის“ დავალება, „მოელბო“ აშშ. ამ ქვეყნის ხალხთან 45-წლიანი ომის შემდეგ, ეჭვი ვის გაუჩნდება, რომ მან ნამდვილად შეასრულა თავისი დავალება? მიმოიხედეთ ირგვლივ და დაინახავთ, რამდენად ვართ დემორალიზებული. **ნარკოტიკები, პორნოგრაფია, როკ-„მუსიკა“, თავისუფალი სექსი, პრაქტიკულად, ოჯახის საფუძვლის მთლიანი განადგურება, ლესბოსელობა, ჰომოსექსუალიზმი და საბოლოოდ დედების მიერ საკუთარი ბავშვების მილიონობით საშინელი მკვლელობა არის თუ არა უფრო ამაზრზენი დანაშაული, ვიდრე მასობრივი აბორტები?**

ვინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ შეერთებული შტატები შიდა კრახის ზღვარზე დგას და მზად არის, ხელში ჩაუვარდეს ახალი ბნელი საუკუნის ერთიან მსოფლიო მთავრობას, თუ აშშ სულიერი და მორალური ბანკროტია, თუ ჩვენი სამრეწველო ბაზა განადგურებულია, თუ სახელმწიფოში 30 მილიონი უმუშევარია, თუ ჩვენს ქალაქებში დანაშაულის დონე თითქმის სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში, თუ ქვეყანაში 4 მილიონი უსახლკაროა, თუ კორუფციამ მმართველობაში არნახულ დონეს მიაღწია და გარშემო ყველაფერი მოიცვა?!

**მცდარია მოსაზრება, რომ «300-თა კომიტეტი» და «რომის კლუბი» სუფთა ევროპული ორგანიზაციებია. «რომის კლუბს» უზარმაზარი გავლენა და ძალაუფლება აქვს შეერთებულ შტატებში; მას საკუთარი კაპიტალი აქვს ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში**

**„რომის კლუბმა“ წარმატებას მიაღწია ქრისტიანული ეკლესიების გაყოფაში; მან წარმატებას მიაღწია ქარიზმატული ფუნდამენტალისტებისა და ევანგელისტების არმიის შექმნაში, რომლებიც სიონისტური სახელმწიფოს — ისრაელისთვის იბრძოლებენ.** სპარსეთის ყურეში ომისა და გენოციდის დროს მე ათეულობით წერილს ვლებულობდი; მეკითხებოდნენ, როგორ შემიძლია, ვიყო წინააღმდეგი „ერაყის წინააღმდეგ სამართლიანი ქრისტიანული ომისა?!“. როგორ შემეძლო მეეჭვა, რომ მხარდაჭერა ქრისტიანული ფუნდამენტალისტების ომში („300-თა კომიტეტის“) ერაყის წინააღმდეგ არაბიბლიური იყო — ნუთუ ბილი გრეჰემი არ ლოცულობდა პრეზიდენტ ბუშთან ერთად, სანამ ხოცვა-ჟლეტა დაიწყებოდა? განა ბიბლია არ გვეუბნება „ომზე და ომის შესახებ ჭორებზე“?

ეს წერილები გვიჩვენებს, თუ რა კარგად აკეთებს თავის სამუშაოს ტავისტოკის ინსტიტუტი. როგორც იგეგმებოდა, **ქრისტიანული ფუნდამენტალისტები იქცევიან მძლავრ ძალად, რომელიც მხარს უჭერს ისრაელის სახელმწიფოს. რა სამწუხაროა, რომ ეს მშვენიერი ხალხი ვერ ხვდება, რომ „რომის კლუბი“ უხეშად მანიპულირებს მათით და რომ მათი მოსაზრება და შეხედულება არ არის პირადად მათი, არამედ შექმნილია მათთვის „300-თა კომიტეტის“ ასობით „ტვინის ცენტრის“ მიერ, რომლებიც გაფანტულია მთელი აშშ-ის ტერიტორიაზე.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც შეერთებული შტატების სხვა დანარჩენი მოსახლეობის ფენებს, ქრისტიანულ ფუნდამენტალისტებსა და ევანგელისტებს საფუძვლიანი „ტვინის გამორეცხვა“ ჩაუტარდათ.

ჩვენ, როგორც ერი, მზად ვართ, მივიღოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკული ცხოვრების წესის ნგრევა, რომელიც ოდესღაც მთელი მსოფლიოს შურის საგანი იყო. არ იფიქროთ, რომ ეს თავისით მოხდა, არ ჩავარდეთ სინდრომში „დრო იცვლება...“. დრო არაფერს ცვლის, ამას ხალხი აკეთებს. **მცდარია მოსაზრება, რომ „300-თა კომიტეტი“ და „რომის კლუბი“ სუფთა ევროპული ორგანიზაციებია. „რომის კლუბს“ უზარმაზარი გავლენა და ძალაუფლება აქვს შეერთებულ შტატებში; მას საკუთარი კაპიტალი აქვს ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში.**

მისი ლიდერი — სენატორი კლეიბორნ პელი, ხოლო ერთ-ერთი წევრი ფრენკ მ. პოტერი გახლავთ, კონგრესის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის ყოფილი დირექტორი. კლუბის ყველაზე დიდი წარმატებაა, რომ აშშ-მა ვერ შეძლო 21-ე საუკუნეში შესვლა, როგორც ძლიერმა ინდუსტრიულმა სახელმწიფომ. კლუბის ანტიბირთვული პოლიტიკის ეფექტი უნდა გაიზომოს გაჩერებული ბრძმედის ღუმელების, მიტოვებული რკინიგზის სადგურების, ჟანგით შეჭმული მეტალურგიული ქარხნების, დიდი ხნის წინ დახურული გემთმშენებელი ქარხნების და მთელ ქვეყანაში გაბნეული ღირებული კვალიფიციური ძალების რაოდენობით, რომელთა თავიდან შეკრებაც აღარ გამოვა.

**„რომის კლუბის“ სხვა წევრები აშშ-ში არიან უოლტერ ა. ჰანი (Walter A. Hahn) კონგრესის კვლევითი სამსახურიდან (Congressional Research Service) და ასევე ცნობილი ეკონომისტები — ენ ჩიტემი (Ann Cheatham) და დუგლას როსი (Douglas Ross). როსის ამოცანა, მისივე სიტყვებით, იყო „რომის კლუბის“ პერსპექტივების ტრანსფორმირება საკანონმდებლო აქტებად, რათა დახმარებოდა ქვეყანას სიუხვის ილუზიისგან გათავისუფლებაში“. ენ ჩიტემი ორგანიზაციის „კონგრესის მომავლის საკითხების კლირინგული პალატა“ (Congressional Clearing House For The Future) დირექტორი იყო.**

მისი ამოცანა იყო კონგრესის იმ წევრების დამუშავება, რომლებიც ასტროლოგიისა და „ახალი ხანის“ (New Age) ყველანაირი სისულელის მიმართ მგრძნობიარენი იყვნენ. ერთ დროს მის ლექციებს 100 კონგრესმენზე მეტი ესწრებოდა. ენ ჩიტემი ყოველდღიურად ატარებდა სესიებს, რომლებზეც თავისი „ოკულტური აღქმის“ საფუძველზე სრულიად სხვადასხვა ასტროლოგიურ „პროგნოზებს“ აცხადებდა. კონგრესმენების გარდა, მის სესიებს სხვა მნიშვნელოვანი პერსონებიც ესწრებოდნენ, ისეთები, როგორც არიან მაიკლ უოლში (Michel Walsh), ტორნტონ ბრედშოუ (Thornton Bradshaw) — „300-თა კომიტეტის“ წამყვანი წევრი და დავიდ სტრენლაიტი (David Sternlight), სადაზღვევო კომპანია „ოლსტეიტ ინშურანს კომპანის“ (Allstate Insurance Company) უფროსი ვიცეპრეზიდენტი.

**„300-თა კომიტეტის“ ყველაზე მნიშვნელოვან წევრთაგან რამდენიმე ნატოს წევრიც არის (ფაქტი, რომელიც უნდა გვახსოვდეს). „300-თა კომიტეტის“ ეს წევრები ერთდროულად რამდენიმე თანამდებობას იკავებენ.**

ერთდროულად ნატოსა და „რომის კლუბის“ წევრები გახლავთ: ჰარლანდ კლივლენდი, აშშ-ის ყოფილი ელჩი ნატოში; ჯოზეფ სლეიტერი, „ასპენის ინსტიტუტის“ დირექტორი; დონალდ ლეში, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი მუშაკი; ჯორჯ მაკგი და კლეიბრონ პელი – ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია.

მნიშვნელოვანია, არ დაგვავიწყდეს მათი სახელები, თუ გნებავთ, სია, რათა სატელევიზიო პროგრამებსა და ახალ ამბებში მათი გამოჩენისას ყოველთვის გვახსოვდეს, ვინ არიან და რის უკან დგანან. Modus Vivendi-ის დაზვერვის მიხედვით, კომიტეტის წევრები ხშირად ჩნდებიან ტელევიზიაში, ჩვეულებრივად, ყველაზე უცოდველი ნიღბების ქვეშ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მათი საქმე როდია უდანაშაულო.

**„300-თა კომიტეტმა“ ჩანერგა თავისი აგენტები შეერთებული შტატების გულში — მთავრობაში, კონგრესში, პრეზიდენტის მრჩევლების პოსტებზე, ელჩებისა და სახელმწიფო მდივნების თანამდებობებზე.** დროთა მანძილზე „რომის კლუბი“ ატარებს კრებებსა და კონფერენციებს, რომლებიც, მიუხედავად უწყინარი დასახელებებისა, ფაქტობრივად, სამუშაო კომისიებად იქცევა, რომელთაგან ყველას აქვს დავალებული სპეციალური ამოცანა და მითითებული — შესრულების ვადებიც. **„300-თა კომიტეტი“ საგანგებო მდგომარეობის გარეშე ძალიან ზუსტი განრიგით მუშაობს.**



**«300-თა კომიტეტის» ყველაზე მნიშვნელოვან წევრთაგან რამდენიმე ასევე ნატოს წევრიც არის (ფაქტი, რომელიც უნდა გვახსოვდეს). «300-თა კომიტეტის» ეს წევრები ერთდროულად რამდენიმე თანამდებობას იკავებენ**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაცვლად სახალხო მმართველობისა, რომლის შემკვეთიც ხალხი უნდა იყოს, ხოლო ხელისუფლება — შემსრულებელი, მივიღეთ ლიბერასტული მმართველობა, რომელიც ემსახურება თავად ხელისუფლების წევრთა და უცხოელთა, ე. წ. ინვესტორების გამდიდრებას, ხალხისთვის და ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი უცხო კანონების შემოღებას და ერის თვითგანადგურებას.**

# ეს გზა ტაძართან არ მიგვიყვანს!

> „ოხ, ღმერთო ჩემო! სული ძილი, ძილი,
> როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“
> ილია

**ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაპირებამ, რომ საქართველოში ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული სახალხო მმართველობა გვექნებოდა და განთავისუფლდებოდა იმ ბალასტისგან, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, ცხადია, ჩაილურის წყალი დალია. ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რომ რეალური მიზეზი ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისა ამერიკული პროექტი იყო ბოკერიას შუამავლობით და არა ქველმოქმედის, სამშობლოზე შეყვარებული პიროვნების კეთილი ნება და ქართველებზე გულისტკივილი. ეს გარემოება მის განცხადებაშიც აისახა, როცა ბრძანა, რომ რუსეთს არ დაელაპარაკება, სანამ ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. სწორედ ამიტომ პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ, თანაც პუტინის მმართველობის პერიოდში. საგულისხმოა, რომ ლავროვი ვილნიუსში არც დაელაპარაკა საგარეო საქმეთა უმწიფარ და მარიონეტ მინისტრს, რომელიც მადლიერების ცრემლებს აღვარღვარებდა მონური მორჩილებით ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისას.**



## ვინ დაუშალა ხელისუფლებას თუნდაც დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება ძველ ადგილზე?

საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი — ვალერი გაბელია აცხადებს, რომ 2004 წელს პუტინი მონდომებული იყო, მოლაპარაკება დაეწყო ხელისუფლებასთან, რათა საუკუნის პრობლემა გადაეჭრათ, მაგრამ ხელისუფლებამ არ ინება საპასუხო ნაბიჯის გადადგმა, რადგან დასავლეთი და ამერიკა ცდილობენ პოსტსაბჭოთა სივრცის დისტანცირებას რუსეთისგან. ხელისუფლებისგან ამ თემის იგნორირება ნიშნავს, რომ არ აღელვებთ იმ ადამიანთა ბედი, საკუთარი სახლკარი და მიწა-წყალი რომ დაატოვებინეს, და გლეხები ბაზრის მაწანწალებად აქციეს. ძალიან მეიმედებოდა ბ-ნ ბიძინას ერთი ფრაზა მისთვის ჩვეული ჟესტიკულაციით: „აი, გახსოვთ, როგორი ცხოვრება იყო საბჭოთა კავშირის დროს“... და აღარ დაამთავრა „ნაცების“ შიშით. მეიმედებოდა ბერას სიმღერის ტექსტიც: „ქართული, ყველაფერი ქართული“...

**თუ ვინმე ფიქრობს, რომ საბჭოეთმა დამოუკიდებლობა წაგვართვა და დღეს ამ ბედნიერებით ვტკბებით, იქნებ მიპასუხოს, რატომ იმართება ჩვენი სამშობლო ევროპა-ამერიკის დირექტივებით, თანაც უფრო ვერაგულად და მიზანმიმართულად?!** ხელისუფლების წარმომადგენელთა დაავადებულ ცნობიერებაში სამშობლოს სიყვარული საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ ჩაანაცვლა. ფინანსდება მხოლოდ არაეროვნული პროექტები და შეჩერებულია ქვეყნის ეროვნული განვითარების ყველა ბერკეტი.

მეიმედებოდა, რომ რესპუბლიკელებს ბატონი ბიძინა გვერდზე გასწევდა, როგორც არაეროვნულ ძალას, მაგრამ ყველა ბერკეტი რესპებს ჩაუგდო ხელთ და ეროვნული ტრადიციების მაგინებელი პრეზიდენტი თავისივე კეთილდღეობისთვის აირჩიეს. **ნაცვლად სახალხო მმართველობისა, რომლის შემკვეთიც ხალხი უნდა იყოს, ხოლო ხელისუფლება — შემსრულებელი, მივიღეთ ლიბერასტული მმართველობა, რომელიც ემსახურება თავად ხელისუფლების წევრთა და უცხოელთა, ე. წ. ინვესტორების გამდიდრებას, ხალხისთვის და ქართული ტრადიციებისთვის მიუღებელი უცხო კანონების შემოღებას და ერის თვითგანადგურებას.** თუ საქართველოს საგარეო პოლიტიკა მსოფლიო გლობალური პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს, ვინ დაუშალა ხელისუფლებას თუნდაც დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება ძველ ადგილზე? მეტიც, ძეგლი რომ არ დაბრუნდეს, იმ ადგილზე საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყეს! დღემდე იძულებულს ხდიან საზოგადოებას, სულაქოთებული კრიმინალი „ნაცების“ განცხადებები ისმინოს ხელისუფლების წევრთა არაფრისმთქმელ განცხადებებთან ერთად დიალოგის რეჟიმში, რაც საზოგადოების ზიზღსა და სიძულვილს იწვევს.

პარლამენტის თავმჯდომარე თუ, ერთის მხრივ, მკვლელი „ნაცების“ სახის გადარჩენას დემოკრატიის გადარჩენად მიიჩნევს, რაც 17 აპრილს პრაღაში ვიზიტისას განაცხადა, მეორე მხრივ, უკრაინაში მიტინგების დარბევის საპასუხოდ მთავრობის მიმართ (წერილობითი) პროტესტი გამოხატა „ნაცებთან“ ერთად და აცხადებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა უკრაინის ხელისუფლებას ეკისრება — ეს ამაზრზენი ცინიზმია!

**„ნაცების“ სახის გადარჩენით თავის გადარჩენა უნდა „ოცნებას“, რადგან დისკრედიტებულ ოპოზიციას ყოველთვის მოუგებს არჩევნებს. სხვაგვარად მას მომავალი არ აქვს.**

ივანიშვილი საეკლესიო დოგმების წინააღმდეგია, მაგრამ თავად მიწესებს დოგმებს: დავით უსუფაშვილს ნუ აკრიტიკებთ, სახელმწიფო მოღვაწეა და პატივი უნდა სცეთო. ვერავინ მიკარნახებს, პატივი ვცე თუ არა უსუფაშვილს, რამეთუ პიროვნება თავად უნდა აღვივებდეს ხალხში პატივისცემას თავისი განვლილი გზით, ეროვნული თვითშეგნებით, ქვეყნისა და ერის ტკივილის გათავისებით.

ხელისუფლების იდეოლოგიურმა გებელსმა, **ლევან ბერძენიშვილმა,** ჩემი დედასამშობლო დუჟიან ფსიქოპატთან, სააკაშვილთან, გაათანაბრა რეიტინგით და არჩევანის წინაშე დაგვაყენა: **ევროპა თუ დამნაშავე ექსპრეზიდენტის დასჯა?** პასუხი ერთმნიშვნელოვანია: **რა თქმა უნდა, სამართლებრივი სახელმწიფო ევროპისა და ამერიკის ჩინოვნიკთა დიქტატის გარეშე, რომელნიც ისეთივე კრიმინალები არიან, როგორც „ნაცები“.**

**ირაკლი ალასანია გვმოძღვრავს, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ წინა მთავრობის ძალისხმევა ქვეყანაში პროგრესის მისაღწევად. რამდენ კარში თამაშობს ეს არსება? სააკაშვილმა მართლაც დაანახა მსოფლიოს, რომ ჩვენს სამშობლოს მანიაკი მართავდა 9 წელი და „პროგრესიც“ შემოიტანა ქვეყანაში პოლიტიკური პროქტოლოგიის სახით.**

საბჭოურ პერიოდში საქართველოს სახელი სტალინთან ასოცირდებოდა, ჭეშმარიტ გენიოსთან, რომელმაც მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს საქართველოში დაბადებული ქართველი გენიოსი მართავდა. მახსოვს, უნივერსიტეტიდან შუა აზიაში მოგზაურობის დროს როგორი სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით დაგვყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობა შეძახილებით: **„საქართველო, სტალინი“.**

ე. წ. პრეზიდენტმა რომელიც ზოგადი განცხადებებით იფარგლება, თავი შეიკავა „ორი გვამის“ თემის შეფასებისგან, სამაგიეროდ ისეთ ჯარზე ოცნებობს, რომელიც ნებისმიერ აგრესორს სურვილს დაუკარგავს საქართველოსთან დაპირისპირების. საინტერესოა, ვის უქნევს თითს უმრავლესობის პრეზიდენტი — რუსეთს თუ თურქეთს? იქნებ ი. ალასანიას ინფორმაციას ეყრდნობა, რომ ჩვენი ჯარი პრაქტიკულად უკვე ნატოშია?

**თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიად განაცხადა, რომ ეკონომიკის საშუალებით აპირებენ თურქული იმპერიის აღდგენას, რომლის შემადგენლობაში იყო ბათუმიც. აგრესორი აგრესორად დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მიდგომები და ხმალი ფულმა ჩაანაცვლა.**

2004 წლის 17 მარტს აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმა უნალ ჩევიკოვმა განაცხადა, რომ, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს აჭარაში ჯარების შეყვანის უფლება აქვს. პუტინი არ დაეთანხმა, მაგრამ როგორ მოიქცევა რუსეთის ხელისუფლება, თუ საქართველო კვლავ ევროპისკენ აიღებს გეზს? 75-მილიონიან თურქეთს აღუდგება წინ ქართული ჯარი და საჯიშე ბიჭებს უჯიშო ხელისუფლების სკამებს შევწირავთ?

**ორი საუკუნე, ფაქტობრივად, რუსეთთან ერთ სახელმწიფოდ ვიცხოვრეთ და ერთიანმა ტერიტორიულმა სივრცემ შეგვინარჩუნა ტერიტორია, იდენტობა და რწმენაც. მაინც რას ელის ქართველი საკუთარი ქვეყნის ინტერესების დამცველი რუსეთის ხელისუფლებისგან, როცა თავად საქართველოს ხელისუფლება არ იცავს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს?**

**თურქეთი ცდილობს, გაიმყაროს პოზიციები საქართველოში თურქი მოსახლეობის მიგრაციის ფონზე, რაც საქართველოს დიდ საშიშროებას უქმნის. არ გამოირიცხება შეიარაღებული აგრესიაც.**

1974 წელს თურქეთმა შეიყვანა ჯარები კვიპროსში და კუნძულის 1/3 დაიკავა. ნატოს წევრი ქვეყნის — საბერძნეთის, ასევე ამერიკისა და ევროკავშირის წინააღმდეგობის მიუხედავად, მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ კვიპროსის დანარჩენი 2/3 ნაწილი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდა.

ამჟამად საქართველო ქაოტური განვითარების პრინციპით იმართება და არ არის კონცენტრირებული საგარეო საფრთხეებზე, რადგან ხელისუფლება საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით არის დაკავებული. ექსპრემიერმა მინისტრებს ხელფასები ათასიდან 8 ათასამდე გაუზარდა, ხოლო დაუბეგრავი მინიმუმი 150 ლარი დააწესა, რაც ცინიზმი და მასხრად აგდებაა. ამ ქმედებით ხელისუფლებამ მდიდარი უფრო გაამდიდრა, ხოლო ღარიბი გააღატაკა, რაც ადამიანში კრიმინალური ცნობიერების გაღვიძების პრეცენდენტად შეიძლება იქცეს. **ხელისუფლების უმოქმედობამ იძულებული გახადა ხალხი, უცხოეთში გადაიხვეწოს, იმათხოვროს, იქურდოს, მონურად ემსახუროს დამქირავებელს. ეს ხალხის უპატივცემულობაა და ამიტომაც უცხოური კომპანიები მონებივით ექცევიან ჩვენს მოქალაქეებს. ასეთი პოლიტიკით არც უცხო ქვეყნების ხელისუფალთა პატივისცემას იმსახურებს საქართველოს მთავრობა.**

თუ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ, ყაზახეთში, პენსია 200$-დან 400$-ის ეკვივალენტია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით და ინფლაციის შემთხვევაში მოსახლეობა კომპენსაციასაც კი იღებს, ეს მმართველი ხელისუფლების გონიერებაზე მიუთითებს, რომელიც მალე ქვეყანას ევრაზიულ კავშირშიც გააერთიანებს.

საქართველოში კულტურის ძეგლებსაც სტატუსი ჩამოართვეს, საავადმყოფოებიც გაყიდეს, რის შედეგადაც კვალიფიციური ექიმის კონსულტაცია გაორმაგდა და გასამმაგდა, ხოლო საზოგადოებას დაზღვევის სახით ძაღლივით ძვალი გადაუგდეს. ასეთ დაზღვევას სჯობდა, კარგად დავიწყებული ძველი გაიხსენონ, როცა სრულიად უფასო გვქონდა სამედიცინო მომსახურება და „ევროპისკენ მიმავალ გზაზე“ „წითელი ჯვრის“ საავადმყოფო გახსნან, რომელშიც უფასოდ იმკურნალებდა მოსახლეობა.

**დიდ პატივისცემას გამოვხატავ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, მაგრამ ასეთი გუნდი არც ქართულ საქმეს გააკეთებინებს მას და მის დისკრედიტაციასაც შეეცდება.**

მსგავსი ცნობიერების ადამიანები, „მეგობარ“ ევროპელთა თუ ამერიკელთა მითითებით, აღრმავებენ შუღლსა და დაპირისპირებას. ამის მაგალითია უკრაინაც, სადაც ქვეყნის „დემოკრატიული“ ოპოზიციის ლიდერი ვიტალი კლიჩკო, რომელიც პირად გამორჩენაზეა ორიენტირებული, დედასამშობლოს დასანგრევად მზად არის; იმ ქვეყნის დასანგრევად, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში თუჯის, ფოლადის, ქვანახშირის, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ ჩემპიონი იყო ევროპის ქვეყნებთან შედარებით. აი, რატომ ისწრაფვის უკრაინისკენ ევროკავშირი, რომელსაც, როგორც ვამპირს, მსგავსი ქვეყნების სახით ახალი, ცხელი სისხლი სწყურია თავისი არსებობის გასახანგრძლივებლად. ოპოზიციის ლიდერი ზნეობრივ დეფიციტსაც განიცდის. ამას ადასტურებს გერმანულ გეიჟურნალ MAX-ისთვის გადაღებული მისი შიშველი ფოტოსურათები, რითაც უცხო ქვეყნის პედერასტებს თავისი დაკუნთული სხეულით ვნებას აღუძრავს. ასეთმა კაცმა უნდა მართოს უკრაინის პოლიტიკური პროცესები?

**საპარლამენტო უმრავლესობას არ უჩნდება პროტესტი იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც გვამებსა და სისხლზე აგებული ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს. მეტიც, მათ გზას აგრძელებენ გვამებისა და პოლიტიკური პროქტოლოგიის გარეშე. სამწუხაროა, რომ საუკუნეების მანძილზე მტერთან მებრძოლი ქართველის სულში ჩაკლეს სიმართლის გრძნობა და გამოხატვის თავისუფლება.**

სამაგიეროდ, ბელგიის პარლამენტის წევრის — დორან ლუის სკანდალურმა გამოსვლამ ბრიუსელში, რომელიც სისტემას დაუპირისპირდა, ქართველთა გამოღვიძების იმედი ჩამისახა: **„...წადით თქვენი, ყველასი... მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, ე.წ. კეთილისმყოფელი პარტიებისა, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებისა, წადით თქვენი, ყველასი... ვინც თამაშობს ბომბებით; წადით თქვენი... ვინც დემოკრატად ასაღებთ თავს და სინამდვილეში სისხლის სამართლის საზიზღარი დამნაშავეები ხართ!“**

პარლამენტარის გამოსვლა სრულად ასახავს საქართველოს დღევანდელ რეალობას და მოუთმენლად ველი, ღირსების მქონე პრემიერი მსგავს მიმართვას კარგი კახური ტრადიციულით როდის დააბოლოებს!

მანამდე კი მინდა ნოდარ დუმბაძისეული პათოსით თავად მივმართო დაავადებული ცნობიერების მქონე საქართველოს რიგით თუ საჯარო პირებს: **გაიღვიძეთ, სამშობლოს გამყიდველებო, მკვლელებო, მკვლელობისა და გვამების შემკვეთებო, დამყაჩაღებლებო, მწამებლებო, კრიმინალთა მფარველებო, „ოცნებაში“ ჩანერგილებო, პროქტოლოგ-პედერასტებო, ფალოსჭამიებო, თაღლითებო, მანიაკებო; გაიღვიძეთ, „ქვეყანა აშენდა“, ევროკავშირში ხართ!**

**იზა თამაზაშვილი,**
ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე

**აშშ-მა უკრაინაში არა მარტო იანუკოვიჩის ხელისუფლება ჩამოწერა, არამედ დემოკრატიაც. დიახ, სწორედ დემოკრატია იყო ის ძალა, რომელიც ბოლომდე, რადიკალურად არ ხლეჩდა საზოგადოებას, არ ხლეჩდა ქვეყანას, თუმცა ამავე დროს ეს ის ძალა იყო, რომელიც არ იძლეოდა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ასიმილაციის, მისი ერთიანი მართლმადიდებლური სივრციდან მოწყვეტის შესაძლებლობას.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მართლმადიდებლური ცივილიზაცია მაიას ცივილიზაციის ბედს არ გაიზიარებს



**ალბათ, ყველას გახსოვთ, სამი ქართული ტელეარხი ხაშურის პოლიციაში საეჭვო ვითარებაში დაღუპულ პიროვნებაზე ინფორმაციას, სინქრონში, ერთსა და იმავე ტექსტით რომ გადმოსცემდა. მაშინ პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ტექსტი შინაგან სამინისტროში იყო შექმნილი და ლოგიკურ ჯაჭვს აბამდნენ, რომ ეს ტელეკომპანიები იმდროინდელი ხელისუფლების მონა-მორჩილნი იყვნენ. ანალოგიური შეგრძნება გამიჩნდა 18 თებერვლის ღამეს, როდესაც, რაც მე დავთვალე, 6 ქართული ტელეარხი პირდაპირ ჩართვას ახორციელებდა კიევის ცეცხლმოკიდებული ქუჩებიდან. ტექსტი — არა, რადგან რეპორტაჟები დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ სულისკვეთება კი ერთი ჰქონდათ. უფრო მეტიც, ამ ფერხულში ის ტელევიზიებიც ვიხილე, რომლებიც იმ სამი ტელეარხის ქილიკს საკმაო დროს უთმობდნენ. თუმცა, რადგანაც იმ ღამეს უნისონში იყვნენ, აშკარაა, მათ ყველას ერთი ხელი მართავს, უფრო სწორად, მათ და საქართველოს ხელისუფლებას. მართლაც, რომ ძნელია, ცალკე შენი ხელისუფლების და ცალკე შენი ხელისუფლების ხელისუფლების — აშშ-ის წინააღმდეგ წახვიდე.**

**რადგან აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონია უკვე დაღმართზეა, ხოლო პუტინის რუსეთი ძალას იკრებს, აშშ-ში დასტური გასცეს, უკრაინის ხელისუფლებაში ულტრანაციონალისტების რეჟიმი მოვიდეს, რომელმაც სწრაფი, ეფექტური და რეპრესიული მეთოდებით, ბანდერიზმის იდეოლოგიის ქვეშ, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის იძულებითი გალიცინიზაცია უნდა მოახდინოს**

ამას დღეს საქართველოში არათუ ცალკეული ტელევიზია, არამედ ვერანაირი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს. ეს მოცემულობა კარგად იციან აშშ-ში, ამიტომაც უკვე პოლიტიკურად დამორჩილებულებს უფლება მოგვცეს, სააკაშვილის მოფაშისტო რეჟიმისგან გარკვეული დროით დაგვესვენა. თუმცა რადგან ხალხში რუსოფობია ვერ გააღვივეს, რადგან მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას ითხოვს, ვალდებულება გვქონდა, ტელევიზიით მუდმივად გვეყურებინა, როგორ ებრძოდა ნეონაცისტური, კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები მოსკოვთან კონფროტაციაში არ მყოფ ადგილობრივ ხელისუფლებას, ხელისუფლებას, რომელიც, შესაძლოა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ უკრაინა, უბრალოდ, მუქთად არ ჩაებარებინა დასავლეთისთვის.

**ყველანაირად ჩანს, რომ აშშ-მა უკრაინაში არა მარტო იანუკოვიჩის ხელისუფლება ჩამოწერა, არამედ დემოკრატიაც. დიახ, სწორედ დემოკრატია იყო ის ძალა, რომელიც ბოლომდე, რადიკალურად არ ხლეჩდა საზოგადოებას, არ ხლეჩდა ქვეყანას, თუმცა ამავე დროს ეს ის ძალა იყო, რომელიც არ იძლეოდა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ასიმილაციის, მისი ერთიანი მართლმადიდებლური სივრციდან მოწყვეტის შესაძლებლობას.** უფრო მეტიც, დემოკრატიის წყალობით შესაძლებელი გახდა, აშშ-ის ლაქია იუშჩენკოს შემდეგ ხელისუფლებაში ზომიერი, არა ანტირუსული პოლიტიკის გამტარებელი იანუკოვიჩი მოსულიყო. თუმცა, **რადგან აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონია უკვე დაღმართზეა, ხოლო პუტინის რუსეთი ძალას იკრებს, აშშ-ში დასტური გასცეს უკრაინის ხელისუფლებაში ულტრანაციონალისტების რეჟიმი მოვიდეს** (თუნდაც არანაკლები ხაზინის ქურდი, მაგრამ „დემოკრატი" ტიმოშენკოს ანტურაჟის ქვეშ), **რომელმაც სწრაფი, ეფექტური და რეპრესიული მეთოდებით, ბანდერიზმის იდეოლოგიის ქვეშ, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის იძულებითი გალიცინიზაცია უნდა მოახდინოს.** აშშ-ს, როდესაც „საქმეს ასე სჭირდება", ნაცისტური ხელისუფლებების მოყვანის გამოცდილება მრავლად აქვს დაგროვილი. აქ მაგალითისთვის ერთი ქვეყანა გვატემალაც გამოდგება. აშშ-ისგან „ბედნიერებული" ქვეყნების სია ქართველმა ლიბერასტებმა ან თუნდაც ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განაგრძონ.

## გვატემალა

**მაიას ცივილიზაციის იდუმალი გაქრობის მიზეზებზე ბევრი ჰიპოთეზა გამოითქვა, თუმცა, როგორც წესი, ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ამ ცივილიზაციის შემქმნელი ტომების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, გვატემალაში და რომ მათ გენოციდში ბრალდებული ხოსე ეფრაინ რიოს მონტის, 86 წლის ასაკში, 2013 წელს მიესაჯა 50 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ **1954 წელს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ხაკობო არბენსი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს.** მისი ბრალი მხოლოდ ის იყო, რომ საკუთარ ქვეყანაში მიწის რეფორმის გატარებას გეგმავდა, რომლითაც იმ მიწების ნაციონალიზაციაც უნდა მომხდარიყო, რომელთაც ამერიკული კომპანია „იუნაიტედ ფრუტი" ფლობდა. გადატრიალების შედეგად მოსულმა პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, გააუქმა არბენსის რეფორმები, ხოლო სიკვდილის ესკადრონებმა ახალი პრეზიდენტის 8000 პოლიტიკური ოპონენტი გაანადგურეს. ასე, გადატრიალების შედეგად, გვატემალაში დიქტატურისა და რეპრესიების მრავალწლიანი პერიოდი დაიწყო.

1990-იან წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების შედეგად დადგინდა, რომ **1954 წლიდან გვატემალაში მოკლეს დაახლოებით 200 ათასი რეჟიმის მოწინააღმდეგე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მაიას ტომის ინდიელები იყვნენ. მათ უპირატესად ხოცავდნენ ადგილობრივი სპეცსამსახურები და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი მემარჯვენე ჯგუფები** (კიევის ევრომაიდანს სწორედ დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი მემარჯვენე სექტორი განაგებს). **ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხდებოდა აშშ-ის აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით. მიზეზი, ცივი ომის ეპოქის შესაბამისად, სტანდარტული იყო, ამ „პროფილაქტიკური" მეთოდების შედეგად აღიკვეთებოდა გვატემალის საბჭოთა „სანაპირო პლაცდარმად" ქცევა.**

„კომუნისტი აჯანყებულების" წინააღმდეგ ომი მაიას ტომის ინდიელების განადგურების ტოლფასად იქცა, რადგან „კომუნისტ აჯანყებულად" ეჭვმიტანილი იყო ამ ხალხის თითქმის ყველა წარმომადგენელი. „კომუნისტი მაიების" ამოხოცვაში განსაკუთრებით თავი ისახელა გენერალმა რიოს მონტიმ, რომელიც ერთი პერიოდი მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად ქვეყნის პრეზიდენტიც გახლდათ. ამასთან, რიოს მონტის თავი მართლმორწმუნე ქრისტიანად მიაჩნდა. ხელისუფლებაში მოსვლამდე გარკვეული პერიოდი „ღვთისმსახურებითაც" იყო დაკავებული, ადგილობრივი ევანგელური თემის პასტორი იყო და ინდიელთა წინააღმდეგ ჩადენილ მხეცობებს ბიბლიიდან ციტატებით ამართლებდა (აქ გაიხსენეთ ქართველ ლიბერასტთა ჟივილ-ხივილი 17 მაისს ტაბურეტით ხელში მამაოს დანახვაზე). ამასთან, ეს ადამიანი პრეზიდენტობის პერიოდში იყო რონალდ რეიგანის მეგობარი და ფავორიტი, რომელსაც იგი რეგიონში ,,დემოკრატიის ბურჯად" მიიჩნევდა.

**1999 წელს პრეზიდენტი კლინტონი იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა იმ მხეცობებისთვის, რომელთაც „დემოკრატიის ბურჯების" ხელით ახორციელებდნენ, თუმცა უფრო შორს საქმე არ წასულა. უშუალოდ რიოს მონტის საქმე 15 წლის განმავლობაში იწელებოდა, რომლის განმავლობაში მრავალი მოწმე გაქრა ან „ბუნებრივი სიკვდილით" გარდაიცვალა, ქვეყანას კი აშშ-ის მორიგი ფავორიტი, აწ უკვე „დემოკრატი" მოლინა მართავს, რომელიც თვითონაც იმ სამხედრო ქვედაჯგუფების მეთაური იყო, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა გენოციდს.** დღევანდელ გვატემალაში ადგილობრივი ღატაკი, მაგრამ ენერგიული მოქალაქეებისგან, „თანამედროვე დემოკრატიის" პირობებში, აშშ-ის სპეცსამსახურები უკვე კრიმინალურ ბანდებს ქმნიან, რომელთაც ქვეყანა კრიმინალურ სექტორებად და ზონებად ყავთ დაყოფილი (ნუ იქნება ოღონდ ბუნტი). სტატისტიკით, **2009 წელს გვატემალაში მოკლეს უფრო მეტი მოქალაქე, ვიდრე ტერაქტების ცეცხლში გახვეულ ერაყში; დღეს კი მკვლელობების რიცხვით სამჯერ აჭარბებს ისეთ კრიმინალურ ქვეყანას, როგორიც მექსიკაა.**

კვლავ ჩვენს პრობლემებზე რომ გადმოვერთოთ, ანალოგიებით დავინახავთ, რომ **აშშ-ს ან ენერგიადაცლილ, მორჩილ საზოგადოებად უნდა ვეჩვენოთ და, შესაბამისად, ვიყოთ მუდმივად მაჩანჩალა ეკონომიკური პერიფერია, საკუთარ ტრადიციებზე, კულტურაზე უარის მთქმელი ერი, რომელსაც „უხარია", როგორ მაძღრად გამოიყურება ხელისუფლება, გრანტიყლაპია არასამთავრობო სექტორი, ამ პოლიტიკურ სისტემაში არსებობის უფლება მიცემული ვითომ ოპოზიცია, ან კრიმინალში უნდა ჩავიხრჩოთ.**

თუმცა, ბედად, დღეს ცივილიზაციური შეჯახების საზღვარი არა საქართველოში, არამედ უკრაინაში გადის და ამიტომაც იქ მიმდინარე პროცესების ფინალი არ იქნება მართლმადიდებლური ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისი.

**რონინ ბრქელიშვილი**



**1954 წლიდან გვატემალაში მოკლეს დაახლოებით 200 ათასი რეჟიმის მოწინააღმდეგე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მაიას ტომის ინდიელები იყვნენ. მათ უპირატესად ხოცავდნენ ადგილობრივი სპეცსამსახურები და მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი მემარჯვენე ჯგუფები. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხდებოდა აშშ-ის აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოეზიით გატაცება სტალინს არსად და არასოდეს არ უხსენებია, მაგრამ იგი ნამდვილი პოეტი იყო, მას ყურადღება მიაქცია ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ილია ჭავჭავაძემ, მან დაინახა არაჩვეულებრივი ნიჭის ნაპერწკალი და მისი ლექსები სასკოლო ქრესტომათიებში ჩართო ჯერ კიდევ 1895 წელს, როცა იოსები თექვსმეტი წლისა იყო.**

ევგენი გუსლიაროვი

# სტალინი ცხოვრებაში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-6 (236-241)

**სტალინს იტაცებდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის — შოთა რუსთაველის რომანტიკული პოემა „ვეფხისტყაოსანი". ამ პოემამ მთელ მის ცხოვრებაზე ღრმა კვალი დატოვა.** ხატვისადმი მიდრეკილება სოსოს არ ჰქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულმოდგინედ გადახატა შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც გარშემო მყოფთ ძალიან მოეწონათ. ამ თვალსაზრისით მემუარისტი მოგვითხრობს გულის ამაჩუყებელ, და, გამორიცხული არ არის, სარწმუნო ისტორიას. წიგნის მაღაზიის პატრონს, რომელსაც სოსო ხშირად სტუმრობდა ხოლმე, ისე მოეწონა დახატული პორტრეტი, რომ ჭაბუკ ავტორს სთხოვა, მისთვის მიეყიდა. ბიჭმა გაყიდვაზე უარი თქვა, „ისე" აჩუქა და სამაგიეროდ ძღვნად ორი წიგნი მიიღო.

**Громов Е.С. Сталин. Власть и культура.**
**М.: Республика, 1998. с. 16.**

მე იგი (პოემა „ვეფხისტყაოსანი") სტალინთან ვნახე მაშინ, როცა ბოლო დროს მასთან ვიყავი. მას ძალიან უყვარს ეს პოემა და მოსწონს ეს თარგმანი.

**Н. Бухарин.**
**Цит. по: Николаевский Б. Тайные**
**страницы истории. Париж, 1965. с. 63.**

**უნდა აღინიშნოს, რომ სემინარიაში ყოფნის პირველ წელს სოსომ შეთხზა რიგი ლექსებისა ქართულ ენაზე, რომლებიც დაიბეჭდა თბილისის ლიტერატურულ გაზეთ „ივერიაში" 1895 წელს.**

**Такер Р. с. 88.**

მან ითავა იატაკქვეშა ხელნაწერი ჟურნალის რედაქტორობა, რომელიც თვეში ორჯერ გამოდიოდა.

**Яковлев Н.Н. с. 31.**

**პოეზიით გატაცება სტალინს არსად და არასოდეს არ უხსენებია, მაგრამ იგი ნამდვილი პოეტი იყო, მას ყურადღება მიაქცია ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ილია ჭავჭავაძემ, მან დაინახა არაჩვეულებრივი ნიჭის ნაპერწკალი და მისი ლექსები სასკოლო ქრესტომათიებში ჩართო ჯერ კიდევ 1895 წელს, როცა იოსები თექვსმეტი წლისა იყო.**

**Красиков С. с. 98.**

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მფარველობის წყალობით, ზოგიერთი მისი ლექსი გამოქვეყნდა ქართველი ინტელიგენციის საყვარელ სოლიდურ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალში. ეს უკვე იყო რაღაც განაცხადი საკუთარ თავზე, საკუთარ მსოფლშეგრძნებაზე. **1901 წელს ქართული სიტყვიერების დამხმარე სახელმძღვანელოს შემდგენელმა მ. კელენჯერიძემ ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს შორის დაასახელა ამ ლექსებიდან ერთ-ერთი, რომელიც ხელმოწერილი იყო „სოსელოს" სახელით.** 1907 წელს „ქართულ ქრესტომათიაში, ანუ ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშების კრებულში" დაბეჭდილი იყო ი. ბ. ჯუღაშვილის ლექსი, რომელიც რ. ერისთავს ეძღვნებოდა.

**Яковлев Н.Н. с. 36.**

— სტალინი წერდა ლექსებს, — ვეუბნები მოლოტოვს, — რამდენიმე მისი ლექსი გადავთარგმნე. აი, ერთი მათგანი. წაგიკითხავთ ჩემს თარგმანს:

**შხამით აღსავსე ფიალა**

**ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,**
**კარის-კარ დაწრიალებდა;**
**ხელთ ეპყრა მუხის**
**ფანდური,**
**ხმატკბილად აწკრიალებდა;**
**მის საოცნებო ჰანგებში**
**ვითარცა სხივი მზიური,**
**ისმოდა თვითონ სიმართლე**
**და სიყვარული ციური.**
**ბევრს აუძგერა იმა ხმამ**
**გული, ქვად გადაქცეული;**
**ბევრს გაუნათლა გონება,**
**ბნელ-უკუნეთად ქცეული.**
**მაგრამ დიდების მაგიერ**
**სად ჩანგმა გაიწკრიალა,**
**განდევნილს ბრბომ**
**იქ დაუდგა**
**შხამით აღვსილი ფიალა...**
**და უთხრეს:**
**„შესვი, წყეულო,**
**ეგ არის შენი ხვედრიო!**
**შენი არ გვინდა სიმართლე,**
**არც ეგ ციური ხმებიო!"**

ეს დაიწერა 1896 წელს. მაშინ იგი ჩვიდმეტი წლისაც არ იყო.

— სტალინი ჩვიდმეტ წლამდე წერდა ლექსებს. ამ დროს ყველა წერს ლექსებს — ასეთი წესია. კარგ ლექსებს წერდა, — მეუბნება მოლოტოვი.

**Чуев Ф.1 с. 314.**

**1949 წელს, ბელადის 70 წელთან დაკავშირებით, ლ. პ. ბერიას ინიციატივით, გა**-


ივერია




## სემინარიაში ყოფნის პირველ წელს სოსომ შეთხზა რიგი ლექსებისა ქართულ ენაზე, რომლებიც დაიბეჭდა თბილისის ლიტერატურულ გაზეთ «ივერიაში» 1895 წელს

**დაწყვეტენ, სტალინისგან ფარულად გამოსცენ მისი ლექსების რუსული თარგმანი სასაჩუქრე გაფორმებით. უმკაცრესი გასაიდუმლოების პირობებში, სათარგმნელად მიიწვევენ ისეთ პოეტებს, როგორებიც ბორის პასტერნაკი და არსენი ტარკოვსკი არიან. მაგრამ გაგანია მუშაობის დროს მიიღეს მითითება, შეეჩერებინათ ლექსების თარგმნა. ეს მოდიოდა ყოვლისშემძლე, ლ.პ. ბერიაზე უფრო მაღლა მდგომი პიროვნებისგან.**

რატომ არ მოისურვა ლექსების ავტორმა, გაეწიათ მისთვის პროპაგანდა, როგორც პოეტისთვის მაშინ, როცა იგი თვითონ ყოველმხრივ ხელს უწყობდა კარლ მარქსისა და მაო ძედუნის პოეტური შემოქმედების პროპაგანდას, გაუგებარია. მისი პოეტური მოღვაწეობა სულ ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. პოეტ იოსებ ჯუღაშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ლექსების მოძიება ობიექტური მიზეზების გამო შეზღუდულია. ჩვენამდე მათმა მხოლოდ მცირეოდენმა ნაწილმა მოაღწია.

**Красиков С. с. 98.**

**დილა**

**ვარდს გაეფურჩქნა**
**კოკორი,**
**გადაჰხვეოდა იასა,**
**ზამბახსაც გაჰღვიძებოდა**
**და თავს უხრიდა ნიავსა.**
**ტოროლა მაღლა**
**ღრუბლებში**
**წკრიალ-წკრიალით**
**ჰგალობდა,**
**ბულბულიც,**
**გრძნობით აღვსილი,**
**ნაზის ხმით ამას ამბობდა:**
**„აჰყვავდი ტურფა**
**ქვეყანავ,**
**ილხინე, ივერთ მხარეო,**
**და შენც, ქართველო,**
**სწავლითა**
**სამშობლო გაახარეო!"**

**რაფიელ ერისთავს**

**როს მშრომელ გლეხთა**
**ვაებით**
**საბრალოდ აცრემლებული,**
**ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,**
**ერისთვის თავდადებული;**
**როს ერის კეთილდღეობით**
**საამოდ აღტაცებული,**
**სიმთ აჟღერებდი**
**ტკბილ-ხმაზედ,**
**ვით ზეცით მოვლინებული;**
**როს დაჰგალობდი**
**სამშობლოს,**
**ის იყო შენი ტრფიალი,**
**მისთვის გაჰქონდა**
**შენს ჩანგსა**
**გულის წარმტაცი**
**წკრიალი...**
**მაშინ, მგოსანო, ქართველი**
**თურმე ციურ ძეგლს**
**გიგებდა**
**და წარსულ შრომას, ვაებას**
**აწყმოთი აგვირგვინებდა.**
**შენმა სიტყვებმა მის გულში**
**უკვე გაიდგა ფესვია,**
**მოიმკე, წმინდა მხცოვანო,**
**რაც სიყრმით დაგითესია;**
**ნამგლად იხმარე ერისგან**
**გრძნობით ჰაერში ძახილი:**
**„ვაშა, რაფიელ,**
**გამრავლდეს**
**მამულში შენებრი შვილი!"**

**მთვარეს**

**იარე დაუღალავად,**
**თავი ნუ ჩაგიკიდია,**
**გაჰფანტე ნისლი**
**ღრუბლების,**
**უფლის განგება დიდია.**
**ნაზად შესცინე ქვეყანას**
**შენ ფეხ-ქვეშ გადაჭიმულსა;**
**მყინვარს დამღერე ნანინა,**
**ზეციდან გადმოკიდულსა.**
**კარგად იცოდე,**
**რომ ერთხელ**
**ძირს დაცემული, ჩაგრული**
**კვლავ აღემართვის**
**მთას წმინდას,**
**იმედით აღტაცებული.**
**მაშ, ტურფავ,**
**წინანდებურად**
**ღრუბლებში გაიკაშკაშე,**
**ლურჯ კამარაზე საამოდ**
**სხივები შეათამაშე.**
**მეც გადავიხსნი საკინძეს**
**და მკერდს**
**მოგიშვერ მთვარესა,**
**ხელ-განპყრობილი**
**თაყვანს-გცემ**
**ქვეყნად**
**შუქ-მომფინარესა!**

**მოხუცი ნინიკა**

**მოხუცდა ჩვენი ნინიკა,**
**გაუცვდა მკლავი გმირისა...**
**რაროგ გატეხა ტიალმა**
**ჭაღარამ ღონე რკინისა!**
**ჰაე, დედასა!.. მრავალჯერ**
**„აფთარა!" —**
**ნამგლის ტრიალით**
**მკერდ-ღია ყანის ბოლოში**
**წამს გავარდნილი**
**გრიალით,**
**ხელაურების გორები**
**გვერდით-გვერდ აუყენია**
**და ხვითქით მორთულ**
**სახეზე**
**ალმური გადასდენია...**
**ახლა კი მუხლებს**
**ველარ ძრავს,**
**სიბერით მოკვეთილებსა,**
**წევს ან ოცნებობს,**
**ან წარსულს**
**უამბობს შვილი-შვილებსა...**
**ხან-და-ხან ახლო ყანებში**
**ყურს მოჰკრავს**
**ხოლმე მღერასა**
**და გული, ჯერეთ მაგარი,**
**უწყებს სიამით ძგერასა:**
**წამოიწევა ცახცახით,**
**ყავარჯენს დაებჯინება**
**და, რა გაჰხედავს ბიჭებსა,**
**შვებით-ღა გაეღიმება...**

**და იმედები მიღორძინდება**

**როდესაც ბადრად**
**მნათობი მთვარე**
**ცის კამარაზედ**
**გადაცურდება**
**და მისი შუქი,**
**გაბრწყინვებული,**
**ლურჯ ჰორიზონტზედ**
**შეთამაშდება;**
**ოდეს ბულბულის**
**სტვენა-სიმღერა**
**ჰაერში ნაზად**
**გაიწკრიალებს,**
**როს სალამურის**
**სულის კვეთება**
**მთისა მწვერვალზედ**
**შეისრიალებს;**
**ოდეს მთის წყარო**
**შეჩერებული,**
**კვლავ გზას გააპობს,**
**გადიჩხრიალებს**
**და ტყე, ნიავით**
**გაღვიძებული**
**შეიშმუშნება,**
**გაიშრიალებს;**
**ოდეს მტრისაგან**
**გადახვეწილი**
**კვლავ ელირსება**
**თვის ჩაგრულ მხარეს**
**და როს სნეული,**
**შუქს მოკლებული,**
**კვლავ დაინახავს მზესა**
**და მთვარეს,**
**მაშინ მეც, ჩაგრულს,**
**სევდისა ნისლი**
**თავიდან მწყდება,**
**მყისვე მშორდება**
**და იმედები**
**კეთილდღეობის**
**უბედურს გულში**
**მიღორძინდება!**
**და ამ იმედით**
**გატაცებულსა**
**სული მიხარის,**
**მშვიდად ძგერს გული:** ▶

## უნგრეთში ევროკავშირის დროშა ფანჯრიდან გადააგდეს

**უნგრეთის პარლამენტის სხდომა, რომელიც გასულ კვირაში გაიმართა, სკანდალით დასრულდა. სხდომის მიმდინარეობისას, რომელზეც უცხოელების მიერ მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხი განიხილებოდა, კონფლიქტური სიტუაცია შეიქნა.** პარტია „იობიკის" დეპუტატი ტომაშ გაუდი-ნადი აქტიურად გამოდის უნგრული მიწებით ვაჭრობის შესახებ კანონის წინააღმდეგ. მიწის საკითხი ძალიან აქტუალურია დღეს უნგრეთში. ქვეყანაში უკვე ნებადართულია ბინადრობის უფლების მიყიდვა უცხოელებისთვის, რაც მათ უფლებას აძლევს, შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმით ისარგებლონ. უნგრელებს საკუთარი მიწისადმი სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ დეპუტატმა ტამაშ გაუდიმ თავისი გამოსვლის შემდეგ თამამი ნაბიჯი გადადგა — სხდომის დარბაზიდან ევროკავშირის დროშები აილო, დერეფანში გაიტანა და სიტყვა წარმოთქვა ევროკავშირისა და მისი მოთხოვნების მავნებლობაზე, ბოლოს კი, დეპუტატ ბალაჟ ლენჰარდტთან ერთად, ევროკავშირის დროშები ფანჯრიდან გადაყარა. **უნგრეთის პარლამენტის ფანჯრიდან ევროკავშირის დროშების გადაყრამ ევროკავშირისა და უნგრეთის მომავალზე ბევრი კითხვა წარმოშვა. სოციოლოგიური გამოკითხვების მონაცემებით, ევროპარლამენტის მომავალ არჩევნებში, შესაძლოა, ევროსკეპტიკოსების პარტიამ გაიმარჯვოს და მაშინ ევროკავშირის დროშები სხვებმაც გადაყარონ.**



უბედური ქვეყანა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთხელ, როცა სემინარიის ინსპექტორი, ბერი დიმიტრი ჩხრეკის შემდეგ ამხანაგ სტალინთან შევიდა, ამხანაგი სტალინი იჯდა, წიგნს კითხულობდა და თითქოს ვერ შეამჩნია შემოსული. ბერმა ჰკითხა: — განა ვერ ხედავ, ვინაა შენ წინაშე? ამხანაგი სტალინი ადგა, თვალები მოისრისა და უპასუხა: — შავი ლაქის გარდა, ვერაფერს ვხედავ.**

**ნუთუ წრფელია იმედი ესე, ჩემდა იმა დროს მოვლინებული?!**

დარწმუნებული ვარ, რომ **სასულიერო სემინარიამ, სადაც მან საერთო ჯამში ათ წელიწადზე მეტი (SIC!) დაჰყო, დიდი გავლენა იქონია მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე და მთელ მის შემდგომ ცხოვრებაზე. მან განავითარა და გააძლიერა მისი თანდაყოლილი თვისებები.** რელიგიური გრძნობა მას არასოდეს ჰქონია. ახალგაზრდა კაცს, რომელსაც არც ერთი წუთი არ სწამდა სულიერება, არ სწამდა ღმერთი, დაუსრულებელი ლოცვები და თავსმოხვეული დისციპლინა აუცილებლად მიიყვანდა საწინააღმდეგო შედეგთან. სემინარიის გამოცდილებამ შთააგონა, რომ ადამიანები შეუწყნარებლები და უხეშები არიან, რომ სულიერი მოძღვრები ატყუებენ თავიანთ სამწყსოს, რათა უფრო მტკიცედ ჰყავდეთ მორჩილებაში, რომ ისინი ინტრიგანობენ, ცრუობენ და რომ მათ ძალიან ბევრი სხვა ნაკლი და ძალიან მცირე ღირსება აქვთ...

**Аллилуева С. с. 150.**

**მე მარქსისტი ჩემმა სოციალურმა მდგომარეობამ გამხადა... მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მკაცრმა შეუწყნარებლობამ და იეზუტურმა დისციპლინამ, ასე დაუზოგავად რომ მაწვებოდა სემინარიაში.**

**Из интервью Сталина Э. Людвигу.**

**Цит. по: Сталин И.В. Сочинения: В. 13 томах,**
**М., 1946-1952. т. 13. с. 113.**

ჭაბუკური წლებიდან მას გამოჰყვა მხოლოდ სწრაფად სიარულის ჩვევა. იოსები კი არ დადიოდა, არამედ თითქმის დარბოდა. ამხანაგებმა მას „გეზა“ დაარქვეს (პირდაპირ მავალი). ეს ჩვეულება ი. ბ. სტალინმა თითქმის სიკვდილამდე შეინარჩუნა.

**Яковлев Н.Н. с. 31.**

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც მას ამ წლებში ახლოს იცნობდა, მრავალი წლის შემდეგ გაიხსენა ამხანაგების აზრი მის შესახებ: **„კობას ხუმრობა არ ესმის. უცნაური ქართველია — ხუმრობას ვერ იგებს. მუშტით უპასუხებს ყველაზე უფრო უწყინარ შენიშვნაზე“.**

**Яковлев Н.Н. с. 31.**

ახალგაზრდა ჯუღაშვილს განუვითარდა გულჩათხრობილობა და კუშტი განდგომილება, რომლებიც მას უფრო გვიან წლებში ახასიათებდა.

**Такер Р. с. 67.**

**ლიუდვიგი**: რამ გიბიძგათ ოპოზიციონერობისკენ? ეგებ მშობლების ცუდად მოპყრობამ?



**1896 წლის ნოემბერში გაჩნდა პირველი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ჯუღაშვილი აკრძალულ წიგნებს კითხულობს, მალევე — მეორეც**

**სტალინი:** არა. ჩემი მშობლები გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ცუდად სრულიადაც არ მეპყრობოდნენ. სხვა საქმეა მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია, სადაც მაშინ ვსწავლობდი. სემინარიაში არსებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუტური მეთოდების გამო, მზად ვიყავი, გავმხდარიყავი და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ჭეშმარიტად რევოლუციური მოძღვრების, მომხრე.

**ლუდვიგი:** თქვენ განა არ ცნობთ იეზუიტების დადებით თვისებებს?

**სტალინი:** დიახ, მათ აქვთ სისტემატურობა, დაჟინებულობა მუშაობაში ცუდი მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ მათი მთავარი მეთოდია თვალთვალი, ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა, აბუჩად აგდება. რა შეიძლება იყოს ამაში დადებითი? მაგალითად, პანსიონატში თვალთვალი: 9 საათზე — ზარი ჩაისთვის, მივდივართ სასადილოში და, როცა ვბრუნდებით ჩვენს ოთახებში, ირკვევა, რომ ამ დროში გაჩხრიკეს და აურდაურიეს ყველა ჩვენი ჩანთა... რა შეიძლება იყოს ამაში დადებითი?

**Сталин И. т. 13. с. 113-114.**

ერთხელ, როცა სემინარიის ინსპექტორი, ბერი დიმიტრი ჩხრეკის შემდეგ ამხანაგ სტალინთან შევიდა, ამხანაგი სტალინი იჯდა, წიგნს კითხულობდა და თითქოს ვერ შეამჩნია შემოსული. ბერმა ჰკითხა:

— განა ვერ ხედავ, ვინაა შენ წინაშე?

ამხანაგი სტალინი ადგა, თვალები მოისრისა და უპასუხა:

— შავი ლაქის გარდა, ვერაფერს ვხედავ.

**Ярославский Э. О товарище Сталине. М., 1939. с. 10-11.**

ერთ საღამოს ჯუღაშვილი და ირემაშვილი სემინარიიდან გაძვრნენ და გაემართნენ თბილისის მთავარი რკინიგზის სახელოსნოების მუშის სახლში, სადაც ტარდებოდა რკინიგზელების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრება. გადასახლებიდან გამოქცეულ რევოლუციონერს, შავ პერანგში და წითელი ჰალსტუხით, გამხდარ სახეზე ჩავარდნილი და მგზნებარე ცისფერი თვალებით, რამდენიმე საათის განმავლობაში დაპყრობილი ჰქონდა მათი ყურადღება, იგი ყვებოდა უმკაცრეს ციმბირის მხარეში პოლიტიკურ პატიმართა ტანჯვა-წამების შესახებ.

**Такер Р. с. 89.**

**ლიუდვიგი:** მასარიკთან რომ ვიყავი, განმიცხადა — სოციალისტად ჩემი თავი 6 წლის ასაკიდან ვიგრძენიო. რამ და როდის შეგქმნათ თქვენ სოციალისტად?

**სტალინი:** არ შემიძლია ვამტკიცო, რომ 6 წლიდან ვესწრაფვოდი სოციალიზმს. არც 10 ან 12 წლიდან. რევოლუციურ მოძრაობაში 15 წლის ასაკიდან შევაბიჯე, როცა დავუკავშირდი რუსი მარქსისტების იატაკქვეშა ჯგუფებს, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ. ამ ჯგუფებმა ჩემზე დიდი გავლენა იქონიეს და იატაკქვეშა მარქსისტული ლიტერატურისადმი სიყვარული ჩამინერგეს.

**Сталин И. т. 13. с. 113.**

**1896 წლის ნოემბერში გაჩნდა პირველი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ჯუღაშვილი აკრძალულ წიგნებს კითხულობს, მალევე — მეორეც.**

**Грей Я. с. 27.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

# როცა უნიკალურსა და უპრეცედენტოს ჩვეულებრივი და ტრადიციული ჯობია, ანუ რა სახით გამოვიდა მიხეილ ჭიაურელის საარქივო დოკუმენტები

**საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმმა და გამომცემლობა „გუმბათმა“ წამოიწყეს ახალი პროექტი „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“, რომლის მიზანია, მკითხველს წარმოუდგინოს მუზეუმში დაცული დოკუმენტები. იდეა კეთილშობილურია, მაგრამ ამ წარმოდგენასაც ხომ თავისი წესი და ლოგიკა აქვს?!**



სწორედ ეს ელემენტარული რამ შევახსენე მუზეუმის დირექტორს, ახალგაზრდული ენერგიითა და მამულიშვილური შემართებით გამორჩეულ მოღვაწეს — ბატონ **გიორგი კალანდიას**, როცა შარშან გამოიცა ხსენებული პროექტის I ტომი და იგი სცენის დიდოსტატს — ***კოტე მარჯანიშვილს*** მიეძღვნა. საქმე ის არის, რომ მუზეუმის მასალები სწორედ იმ სახით გამოქვეყნდა, როგორაც დაცულია და არანაირი მეცნიერული აპარატი, თქვენ წარმოიდგინეთ, საძიებლებიც არ ახლავს, თითქოს ქსეროასლები გადაუღიათო. ამ მხრივ, **მხოლოდ** ამ მხრივ, პროექტი მართლაც უნიკალური და უპრეცედენტოა, როგორც ამას ხაზგასმით მიუთითებენ ავტორები შესავალშივე.

სამწუხაროდ, იგივე განმეორდა II ტომშიც, რომელიც ბატონ ***მიხეილ ჭიაურელს*** დაეთმო, თუმცა ამჯერად პროექტის ავტორებს რამდენადმე გაუთვალისწინებიათ თქვენი მონა-მორჩილის რჩევა და შესავალში, ერთგვარი თავის მართლების მიზნით, მიუწერიათ — საარქივო მასალების სტილი და ორთოგრაფია შენარჩუნებულიაო...

**ვერაფერი შეღავათია, მე და ჩემმა ღმერთმა! კვლავ არანაირი მეცნიერული აპარატი: კომენტარები, შენიშვნები და მისთ. რომელ მეცნიერულ აპარატზეა საუბარი, როცა სარჩევი რაა, ისიც ვერ შეუდგენიათ ნორმალურად. არადა, სარედაქციო ჯგუფში 6 თანამშრომელია მოხსენიებული. რა არის ეს — ვერაფრით გამიგია და ამიხსნია: არაპროფესიონალიზმი თუ უპასუხისმგებლობა? ალბათ, ორივე, რადგან დიდი უტაქტობაა ათეულობით ავტორის ასეთი იგნორირება!** Aნუთუ ნებისმიერმა ავტორმა — ბატონმა **რეზო ჩხეიძემ**, ბატონმა **მერაბ კოკოჩაშვილმა** თუ სხვამ, არ უნდა იცოდეს, რომელ გვერდზეა მისი მოგონება და ა.შ.? ამას გარდა, არც რაიმე რედაქტირებაა, შრიფტის გააზრება, დაკაბადონების ელემენტარული ნორმები და ა.შ

**საგაზეთო სტატიის ფორმატის შეზღუდულობის გამო, მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი, მსუბუქად რომ ვთქვათ, რა უხერხულ მდგომარეობაში ვაგდებთ მკითხველს ასეთი „უნიკალური” და „უპრეცედენტო” პროექტის პრეტენზიით:**

I. დავბერდი კაცი კინომცოდნეობაში და ახლა მიმტკიცებენ, რომ თურმე ცნობილი ფრანგი კინოისტორიკოსი **ჟორჟ სადული** (1904-1967), არც მეტი, არც ნაკლები, **ქართველი** კინომცოდნე ყოფილა — ეს არის, ბატონებო, „საარქივო მასალის სტილისა და ორთოგრაფიის შენარჩუნება“? რა აზრი აქვს ასეთ „შენარჩუნებას“, როცა, ცხადია, უნებურად, მაგრამ, ფაქტობრივად, მაინც ატყუებთ მკითხველს?!

**ახლა ვნახოთ, კიდევ რამდენ, ვიმეორებ, ნებსით თუ უნებლიეთ, არასწორ ინფორმაციას აწვდით მკითხველს:**

II. გვ. 253. Fფოტო და მისი წარწერა: **„მიხეილ ჭიაურელი და მირზაშვილი, „ბერლინის დაცემა“, ფილმის გადაღების პროცესი. 1945 წ.“** ისმის სამი კითხვა:

1. რატომ არის ცნობილი მხატვარი **რევაზ მირზაშვილი** მოხსენიებული უსახელოდ, თუნდაც, უინიციალოდ? რა უნდოდა ამის დადგენას?

2. მოკლედ და კატეგორიულად: **რევაზ მირზაშვილი** კი არ არის კინოფილმ „ბერლინის დაცემის“ მხატვარი, არამედ: **ვლ. კაპლუნოვსკი** და **ალ. პარხომენკო**.

3. რაც მთავარია, „ბერლინის დაცემა“ გადაღებულია არა 1945 წელს, არამედ ოთხი წლის მოგვიანებით — 1949 წელს.

III. იმავე გვერდზე ფოტო და წარწერა: **„მიხეილ ჭიაურელი ფილმიდან „მჭედელი მიქავა“** (შემდეგ უნდა ყოფილიყო მძიმე — გ. დ.) **1935 წ“.** ისმის ორი კითხვა:

1. ამ ფილმის სახელწოდებაა „ნათელა“ და არა „მჭედელი მიქავა“ — მიქავა იმ გმირის გვარია, რომელსაც მიხეილ ჭიაურელი თამაშობს, ხოლო მჭედელი მისი პროფესიაა.

2. ფილმი გადაღებულია არა 1935 წელს, არამედ 9 წლით ადრე — 1926 წელს.

IV. გვ. 45: აკაკი ხორავა 60 წლის იყო, როცა მიხეილ ჭიაურელის ბოლო ფილმში („რაც გინახავს, ველარ ნახავ“) ითამაშაო.

1. სინამდვილეში ამ დროს ბატონი **აკაკი ხორავა** 70 წლის გახლდათ.

2. არც „ახალგაზრდა ყარაჩოხელი“ (იმავე გვერდზე) უთამაშია 70 წლის აკაკი ხორავას — მისი გმირი ყარაჩოხელების უსტაბაშია.

V. კინოფილმი „საბა“ არ არის მიხეილ ჭიაურელის პირველი დამოუკიდებელი სურათი (გვ. 205) — მისი კინორეჟისორული დებიუტი იყო ფილმი „უკანასკნელ საათს“, რომელიც გადაიღო არა 1927 წელს (გვ. 203), არამედ 1929 წელს.

VI. არც „არსენას“ თარიღია სწორი: უნდა იყოს 1937 წელი და არა — 1936 (გვ. 208). ასევე ერთი წლითაა „გადაწეული“ კინოფილმ **„ხანუმას“** გადაღების თარიღი: უნდა იყოს 1926 წელი და არა 1927 (გვ. 209).

VII. გვ. 249:Fფოტოზე წარმოდგენილია ექვსი კინემატოგრაფისტი, მაგრამ წარწერაში — მხოლოდ ოთხი (კინორეჟისორები: **მიხეილ ჭიაურელი, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ სანიშვილი** და **მერაბ კოკოჩაშვილი**), არადა, სრულიად ადვილი ამოსაცნობი არის ის ორი დანარჩენიც: კინოოპერატორი **ფელიქს ვისოცკი** და კინორეჟისორი **ლეო ესაკია**... სხვა თუ არაფერი, ბატონ **მერაბ კოკოჩაშვილისთვის** დაგერეკათ და გეტყოდათ, თქვე კაი დედმამიშვილებო! ისიც უნდა მიეთითოს, რომ რაღაც თანმიმდევნობით ხომ უნდა იყვნენ ფოტოზე აღბეჭდილი კინემატოგრაფისტები, ანუ ვინ ვის გვერდითაა, ვინ ზის, ვინ დგას და ა.შ. ასე, მაპატიეთ, მაგრამ „უპრაკონოდ“ დაბეჭდვა ფოტოსურათისა უხერხულია!

**საერთოდაც უხერხულია, ბატონებო, ამ სერიის ასე გაგრძელება და ეგებ, ამიერიდან მაინც მოაყაროთ მადლს მარილი...**

**გოგი დოლიძე,**
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი, პროფესორი

**P.S.** **რაც შეეხება პოლიგრაფიული უმწიფრობის ნიმუშებს, ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ, თუ ეს გამომცემლობის მესვეურებს აინტერესებთ, ერთ სემინარს სიამოვნებით ჩავუტარებ, პროფესიულ-კოლეგიური სოლიდარობის ნიშნად.**




## პოლიციელებმა 17 წლის ბიჭი მოკლეს

**ინციდენტი ორი კვირის წინათ ქალაქ იუჰარლიში (ჯორჯიის შტატი) მოხდა. პოლიციელებმა დააკაკუნეს სახლის კარზე, სადაც 17 წლის კრისტოფერ რუპი ცხოვრობდა. სამართალდამცველები ბიჭის მამის შესამოწმებლად მივიდნენ, რომელიც ციხიდან ვადამდე პირობით იყო გათავისუფლებული.** კარი კრისტოფერმა გააღო, რომელსაც ხელში პისტოლეტის ფორმის სათამაშო ჯოისტიკი ეჭირა.

ყმაწვილმა მყისვე ტყვია მიიღო გულში და ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციის ოფიცერი ამტკიცებს, რომ ბიჭმა მას პისტოლეტი დაუმიზნა. დაღუპული კრისტოფერ რუპი ოფიცერთა სარეზერვო კორპუსში ირიცხებოდა და საზღვაო ქვეითობაზე ოცნებობდა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არც თუ ჩვეულებრივი შადრევანი ამშვენებს პრაღას. ის განსაკუთრებულია იმით, რომ შადრევნის აქეთ-იქეთ მდგარ მამაკაცებს შეუძლიათ წყლის ჭავლით დაწერონ ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც შადრევანს მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაუგზავნით.



# მსოფლიოს ყველაზე ლამაზი და უცნაური შადრევნები

**დიდი ხანია, ადამიანებმა ქვისა და წყლის საშუალებით ხელოვნების ულამაზესი ნიმუშების შექმნა ისწავლეს. დღეს შადრევნები უამრავ ქალაქს ამშვენებს, მაგრამ არც ისე დიდი ხანია, რაც მათ საკმაოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ — ისინი სასმელი წყლის წყაროებს წარმოადგენდა, ზოგიერთ შადრევანს კი სარეცხის გასარეცხადაც კი იყენებდნენ.**

მსოფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირადღირებული შადრევანი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში მდებარეობს. მისი სიგრძე 270 მეტრს შეადგენს, წყლის ჭავლის სიმაღლე კი 150 მეტრს აღწევს. მის მშენებლობაზე 220 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა.

დუბაი არ გაჰყვა, ამავე რეგიონის სხვა ქალაქების მსგავსად, ნავთობით ვაჭრობით გამდიდრების გზას. სამაგიეროდ, სხვა მხრივ გადაწყვიტა გამდიდრებულიყო — მისი მიზანია დედამიწაზე ტურისტული სამოთხის აშენება, რომელსაც თბილი ზღვა, სპარსეთის ყურე და სუბტროპიკული კლიმატიც უწყობს ხელს.

მსოფლიოს ყველაზე დიდი შადრევანი მდებარეობს ცათამბჯენ ბურჯ დუბაის (სიმაღლე — 828მ) ტერიტორიაზე, უფრო ზუსტად კი მის მახლობლად გაშენებულ ხელოვნურ წყალსაცავზეა განლაგებული.

დუბაის შადრევანი ცნობილია არა მარტო განსაკუთრებული ზომების წყალობით, არამედ გასაოცარი ვიზუალური და მუსიკალური სპეცეფექტებით — მფრინავი წყლის ნაკადის გაერთიანებით მუსიკასთან და განათებასთან.

ჯერ კიდევ აშენებამდე შადრევანი მსოფლიოს რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე ძვირადღირებული პროექტი მსგავს პროექტებს შორის.

შადრევნის მშენებლობა მიანდეს კალიფორნიულ (აშშ) კომპანიას „Wet Design“, რომელიც ლიდერია მსოფლიოში მოცეკვავე შადრევნების მშენებლობაში.



თანამედროვე შადრევნების მშენებლობაში დიდი როლი მიუძღვის რევოლუციურ გამოგონებას სახელწოდებით „მსროლელი“ (shooter). ეს არის სპეციალური აპარატი, რომელიც მაგრადება მილის წვერზე და ეხმარება წყლის ნაკადს უფრო მაღალ სიმაღლეზე ასვლაში.

საცდელი გაშვება 2009 წლის გაზაფხულზე განხორციელდა, ხოლო ამავე წლის ბოლოს შადრევანი ექსპლუატაციაში შევიდა.

პროექტის მიხედვით, დუბაის შადრევნის ფართობზე განლაგებულია ორი ძირითადი ურთიერთმკვეთი რკალი და ხუთი სხვადასხვა სიდიდის სხვადასხვა დიამეტრის მილებით აღჭურვილი რკალი, რომლებზეც განსხვავებული ზომის „მსროლელებია“ დამაგრებული. ყოველივე ამას შეუძლია ჰაერში აიყვანოს, აბრუნოს, მუსიკალურ ტემპში აცეკვოს წყლის რამდენიმე ძლიერი ნაკადი სხვადასხვა სიმაღლეზე.

ეს რთული კონსტრუქცია წყლის ქვეშაა განლაგებული და დაფარულია ადამიანის თვალისგან, რაც უფრო ძლიერ შეგრძნებებს იწვევს ტურისტებში, როცა წყლის ზედაპირიდან უეცრად წარმოიქმნება წყლის უზარმაზრი ნაკადი, გარკვეულ ფიგურას ქმნის ჰაერში და განსაკუთრებული ხმით უბრუნდება წყალსაცავს. შადრევანს ერთდროულად 83 000 ლიტრი წყლის ატყორცნა შეუძლია მაქსიმუმ 150 მეტრ სიმაღლეზე.

მრავალფეროვან შოუს მუსიკასთან ერთად უზრუნველყოფს 50 დიდი „მანათობელი“ და 1,5 მილიონი ნათურა, რომლებიც 6600 ფერთა შეხამებას უზრუნველყოფენ.

ღამით განათებული შადრევანი კოსმოსიდან ჩანს, ხოლო მისი ლაზერული შოუს სინათლე 20 კმ-ზე ვრცელდება.



მსოფლიოში ყველაზე გრძელი შადრევანი, რომელიც 1140 მეტრზეა გადაჭიმული, კორეაში, სეულში მდებარეობს. შადრევანს **„მთვარის ცისარტყელას“** უწოდებენ.

სეულში მდინარე ჰანშუის სანაპიროების დამაკავშირებელი ყველაზე დიდი ხიდი ტურისტების მოსაზიდ სანახაობად 2008 წელს გადაიქცა. სპეციალისტებმა ხიდის ორივე მხარეს დაამონტაჟეს სპეციალური წყლის საქშენები, რომლებიც წუთში 190 ტონა სხვადასხვა ფერის წყალს გადმოისვრიან მდინარეში. ხიდის მთელ სიგრძეზე 9380 ასეთი მოწყობილობაა. წყალი ისევ მდინარიდან იტვირთება სპეციალური ტუმბოს საშუალებით.

წყლის საქშენები ერთ ადგილას არ დგანან, ასრულებენ რა წყლის ცეკვას, ისინი 190 ფერს იცვლიან. ასე იქმნება წყლისგან სინათლე, მუსიკა, რაც ნამდვილ ცეკვას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ შადრევანი დღისითაც მუშაობს, განსაკუთრებული ეფექტი მაინც ღამის სანახაობას აქვს.



შადრევანი **მონჟუიკი** ბარსელონაში (ესპანეთი) ხშირად მოიხსენიება, როგორც მაგიური. შადრევანი 20 წუთის განმავლობაში სულ სხვადასხვა ფერად იღვრება და ვიზუალურ ფორმას იცვლის.



ათასობით ადამიანი იკრიბება ფრენკ სინატრასა და ანდრეა ბოჩელის მუსიკაზე წყლის ცეკვის სანახავად. 1214 გამომფრქვევიდან ლას-ვეგასის შადრევნის წყალი 80 მეტრის სიმაღლეზე აიტყორცნება.



დისნეილენდში (ფლორიდას შტატი) მდებარე ნაციის შადრევნის თავისებურება ისაა, რომ მსოფლიოს 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა შადრევნის გახსნაზე სტუმრობისას საკუთარი ქვეყნიდან წაღებული წყალი მიიტანეს. წყალი, ცხადია, შადრევანში ჩაღვარეს.



**ქალაქ სანტეკ-სითის (სინგაპური) მიწისქვეშა სავაჭრო ცენტრში განთავსებულია სიმდიდრის შადრევანი.** მისი მთავარი განსაკუთრებულობა ისაა, რომ შადრევანი მთლიანად ბრინჯაოსია.



იაპონიის ქალაქ ოსაკაში **„მოფარფატე“** შადრევნები აქვთ. ეს მსგავსი კონსტრუქციის ფორმირების მსოფლიოში პირველი გამოცდილებაა. შადრევნის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სხვადასხვა საგანს გარკვეულ სიმაღლეზე წყლის ჭავლი აკავებს.



ოჰაიოს შტატში დგას **მეტალის ბორბლის** ფორმის შადრევანი, რომლის წყლის ნაკადები ბორბლის ცენტრისკენ მიემართება და ცენტრალურ წერტილში ერთდება.



ანანასის მსგავსად, წვნიანი შადრევანი სამხრეთ კაროლინაში — „**Waterfront Park**“-ში დგას და შტატის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად ითვლება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი შადრევანია **პეტერგოფის დიდი კასკადი**. ამ კომპოზიციაში 64 შადრევანი, 37 ქანდაკება, 29 ბარელიეფი და 150 მომცრო ზომის მორთულობა შედის.



სიმბოლური ხასიათისაა მოსკოვში განთავსებული შადრევანი სახელწოდებით „ხალხთა მეგობრობა“. ამ ერთგვარი ყვავილის ფურცლებს რთავს 16 ქალწული, რომელთაგან თითოეული თითო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენს.



ერთ ტურისტსაც არ დატოვებს გულგრილს **სვაროვსკის შადრევანი**, რომელიც ავსტრიაშია: კრისტალის თვალები ყველა მოძრაობას ადევნებს თვალს.



შადრევანი **ჟეტ დო** ქალაქ ჟენევის სიმბოლო და მისი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. შადრევნიდან წყალი 220 კმ/სთ სიჩქარით ადის 140 მეტრის სიმაღლეზე. შადრევანი ზუსტად იქაა, სადაც მდინარე რონი ჟენევის ტბაში ჩაედინება.



**ორიგინალობით გამოირჩევა ძალზე უცნაური შადრევანი ესპანეთის პატარა ქალაქ მენორკაში: ეს შადრევანი სხვა არაფერია, თუ არა ჰაერში გამოკიდული უზარმაზარი ონკანი.**



ბარსელონაში მდებარე ყველაზე სახიფათო შანდრევანში კი წყლის ნაცვლად **ვერცხლისწყალი იღვრება**. ამჟამად ობიექტი მნახველებისგან დაცულია მინის კედლებით.



ინგლისში, სუონსში, სასახლის მოედანზე წელიწადში მხოლოდ ერთხელ — 1 მარტს — შეიძლება იხილოთ ეს საოცარი სანახაობა: შადრევნის წყალი წითლად იღებება და მნახველს სისხლს აგონებს. ეს უელსის თავადების მფარველის დღის აღსანიშნავ ტრადიციას წარმოადგენს.



თავისი სილამაზით როგორც დღისი, ასევე ღამით მომნუსხველია **აბუ-დაბის შადრევანი-ვულკანი**. დღე-ღამის ნათელ პერიოდში ეს არის ვულკანის სახის ულამაზესი ნაგებობა, თავად ვულკანის ფერდობებზე კი წყლის ნაკადები ჩამოედინება. ღამით შადრევანი შიგნიდან კაშკაშა ნარინჯისფრადაა განათებული და საოცარ სანახაობას ქმნის.



როდესაც რომის ცენტრში მდგარ შადრევანს უყურებ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წყლის ძალას შეუძლია ნამდვილი „Seat Ibiza“ ჰაერში ატყორცნოს. სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა მხატვრული ინსტალაცია.



კიდევ ერთი ორიგინალური შადრევნის სახელწოდება „თავისუფალი კვებეკია“. ეს, თანამედროვე ხელოვნების თვალსაზრისით, ნამდვილი შედევრია, თუმცა ავტორის ნამდვილი ჩანაფიქრი ბევრს არ ესმის.

# ეკოლოგიური მედიცინის პერსპექტივები

**როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, ამა წლის 22 თებერვალს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მედიცინის სრულიად ახალი მიმართულების — ეკოლოგიური მედიცინის პერსპექტივებს საქართველოში. კონფერენციას უძღვებოდა ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი თეიმურაზ შენგელია.**

**კონფერენციაზე სიტყვითა და მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე, გულიკო ზუმბაძე, პროფესორი დიმიტრი ხარძაია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლუიზა მარსაგიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ია კავაძე, ექიმი გიორგი დონაძე, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი მარინა გიორგობიანი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ტერუნაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ადა მჭედლიძე, პროფესორი იგორ დოლიძე, ექიმი-ჰომეოპათი შორენა ხარებავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლელა გიორგობიანი, ექიმი თინათინ კობერიძე.**

**კონფერენციის შედეგების მიხედვით, მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს:**

კონფერანციის მონაწილენი მივესალმებით ქ. თბილისის საკრებულოს, ადამიანის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ქ. თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის, ბიოლოგიური მედიცინის ასოციაციის, ჯანმრთელობის ცენტრ „ნატუროპათის“ ინიციატივას, პირველად საქართველოში გვემსჯელა ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორიც არის ეკოლოგიური, ანუ ალტერნატიული და უსაფრთხო მედიცინა.

მთელი რიგი დაავადებებისა — ნერვული სისტემის, გულისისხლძარღვთა, ენდოკრინული, მომნელებელი და სხვა სისტემებისა, გამოწვეულია გარემოს, როგორც მთლიან ეკოსისტემასა, და ადამიანის ორგანიზმს შორის კავშირის რღვევით. გარემოს ცვლილებებს ადექვატურად ვერ პასუხობს ადამიანის ორგანიზმი. ადამიანმა დაკარგა თვითრეგულირების ფუნქცია. კლასიკური მედიცინა კი ძირითადად ორიენტირებულია სიმპტომატურ მკურნალობაზე.

ჩვენი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით ვადასტურებთ მთელი რიგი დაავადებების მკურნალობის ეკოლოგიურ მეთოდებს, როგორც უალტერნატივოს და უსაფრთხოს. მკურნალობის ეკოლოგიური მეთოდები ორგანიზმს უბრუნებს თვითრეგულირების, თვითაღდგენისა და თვითგანკურნების ფუნქციას, რაც აფართოებს ადამიანის ცნობიერებას, ზრდის მის შრომისუნარიანობას და თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დიდი წარმატებით გამოიყენება ეკოლოგიურ-ალტერნატიული მკურნალობის მეთოდები, რომლებიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

გაეროს 2001 წლის იურიდიული დოკუმენტი „ხალხური და კომპლემენტარული (ალტერნატიული) მედიცინის სტატუსი“ აერთიანებს 120 ქვეყანაზე მეტს. სამწუხაროდ, საქართველო მათ რიცხვში არ არის, თუმცა ხალხური მედიცინის მრავალათასწლიანი გამოცდილების მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მეორე არ გვეგულება.

მოგმართავთ თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, ქ. თბილისის საკრებულოს და მერიას, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს, შეიქმნას ადამიანის ეკოლოგიის სააგენტო (დეპარტამენტი) და სამკურნალო-კვლევითი ცენტრი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

1. **გარემოს მავნე ფაქტორების ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების შესწავლა და სისტემატიზირება;**
2. **ეკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, რეაბილიტაცია და პრევენცია;**
3. **ეკოლოგიური მეთოდებით მკურნალობის კოორდინირება, რეგულირება და პოპულარიზაცია;**
4. **ეკოლოგიური აზროვნებისა და ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება საზოგადოებაში;**
5. **ეკოლოგიური განათლება.**

ვფიქრობთ, თავისი ფუნქციების ეფექტურად და დროულად განხორციელებისთვის აღნიშნული სამსახური დაექვემდებაროს საქართველოს მთავრობას, კერძოდ, პრემიერმინისტრს და თავისი საქმიანობა წარმართოს ამ მიმართულებით მსოფლიოს, კერძოდ, ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.“

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი თბილისსა და ბეირუთში

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა 18 თებერვალს ორკესტრის კონცერტით გახსნა ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების 21-ე საერთაშორისო ფესტივალი.**



ჯანლუკა მარჩანო



ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი

**თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორისა და ალ ბუსტანის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის — ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობით შესრულდა ანტონინ დვორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“.** სოლისტის ამპლუაში წარსდგა მსოფლიო აღიარების მქონე ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარკი. იგივე პროგრამა შესრულდა 20 თებერვალსაც.

**22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან — ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვიდა.** პროგრამაში იყო ფელიქს მენდელსონის უვერტიურა „ჰიბრიდები“, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტი და პეტრე ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია.

კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ლიბანის მედიაში გავრცელდა სტატიები, შეფასებები. აი, მაგალითად, **„კონცერტი გაიხსნა და დასრულდა დვორჟაკის საორკესტრო ნაწარმოებებით, რომლებიც სოლიდურად შეასრულა ჯანლუკა მარჩანომ. უწინარესი, რასაც ქართველების უნაკლო შესრულებამ მოჰფინა ნათელი, ისაა რომ დვორჟაკისეული ჰეროიკული თემები ნამდვილად ბეთჰოვენის ხსოვნის წინაშე ვალის მოხდაა...**

**ამ საღამოს საკონცერტო პროგრამა იყო გამოწვევა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაესტრომ და სოლისტმა მარიო სტეფანო პიეტროდარკიმ მოახერხეს სრული ჰარმონიის შექმნა“,** — წერს ჯიმ ქუილთი („დეილი სთარი“).

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია კიდევ მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა კარლ მარია ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმი იმღერებს რიხარდ შტრაუსის „ოთხ უკანასკნელ სიმღერას“.

**ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს.** პროგრამაშია ასევე უვერტიურები ჯოაკინო როსინის ოპერებიდან „ვილჰელმ ტელი“, „სევილიელი დალაქი“, „კონკია“ და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექა-ქუხილი“.

**ყველა კონცერტს ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.**

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის — ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

**წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი. 15 და 16 მარტს მაყურებელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.**

**გასტროლის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.**

გასტროლის პარალელურად თეატრი არც თბილისელ მსმენელებსა და მაყურებლებს ტოვებს უყურადღებოდ:

**27 თებერვალს და 6 მარტს, 19 საათზე გიწვევთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც საკონცერტო ვერსიით შესრულდება ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადი“.**

ოპერის თეატრის გუნდს და სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებს დავით კინწურაშვილი. მთავარ პარტიებს იმღერებენ თეატრის სოლისტები: **გიორგი მახარაძე** (გრაფი რიკარდო), **სულხან გველესიანი** (რენატო), **მაყვალა ასპანიძე** (ამელია), **ელენე ჯანჯალია** (ულრიკა), **ნინო ჩაჩუა** (ოსკარი), **ლევან იმედაშვილი** (სილვანო), **ვანო გალუაშვილი** (სამუელი), **გოჩა დათუსანი-ჯილაური** (ტომაზო), **თამაზ საგინაძე** (მსაჯული).

**4 მარტს, 19 საათზე ისევ კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით აჟღერდება ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკა“.**

სპექტაკლს წარუძღვება თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო. მთავარ პარტიებს იმღერებენ: **ხათუნა ჭოხონელიძე** (ტოსკა), **თეიმურაზ გუგუშვილი** (კავარადოსი), **ნიკოლოზ ლაგვილავა** (სკარპია), **კახაბერ თეთვაძე** (ანჯელოტი), **ვანო გალუაშვილი** (მღვდელმსახური), **იური ასლანიშვილი** (სპოლეტა), **ვახტანგ ჯაშიაშვილი** (შარონე), **ვანო ბუაძე** (ციხის ზედამხედველი), **ნათია ივანიაშვილი** (მწყემსი).

**28 თებერვალს, 19 საათზე კი თეატრის საბალეტო დასი გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში წარმოადგენს პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტს „მაკნატუნა“.**

# ვეტერანების ქომაგი

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გულწრფელად მოგესალმებით და გილოცავთ დაარსებიდან 5 წლის იუბილეს. მიუხედავად არსებობის არცთუ ისე დიდი დროისა, თქვენ შეძელით მკითხველთა ფართო წრის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება, რადგან ყოველთვის იქ ხართ, სადაც ადამიანებს გვერდით დგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ.**

განსაკუთრებით დიდად კმაყოფილი და მადლობელი ვართ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანები იმ ყურადღებისა და თანადგომისთვის, რომელსაც ჩვენ მიმართ იჩენთ ხოლმე. ეს ფაქტი მით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როცა დღეს ქვეყნის ხელმძღვანელობამ ჩვენზე ხელი ჩაიქნია, ჩამოგვწერა და დიდი სამამულო ომის გამოჩენილი მებრძოლების ძეგლებისა და მემორიალების ნგრევა-რბევა დაიწყო.

თქვენ ჩვენი ჭეშმარიტი ქომაგი ხართ. იმ ჯოჯოხეთური ომის მონაწილე ვეტერანებს სააქაოში ყოფნის ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა და თქვენ მიერ ჩვენდამი გამოვლენილ ყურადღებას, სითბოსა და თანადგომას საიქიოს თან გავიყოლებთ.

**შოთა ბუაძე,**
**დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პროფესორი**


## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ. მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;**
**ტ. 218-46-08 ოფისი**



## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009